ISSN 2587-4713 6-8 2018

ECONOMICS

ეკონომიკა

1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed and refereed scientific journal

6-8, 2018

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ზ. ბერიშვილი; მ. გვიჩია; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Беришвили Х., Гвичия М., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; KH. BERISHVILI; M. GVICHIA; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა
და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

თბილისი - 2018

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ლია გიგაური - რეფორმების არსი
და ეფექტური მართვის სტრატეგიები ---------- 6
მალხაზ გვიჩია - სავალუტო სტრატეგია და ქვეყნის
სავალუტო პოლიტიკის ოპტიმიზაციის საკითხები ---------- 26
ხათუნა შალამბერიძე - სახელმწიფო ვალის
აღების პროცესის მართვის საკითხები საქართველოში ---------- 39

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

მალხაზ გვიჩია - სავალუტო კრიზისების არსი,
მისი წარმოშობის მიზეზები და შედეგები ---------- 49
მაია გიორბელიძე - საქართველოში მოქმედი სოციალური
საწარმოების კონკრეტული შემთხვევების ანალიზი ---------- 65
მარიამ იაშაღაშვილი - ვენჩურული კაპიტალი - ფულზე მეტი ----- 82
ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი - საბაზრო ეკონომიკისა და
მეწარმეობის განვითარება საქართველოში ---------- 89
რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია,
ნათია შენგელია - უწყვეტი განათლება -
ადამიანი კაპიტალის კვლავწარმოების უმთავრესი ფაქტორი ------ 99

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

მალხაზ გვიჩია - ვალუტისა და სავალუტო
პოლიტიკის საკითხისათვის ---------- 109
მალხაზ ოქრომელიძე - საბანკო საინვესტიციო
საქმიანობის არსი და თვისებები ---------- 126
ნინო ქავთარაძე - მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი
საბანკო სექტორში და მისი მომავლის გამოწვევები---------- 133
თინათინ გუგეშაშვილი, ნანა ბენიძე, ჯამბულ ბიწაძე -
საერთაშორისო ფინანსური კრიზისების მიზეზების შესახებ ------ 138
ხათუნა შალამბერიძე - საქართველოს საბანკო
სექტორის განვითარების ტენდენციები ---------- 149
ჯამბულ ბიწაძე, ნანა ბენიძე - სახელმწიფო ხაზინის
ნაკლოვანებები და შესაძლო პერსპექტივები საქართველოში --- 160

რეგიონული ეკონომიკა

მაია ახვლედიანი - ქალაქის კონკურენტუნარიანობა - ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის რთული ფენომენი -------- 170

დარგობრივი ეკონომიკა

ნანა ბენიძე, ჯამბულ ბიწაძე, თინათინ გუგეშაშვილი - საყოველთაო დაზღვევა საქართველოში---------- 181

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ანზორ აბრალავა, ვასილ ბატიაშვილი - ცვლილებების პროცესი და ძირითადი სირთულეები ---------- 192
ბადრი დავითაია, ლალი ხარბედია, მზისადარ ბჟალავა - მენეჯმენტის თანამედროვე მოდელები განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ---------- 199
ვასილ ბატიაშვილი - ადამიანური რესურსის მნიშვნელობა ცვლილებების განხორციელების პროცესში---------- 210
მაია ახვლედიანი - მარკეტინგი კულტურის სფეროში ---------- 221
ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი - კორპორაციების აქტივების ოპერატიული მართვა---------- 230
სოფიკო ღვინიანიძე - მმართველობითი სისტემის განვითარების მეთოდოლოგიური ასპექტები---------- 238
დეზდემონა მაღლაკელიძე, დიანა უგლავა - მმართველობითი აღრიცხვა და დანახარჯთა კონტროლის სისტემა---------- 247
ლალა ჯიქია - გადაწყვეტილებების პროდუქტიულობა და ეფექტურობა ცვლილებების მენეჯმენტის პირობებში---------- 258
დეზდემონა მაღლაკელიძე, ნათელა ვაშაკიძე - მმართველობის ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ზოგიერთი საკითხი ---- 273
თინათინ როდონაია, თამარ როსტიაშვილი - დისტანციური სწავლების მენეჯმენტი უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში -- 286

მსოფლიო ეკონომიკა

გიორგი ბეროშვილი, ალექსანდრე თოდუა - ბერლინის კრიზისი და ეკონომიკური ფაქტორები ---------- 295
ლია ბაღდოშვილი, მარიამ კოზოლაშვილი - ტერორიზმის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ---------- 302
ნანა ღარიბაშვილი, ანნა ცქიტიშვილი - მთავრობის როლი ვენესუელას ეკონომიკურ კრიზისში ---------- 308
სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 318

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Lia Gigauri - The Essence of Reforms and Effective Management Strategies ---------- 6

Malxaz Gvichia - Currency Strategy and Country Currency Policy Optimization Issues ----------26

Khatuna Shalamberidze - Optimization of State Debt Management of Georgia ----------39

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Malxaz Gvichia - Monetary Crises, Reasons and Consequences --------49

Maia Giorbelidze - Case-Study Analysis of Social Enterprises Operating in Georgia ----------65

Mariam Iashagashvili - Venture Capital More Than Money----------82

Natia Bedukadze-Mamatsashvili - Market Economy and Entrepreneurship Development in Georgia----------89

Revaz Shengelia, Jujuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia - Continuous Education - The Main Factor in Human Capital Reproduction ----------99

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Malxaz Gvichia - Currency and Currency Policy Issues---------- 109

Malxaz Oqromelidze - The Essence and Features of Banking Investment Activities ---------- 126

Nino Kavtaradze - Customer Relationship Management in Banking Sector and its Future Challenges---------- 133

Tinatin Gugeshashvili, Nana Benidze, Jambul Bitsadze - For Some Issues of Reasons for the International Financial Crisis ---- 138

Khatuna Shalamberidze - Georgian Banking Sector Development Trends ---------- 149

Jambul Bitsadze, Nana Benidze - State Treasury Disadvantages and Possible Perspectives in Georgia---------- 160

REGIONAL ECONOMY

Maia Akhvlediani - Competitiveness of the city – Complex Phenomenon of Economic Theory and Practice---------- 170

SECTORAL ECONOMY

Nana Benidze, Jambul Bitsadze; Tinatin Gugeshashvili - Universal Health Insurance in Georgia ---------- 181

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Anzor Abralava, Vasil Batiashvili - Changes vs Challenges ---------- 192
Badri Davitaia, Lali Xarbedia, Mzisadar Bjalava - Contemporary Models of Management in the Developed Market Economy Countries ---------- 199
Vasil Batiashvili - The Importance of Human Resource Management During the Change Process --------- 210
Maia Akhvlediani - Marketing in the Sphere of Culture ---------- 221
Natia Bedukadze – Mamatsashvili - Operational Management of Corporation's Assets---------- 230
Sofiko Gvinianidze - Methodological Aspects of Management System Development ---------- 238
Dezdemona Maglakelidze, Diana Uglava - Management Accounting and Expenditure Control System ---------- 247
Lala Jikia - Productivity and Efficiency of Decisions in the conditions of Changes Managements---------- 258
Dezdemona Maglakelidze, Natela Vashakidze - Some Issues of Preparation and Submission of Management Report ---------- 273
Tinatin Rodonaia, Tamar Rostiashvili - Distance Teaching Management in Higher Educational Institutions---------- 286

WORLD ECONOMY

Giorgi Berosvhili , Aleksandre Todua - Berlin Crisis and Economic Factors ---------- 295
Lia Bagdoshvili, Mariam Kozolashvili - The Impact of Terrorism on the World Economy---------- 302
Nana Gharibashvili, Anna Tskitishvili - The Government's Role in Venezuela's Economic Crisis ---------- 308
The Publication Requirements ---------- 318

რეფორმების არსი და ეფექტური მართვის სტრატეგიები

ლია გიგაური
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დოქტორანტი
სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება

რეზიუმე

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, საგანმანათლებლო თუ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფერო უპრეცენდენტოდ მრავალმხრივი, მრავალფეროვანი, მასშტაბური და პერმანენტული რეფორმებით არის გამორჩეული. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დარგსა და სფეროში რეფორმების შედეგად ცალკეული მიმართულებებით მიღწეულია მნიშვნელოვანი წინსვლა და ხელშესახები შედეგები, მთელი რიგი სოციალური თუ ეკონომიკური მიმართულებები კვლავ რთული გამოწვევების წინაშე დგას და ახალი რეფორმების განხორციელებას საჭიროებს. ამდენად, რეფორმების ეფექტური მართვა აქტუალურ საკითხად რჩება.

წინამდებარე სტატიის მიზანი არის არა ერთი რომელიმე სფეროს რეფორმების ანალიზი, არამედ რეფორმების ეფექტურად მართვის მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ არსებული ცოდნის თავმოყრა და გაანალიზება. *რეფორმების მართვის პროცესი* ინიცირების (მიზნების ფორმირების) დონეზე იწყება და *მნიშვნელოვანი*ა განხორციელების ყველა ეტაპზე, მათ შორის, საზოგადოებასთან კომუნიკაციის, შედეგების შეფასებისა და მდგრადობის შენარჩუნების აქტივობების ნაწილშიც. რეფორმების ეფექტიანი მართვის მისაღწევად კრიტიკულად მნიშ-

ვნელოვანია პროგრესის მონიტორინგი ცვლილებების მიმდინარეობისას და შუალედური შედეგების შეფასება, რათა თავიდან იქნას აცილებული ჩავარდნები, გადახვევები, განმეორებითი ხასიათის პრობლემები, არსებითი ხასიათის იმპროვიზაციები და მიზნების მრავალჯერადად გადასინჯვა, რასაც ნეგატიურ შედეგებამდე მივყავართ და სისტემის სტრუქტურებში, ბენეფიციარებში, პარტნიორ ინსტიტუციებსა და საზოგადოების სხვადასხვა წრეში არასტაბილურობის შეგრძნება და რეფორმების მიმართ უნდობლობა მოაქვს.

საკვანძო სიტყვები: რეფორმა, სტრუქტურული რეფორმები, რეფორმების მართვა, რეფომების მონიტორინგი.

შესავალი

ოცდამეერთე საუკუნე ცვლილებების განსაკუთრებულად სწრაფი ტემპით ხასიათდება. ტექნოლოგიებისა და გლობალიზაციის საუკუნეში ეკონომიკის, მართვის, საზოგადოებრივი ურთიერთობების, ცხოვრებისა და მუშაობის თითქმის ყველა სფეროში ცვლილებები და ტექნოლოგიური განვითარება გახდა მათი არსებითი მახასიათებელი. სახელმწიფო სისტემის *უმთავრესი გამოწვევაა არა მარტო ცვლილებების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება, არამედ წინასწარ განჭვრეტა. მაგალითად, განათლების სისტემის ამოცანას არ წარმოადგენს, შეეგუოს ცვლილებებს ან ადეკვატური, ეფექტური და დროული რეაგირება მოახდინოს მასზე, არამედ მათი გენერატორი უნდა იყოს და ეკონომიკის გაძლიერებისა და ინოვაციების მამოძრავებელ ძალად უნდა იქცეს.*

ტექნოლოგიები და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება, *პროგრესისა და კეთილდღეობისკენ ქვეყნის მისწრაფება* ახალ მოთხოვნებს აყენებს არა მხოლოდ განათლების წინაშე, არამედ გამოწვევებს უქმნის სხვადასხვა სოციალურ და ეკონომიკურ სისტემებს, ხდება ადამიანური კაპიტალის ხარისხის კრიტერიუმების– ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ტრანსფორმაცია.

ციფრულმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა ცოდნის შექმნისა და დაგროვების პროცესი ძალიან დააჩქარა. მან ცვლილებები გამოიწვია არა მარტო საწარმოო პროცესებში, არამედ პერსონალურ ურთიერთობებში. ინფორმაციის გაცვლის პროცესი გაადვილდა, მრავალფეროვანი და სწრაფი გახდა. ამასთანავე, აშკარა გახადა ზოგიერთი სახის კომპეტენციების, მეთოდოლოგიების, ინფორმაციის სწრაფად მოძველება. მაგალითად, პროდუქტების, ტექნოლოგიების, საზოგადოების პრიორიტეტების, მართვის ტექნოლოგიების, პოლიტიკური მეთოდების და ა.შ. შესახებ ინფორმაცია აქტუალობას ძალიან სწრაფად კარგავს. იმისათვის რომ სხვადასხვა სისტემებმა ახალ გარემოსა და ინფორმაციასთან ადაპტირება მოახდინომ, საჭირო ხდება მთელი რიგი მიმართულებების შეცვალა, სისტემების რეფორმირება. დღის წესრიგში დადგა დარგებისა და სისტემის ტრანსფორმაციის სისტემატიური განვითარების აუცილებლობა, მიზნებისა და ამოცანების, სტრუქტურირების, ორგანიზების, მეთოდოლოგის, ადამიანური რესურსებისა და ტექნოლოგიების ინტეგრაციის მიმართულებით. არსებითად იცვლება სახელმწიფო სისტემისა და კერძო კომპანიების მართვის, დაფინანსების, ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიები. სწორედ ამიტომ *თანამედროვე ტურბულენტულ სამყაროში კონკურენტულ უპირატესობად იქცა ცოდნა და მაღალი სააზროვნო უნარები და სწრაფად ცვალებად გარემოში ორიენტაციისა და დროული გადაწყვეტილებების მიღების პრიორიტეტული მექანიზმი გახდა.*

რეფორმების არსი

რეფორმა შეცვლას, ტრანსფორმაციას, გარდაქმნას ნიშნავს. ტერმინი „რეფორმა“ საზოგადოების მიერ რომელიმე პოლიტიკური ინსტიტუტის, პოლიტიკურ სუბიექტთა ურთიერთობებით ინიცირებული და წარმართული ისეთი გარდაქმნის პროცესის აღსანერად გამოიყენება, რომელიც რომელიმე სახელმწიფო სისტემის ან პოლიტიკური გაერთიანების ფარგლებში ხორციელდება. სისტემის გარდაქმნის ან უკეთესი შედეგის მიღწევის

მიზნით „პოლიტიკური რეფორმები“ შეიძლება ინიცირებული იყოს გარკვეული ჯგუფების ან პოლიტიკური პარტიების, გნებავთ, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ფენების მოთხოვნებით, მაგრამ ყველა შემთხვევაში წარიმართება სახელმწიფო ხელისუფლების უშუალო მონაწილეობით (შოურცე: მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა).

რეფორმის სახელით მოიხსენიებენ სახელმწიფო სისტემაში/სტრუქტურაში ცვლილებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ მიზანს. მენეჯმენტის დისციპლინაში ორგანიზაციის (ფირმის) მიერ ახალი იდეებისა და ქცევის მოდელების ათვისება განისაზღვრება როგორც ორგანიზაციული ცვლილებები (Ричард Л. Дафт. 2008, გვ. 432). წინამდებარე სტატიაში ერთი და იმავე მნიშვნელობით იქნება გამოყენებული ტერმინები „ცვლილებები“ – სისტემის შიდა და ორგანიზაციული ცვლილებების კონტექსტში ცვლილება და „რეფორმა“ – პოლიტიკურ და სტრუქტურულ კონტექსტში ცვლილება.

ერთსა და იმავე სისტემაში განხორციელებული რეფორმების ისტორიას თუ გადავხედავთ, ისინი სხვადასხვა ფორმას ატარებდა, რადგან რეფორმატორთა მიზნები და მოტივაცია განსხვავებული იყო, განხორციელების ხედვაც და რესურსიც სხვადასხვა ჰქონდათ. თუმცა ტენდენციებს თუ შევაფასებთ, სახელმწიფო რეფორმები, ძირითადად, ფოკუსირებულია არსებული სისტემის შეცვლაზე, რომელიც, ერთი მხრივ, მიმართულია შენატანების ცვლილებაზე, მეორე მხრივ, ინდივიდების შედეგებზე. მაგ., განათლების სისტემის რეფორმები მოსწავლის საგანმანათლებლო მიღწევაზე, ერთეულ მოსწავლეზე დანახარჯის შემცირებაზე იყო ორიენტირებული; ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმა – მშობელთა მზრუნველობას მოკლებული, სოციალურად დაუცველი, ძალადობის მსხვერპლი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მიუსაფარი ბავშვების ზრდისა და განვითარებისათვის უკეთესი სოციალური პირობების შექმნაზე, ბავშვთა დიდი ზომის სააღმზრდელო დაწესებულებებიდან ბავშვების მცირე ზომის ალტერნატიული ზრუნვის ფორმებში

მოთავსებაზე და სხვა.

არაერთხელ დაიწყო სახელმწიფო მართვის რეფორმირება. იგი, თანამედროვე გაგებით, არის ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს მთავრობებს, შეცვალონ არსებული ორგანიზაციული სტრუქტურები ან დაგეგმონ ახალი ორგანიზაციების ჩამოყალიბება, მოახდინონ ორგანიზაციული საზღვრების გადანაწილება და პასუხისმგებლობის გაფართოება/შეზღუდვა ან გარკვეული სტრუქტურული ერთეულების გაუქმება, დეცენტრალიზებული მართვის ახალ სტრუქტურულ მოდელებად ტრანსფორმირება..

რეფორმების სტრატეგია

თანამედროვე ცხოვრებაში ცვლილებების ტემპის გათვალისწინებით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სოციალური სისტემებისა თუ ინდუსტრიების უმრავლესობა თუ სტაბილურად არ ვითარდება, მაშინ მათ მდგომარეობაში რეგრესი ფიქსირდება. შესაბამისად, ნებისმიერი რეფორმა კრიზისის ვითარებაში აღმოჩნდება კარგად გააზრებული დანერგვის სტრატეგიისა და განხორციელების პროცესში სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების გარეშე. რეფორმების სტრატეგიული დაგეგმვა არის ინსტრუმენტი, რომელიც ორგანიზაციას/სისტემას მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება და სისტემურ განვითარებას უწყობს ხელს. „სტრატეგიული დაგეგმვა უკავშირდება არა მომავალ გადაწყვეტილებებს, არამედ იმ გადაწყვეტილების მომავალს, რომლებსაც დღეს ღებულობენ“ (პიტერ დრუკერი).

ძნელია რეფორმების წარმატებაზე ან არაეფექტურობაზე ისაუბრო *რეფორმების მიზნების დასახვის, განხორციელების სტრატეგიების* დაგეგმვის და მართვის პროცესების სიღრმისეული ანალიზისა და კვლევების გარეშე. ცხადია, ნებისმიერ დარგში სისტემური საბოლოო შედეგების განმსაზღვრელი არის მიზეზებისა და განმაპირობებელი ფაქტორების მთელი კომპლექსი, რომლებიც ერთმანეთთან ჯაჭვურად არიან დაკავშირებული.

დაგეგმვისას დაშვებული შეცდომები განხორციელებაზე ახდენს ზეგავლენას და პირიქით, განხორციელების პრობლემების შედეგად ხშირად სპონტანურად იცვლება გეგმები, რაც ნეგატიურად აისახება მიზნების მიღწევაზე. შედეგად, სისტემის ფუნქციონირება ორიენტირებული ხდება არა შედეგზე, არამედ პროცესების (ოპერაციების) განხორციელებაზე, რომელიც, შესაძლოა, სწრაფად ცვალებადი მრავლობითი მაკორექტირებელი გადაწყვეტილებების მიღების შედეგად იმდენად აცდენილი იყოს მიზანს, რომ საერთოდ აღარ იძებნებოდეს მასთან კავშირი.

როდესაც რეფორმატორები ახალი ტიპის ინსტიტუციების (ან სისტემის) შექმნის ამოცანას ისახავენ, ისინი პირველ რიგში დაგეგმილ მიზანთან მისასვლელ ე.წ. „ ტრაექტორიას“ ირჩევენ, რომელიც გარდაქმნის პროცესის შუალედური ინსტიტუციური მდგომარეობების თანამიმდევრობას წარმოადგენს (Polterovich .2001). როგორც წესი, ინსტიტუციური განვითარებისა და რეფორმების გეგმები მიზნების, ამოცანებისა და მსხვილი აქტივობების დონეზე მუშავდება და არა დეტალურად .. შესაბამისად, რეფორმის ტრაექტორიის სხვადასხვა ნიშნულში შედეგები პროგნოზირებულისგან განსხვავდება. რეფორმის სტრატეგია არის ინსტრუმენტი, რომელიც რეფორმატორებს ამ „ტრაექტორიის“ სწორად კონსტრუირებაში ეხმარება. ალტერნატიული სტრატეგიების დამუშავებასა და შერჩევას განაპირობებს რეფორმირების საბოლოო შედეგის ხედვა: უნდა შეიქმნას ფუნდამენტურად ახალი ინსტიტუტები და თუ არსებულ მოდელში ან სისტემაშიუკვე გამოცდილი, წარმატებული ინსტიტუტების ტრანსპლანტაცია უნდა მოხდეს (Polterovich. (2001)) .

რეფორმების სტრატეგიებიდან ყველაზე გავრცელებული ე.წ. „ შოკის თერაპია“ გულისხმობს ინსტიტუტის (სისტემის) ერთმნიშვნელოვნად რადიკალურად შეცვლას, რომელიც რეფორმირების ყველა ეტაპზე „ხაფანგების“ ჩამოყალიბების მაღალი რისკის მატარებელია.(Hellman (1998)). ასეთი „ხაფანგები“ ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ, კულტურულ ფაქტორებს, რესურსებს, ადამიანების დამოკიდებულებებს,

ტექნოლოგიებს უკავშირდება და საბოლოო შედეგების მიღწევას აფერხებს, ან განხორციელების გეგმის ტრანსფორმაციის საჭიროებას აჩენს. ამასთან, ასეთი სტრატეგიის გარდაუვალი ეფექტია კორპორატიული კულტურის კრიზისი.

მეორე, ასევე გავრცელებული, ე.წ. „ახალი ინსტიტუციის მშენებლობის“ სტრატეგია არსებული ინსტიტუციის (სისტემის) ბუნებრივ, თანამიმდევრულ ევოლუციას გულისხმობს, რაც დროში უფრო ხანგრძლივია, ვიდრე „ შოკის თერაპია“, მაგრამ ნაკლებად მტკივნეულად მიმდინარეობს. მცირე ნაბიჯებით ტრანსფორმირება შეიძლება იმდენად გახანგრძლივდეს, რომ მიღწეულ შედეგს ეფექტი აღარ ქონდეს. არსებობს რისკი, რომ რეფორმირების პროცესი ოპერაციებსა და დეტალებზე ორიენტირებული გახდეს

რეფორმირების სტრატეგიის შერჩევისას გასათვალისწინებელია დაფინანსების გარანტიები ა და რიკების ეფექტური დაზღვევის და მართვის გემის მომზადება. წინააღმდეგ შემთხვევაში „ტრაექტორიის“ ბოლო წერტილამდე მისვლის კრიზისი რეალურია.

გასათვალისწინებელია, რომ სისტემური რეფორმების ფარგლებში ცვლილებების ნაწილი მასშტაბურია, ნაწილი კი – სპეციალიზირებული, ნაწილი – უმნიშვნელო, ნაწილი ცვლილება რეალურია, ნაწილი - წარმოსახვითი, ნაწილი დაგეგმილია, ნაწილი - დაუგეგმავი, ნაწილი კონტროლირებადია, ნაწილი - არაკონტროლირიბადი, ნაწილი თანმდევი ან გაუთვალისწინებელი,. ამიტომ რეფორმის ინიციატორებს და ლიდერებს უნდა ქონდეთ სრული სურათის ხედვის შესაძლებლობა და მზაობა, რომ საქმიანობის ყველა სფეროში, სტრატეგიებსა და ოპერაციებში, ინფორმაციულ სისტემებში, სერვისებისა და პროდუქტების სასიცოცხლო ციკლებში, პერსონალის მართვაში, ხელმძღვანელობის მეთოდებსა და პოზიციებში, ტექნოლოგიებში, თანამშრომელთა, სამიზნე ჯგუფებისა და პარტნიორების დამოკიდებულებებში და ა.შ. ცვლილებები გარდაუვალია.

რეფორმის სტრატეგია არის ორგანიზების მეთოდებისა და მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების *კომბინაცია, რომელიც მიმართულია საზოგადოების/მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და სისტემური და /ან ორგანიზაციული მიზნების მიღწევისაკენ.* რეფორმების მიზნებისა ჩამოყალიბება-განხორციელების პროცესში საჭიროა განისაზღვროს ყველა სფეროსა და ეტაპის ინფორმაციის მოგროვების, ანალიზისა და დაგეგმვის, ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიები.

მასშტაბური და ხანგრძლივი რეფორმების გატარების საჭიროებისას პრიორიტეტების განსაზღვრა და ეტაპებად დანაწევრება, შუალედური მიზნებისა და ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბება და დროში თანამიმდევრულად გაწერა მიიჩნევა დაგეგმვის საუკეთესო ფორმად. რადგან, როდესაც რეფორმები წლების განმავლობაში დაუსრულებლად მიმდინარეობს და დასახული შედეგები არ ფიქსირდება, ფართე თუ პროფესიულ საზოგადოებაში და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფშის ნეგატიურ დამოკიდებულებას, უნდობლობასა და უიმედობის განწყობას აჩენს.

მნიშვნელოვანია, თითოეულმა სისტემამ კარგად გააანალიზოს მის წიაღში განხორციელებული რეფორმების ისტორია. ახალი რეფორმების დაგეგმვამდე უნდა მოხდეს უკვე დასრულებული რეფორმების არა მხოლოდ საბოლოო შედეგების შეფასება, არამედ საჭიროა გაანალიზდეს რეფორმების პირდაპირი და თანმდევი ეფექტები, განხორციელების მართვის ეფექტიანობა, ცვლილებებისთვის შერჩეული სტრატეგიები და ხელშემწყობი მექანიზმები, ინსტიტუციური გარემო და გარე ფაქტორების ზემოქმედების ხარისხი, რესურსული უზრუნველყოფა, დაფინანსების ადეკვატურობა.

რეფორმების ზეგავლენა

რეფორმები ყველა სფეროში მტკივნეულად იწყება, რამდენადაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მოლოდინები და ხედ-

ვები რეფორმასთან დაკავშირებით მკვეთრად დიამეტრულია. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რეფორმის შედეგებს და, შესაბამისად, დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსი იხარჯება მართვისა და პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტის დაგეგმვის, რესურსების მობილიზებისა და პროცესების მომზადების, მიმდინარეობის და რისკების მართვის, მონიტორინგის, შედეგების გაზომვისას, რეფორმების შედეგები ყოველთვის მაინც არ არის დაგეგმილის ეკვივალენტური. ბევრმა პროგრესულმა რეფორმამ ვერ შეძლო იმ შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა, რისთვისაც გატარდა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. მაგალითად, საქართველოს ზოგადი განათლების რეფორმა 2005 წლიდან აქცენტირებას მოსწავლეების მიღწევებზე აკეთებდა, რომელიც დღემდე გამოწვევად რჩება. სახელმწიფო და საერთაშორისო შეფასებებში საქართველოს მოსწავლეების შედეგები საშუალო საერთაშორისო შეფასებაზე დაბალია წიგნიერებაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და მათემატიკაში. მეორე მაგალითად შეიძლება სოციალური დახმარების სისტემის რეფორმის მოტანა, რომლის მიზანი ისეთი პროგრამისა და მონაცემთა ბაზის შექმნა იყო, რომელიც სოციალური დახმარების მიზანმიმართულ და საჭიროების მიხედვით განაწილებას უზრუნველყოფდა, თუმცა ახალი პრინციპით დახმარებების გადანაწილებამ მეტი ნეგატიური დამოკიდებულება შეუქმნა დახმარების საჭიროების მქონე სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

• სხვადასხვა რეფორმის ანალიზის პროცესში იკვეთება ერთნაირი შეცდომები : რეფორმის განხორციელებისას მეტია პროცესის წარმართვასა და ცალკეული აქტივობების/პროცედურების განხორციელებაზე ორიენტაცია და ნაკლები – შედეგების მიღწევაზე.

• რეფორმირების პროცესების დასრულების შემდგომ რეფორმატორები ხშირად ხელშესახებ შედეგებს ვერ დებენ.

• შედეგები უფრო თვალსაჩინოა და აღიარებული სტრუქტურული რეფორმების დროს, თუ მხოლოდ აღნიშნული ერთი

მიმართულებით იქნება შეფასებული და არა სისტემურ შედეგებთან კავშირში.

• ამასთან, რეფორმატორები ნაკლებ დროს უთმობენ რეფორმის მოსალოდნელი შედეგების შესახებ ყველა დაკავშირებული და ჩართული პირებისა და ბენეფიციარის სრულფასოვნად ინფორმირების საკითხს, რაც წინმსწრებად ნეგატიურ შეფასებებს და რეფორმის რისკების დისკრედიტაციის რისკს აჩენს.

მასშტაბური და სისტემური რეფორმების ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია მთელი რიგი კომპონენტების კომპლექსი:

• რეფორმის შედეგების მკაფიო ხედვა;

• მიზნების დასახვა, რომელსაც საზოგადოების პროგრესული ნაწილი ეთანხმება და აღიარებს;

• გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა;

• რეალისტურ დროში გაწერილი სამოქმედო გეგმები;

• რელევანტური დაფინანსება;

• სტრტეგიაზე მორგებული, კარგად სტრუქტურირებული სისტემა, და კოორდინაციის მექანიზმები;

• შესაბამისი კომპეტენციისა და მაღალი მოტივაციის ადამიანური რესურსები;

• ანგარიშვალდებულებების და მონიტორინგის გამართული სისტემა.

რეფორმის ყოველ ეტაპზე მიღწეული პროგრესის შეფასების ეფექტური მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება არის წარმატებული განხორციელების მნიშვნელოვანი კომპონენტი. ამავდროულად, პერიოდულად უნდა გაანალიზდეს რეფორმების მართვის ეფექტიანობა და მიღწეული შედეგები.

რეფორმების გარემო

რეფორმების მომზადება გარემოს ანალიზით იწყება. რეფორმების გარემოს ანალიზის მიზანია, გამოავლინოს ყველა გარე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, სამართლებრივი, რესურსული და კულტურული ფაქტორები,

რომლებმაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს რეფორმების განხორციელებაზე. საჭიროა წინასწარ შეფასდეს ის რისკები, რომლებსაც შექმნის გამოვლენილი ფაქტორები რეფორმების განხორციელების სხვადასხვა დონეზე. საჭიროა გაანალიზდეს საკანონმდებლო, სოციალ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური განვითარების ფაქტორების ზემოქმედების შედეგები.

რეფორმების გარემოს შეფასებას ეფუძნება როგორც წამყვანი სტრატეგიული ცვლილებები, ისე ოპერატიული ცვლილებები. ასევე, შედეგის მიღწევასთან დამაკავშირებელი ადამიანური რესურსების, როგორც ყველაზე ღირებული აქტივების განვითარება, ცვლილებების მართვაში არებული პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების ხარისხი (ლინჩი, 2005: P768).

მნიშვნელოვანია ცვლილების პოლიტიკური განზომილება (ბერნსი, 1996: P316). გასათვალისწინებელია ცვლილებების გარემოს ტურბულენტობა და დაცვითი სტრატეგიის განხორციელების დასაბუთება. არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ სწავლება, რომელიც ორგანიზაციული განვითარების მიზნით განხორციელდა, კრიზისისთვის იქნება შესაბამისი (ლინჩი, 2005: P772).

რეფორმები მოითხოვს ახალი პროდუქტის შექმნისა და ახალი შედეგების მიღწევის მიზნით ცვლილებებს ორგანიზაციული სტრუქტურაში, სისტემური პროცესების გარდაქმნას, პერსონალის მომზადებას, მართვის ტექნოლოგიებისა და შესრულების მეთოდიკის ცვლილებას.

რეფორმის ფაზები

რეფორმის დაწყება შესაძლებელია:

ა) პოლიტიკური მოტივებით;

ბ) ფინანსური მოტივებით;

გ) ეფექტიანობის მოტივებით;

დ) ტექნოლოგიების განვითარების მიზნით/ზემოქმედებით;

ე) საერთაშორისო შეთანხმებით აღებული ვალდებულებებით.

რეფორმირების ყველა პროცესი გადის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაზებს, რომელიც სხვადსხვა პროცესის დროს განსხვავებული ხანგრძლივობის არის, მაგრამ შინაარსით რელევანტურია მიზანთან და გარემოსთან მიმართებით:

• ინიცირებისა და მიზნების დასახვის ფაზა;

• მომზადების ფაზა;

• იმპლემენტაციის ფაზა;

• შეფასების ფაზა;

• დამკვიდრების ფაზა.

კარგად მომზადებული რეფორმების ეფექტიანად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტებია:

• **მიზნები** - გრძელვადიანი მიზნებისა და მისი მიღწევის ამოცანებიის განსაზღვრა;

• **პოლიტიკა და სტრუქტურა** - ამოცანების გადასაჭრელად და ცვლილებების ეფექტიანობისთვის პოლიტიკის (თამაშის წესების) ცვლილებები, სტრუქტურული ცვლილებები - სრული ან ნაწილობრივი რეორგანიზაცია;

• **ტექნოლოგიები** - ტექნოლოგიებისა და ამოცანების ცვლილებები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცვლადებია;

• **ადამიანები** - გულისხმობს ორგანიზაციაში მომუშავე პერსონალის ცოდნაში, ქცევაში, დამოკიდებულებებსა და შესაძლებლობებში ცვლილებებს.

რეფორმის მომზადება და განხორციელება დროში შემდეგი თანამიმდევრობით შეიძლება გაიშალოს:

• რეფორმის საჭიროების განსაზღვრა და პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიკაცია;

• რეფორმის მომზადების ფაზაში რეფორმის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება;

• რეფორმის რესურსების მობილიზება;

• სისტემის შიდა და გარე სიტუაციური ფაქტორების ურთიერთკავშირის სქემების მომზადება;

• რეფორმის ზეგავლენის პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების ჯგუფების იდენტიფიცირება და მათთან კავშირებისა და

კომუნიკაციის უზრუნველყოფა;

• რეფორმის წინააღმდეგობის ჯგუფების განეიტრალების ტაქტიკის განსაზღვრა;

• რეფორმის მართვის ჯგუფის ფორმირება;

• რეფორმის თანმდევი რისკების იდენტიფიცირება და აცილების და/ან შემცირების დაგეგმვა;

• აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა და შემუშავება შინაარსობრივი, ლოგიკური, საორგანიზაციო და ტექნიკური თანმიმდევრულობით;

• საკანონმდებლო უზრუნველყოფა;

• საზოგადოების მომზადება და პოზიტიური განწყობების მობილიზება. ინფორმირება, რამდენ ხანში და რა შეიცვლება რეფორმირების შემდეგ, რით იქნება არსებულ მდგომარეობაზე უკეთესი სისტემა საქმიანობის "ნორმალიზაციის" შემდეგ;

• იმპლემენტაციის მართვის ფაზაში რეფორმისადმი ყოვლისმომცველი, მულტისექტორული და ინტეგრირებული მიდგომის უზრუნველყოფა;

• აქტივობების გეგმის შემუშავება და პასუხისმგებლობების გადანაწილება მსხვილი კომპონენეტების მიხედვით;

• რეფორმის სუბიექტების ინფორმირებულობა, რეფორმის მიზნებისა და მათი სარგებლის შესახებ, ცნობიერების ამაღლება;

• რეფორმის გეგმის განხორციელებაში ჩართული სუბიექტების ეფექტური კოორდინაცია;

• საჭიროების შესაბამისი ახალი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება და/ან არსებულის გაძლიერება;

• ვერტიკალურთან ერთად, მმართველობის ჰორიზონტალური ასპექტების გამოყენება;

• კრიზისების ოპერატიული მენეჯმენტი;

• ადამიანური რესურსების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაძლიერება, განმახორციელებლებისათვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარება, საინფორმაციო კამპანიების წარმოება;

• შუალედური შედეგების გაზომვის ინდიკატორების შემუშავება;

• განხორციელების მონიტორინგი და შეფასება, კვლევების მიმდინარეობის მიზნებთან შესაბამისობის დასადგენად;

• დაფინანსებისა და ხარჯების კონტროლი;

• მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების მომზადება.

რეფორმების მართვა

გასათვალისწინებელია, რომ ცვლილებების მოდელები მოიცავს სტრუქტურებს, კულტურებს, ორგანიზაციულ სწავლებას, მმართველობით ქცევას, ძალაუფლებასა და პოლიტიკას (Mintsberg. 1996: P298).

რეფორმების კონკრეტული ხელშესახები შედეგებისა და ინსტიტუციური განვითარების მიღწევისთვის ძალისხმევის ინტენსიფიკაცია უნდა მოხდეს რეფორმის ეფექტური სტრატეგიის შემუშავებასა და ტრანსფორმაციის პროცესის კომპლექსურ მართვაზე.

გასათვალისწინებელია ოთხი ელემენტი :

(i) პოლიტიკა, დაგეგმვა და მართვა

(ii) ადეკვატური და პროგნოზირებადი რესურსები

(iii) მოქნილი დანერგვის ღონისძიებები

(iv) აღსრულების რეგულირება

სადაც, რესურსებში მოიაზრება კაპიტალური, ფინანსური, ადამიანური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური და სხვა ტიპის რესურსები; (Lawson, Andrew. 1999)

რეფორმის დაგეგმვის და მიმდინარე გადაწვეტილებების მიღების პროცესში არსებითი მნიშვნელობა აქვს ლიდერს და შიდა ორგანიზაციულ გარემოსა და კულტურას.. იმისათვის, რომ თანამშრომლები სრულფასოვნად მონაწილეობდნენ სიახლის დანერგვაში, ხელმძღვანელი უნდა იყენებდეს მოტივაციის სხვადასხვა ფორმას: გადაწყვეტილებებში ჩართულობა, შექება, აღიარება, დაწინაურება, ხელფასის გაზრდა და ა.შ. სხვა შემთხვევაში ცვლილებები მათი მხრიდან კონფლიქტებისა და

წინააღმდეგობების მიზეზი გახდება.

ექსპერტები ცვლილებების წინააღმდეგობის დარეგულირებისა და კონფლიქტის გადაჭრისას ოთხ სტრუქტურულ მეთოდს აძლევენ რეკომენდაციას. ესენია:

• *სამუშაოსადმი მოთხოვნის განმარტება* - თუ რა რეზულტატია მოსალოდნელი თითოეული თანამშრომლისგან, რა სარგებელს მიიღებს ის ამ ცვლილებებით;

• **კოორდინაციული და ინტეგრაციული მექანიზმები** - უფლებამოსილების იერარქიის მკაფიო განსაზღვრა, ინფორმაციის ნაკადის მოწესრიგება, ერთმმართველობის პრინციპი. კოორდინაციის მექანიზმის ან რგოლის შექმნა;

• **საერთო მიზნების მკაფიოდ განსაზღვრა** - ყველა მონაწილის ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს საერთო მიზნების მიღწევისაკენ, რათა მთელი პერსონალის შეთანხმებულად საქმიანობდეს;

• **ანაზღაურების ან წახალისების სტრუქტურა** -ადამიანები, რომელთაც თავისი წვლილი შეაქვთ საერთო ორგანიზაციული მიზნების განხორციელებაში, წახალისებული უნდა იქნან ან მადლობით, ან პრემიით, ან დაწინაურებით.

ცვლილებებში ჩართული ადამიანები საჭიროებენ ინსტრუქციებს. ცვლილების განხორციელებისას მხოლოდ ერთი მოდელი ვერ დააკმაყოფილებს რეალურ პირობებს (ბერნსი, 1996: P321). რეფორმის ძირითადი ცვლადების მანიპულირების შესაბამისად სტრატეგიული ჩარჩო შეიძლება აიგოს სხვადასხვა სიტუაციური ცვლილების შესაბამისად და პრობლემების დასაძლევად, უკვე რეფორმის მიმდინარეობის პროცესში.

რეფორმირების დაწყებიდან დასრულებამდე ადამიანური ფაქტორი, მათი დამოკიდებულებები პირველ პლანზე უნდა იყოს განხილული. თანამშრომლები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ცვლილებებით, ზოგადად, ნაკლებად პროდუქტიულნი არიან. ხშირად ინიციატორები ფოკუსირებული არიან მხოლოდ ტაქტიკაზე, როგორიცაა დავალებებისა და შეტყობინების არხები, შეტყობინებების ტექსტი და დრო, ხოლო კონტექსტური ანა-

ლიზის გაკეთება და აუდიტორიის განხილვა ავიწყდებათ, რაც რეფორმების ყველა ეტაპზე ბარიერებს წარმოქმნის. კომუნიკაცია ყურადღებას ამახვილებს ინსტრუქციებზე, დეტალებსა და ტექნიკურ საკითხებზე და ყოველივე ამას არ უკავშირებს მიზნებს და ამ მიზნების განხორციელებით მიღებულ სარგებელს. ამასთანავე, ცვლილების მართვის პერიოდული ექსპერტიზა ითვლება რთულ, თუმცა შედეგების მისაღწევად უმნიშვნელოვანეს პირობად, მათ შორის, ადამიანების დამოკიდებულებების შეფასების მიმართულებითაც.

რეფორმის მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა, გადაწყვეტილებების ქმედითუნარიანობის შეფასება და ცოდნა, თუ როგორ ხდება თანმდევი რისკების იდენტიფიცირება და მართვა, რეალისტური შეფასება უწყვეტად უნდა ხორციელდებოდეს.

ნახაზი 1-ზე წარმოდგენილია ცვლილებების გარემოსა და პროცესის კავშირი (რიჩარდ დაფტი)

ცვლილების გარემოს მართვიდან დაწყებული ცვლილებების



ნახაზი 1

პროცესის ანალიზით დამთავრებული.

ცვლილებების მართვა მეტად რთული და მტკივნეული პროცესია, რომლის შესამსუბუქებლად ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯონ კოტლერი, 8 ეტაპს გვთავაზობს:

• ახალ შესაძლებლობათა და პოტენციურ კრიზისულ სიტუაციათა გამოვლენა, ბაზრის გულდასმითი ანალიზი და მის საფუძველზე გადაუდებელ ცვლილებათა საჭიროების გამოვლენა;

• ცვლილებების პროცესის სამართავად მძლავრი მმართველი კოალიციის ფორმირება;

• ცვლილებების განხორციელების გეგმისა და მისი რეალიზაციის სტრატეგიის შემუშავება;

• ცვლილებების განხორციელების გეგმის დაყვანა სისტემის ყველა წარმომადგენლამდე;

• თანამშრომლებისთვის ცვლილებების გეგმის რეალიზაციის საკითხში შემოქმედებითი თავისუფლების მიცემა;

• პროცესის სრულყოფის მიზნით, მოკლევადიანი ხილული მიზნების დაგეგმვა და მიღწევის სტრატეგიების შემუშავება;

• განხორციელების პერიოდული ანალიზი, დაგეგმილ ცვლილებათა შედარება და კორექტივების შეტანა გეგმებში;

• ორგანიზაციულ ქცევას, კულტურასა და მიღწევებს შორის კავშირის დაფიქსირება.

საინტერესოა ბრაზლავსკის გარდაქმნის სამი "ვარსკვლავური კონცეფციის" თეზა: 1. ხარისხი 2. კაპიტალი 3. ეფექტურობა (მათ შორის, ხარჯ - ეფექტიანობა). ავტორი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ამ ჩამონათვალს დაემატოს "მონაწილეობა". მისი აზრით, ეს კონცეფციები სხვადასხვა ქვეყანაში რეფორმების გაიდლაინებად იქცა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეფორმის პროცესის პოლიტიკური ხასიათის საუკეთესო ინტერპრეტაცია არის აღნიშნული სამი სახელმძღვანელო პრინციპის იდენტიფიკაცია: დაგეგმვისა და დანერგვის მენეჯმენტის გაუმჯობესება და პროცესების ეფექტიანობის ამაღლება, ადამიანების მომზადება, ფინანსების უზრუნველყოფა ხარისხისა და კაპიტალის მაღალი დონის მისაღწევად.

დასკვნა:

თანამედროვე სამყაროში დარგებისა და სისტემების განვითარების ინტენსიური ტრანსფორმაციის აუცილებლობა დღის წესრიგში აყენებს რეფორმების დროულად და სწრაფად გატარების აუცილებლობას, რაც მოითხოვს ცოდნას მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის, სტრატეგიის ფორმირების, გარდაქმნის პროცესების სტრუქტურირების, ორგანიზების, მეთოდოლოგიის შერჩევის, ადამიანური რესურსების მომზადების და ტექნოლოგიების ინტეგრაციის მიმართულებით. მხოლოდ ეფექტურად შერჩეულ სტრატეგიებს და მიზანმიმართულ, კარგად მართულ გატარებულ რეფორმებს შეუძლიათ არსებითად შეცვლონ სახელმწიფო სისტემისა და კერძო კომპანიების მართვის, დაფინანსების, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და სისტემური განვითარება უზრუნველყონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adriaan Verspoor (1989 Pathways to Change.);

2. Aoki, Masahiko. 1998. "The Mechanisms of Institutional Change: Subjective Game-Form Framework of Analysis and Evidence from Japan." Closing Address, Second Annual Conference, Paris: International Society for New Institutional Economics;

3. Faruk Jašarević **Management Change in Education**.. *Faculty Of Political Sciences University of Sarajevo* Ermin Kuka.;

4. Girishankar Navin. Evaluating public sector reform : guidelines for assessing country-level impact of structural reform and capacity building in the public sector;

5. Joel S. Hellman. The Politics of Partial Reform in Postcommunist Transitions

World Politics, No. 2 (1998), Cambridge University Press;

6. Joseph DeStefano Academy for Educational Development Education Reform Support:A Framework for Scaling Up School Reform.prepared by F. Henry Healey.Research Triangle Institute.;

7. Lawson, Andrew. 1999. "Public Expenditure Management: The Important Questions." Presentation, Oxford Policy Analysis, Redworth, UK.: DFID Governance Retreat;

8. Navin Girishankar. Evaluating Public Sector Reform Guidelines for Assessing Country-Level impact of Structural Reform and Capacity Building in the Public Sector;

9. Ole Therkildsen. Public Sector Reforms and the Development of Productive Capacities in LDCs UNCTAD 2008;

10. Public Sector Reform: What Works and Why? An IEG Evaluation of World Bank Support Public Sector Reform: What Works and Why? An IEG Evaluation of World Bank Support;

11. Richard L. Daft, Management 13th Edition1997;

12. Shirley, M.M. (2005). Institutions and Development. In: C. Menard and M.Shirley (eds.). Handbook of New Institutional Economics;

13. Tools for Institutional, Political, and Social Analysis of Policy Reform. A Sourcebook for

Development Practitioners. 007 The International Bank for Reconstruction and Development / The World Bank

14. V. Bhaskara Rao Kakatiya STRATEGIES OF SUCCESSFUL ADMINISTRATIVE REFORMS University, Warangal, India;

THE ESSENCE OF REFORMS AND EFFECTIVE MANAGEMENT STRATEGIES

Lia Gigauri
PHD Student
Specialty: Business Administration

RESUME

Over the last ten years, various areas of economic, educational and social life and activities are distinguished by unprecedentedly diverse, multilateral and permanent large-scale reforms. As the

result of reforms implemented in different sectors and fields, significant progress and tangible results have been made in individual directions, nevertheless a range of social and economic directions still face thr complex challenges and require implementation of a new wave of reforms. Therefore, the efficient quality management of reforms remains one of the most pressing issues.

The present article aims to bring together and to analyze the existing knowledge about the effective methods and strategies of management of the reforms, rather than to concentrate on analyzing the reform implemented in any single area.

The process of reform management starts at the stage of its initiation (goal formulation) and is important at all stages of its implementation, including the part that deals with activities related to the communication about the reform with the public, evaluations of results as well as those aiming to secure its sustainability. In order to achieve the effective management of the reforms, it is crucial to monitor the progress, when the changes are underway and to evaluate the interim results. This will help to avoid failures, deviations, prevailing of problems of repeated nature, improvisations of substitutional nature and multiple revision of goals, that lead to negative consequences and bring the distrust and sense of instability within system structures, beneficiaries, partner institutions and various segments of the society.

Key words: Reform, structural reforms, reform management, reform monitoring.

სავალუტო სტრატეგია და ქვეყნის სავალუტო პოლიტიკის ოპტიმიზაციის საკითხები

მალხაზ გვიჩია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სავალუტო სტრატეგიის და ქვეყნის სავალუტო პოლიტიკის ოპტიმიზაციის და სრულყოფის ძირითადი მიმართულებები გარდამავალი პერიოდის თანამედროვე ეტაპზე. სავალუტო სტრატეგიამ, რომელშიც მოიაზრება სავალუტო სფეროში საშუალო და გრძელვადიანი ორგანიზაციული და ეკონომიკური ღონისძიებების გატარება, ხელი უნდა შეუწყოს მყარი ეკონომიკური ზრდის, მოსახლეობის დასაქმების, ცხოვრების საერთო დონის ამაღლების და სხვა მსგავს პრობლემების გადაჭრას. ამ მიზნით სავალუტო სტრატეგიამ უნდა ასახოს სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მაკროეკონომიკური ელემენტების მიზნობრივი ორიენტირები, ასევე ვიწრო ამოცანებიც, როგორიცაა საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, ბაზრის ლიკვიდურობა და სხვა. აუცილებელია სავალუტო სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს სავალუტო ბაზარზე და მაკროეკონომიკის სხვა პარამეტრებზე ამა თუ იმ გადაწყვეტილებების გავლენის დონე.

საკვანძო სიტყვები: სავალუტო სტრატეგია, სავალუტო პოლიტიკა, სავალუტო კურსი, სავალუტო რეგულირება, სავალუტო კონტროლი, სავალუტო რეჟიმი.

ძირითადი ტექსტი

სავალუტო სტრატეგია გულისხმობს სავალუტო სფეროში საშუალო და გრძელვადიანი ორგანიზაციული და ეკონომიკური ღონისძიებების გატარებას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი პრიორიტეტების - მყარი ეკონომიკური ზრდის,

მოსახლეობის დასაქმების, ცხოვრების დონის ამაღლების, სოციალური დაცულობის ფუნქციის განხორციელებას, რაც საბაზრო რეფორმათა ძირითად ამოცანას წარმოადგენს. სავალუტო სტრატეგიამ უნდა ასახოს არა მარტო საკუთრივ სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მაკროეკონომიკური ელემენტების მიზნობრივი ორიენტირები (სავალუტო კურსის რეჟიმი, სახელმწიფო ორგანოთა როლი სავალუტო ბაზრის რეგულირებაში, სავალუტო შეზღუდვათა საკმარისობის და ლიბერალიზაციის ხარისხი), არამედ ისეთი ვიწრო ამოცანებიც, როგორიცაა საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, თვით ბაზრის ლიკვიდურობა და სხვა. სავალუტო სტრატეგიის შემუშავებისას სასურველი და მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ სავალუტო ბაზარზე და მაკროეკონომიკის სხვა პარამეტრებზე (ინფლაცია, წარმოების ზრდა, ინვესტიციური აქტივობა) ამა თუ იმ გადაწყვეტილების გავლენის დონე.

სავალუტო პოლიტიკის დარგში მისაღებმა ნებისმიერმა (მითუმეტეს რადიკალური ხასიათის) გადაწყვეტილებამ უნდა გაიაროს წინასწარი, საგულდაგულო, დამოუკიდებელი ექსპერტიზა სამეცნიერო დაწესებულებაში, მარეგულირებელ სახელმწიფო ორგანოებში (პროფესიული ორგანიზაციის სახით), რომლებიც იძლევიან ქვეყნის სავალუტო სტრატეგიაში ფორმირებულ ამოცანათა რეალიზაციის შედეგების საბოლოო შეფასებას.

საქართველოს ეკონომიკის პირველხარისხოვანი ამოცანაა ეკონომიკური ზრდის მაღალი მდგრადი ტემპების მიღწევა. იგი მნიშვნელოვანია სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად და ქვეყნის საერთაშორისო პოზიციის გასამყარებლად.

სავალუტო სტრატეგია, როგორც საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, ახდენს საქართველოს ეკონომიკის ისეთი ურთიერთობის ფორმირებას, რომელიც საშუალებას იძლევა:

– ავამაღლოთ და გავამყაროთ ქვეყნის საფინანსო-სავალუტო მდგომარეობა, მოვახდინოთ ლარის საკურსო დონის

სტაბილიზაცია, ავამაღლოთ საგარეო გადახდისუნარიანობა;

– ქმედითი დახმარება გავუწიოთ ექსპორტის ზრდას;

– უზრუნველვყოთ შინა სამომხმარებლო ბაზარზე თანამედროვე ხარიცხიანი იმპორტული საქონლის არსებობა, რაც ხელს შეუწყობს სამამულო პროდუქციის წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის კონკურენტული პირობების შექმნას.

სავალუტო სტრატეგია, უპირველეს ყოვლისა, ლარის სავალუტო პოლიტიკის, სავალუტო რეგულირების, სავალუტო ბაზრის განვითარების დარგში პოლიტიკას განსაზღვრავს.

სავალუტო კურსის სფეროში მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს მისი შედარებითი სტაბილიზაციის უზრუნველყოფა, საბაზო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან კურსის დინამიკის შესაბამისობა. სავალუტო ბაზრის მიმართ სტრატეგია გამიზნულია ბაზარზე ფორმირებადი კურსის რეპრეზენტატულობის მიღწევაზე და მის ფორმირებაში სპეკულაციური ფაქტორების გავლენის შეზღუდვათა და კონტროლის უშუალო მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალის არალეგალური გადინებისა და ფინანსური ბრუნვის გაუმჭვირვალობის ვითარებაში შევქმნათ სავალუტო ბაზრის ფუნქციონირებისათვის მისაღები პირობები.

სავალუტო რეგულირებისა და სავალუტო კონტროლის მოქმედი სისტემა თავად წარმოქმნის სავალუტო ოპერაციების გატარებაზე საკანონმდებლო, ნორმატიული და ადმინისტრაციული შეზღუდვების კომპლექსს. იმავდროულად, საქართველოში, სადაც საბაზრო ეკონომიკა ფორმირების სტადიაში იმყოფება, არსებობს მრავალგვარი ეკონომიკური პირობები, რომლებიც ხელს უშლიან თავისუფალ სავალუტო ურთიერთობებს (მონოპოლიები, კაპიტალის მოძრაობის შემზღუდველი ბერკეტები და ა. შ). იურიდიული შეზღუდვები მიმართულია ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული დისპროპორციათა გავლენის აღმოსაფხვრელად.

თანამედროვე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მთლიანობა-

ში ხელს უწყობს საქართველოს სავალუტო-საფინანსო მდგომარეობის გამყარებას და უზრუნველყოფს მის მიმდინარე გადახდისუნარიანობას, რაზეც მიუთითებს თუნდაც ბოლო პერიოდში ოქროსავალუტო რეზერვების დინამიკის ტენდენცია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით შემდგომი სრულყოფის ღონისძიებები არ შევიმუშავოთ, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა, სამეწარმეო და ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესება, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალისთვის საიმედო ინვესტიციური გარემოს შექმნა.

სავალუტო რეჟიმისა და სავალუტო პოლიტიკის ლიბერალიზაცია თან უნდა სდევდეს ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესების მიმართულებით ეკონომიკაში გატარებულ პოზიტიურ ცვლილებებს. დასავლეთ ევროპის ომისშემოდგომი პერიოდის გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ ნაადრევი ლიბერალიზაცია საშიშია და საზიანო. როგორც რიგი განვითარებადი ქვეყნის გამოცდილებამ გვიჩვენა (მაგალითად ჩინეთის), იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დიდი ზომით იზიდავენ უცხოურ ინვესტიციებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკის განვითარების დინამიკასა და სიმყარეს, ქვეყანაში არსებულ საქმიან და სამეწარმეო კლიმატს.

სავალუტო რეგულირება ქვეყნის სავალუტო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ რეჟიმის ავტონომიურად გატარება შეუძლებელია. ნებისმიერ შემთხვევაში ლიბერალიზაცია ექვემდებარება ეროვნულ სავალუტო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებს და შესაბამისად პასუხობს გრძელვადიან ეროვნულ ინტერესებს. მყარი ეროვნული ვალუტა (ლარი) საქართველოს ეკონომიკის ნორმალური განვითარების განუყოფელი პირობაა. იმისათვის, რომ ლარის ცვლილება იყოს გათვლადი, რაც ერთნაირად მნიშვნელოვანია სამამულო და უცხოელი ინვესტორებისათვის, უნდა ვიზრუნოთ სავალუტო ბაზარზე მიწოდება-მოთხოვნის წონასწორობის მიღწევაზე. ამიტომ, თუკი არსებობს სავალუტო რეგულირების სისტემის სრულყოფის სა-

ჭიროება, იგი უნდა გავატაროთ ყველა შესაძლებლობის გამოყენებით, მათ შორის კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებათა გამოსწორებით.

საქართველოს პრობლემა (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნისა, რომლის ვალუტა მხოლოდ ქვეყნის შიგნით ასრულებს გადახდის ფუნქციას) მდგომარეობს იმაში, რომ ექსპორტიორთა სავალუტო ამონაგები მოხვდეს სავალუტო ბაზარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში (თუ ექსპორტიორები ტოვებენ მას თავიანთ საბანკო ანგარიშებზე), ქვეყნის დადებითი საგადასახდელო და სავაჭრო ბალანსის შემთხვევაშიც კი, სავალუტო ბაზარზე შეიძლება წარმოიშვას უცხოური აქტივების უკმარისობა (დეფიციტი) და მაშინ ამ ვალუტის კურსი გაიზრდება, რაც გააძლიერებს მის მიმზიდველობას ინვესტიციური აქტივის ხარისხში.

საქართველოს სპეციფიკა, მსგავსად გარდამავალი ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნების უმრავლესობისა, იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნის შიგნით ეროვნული ვალუტის პარალელურად მიმოიქცევა უცხოური ვალუტაც. საქართველოს სინამდვილეში, ლარი მუდმივ კონკურენციას განიცდის მასზე უფრო მეტად ძლიერი და ლიკვიდური ვალუტისგან, კერძოდ, აშშ დოლარისაგან. ასეთ პირობებში ეროვნულმა ვალუტამ რომ შეძლოს პოზიციის შენარჩუნება და სრულფასოვნად შეასრულოს ფულის ფუნქცია (მათ შორის დაგროვების ფუნქციაც), საჭიროა სავალუტო ბაზარი იყოს სტაბილური. სხვა შემთხვევაში ლარის კურსის დაწევა იწვევს ინფლაციურ მოლოდინს, რაც , თავის მხრივ, ახდენს ინფლაციის პროვოცირებას. ეს პროცესი კი უფრო მეტად სახიფათოა, ვიდრე ე.წ. სავალუტო რეზერვების ზრდის შედეგად წარმოქმნილი ჭარბი ლიკვიდურობის გავლენა მთლიან ეკონომიკაზე. თუმცა, დღევანდელ პირობებში,ზედმეტია ლაპარაკი ეკონომიკაში „ზედმეტი ფულის“ ფაქტორზე, როდესაც ქვეყანა მწვავედ განიცდის მის ნაკლებობას.

ლარის მდგომარეობის უზრუნველყოფა კონსტიტუციით ეროვნული ბანკისთვის მინიჭებულ უმთავრეს ამოცანასა და

ვალდებულებას წარმოადგენს. დღეისათვის სავალუტო კურსი მხოლოდ მაკროეკონომიკური სიჯანსაღის მაჩვენებელს არ წარმოადგენს. კურსის გაწონასწორებული დინამიკა ქვეყნის მოსახლეობის სოციალური დაცულობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მყარი ლარი, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებისადმი, მისი ეკონომიკური პოლიტიკისადმი ნდობის მძლავრი ფაქტორია, იგი დადებითი ორიენტირია გადასახადის გადამხდელთათვის, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. ეროვნული სავალუტო პოლიტიკა მოწოდებული უნდა იყოს დაბალანსებულად, წარმოადგინოს საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესები და არა მხოლოდ იმათი, რომლებსაც გააჩნიათ უნარი, აქტიური გავლენა მოახდინონ პოზიციაზე.

სავალუტო სტრატეგია მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება სახელმწიფო ვალის მომსახურების პოლიტიკასთან. ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რომელიც მოცემული პერიოდისთვის დგას საქართველოს ხელისუფლების წინაშე, წარმოადგენს საგარეო ვალის პრობლემა. ბოლო პერიოდში გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიმართული იყო სავალუტო რეზერვების ზრდაზე, რაც განაპირობა უზარმაზარმა საგარეო ვალმა.

საჭიროა უახლოეს მომავალში გავაფართოვოთ შინა ფინანსური ბერკეტები საგარეო ვალის დასაფარავად. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ლარის კურსის დაცემა არ გვაძლევს საშუალებას, ავაღორძინოთ სახელმწიფო მოკლევადიანი ვალდებულებების სრულფასოვანი ბაზარი. უნდა ვეცადოთ, რომ ინვესტორებმა უპირატესობა მიანიჭონ ადგილობრივი ვალუტის ნომინალის მქონე ფასიან ქაღალდებს, ვიდრე უცხოურ აქტივებში სახსრების დაბანდებას. გარდა ამისა, ლარის კურსის არსებითი შემცირება, საბოლოო ჯამში, იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის მოშლას, რის შედეგადაც აუცილებელად გაიზრდება საპროცენტო გასავლები, დაუფინანსებელი დარჩება ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება, თავდაცვა და, როგორც შედეგი არ შერმცირდება უცხოეთში კაპიტალის გადინების ტემპები.

საქართველოს საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვი-

სათვის საჭირო გადახდათა მიმდინარე მოცულობების დროს ნებისმიერი ქმედებები სავალუტო ბრუნვის ლიბერალიზაციის მიხედვით აუცილებლად გამოიწვევს უცხოური კრედიტორების გაოცებას, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებისაგან, უპირველეს ყოვლისა, საკუთერი ქვეყნის გადახდისუნარიანობის ამაღლებაზე მიმართულ ქმედებებს ელიან.

სავალუტო რეგულირების საკითხში გადაწყვეტილებების მიღებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს იმის გათვალისწინება, რომ ბაზრის ლიბერალიზაციამ არ მიგვიყვანოს საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის ზრდასთან. ქვეყნის მოსახლეობამ, რომელიც ბოლო ათწლეულის მანძილზე არაერთი ინფლაციური პროცესისა და დევალვაციის მოწმე იყო, იცის, რომ ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში - ეს სოციალური სტაბილურობის ინდიკატორია, რომ ლარის კურსის შემცირებას მივყავართ ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დანაზოგების გაუფასურებამდე. ბოლო წლებში ბანკებში ეროვნულ აქტივებში განთავსებული დეპოზიტების წილმა მის საერთო მოცულობაში ზრდა განიცადა, რაც იმის დამადასტურებელი, რომ გარკვეულწილად შეინიშნება ნდობის ტენდენციის ზრდა.

ლარის კურსის შემცირებას ბუნებრივად იქამდე მივყავართ, რომ ხორციელდება ეროვნულ აქტივებში განთავსებული დეპოზიტების ბანკებიდან ამოღება და მათი სწრაფი რეალიზაცია ნაღდ ვალუტაში, რაც ქვეყნიდან კაპიტალის გადინებასაც ასტიმულირებს, რამდენადაც მოსახლეობა, მრავალი იმედგაცრუების შემდეგ, ბოლომდე არ არის დარწმუნებული ხელისუფლების ქმედითუნარიანობაში. ექსპერტთა გათვლები გვიჩვენებს, რომ ხელისუფლება ხშირ შემთხვევაში დგება ალტერნატივის წინაშე: დეფოლტი თუ იმპორტის შემცირება კრიტიკულ ზღვარს ქვემოთ, რასაც გარდუვალად მივყავართ მძიმე სოციალურ შედეგებამდე, რადგან მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება, კონტრაბანდის გზით ქვეყანაში შემოტანილი იაფი იმპორტული საქონლის ხარ-

ჯზე არსებობს .სავალუტო რეგულირების ზომები, რომლის შედეგს ლარის მორიგი გაუფასურება წარმოადგენს, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გამოიწვევს საკრედიტო ორგანიზაციათა აქტივობის შესუსტებას და საზოგადოებაში სოციალური სტაბილურობის საკითხის მოუწესრიგებლობას.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სავალუტო სტრატეგიის რეალიზაციის შესაძლო ფინანსური და ეკონომიკური შედეგების შეფასების საკითხს. სავალუტო ბაზრის ლიბერალიზაციის საკითხის დამუშავება მოითხოვს ყოველი ღონისძიების გატარების მიზნებისა და შედეგთა შეფასების მკაფიოდ ფორმულირებას. არასახარბიელო საინვესტიციო კლიმატის პირობებში ფინანსური ბაზრების დარეგულირების კონცეფციის რეალიზაციის საკითხში ყოველგვარმა გადაწყვეტილებებმა შესაძლოა არაერთგვაროვანი ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროებსა და სახეობებზე, კერძოდ, საქართველოს საგადასახდელო ბალანსზე, ფულად-საკრედიტო სისტემასა და სავალუტო ბაზარზე, ინვესტიციურ და სამომხმარებლო მოთხოვნაზე, ეკონომიკის რეალურ სექტორზე და ა.შ.

სავალუტო რეგულირების ტაქტიკური მიზნები ითვალისწინებს სავალუტო ოპერაციებზე შეზღუდვათა ეტაპობრივად მოხსნის პირობების შექმნას. თვით შეზღუდვები უკავშირდება არა რეგულირებას, არამედ ეკონომიკის საბაზო მახასიათებლებს, რომელთა შორის უფრო მეტად არსებითია: საქონლისა და მომსახურების დაბალი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, ინვესტიციების არასაკმარისი ეფექტიანობა, მაღალი ინფლაცია და საგარეო ვალების დონე, თანამედროვე საბაზრო ინსტიტუტების განუვითარებლობა და, ბოლოს, საკუთარი ურთიერთობების არასაკმარისი დარეგულირება.

საჭიროა გავითვალისწინოთ დიდი ალბათობა იმისა, რომ სავალუტო ბაზრის ლიბერალიზაციამ შეიძლება მიგვიყვანოს შინა ბაზარზე ვალუტის მიწოდების შემცირებამდე. ასევე უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკური აგენტების მიერ კაპი-

ტალის ქვეყნის საზღვარს გარეთ შენახვა, რაც გაზრდის ლარის შემდგომი დევალვაციის მოლოდინს. დამატებით ფაქტორებად, რომელტაც შესწევთ სავალუტო ბაზრის ლიბერალიზაციის მადესტაბილიზებელი ზემოქმედების უნარი, პირველ რიგში უნდა ჩავთვალოთ საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციებთან და გაერთიანებებთან მოლაპარაკებებზე შესაძლო წარუმატებლობა, აგრეთვე საქართველოს შინა ფინანსური ბაზრის ცალკეულ სეგმენტებზე სიტუაციის გაუარესება. აშკარაა, რომ შინა სავალუტო ბაზარზე ვალუტის მიწოდების შესამჩნევი შემცირების შემთხვევაში და ინვესტორთა მხრიდან დევალვაციური მოლოდინის ზრდის დროს, ქვეყნის ეკონომიკაში შესამჩნევი გახდება კრედიტის ღირებულების ზრდა, რაც გამოხატული იქნება საპროცენტო განაკვეთების მკვეთრ ზრდაში.

პრაქტიკული თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს 1999 წლის კრიზისის შედეგებს, რამდენადაც სწორედ მან განსაზღვრა მოქმედი სავალუტო რეგულირების პარამეტრები. სახელმწიფო ფინანსური ორგანოები იძულებულნი გახდნენ ეღიაარებინათ, რომ ეკონომიკის საბაზო მაჩვენებლები არასაკმარისი იყო საგარეო ეკონომიკურ კავშირთა ლიბერალიზაციის მიღწეული დონის შესანარჩუნებლად და სავალუტო ოპერაციების განსახორციელებლად, რამდენადაც, მიკროეკონომიკური თვალსზრისით, სამეურნეო სუბიექტების მეშვეობით ქვეყნიდან კაპიტალის მასობრივი გადინება საშიშროებას უქმნის სოციალურ-ეკონომიკურ საქმოიანობას. შექმნილ ვითარებაში სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, როგორიცაა სახელმწიფო ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიხედვით ფაქტიური დეფოლტი და უცხოელ ინვესტორთა კერძო ვალების გადახდაზე დროებითი მორატორიუმი, აგრეთვე სავალუტო რეგულირების მნიშვნელოვან გამკაცრებაზე მიმართული ზომები, საგრძნობლად დაგვეხმარა, რომ გარკვეულად ამაღლებულიყო სახელმწიფოს გადახდისუნარიანობა და ასევე მოსახლეობისათვის შენარჩუნებულიყო უცხოური ვალუტის შესყიდვის საკმაოდ ლიბერა-

ლური რეჟიმი.

როგორც ცნობილია, ვალუტის მიწოდება უნდა უზრუნველყოფდეს მასზე მოთხოვნას სხვადასხვა სუბიექტების მხრიდან, კერძოდ: იმპორტიორთა მხრიდან; მთავრობის მხრიდან, რომელიც ყიდულობს ვალუტას საგარეო ვალის დასაფარავად; ეროვნული ბანკის მხრიდან, რომელიც ავსებს თავის რეზერვებს ეროვნული ვალუტის კურსის გასამყარებლად; მოსახლეობის მხრიდან სავალუტო დანაზოგების შესავსებად და სხვა.

ჩვენი აზრით, საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების ზრდის შეწყვეტამ, ადრე თუ გვიან, შეიძლება გამოიწვიოს ეროვნულ ვალუტაზე მასიური „შემოტევები", რასაც შედეგად შეიძლება მოყვეს ქვეყნის საფინანსო სისტემის სტაბილურობის საფუძვლების შერყევა. ასეთი სიტუაციის განვითარების ერთ-ერთ სცენარს წარმოადგენს ექსპორტიორებისა და მსხვილი ბანკების დაინტერესებულობა ლარის კურისის დაწევაში. ამ მიზნით მათ შეიძლება რამოდენიმე კვირის განმავლობაში ხელზე შეინახონ ვალუტა, სანამ საქართველოს ეროვნული ბანკი იძულებული არ იქნება, გაყიდოს სავალუტო რეზერვები ლარის კურსის დასაცავად. ხოლო თუკი ხელისუფლებას ამ პერიოდში დასჭირდება რეზერვების გარკვეული მოცულობა საგარეო სესხის მიხედვით მორიგი მსხვილი გადახდის განსახორციელებლად, მაშინ უკვე შეიქმნება სავალუტო ბაზრის სრული დესტაბილიზაციისა და კრიზისისაკენ დაბრუნების აშკარა საფრთხე, რაც ხელისუფლებას უბიძგებს სავალუტო რეგულირების უმკაცრესი ზომების შემოღებისაკენ (მოსახლეობის სავალუტო ბაზარზე დაშვების ლიბერალური პრინციპების ჩათვლით).

ამგვარად, ჩვენი აზრით, სავალუტო რეგულირება წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების სისტემას, რომელიც გამოიყენება მომხდარი ფინანსური ოპერაციების სათანადო კონტროლისათვის. რეგულირების სისტემის ლიბერალურობა თუ სიმკაცრე დამოკიდებულია ეროვნული საფინანსო სისტემის და მსოფლიო ბაზრების მდგომარეობაზე,

მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებაზე. მართალია, ძნელია სავალუტო რეგულირების სისტემისგან ველოდოთ ისეთ შედეგებს, როგორიცაა კაპიტალის გადინების შეწყვეტა ან ნებისმიერ პირობებში ვალუტის სრულყოფილად მიწოდების უზრუნველყოფა, მაგრამ იგი ასრულებს ბაზრის სტაბილიზატორის ფუნქციას და ხელს უშლის პანიკური განწყობილების გაძლიერებას. სავალუტო რეგულირების სისტემას არ ძალუძს მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე გავლენის მოხდენა, მაგრამ მნიშვნელოვნად არბილებს მათ ზემოქმედებას მოკლევადიან პერსპექტივაში.

ამ თვალსაზრისით, აშკარაა კაპიტალის გადინების ფენომენისა და მასზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორების დაწვრილებითი გამოკვლევის საჭიროება. ამ ფენომენის გამომწვევი მიზეზების ცოდნით შესაძლებელი იქნება უფრო ზუსტად განვსაზღვროთ სავალუტო რეგულირების საჭირო ინსტრუმენტარისა და ღონისძიებების შესაბამისი სისტემა.

1999 წლის ბოლოს მომხდარმა ფინანსურმა კრიზისმა ბევრი აიძულა, გადაეხედა თავისი შეხედულებისათვის სავალუტო კურსისა და კაპიტალის გადინების ლიბერალიზაციის პრობლემაზე და, ბოლოსდაბოლოს, ყველაზე კონსერვატორ ეკონომისტებს მოუწიათ, ეღიარებინათ, რომ კაპიტალის თავისუფალი ნაკადები, უმრავლეს შემთხვევაში, დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე.

ქვეყნიდან კაპიტალის გადინებაზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორების გამოვლენის მიზნით, ლარის რეალური კურსის დინამიკასა და კაპიტალის გადინების მოცულობებს შორის კავშირის გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ მათ შორის მყარი ურთიერთკავშირი არსებობს. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს სავალუტო ურთიერთობის ლიბერალიზაციის პრობლემა ხშირად ირაციონალურად განიხილება ნებისმიერი ლიბერალიზაციის პოზიტიურ ზემოქმედებაზე რწმენის თვალსაზრისით. ამიტომ, ჩვენი აზრით, ამ სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ არგუმენტირებული მეც-

ნიერული მიდგომა იმ გადაწყვეტილებათა მიღებისადმი, რომლებსაც შესწევთ უნარი, გავლენა მოახდინონ ქვეყნის ბედზე და მის ფულად სისტემაზე. იმაზე, თუ რამდენად დაცული იქნება საქართველოს ეროვნული ვალუტა დღეს, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპები და მისი სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ლიტერატურა:

1.საქართველოს ეროვნული ბანკი, „სავალუტო პოლიტიკა და რეზერვების მართვა" https://www.nbg.gov.ge/index. php?m=521

2. საქართველოს ეროვნული ბანკის თვის მიმოხილვა -ოქტომბერი და ნოემბერი 2016 წ.,

3. მ. კაკულია სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბ. გამომცემლობა შპს „ფინანსები" 2001 წ.

4. მ. კაკულია სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში 2001 წ.

REFERENCES:

1. Georgian National Bank, "Currency policy and Reserves Management", **https://www.nbg.gov.ge/index. php?m=521**

2. Georgian National Bank, monthly report, October-November 2016.

3. M. Kakulia – Problems of Currency Systems Development in Georgia, Tbilisi, publishing house, Ltd "Finances", 2001

4. M. Kakulia – Problems of Currency Systems Development in Georgia, 2001

CURRENCY STRATEGY AND COUNTRY CURRENCY POLICY OPTIMIZATION ISSUES

Malxaz Gvichia
Academic Doctor of Economics

RESUME

The presented work reviews guidelines of currency strategy and currency policy optimization ways during the transformation period. The currency strategy covers taking medium and long-term organizational and economic measures for stable economic growth, employment of the population, improving the living standards and solving all other similar problems. For these reasons the currency strategy should reflect orientation of the main macro-economic elements, it should aim to the development of market infrastructure, market liquidation, etc. while elaborating the currency strategy to consider the influence of decisions on market and micro-economics.

Key words: Currency strategy, currency policy, currency rate, currency regulation, monetary control, currency regime.

სახელმწიფო ვალის აღების პროცესის მართვის საკითხები საქართველოში

ხათუნა შალამბერიძე
აედ., აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი

რეზიუმე

სახელმწიფო ვალი ქვეყნის ფინანსური მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სახელმწიფო ვალის აღების ძირითად მოტივს საბიუჯეტო გადასახდელების დაფინანსება წარმოადგენს, რომლის მიზანია მოსახლეობის სახელმწიფო სერვისებით უწყვეტი უზრუნველყოფა. არასაკმარისი ფინანსური რესურსების პირობებში, სახელმწიფო ვალის აღება იძლევა შესაძლებლობას თავიდან იქნეს აცილებული სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების შეჩერება, გადასახადების ზრდა ან მიმდინარე გადასახდელების შემცირება, რაც უარყოფითად აისახებოდა სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხორციელებაზე. შედეგად, გონივრული ფინანსური მმართველობის პირობებში, სახელმწიფო ვალი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ერთ-ერთი ინსტრუმენტი. თუმცა, სახელმწიფო ვალის არაეფექტიანმა მართვამ შესაძლოა ქვეყანა ეკონომიკური ზრდის ნაცვლად კრიზისამდე მიიყვანოს. გამომდინარე აქედან, ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის გონივრული მართვა.

საკვანძო სიტყვები: ვალის მოცულობის განსაზღვრა; ვალის მეთოდებით პროგნოზირება; ვალის ეფექტიანი მართვა; ვალის ოპტიმალურობა.

შესავალი

სახელმწიფოს სავალო საჭიროებების სწორად განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი ქმნის ზედმეტი დანახარჯების თავიდან აცილების წინაპირობას. კერძოდ, სწო-

რი პროგნოზების გაკეთება სახელმწიფოს აძლევს საშუალებას თავიდან აირიდოს ზედმეტი ვალის აღება და შესაბამისად მასთან დაკავშირებული დანახარჯები. გარდა ამისა, საჭიროზე ნაკლები საკრედიტო რესურსის მობილიზებამ შეიძლება ქვეყანა დააყენოს ლიკვიდობის კრიზისის წინაშე.

საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით ვალის საჭირო მოცულობის განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი კომპონენტები: საანგარიშო პერიოდში დასაფარი ვალდებულებების მოცულობა, მოსალოდნელი ბიუჯეტის დეფიციტი, ფინანსური აქტივების წმინდა ზრდის მოცულობა და პირობითი ვალდებულებები.

დასაგეგმი წლისათვის საჭირო ვალის მოცულობის განსაზღვრის პროცესში ქვეყნების უმრავლესობა ძირითადად სწორედ ზემოთ მოცემულ მიდგომას ეყრდნობა. თუმცა, პრაქტიკაში აგრეთვე გამოიყენება აღნიშნული მიდგომის მოდიფიცირებული ვერსიებიც. მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული მეთოდი სავალო საჭიროებას განსაზღვრავს, როგორც ბიუჯეტის დეფიციტისა და საანგარიშო პერიოდში დასაფარი ვალის ძირითადი თანხების საერთო მოცულობას.

ზემოთ მოცემული კომპონენტებიდან, მაქსიმალური სიზუსტით შეიძლება განისაზღვროს მომდევნო წელს დასაფარი ძირითადი თანხების მოცულობა, რისთვისაც აუცილებელია ვალის მართვაზე პასუხისმგებელ უწყებას ჰქონდეს განახლებული და სრული სახელმწიფო ვალის მონაცემთა ბაზა. რაც შეეხება, დანარჩენ სამ კომპონენტს, მათი მოცულობების პროგნოზირება უნდა ხდებოდეს პრაქტიკაში აპრობირებულ მეთოდებზე დაყრდნობით. გამომდინარე იქიდან, რომ ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი ნაწილის მობილიზება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებით ხორციელდება, აუცილებელია სახელმწიფო ვალის მართვაზე პასუხისმგებელი უწყების საბიუჯეტო თუ მაკროეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

სახელმწიფო ვალის არაეფექტიანმა მართვამ შესაძლოა

ქვეყანა ეკონომიკური ზრდის ნაცვლად კრიზისამდე მიიყვანოს. გამომდინარე აქედან, ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის გონივრული მართვა. სახელმწიფო ვალის ზრდასთან დაკავშირებული საფრთხეებისა თუ რისკების არაჯეროვნად შეფასებამ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მიიყვანა სავალო კრიზისამდე. ცნობილია 1980 და 1990-იანი წლების ლათინური ამერიკის ქვეყნების სავალო კრიზისი, რომელმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაზე, რასაც მოჰყვა 1997-98 წლების აზიისა და რუსეთის კრიზისები, ხოლო 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის კვალდაკვალ სახეზეა საბერძნეთის სავალო კრიზისი, რომელმაც მთლიანად ევროპის რეგიონზე მოახდინა უარყოფითი გავლენა. გლობალიზაციის პროცესმა და საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების ლიბერალიზაციამ აუცილებელი გახადა სახელმწიფო ვალის მართვის დამკვიდრებული პრაქტიკის გადახედვა, ხოლო საერთაშორისო სავალო კრიზისების შედეგად, განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა სახელმწიფო ვალის ეფექტიანი მართვა მნიშვნელოვან პრიორიტეტად დაასახელეს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული განსაზღვრების მიხედვით სახელმწიფო ვალის მართვის პროცესი მოიცავს ვალის მართვის სტრატეგიის შემუშავებასა და მის განხორციელებას, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო რაოდენობის ფინანსური სახსრების მოძიება შესაბამისი ხარჯებისა და რისკების გათვალისწინებით. აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, შემუშავებული სტრატეგიის განხორციელება უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფოს მიერ ვალის მართვის კუთხით დასახული სხვა მიზნების მიღწევასაც. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ შეიძლება ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრული იყოს საშინაო ფინანსური ბაზრის განვითარება.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში სახელმწიფო ვალის მართვის პროცესი რეგულირდება შემდეგი სამართლებრივი აქტებით: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“, საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, წლიური ბიუჯეტის კანონი, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, „კანონი საგადასახადო დავალიანებებისა და დაფარვებისა და სახელმწიფო სესხების შესახებ“, ეკონომიკური თავისუფლების აქტი.

საქართველოს სახელმწიფო ვალის მართვაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ” მიხედვით, ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია მთავრობასა და ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, გააფორმოს ხელშეკრულებები ვალის აღების შესახებ, გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, კრედიტებისათვის გასცეს სახელმწიფო გარანტიები და მოახდინოს ნასესხები თანხების გადასესხება .

სახელმწიფო ვალის ფორმირება ხორციელდება სახელმწიფო სექტორის შემადგენელი კომპონენტების მიერ სხვადასხვა წყაროებიდან ვალის აღებით. ეს არის პროცესი, სადაც სახელმწიფო ორგანოები, მიღებული საკრედიტო რესურსის სანაცვლოდ, საშინაო თუ საგარეო კრედიტორების წინაშე, იღებენ ვალდებულებას მათი სრულად დაბრუნების შესახებ. აღნიშნული პროცესის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მსყიდველობით უნარიანობის შენარჩუნება, რათა მან თავისუფლად განახორციელოს დაგეგმილი პროექტების შესრულება, რაც საშუალო თუ გრძელვადიან პერიოდში ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას.

სახელმწიფო ვალის აღებით სხვადასხვა ხარჯების დაფინანსება წარმოადგენს მთავრობის ერთ-ერთ ფისკალურ ინსტრუმენტს. მიჩნეულია, რომ სხვა ალტერნატივებთან შედარებით, როგორიცაა საგადასახადო განაკვეთების ზრდა და ფულის ბეჭდვა, აღნიშნულ ინსტრუმენტს გააჩნია უპირატესობები. სა-

ქართველოში ვალის აღების პროცესი დაყოფილია რამდენიმე ეტაპად და თითოეულ ეტაპზე ჩართულია რამდენიმე სახელმწიფო უწყება. ძირითადი როლი აღნიშნულ პროცესში აკისრია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომელიც პასუხისმგებელია, როგორც დაგეგმვაზე, ასევე მის ოპერაციულ დონეზე განხორციელებაზე.

ვალის აღების პროცესი განსხვავებულია საშინაო და საგარეო ვალების შემთხვევაში. საგარეო წყაროებიდან ვალის აღება რეგულირდება „სახელმწიფო ვალის შესახებ კანონითა“ და საქართველოს კანონით „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“. საშინაო წყაროებიდან ვალის აღების პროცესს, აღნიშნული რეგულირდება „სახელმწიფო ვალის შესახებ კანონითა“ და დებულებით „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ“.

საგარეო წყაროებიდან ვალის აღების პროცესში ინიციატორის როლში შეიძლება მოგვევლინოს როგორც ფინანსთა სამინისტრო, ასევე, კონკრეტული მხარჯავი უწყება. აღნიშნული დამოკიდებულია თუ რა ტიპის სესხის აღებაზეა საუბარი. კერძოდ, თუ საქმე ეხება ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტის მოზიდვას, მაშინ ინიციატორის როლში გამოდის ფინანსთა სამინისტრო, ხოლო საინვესტიციო სესხების შემთხვევაში კი - შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება ფინანსთა სამინისტროსთან ერთად. საწყის ეტაპზე, ფინანსთა სამინისტრო მთავრობას მიმართავს წინადადებით საგარეო წყაროდან სესხის აღების თაობაზე. წარსადგენი დოკუმენტების მთლიანი პაკეტი ხელშეკრულების პროექტთან ერთად უნდა მოიცავდეს ეროვნული ბანკის, იუსტიციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, საგარეო საქმეთა და თემატურად დაკავშირებული შესაბამისი სამინისტროს მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გაცემულ დასკვნებს, სესხის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

კრედიტორთან მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობას იღებენ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ბანკის, იუსტიციის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტ-

როს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შესაბამისი დაინტერესებული სამინისტროს წარმომადგენლები. მას შემდეგ, რაც კრედიტორთან მიღწეული იქნება შეთანხმება საკრედიტო ხელშეკრულების სამუშაო ვერსიაზე, აღნიშნული დოკუმენტი განიხილება ზემოთ აღნიშნული სამინისტროების მიერ. იუსტიციის სამინისტრო განხილვის ეტაპზე გამოსცემს იურიდიულ დასკვნას საკრედიტო ხელშეკრულებაზე. საკრედიტო ხელშეკრულების სამუშაო ვერსია სამინისტროების მიერ გამოთქმულ კომენტარებთან და თანხმობის წერილებთან ერთად ეგზავნება საქართველოს მთავრობას. ამ პროცედურების გავლის შემდეგ საქართველოს მთავრობა გამოსცემს განკარგულებას, რომლის საფუძველზეც ფინანსთა სამინისტროს ენიჭება უფლებამოსილება გააფორმოს ხელშეკრულება კრედიტორთან.

სახელმწიფო ვალის აღების ბოლო ეტაპზე ფინანსთა სამინისტროსა და კრედიტორს შორის ფორმდება საკრედიტო ხელშეკრულება და სესხი რეგისტრირდება სახელმწიფო ვალის მონაცემთა ბაზაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უცხოელ კრედიტორთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვლება საერთაშორისო შეთანხმებად, რომელიც შესაბამისად საჭიროებს პარლამენტის მხრიდან რატიფიცირებას, მაგრამ არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც. კერძოდ, სახელმწიფოს მიერ ფასიანი ქაღალდების ემისია საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე და საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან ფინანსური რესურსის გამოთხოვა არ საჭიროებს პარლამენტის მხრიდან რატიფიკაციას.

საშინაო ვალის აღების პროცესს, მასში ჩართულია საქართველოს ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტრო. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის მიხედვით ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციების შედეგად განსაზღვრავს მომავალი წლისათვის საშინაო ვალის მოცულობასა და მისი აღების პირობებს.

საქართველოს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ვალი განსაზღვრულია, როგორც: „საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა

სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების/დაწესებულებების მიერ დადებული ხელშეკრულებებით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ან უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალების ჯამური თანხა." საქართველოში, სახელმწიფო ვალის კლასიფიცირება საშინაო და საგარეო ვალად ხდება ვალუტის მიხედვით. შესაბამისად, საშინაო ვალი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც აღებულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო საგარეო ვალი - უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულება.

ძირითადად, საქართველოს მთავრობა საკრედიტო რესურსის სახით ფინანსური სახსრების მობილიზებას ახორციელებს საშინაო თუ საგარეო ფინანსურ ბაზრებზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით და მრავალმხრივ თუ ორმხრივ კრედიტორებთან საკრედიტო ხელშეკრულებების გაფორმების გზით. საქართველოს სახელმწიფო ვალის პორტფელში დომინირებს მრავალმხრივი კრედიტორებისაგან აღებული კრედიტები, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში მთლიანი პორტფელის ნახევარზე მეტს შეადგენდა .

დასკვნა

საქართველოს სახელმწიფო ვალის პორტფელში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკრედიტო ვალდებულებები, რომელიც წარმოადგენს პირობით ვალდებულებებს. შედეგად, საწარმოს გადახდისუუნარობის-დეფოლტის შემთხვევაში, არსებობს სახელმწიფო აქტივების მოცულობის შემცირების ან ვალდებულებების ზრდის რისკი, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობაზე;

სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტი გარდა აღნიშნულისა, მთავრობის მიერ წარმოდგენილ საბიუჯეტო დოკუმენტებში სრულყოფილად არ არის ასახული ინფორმაცია სახელმწიფოს პირობით ვალდებულებებზე. აღნიშნული კი, ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო სექტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის სისრულესა და გამჭვირვალობას. ასევე, სხვადასხვა სახის ანალიზებში (მაგალითად, სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი), სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების ვალდებულებების არ გათვალისწინება ქმნის რისკს იმისა, რომ არაჯეროვნად იქნება შეფასებული სახელმწიფო ვალის მდგრადობასთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეები თუ რისკები;

სახელმწიფო ვალის არსებული განმარტება არ შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს;

სახელმწიფო ვალის პორტფელში პირობითი ვალდებულებების სრულყოფილად გაუთვალისწინებლობასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებისათვის და სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულყოფისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საბიუჯეტო დოკუმენტებში, უზრუნველყოს სახელმწიფო სექტორის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების სრულყოფილი ასახვა, ვალდებულებების შესაბამისი მფლობელებისა და მახასიათებლების მითითებით;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური ანალიზების ჩატარების პროცესში უზრუნველყოს პირობითი ვალდებულებების მოცულობისა და მათთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინება; საქართველოს კანონში „სახელმწიფო ვალის შესახებ“ შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით, სახელმწიფო ვალის შესახებ არსებული განმარტება შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ

მოთხოვნებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=628
2. Mishkin F. S., Monetary Policy Strategy: Lessons from the crisis, NBER Working Paper 16755, 2011. http://www.nber.org/papers/w16755
3. სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტი 2016, 2017 წ.
4. https://radio1.ge/ge/videos/view/171713.html

REFERENCES:

1. The monetary policy strategy of the National Bank of Georgia, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=628
2. Mishkin F. S., Monetary Policy Strategy: Lessons from the crisis, NBER Working Paper 16755, 2011. http://www.nber.org/ papers/w16755
3. State Audit Performance Audit of 2016, 2017
4. https://radio1.ge/en/videos/view/171713.html

OPTIMIZATION OF STATE DEBT MANAGEMENT OF GEORGIA

Khatuna Shalamberidze,
Academic Doctor of Economics,
ATSU, Associated Professor

RESUME

The state debt portfolio of Georgia is not provided by the credit obligations of the enterprises created by the state participation, which constitutes conditional obligations. As a result, in case of insolvency-defaults of the enterprise, there is a risk of decreasing the

volume of state assets or liabilities, which in turn negatively affects the country's financial position.

In the sate performance audit, the budget documents presented by the Government do not fully reflect the state obligations. This does not ensure the completeness and transparency of information about the obligations taken by the state sector. Also, in the different types of analyzes (for example, the analysis of state debt sustainability), the obligations of the state-owned enterprises do not take into account the risk that the potential threats or risks associated with sustainable state debt are underestimated.

The existing definition of the state debt does not correspond to the requirements of the International Monetary Fund, World Bank and other international organizations.

The Ministry of Finance of Georgia shall ensure the level of conditional obligations and risks associated with them in the process of macroeconomic analysis related to state debt; Under the relevant amendments to the Law of Georgia on "State Debt", the definition of state debt will be in compliance with the requirements of international standards.

Key words: Debt Optimization; Determination of volume of debt; Predicting the debt methods; Effective management of debt;

სავალუტო კრიზისების არსი, მისი წარმოშობის მიზეზები და შედეგები

მალხაზ გვიჩია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია და გაანალიზებულია: სავალუტო კრიზისები, მათი არსი, წარმოშობის მიზეზები და გამოწვეული ნეგატიური შედეგები; აზია-ლათინოამერიკულ ქვეყნებში სავალუტო კრიზისების წარმოშობისა და განვითარების მიზეზები და მათი დაძლევის გზები. განხილულია ასევე სხვადასხვა ავტორთა შეხედულებები სავალუტო სფეროში კრიზისულ მოვლენათა წარმოშობის მიზეზებზე და ჩამოყალიბებულია ავტორისეული ხედვა კრიზისის თავიდან დასაღწევად. სავალუტო კრიზისი, თავისი არსით წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, რომელიც ვლინდება ეროვნული ვალუტის ან რამოდენიმე სახელმწიფოს ვალუტების მკვეთრ ვარდნაში, რასაც მივყევართ ეროვნული ან საერთაშორისო სავალუტო სისტემების გარკვეულ სტრუქტურულ ცვლილებებამდე. ავტორის აზრით, სავალუტო კრიზისის განვითარების ფაქტორს წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების კაპიტალის გადინებისადმი მიდრეკილება, რომლის შედეგად მსოფლიო რესურსების გადანაწილება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულთა მიმართულებით ხორციელდება. ამ საქმეში კი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

საკვანძო სიტყვები: სავალუტო კრიზისი, საერთო და კერძო კრიზისები, საგადასახდელო ბალანსისი კრიზისი, ვალუტა, ინვესტიციები, სტერილიზაცია, ბაზარი, მცოცავი სავალუტო კურსი, სავალუტო კურსის მოდელი.

ძირითადი ტექსტი

ბოლო ათწლეულის სავალუტო კრიზისებმა არსებითი ზომით შეცვალა წარმოდგენა როგორც კრიზისულ მოვლენათა ბუნებაზე, ასევე მის შედეგებზე. სავალუტო კატაკლიზმებთან საბიუჯეტო, საფინანსო და პოლიტიკური პრობლემების გადაჯაჭვამ, მსოფლიო კაპიტალის საერთაშორისო მობილურობის და საერთაშორისო საფინანსო ბაზრების ფუნქციონირების ამაღლებამ მეცნიერების წინაშე დააყენა პრობლემა სავალუტო კრიზისთა თეორიის ახლებური გააზრების შესახებ.

ტერმინ „სავალუტო კრიზისს“ ფართო განსაზღვრა გააჩნია. იგი გამოიყენება როგორც: სავალუტო ბაზარზე ნებისმიერი რთული მოვლენის მახასიათებელი; სავალუტო სფეროში იმ წინააღმდეგობათა მახასიათებელი, რომელიც საბაზრო ურთიერთობათა გარკვეულ ეტაპზე წარმოიშობა; ასევე სავალუტო სფეროში კვლავწარმოების სისტემის საერთო კრიზისის განხილვისას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ სრულადაა დახასიათებული სავალუტო კრიზისის ნიშანთვისებები. კერძოდ, ავტორები გამოყოფენ სავალუტო კრიზისთა მოვლენის ფორმებს: ეროვნული ვალუტის ღირებულების მკვეთრ შემცირებას მყარი ვალუტისადმი მიმართებაში; ქვეყნის ოქროსავალუტო რეზერვების შემცირებას და მოსახლეობის ნდობის დაკარგვას ეროვნული ვალუტისადმი; სავალუტო კრიზისთა ფესვებს; ფულის მიმოქცევის დაუბალანსებლობას; კვლავწარმოების ერთიანი სისტემის კრიზისს; მსოფლიო სავალუტო სისტემის პრინციპების შეუსაბამობას წარმოების ცვლად პირობებთან.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, „სავალუტო კრიზისი“ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ როგორც რთული სოციალ-ეკონომიკური მოვლენა, რომელიც ეროვნული ვალუტის ღირებულების ან რამოდენიმე სახელმწიფოს ვალუტების მკვეთრ ვარდნაში ვლინდება და მას გარდუვალად მივყავართ ეროვნულ ან საერთაშორისო სავალუტო სისტემებში გარკვეულ სტრუქტურულ ცვლილებებამდე.

სავალუტო კრიზისთა კლასიფიკაცია საკმაოდ სერიოზულად და სიღრმისეულად მუშავდებოდა. უფრო მეტად გავრცელებულია სავალუტო კრიზისთა დაყოფა პირველ რიგში მის საფუძველში ჩადებული მიზეზების და, მეორე, კრიზისულ მოვლენათა გამოვლინების მასშტაბების მიხედვით.

პირველი ნიშნის შესაბამისად გამოყოფენ საერთო და კერძო კრიზისებს. საერთო სავალუტო კრიზისები წარმოადგენს საერთოეკონომიკურ კრიზისთა შემადგენელ ნაწილს, ატარებს პერმანენტულ ხასიათს და დაკავშირებულია ოქროს დემონეტიზაციასთან, ვალუტის გაუფასურებასთან, კვლავწარმოების სისტემაში სტრუქტურულ დისპროპორციებთან. კერძო სავალუტო კრიზისები კი განპირობებულია დროებითი ხასიათის მატარებელი ფაქტორებით, როგორიცაა ომები, ინფლაცია, ფულად-საკრედიტო მექანიზმების დაუბალანსებლსობა.

სავალუტო კრიზისთა კლასიფიკაციის შესახებ გარკვეულად განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს პ. კრუგმანი. იგი ახდენს სავალუტო კრიზისის შემდეგ ტიპებად დაყოფას: საგადასახდელო ბალანსის კრიზისი, სახელმწიფო ვალის კრიზისი, კერძო მსესხებელთა სასესხო კრიზისი. პირველი კატეგორია ვლინდება ცალკეულ ქვეყანაში გაცვლითი კურსების ფიქსაციის (ან ფიქსაციის მოდიფიცირებული ფორმის) პირობებში ფულადი მასის გადიდების დროს, რომელიც იწვევს შინა ფასების მსოფლიო ფასებთან შედარებით გადამეტებას, საგადასახდელო ბალანსის გაუარესებას და, როგორც შედეგი, ვალუტის ფიქსირებული კურსის რეჟიმზე უარის თქმას. მეორე კატეგორია წარმოადგენს სახელმწიფო ვალის ზომაგადასული დაგროვების შედეგს, რაც გარკვეულ ეტაპზე იწვევს ინვესტორთა ნდობის კრიზისს, კაპიტალის გადინებას და გაცვლითი კურისის მკვეთრ შემცირებას. და ბოლოს კრიზისის მესამე კატეგორია განპირობებულია კერზო სექტორის სავალო ტვირთით.

ჩვენი აზრით, ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებად სრულყოფილადაა შესწავლილი სავალუტო სფეროში კრიზისულ მოვლენათა წარმოშობის მიზეზები, რის გამო დღეისთვის

ეს საკითხი კვლავ დისკუსიის საგანს წარმოადგენს, რაც საშუალებას იძლევა შევჩერდეთ მასზე. მოცემული საკითხი უფრო საფუძვლიანად აქვს განხილული ლ. კრასავინას, რომელიც სავალუტო კრიზისთა მიზეზად, პირველ რიგში, ასახელებს მოკლევადიან და გრძელვადიან ციკლურ რყევებს, ხოლო მეორე რიგში - ინფლაციურ პროცესთა განვითარებას, რომლებიც ეროვნული ვალუტის კურსის შემცირებას იწვევენ. მესამე მიზეზად მიჩნეულია საერთაშორისო ანგარიშსწორებათა გაუწონასწორებლობა, რომელიც ვლინდება ერთი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის ქრონიკულ პასიურობაში და მეორე ქვეყნის ბალანსის აქტიურობაში, მეოთხე მიზეზად - საერთაშორისო სავალუტო სისტემის ორგანიზაციის პრინციპების არასრულყოფილება, ხოლო მეხუთედ - საერთაშორისო სავალუტო ბაზრების არასტაბილურობას, რომლებიც განიცდიან უპირატესად გარეეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებას. სავალუტო კრიზისების წარმომშობ მიზეზებს მიკუთვნებულია აგრეთვე წარმოების ინტერნაციონალიზაცია (რომელსაც მივყავართ სპეკულაციური ნაკადების წარმოშობამდე) ქვეყნის განვითარების გაუწონასწორებლობის გაძლიერება და სხვა.

ეკონომისტები სხვადასხვაგვარად აფასებენ სავალუტო კრიზისთა მიზეზებს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად სახელდება საკრედიტო ზედაშენის „გაბერვა“. მაგალითად, ა.ვ. ანაკინი აზიურ კრიზისს უწოდებდა ზრდის კრიზისს. მკვლევარის აზრით, ქვეყნების უმრავლესობა უძლური, მოუმზადებელი აღმოჩნდა გლობალიზაციის ტვირთისათვის. წარმოშობილი პრესი მსოფლიო ფინანსური ბაზრებისადმი ნდობის დაკარგვას მოასწავებდა, ასევე საერთაშორისო კრედიტორები და აქციონერები მოგვიანებით არკვევდნენ ეროვნული ფირმებისა და ბანკების სისუსტეს.

ეკონომისტების სხვა ჯგუფი სავალუტო კრიზისის მნიშვნელოვან მიზეზად ასახელებდა ეროვნულ ვალუტათა კურსის აწევადობას. ისინი თვლიდნენ, რომ სავალუტო პოლიტიკის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის მიზნით გამო-

ყენებისას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ინფლაციის დაძლევა, ფიქსირებული კურსის რეჟიმის ამა თუ იმ მოდიფიკაციის გამოყენება გარდაუვლად იწვევს რეალურ გამოხატულებაში ეროვნული ვალუტის გამყარებას.

რიგი ეკონომისტები ბოლოდროინდელ სავალუტო კრიზისთა მიზეზებს ქვეყანათა საბაზრო ურთიერთობების ხარისხსა და მათი საქმიანობის აქტივობის სპეციფიკაში ხედავენ. ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი იყო ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა არაგამჭვირვალობა, პირადი კავშირებისათვის დიდი უპირატესობის მინიჭება, მთავრობასთან დაახლოებული მეწარმეებისათვის საშეღავათო სისტემის არსებობა, სახელმწიფო სახსრების მოძრაობაზე კონტროლის დაბალი ხარისხი. ეკონომისტები თვლიან, რომ საბაზრო მექანიზმის დამახინჯებას მივყავართ ეკონომიკურად არაეფექტური გადაწყვეტილებების მიღებამდე. უფრო მე, დასავლელი ინვესტორები, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშს უწევდნენ აზიურ მენეჯმენტში არსებულ სპეციფიკას, ხშირად ეკონომიკური ლოგიკის საწინააღმდეგოდ იღებდნენ გადაწყვეტილებებს: შეგნებულად ირჩევდნენ პარტნიორებად სახელმწიფო აპარატთან დაკავშირებულ მოხელეებს, რასაც განიხილავდნენ ინვესტიციების უკანბრუნებადობის მაღალ გარანტიად და თავს არიდებდნენ პროექტთა ეკონომიკურ ანალიზს და მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის შესწავლას.

თანამედროვე სავალუტო კრიზისთა ბუნების კვლევისას სხვადასხვა მეცნიერ-მკვლევართა მიერ აღწერილი სავალუტო კრიზისის მიზეზები შეიძლება ვეძიოთ ფუნდამენტური საბაზრო მეურნეობის განვითარებაში არსებულ სტრუქტურულ დისპროპორციებში, რასაც მივყავართ სამომხმარებლო ნორმის შემცირებამდე და შესაბამისად, დაგროვების ნორმის გადიდებამდე, რაც ობიექტურად ზრდის კაპიტალის გატანის მოთხოვნილებას, ასევე თანამედროვე ფულის ბრუნვის სტრუქტურაში, რომელიც ქაღალდის ფულს ეფუძნება და დაკარგული აქვს რა კავშირი ოქროსთან, ქმნის ობიექტურ წინაპირობებს ინფლაციურ პროცესთა განსავითარებლად.

სავალუტო არასტაბილურობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს მსოფლიო ფულის როლში სარეზერვო ვალუტის ფუნქციონირება. სარეზერვო ვალუტის ეროვნულ და საერთაშორისო სტატუსს შორის წინააღმდეგობრივი ხასიათი ვლინდება რამდენიმე მიმართულებით.

ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრებით (რომლებსაც ჩვენ ვეთანხმებით), პერიოდულად წარმოშობად სავალუტო კრიზისთა ძირითად წინაპირობას ეკონომიკურ ძალთა შორის (აშშ, ევროპა, იაპონია) და ასევე განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ უპირატესობათა მოპოვებაზე ბრძოლა წარმოადგენს. ამ მიზნისათვის აქტიურად გამოყენებადი საკურსო თანაფარდობა ცვლილების მექანიზმი საშუალებას აძლევს მსოფლიო მეურნეობის ლიდერებს, სავალუტო კრიზისები გამოიყენონ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ და კონკურენტთა ეროვნული აქტივების გასასუფთავებლად (როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში) და ასეთი საშუალებით ახდენენ ამ ქვეყნებში ეკონომიკური გავლენის მოპოვებას, ეროვნული პროდუქტის და ეროვნული სიმდიდრის განაწილებას თავისი ინტერესების შესაბამისად.

ჩვენი აზრით, სავალუტო კრიზისთა თეორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ბოლოდროინდელი სავალუტო ძვრების ანალიზი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აზიის, ლათინური ამერიკის და რუსეთის ქვეყნებში.

საქმე იმაშია, რომ თანამედროვე ტიპის სავალუტო კატაკლიზმების დროს, კრიზისთა „კლასიკური“ მოდელის უმრავლესობისაგან განსხვავებით, რომლებსაც თან სდევდა სავალუტო კურსის ეტაპობრივი შემცირება (20-30 %-მდე 2-3 თვის განმავლობაში), ეროვნული ვალუტა რამოდენიმე დღის განმავლობაში ღირებულებას კარგავს 30-50 %-ის ფარგლებში. ამ ტიპის სავალუტო კრიზისთა განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოცემული ქვეყნები ეროვნული ვალუტის სიმყარისა და საგადასახდელო ბალანსის სტაბილური მდგომარეობის შესანარჩუნებლად ფართოდ იყენებენ საგარეო კრედიტებს.

ტრადიციულ სავალუტო კრიზისისაგან განსხვავებით, გაცვლითი კურსის შემცირება სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობების გამწვავების, სავაჭრო და სავალუტო ომების შედეგია. თანამედროვე კრიზისებს სავსებით შეგვიძლია ვუწოდოთ „აპოლიტიკური“, რადგან მათ არეალს შეხების წერტილი არ აქვს წამყვანი დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ ინტერესებთან.

ბოლო ათწლეულის სავალუტო კრიზისთა თეორიული ასპექტების ანალიზის შედეგად შემუშავებულ მიმართულებას წარმოადგენს კრიზისული „ინფექციის კონცეფცია“ (confagion). მისი ავტორები სავალუტო სფეროში კრიზისული მიზეზების განხილვისას პირველ რიგში ითვალისწინებდნენ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ეკონომიკებს შორის ფუნდამენტურ ურთიერთდამოკიდებულებას და, მეორეც, ფინანსური ბაზრების ურთიერთზემოქმედებას (როცა, მაგალითად ინვესტორებს თავიანთი აქტივების ლიკვიდურობისა და განსაზღვრული სტრუქტურის შესანარჩუნებლად ერთ ქვეყანაში არსებული კრიზისის დროს აქტივები მეორე ქვეყანაში გადააქვთ).

კრიზისულ მოვლენათა განვითარება სხვადასხვა ქვეყნებში თავისებურ ელფერს იძენს. კერძოდ, ლათინურ ამერიკაში 1994-1995 წწ. კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა მოსახლეობის მოხმარებისადმი მიდრეკილების მაღალი ხარისხი. ეკონომიკურ ზრდას აქ თან სდევდა სამომხმარებლო ბუმი და ისედაც დაბალი დანაზოგების დონის კიდევ უფრო შემცირების ტენდენცია. საწარმოო ინვესტიციების ზრდის კვალდაკვალ იგი ახდენდა იმპორტის მასშტაბურ გაფართოებას, რის შედეგადაც სწრაფად გაიზარდა მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის უარყოფითი სალდო, რომლის დაფინანსებაც მხოლოდ უცხოური კაპიტალის მოდინების ხარჯზე ხორციელდებოდა. ასეთ პირობებში ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობა პარაქტიკულად სრულად იყო დამოკიდებული ინვესტორთა ნდობის ფაქტორზე, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობის პირობებში გარდაუვალი იყო სავალუტო კრზისი.

ჩვენს მიერ აღნიშნული სპეციფიკური ნიშანთვისებები მხო-

ლოდ ავსებენ სავალუტო კრიზისთა ფუნდამენტურ მიზეზებს. ჩვენი აზრით, ბოლო წლებში არსებულ სავალუტო კრიზისთა განვითარების ფაქტორს წარმოადგენდა განვითარებადი ქვეყნების კაპიტალის გადინებისადმი მიდრეკილების ფაქტორი, რომლის შედეგადაც მსოფლიო რესურსების შემდგომი გადანაწილება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულთა მიმართულებით ხორციელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ დრომდე კაპიტალური რესურსების უპირატესი ნაწილი განვითარებული ქვეყნების სასარგებლოდ მიემართებოდა, დაწყებული 80-იანი წლებიდან, ეკონომიკური სიტუაცია ძირეულად შეიცვალა.

ინვესტორები რესურსებს აბანდებდნენ იმ რეგიონებში, სადაც მოელოდნენ ახლო მომავალში მაღალ მოგებას დანაკარგთა უმნიშვნელო რისკის არსებობისას და ისინი 80-90-იანი წლების მანძილზე რესურსებს უპირატესად უფრო დინამიურად მზარდ ეკონომიკებში მიმართავდნენ (სინგაპური, ბრაზილია, მექსიკა, ჩინეთი, ჰონკონგი, ეგვიპტე, არგენტინა, ტაილანდი, კოლუმბია).

ჩვენი აზრით, უკანასკნელი წლების სავალუტო კრიზისთა განვითარებაში გარკვეული როლი ითამაშა ტრადიციული ეროვნული ვალუტის პარალელურად უცხოური ვალუტის დაბანდებისა და ფუნქციონირების ახალი ფორმებისა და ობიექტების გამოჩენამ. არსებობს მოსაზრება, რომ მსხვილი ინვესტორები სულ უფრო მეტად ორიენტირდებიან განვითარებად ქვეყნებზე არა მარტო პროცენტების ხარჯზე სტაბილური შემოსავლის მისაღებად, არამედ მოგების ამოღებაზე, რომელიც მიიღწევა ფინანსური ბაზრებისა და ადგილობრივი ვალუტის დესტაბილიზაციის ხარჯზე.

ეროვნულ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ფასის აწევისას უცხოელიინვესტორები იღებენ ასტრონომიულ მოგებას, რომლის ქვეყნიდან გატანის შემდგომაც მოცემული ქვეყნის ბაზარი და ეროვნული ვალუტის კურსი კრახს განიცდის.

ქვეყნიდან კაპიტალის გატანისათვის წინაპირობების შექმნაში, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთა-

შორისო სავალუტო ფონდი (სსფ), რომელიც უპირატესად უმსხვილესი საერთაშორისო კაპიტალის ინტერესების გამომხატველია და იგი არათუ ქმედით დახმარებას არ უწევს კაპიტალის ასეთი მოძრაობის შეზღუდვას, არამედ ახდენს ასეთი მექანიზმის შექმნის პირობების ბლოკირებას. კერძოდ, ფონდის პროგრამის მთავარ ელემენტს კვლავ წარმოადგენს სავალუტო ბაზრის ლიბერალიზაცია.

სსფ პროგრამის ფარგლებში ქვეყნებს სთავაზობს ფულადი მასის რაოდენობრივი რეგულირების „მონეტარისტულ" რეცეპტებს, რომლებიც ფინანსური ბაზრის სტაბილიზაციის მიზნით ითვალისწინებს ფულადი მასის დეფლაციურ „შეკუმშვას", უცხოური კაპიტალის მოდინების პირობებში, მოცემული პოლიტიკის შესაბამისად, ცენტრალურმა ბანკმა ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტის შესყიდვით უნდა შეინარჩუნოს ეროვნული ვალუტის სტაბილური კურსი. გარდა ამისა, სსფ-ის მექანიზმი გამოიყენება სავალუტო ბაზრის კრიზისული სეგმენტებიდან მსხვილი სპეკულაციური კაპიტალის გატანისათვის. ფონდის მიერ ფორმირებული მსხვილი საერთაშორისო საფინანსო პაკეტი ფორმალურად მიდის ვალუტის კურსის მხარდასაჭერად, ფაქტიურად კი, ამავე სახსრებიდან ხდება ქვეყნიდან უცხოური კაპიტალის გატანის პროცესის დაფინანსება (ეროვნული ფულადი ხელისუფლების მიერ ინვესტიციების გატარების ხარჯზე უცხოელ ინვესტორებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავისუფლად შეიძინონ „შეღავათიანი" კონვერტირებადი ვალუტა ჯერ არადევალვაციური კურსით).

ასევე უნდა აღვნიშნოთ თანამედროვე სავალუტო კრიზისების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი - ესაა წამყვანი დასავლეთის ქვეყნების მცდელობა და სურვილი შეინარჩუნონ ლიდერული პოზიცია მსოფლიო მეურნეობაში და მოახდინონ განვითარებადი ქვეყნების ობიექტური როლის ნიველირება. პერიფერიულ ქვეყანათა ე.წ. „დამორჩილების მექანიზმი პრაქტიკულად ჩავარდნების გარეშე მოქმედებს. უცხოურ ინვესტიციათა მასობრივი გადინება და ეროვნული აქტივების

მნიშვნელოვანი გაუფასურება სავალუტო კრიზისის პირობებში თავისთავად ამაღლებს განვითარებადი ქვეყნების დამოკიდებულებას უცხოურ კრედიტებზე.

კრედიტორები, ამა თუ იმ ქვეყნის სავალუტო კაბალაში მოქცევით, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ არა კრედიტების დაბრუნებადობას, არამედ პოლიტიკურ დათმობებს, რათა შენარჩუნებული იქნეს საერთაშორისო სპეკულაციური კაპიტალისათვის თავისუფალი მოძრაობის რეჟიმი. იმავდროულად, საგარეო სესხების პოლიტიკის სტიმულირების საშუალებით ხორციელდება შესაბამისი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ექსპლუატაცია, რაც თვით სახელმწიფო ხელისუფლების საკუთარი ინსტიტუტის დახმარებითვე კეთდება. იმის გათვალისწინებით, რომ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობის ეკონომიკის ზრდის ტემპი (0-4 %) ბევრად დაბალია მსოფლიო ბაზრის საპროცენტო განაკვეთზე (8-20 %), ტრანსაქციული კაპიტალის სახელმწიფოებისა თვის სესხის სახით შეთავაზების ან მათი ფასიანი ქაღალდების შეძენის შემთხვევაში ხდება კონტროლის მოპოვება მათი ეროვნული შემოსავლების პრეროგატივის საკითხში, ხოლო მოვალე ქვეყნების საბიუჯეტო-საგადასახადო მექანიზმების მეშვეობით ხერხდება მუშაობის დაწყება საერთაშორისო სპეკულაციური კაპიტალის გადიდებაზე.

ბოლო ათწლეულის მანძილზე სავალუტო კრიზისთა ანალიზი შესაძლოა სრული არ იყოს, მაგრამ, მთლიანობაში, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ გამოკვლეული კატაკლიზმები მნიშვნელოვანწილად ასახვას ჰპოვებენ ეროვნულ ეკონომიკაში კვლავწარმოების საერთო საერთო სტრუქტურაზე, რომელთაც ყოველთვის არ შეუძლიათ ჰპოვონ ხარისხობრივი ასახვა სტატისტიკურ მონაცემებში. თუმცა უდავოა, რომ კრიზისის შედეგად მოხდა ეროვნული შემოსავლის მასშტაბული გადანაწილება კრიზისის მქონე ქვეყნებიდან მსოფლიო ეკონომიკის ლიდერთა სასარგებლოდ, სსფ-ის მიერ არასტაბილურობის პირობებში შემოთავაზებული კრედიტების მომსახურების საკიტხი ხანგრ-

ძლივი პერიოდის მანძილზე ტვირთად დააწვება ეროვნული მეურნეობის რეალურ სექტორს.

სავალუტო კრიზისებმა ევროპაში, მექსიკასა და აზიის ქვეყნებში მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მიიპყრეს საერთო ყურადღება სავალუტო კურსებზე თავისი სპეკულაციური შეტევებით. ამ პროცესთა ანალიზის მათემატიკური მოდელირება როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ დონეზე ცენტრალურ ადგილს იკავებს. ამიტომ პრობლემის განხილვა საინტერესო იქნებოდა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის თვალსაზრისით.

სავალუტო-საფინანსო კრიზისების შესახებ პირველი ნაშრომები გამოჩნდა 70-იან წლებში. ამ გამოკვლევებში, რომლებმაც მიიღეს პირველი თაობის სახელი, განიხილავდნენ სავალუტო კრიზისთა მოვლენებს განვითარებად ქვეყნებში, კერძოდ, მექსიკაში (1973-1982) და არგენტინაში (1973-1981). ამ პერიოდში ყველა სავალუტო კრიზისს წინ უძღვოდა უკიდურესად ექსპანსიონისტური შინა პოლიტიკა. პირველი თაობის მოდელმა ნათლად აღწერა, თუ ფიქსირებული სავალუტო კურსის პოლიტიკა, ბიუჯეტის უკიდურესი ექსპანსიის კვალდაკვალ როგორ მიაქანებდა მას კრიზისისაკენ.

პირველი თაობის ფუძემდებლური მოდელი შემუშავებულ იქნა სსფ-ის მმართველთა საბჭოს ეკონომისტების მიერ. ჰეროლდ ჰეტილინგის ოქროდევიზური სტანდარტის ეპოქის გამოკვლევებზე დაყრდნობით სსფ-ის ეკონომისტებმა სტივ სალანდმა და დეილ ჰენდერსონმა შეიმუშავეს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ოქროს ფასზე სპეკულაციური შეტევის მოდელი. ამ მოდელის შემუშავების შემდგომ მოკლე დროში სსფ-ის ნაშრომებს გაეცნო პროფესორი ჰ. კრუგმანი, რომელმაც შენიშნა, რომ მსგავსი ანალიზი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ფიქსირებული სავალუტო კურსთა რეჟიმის დროსაც, რაც მან შემდგომ ჩამოაყალიბა. სსფ-ს ექსპერტმა რ. ფლუდმა გარბერთან თანაავტორობით შექმნა წრფივი მოდელი, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამარტივა კრუგმანის გაანგარიშებები და ჩართო მასში ალბათობის თეორიის ელემენტები.

პირველი თაობის კანონიკური მოდელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პატარა ქვეყნის ვალუტის კურსი მიბმულია დიდი პარტნიორი სახელმწიფოს ვალუტაზე. სავალუტო კურსი ფიქსირდება ხელმძღვანელი ფულად-საკრედიტო დაწესებულების (მაგალითად, ცენტრალური ბანკის) ინიციატივით, ამიტომ კვლევა აიგება ფულად ბაზარზე სახელმწიფო და კერძო ქმედებათა გარშემო.

სავალუტო კურსის მოდელი არჩეულია ძირითადად მისი სიმარტივის გამო. მოდელში სავალუტო კურსის ფიქსაციის პერიოდში ფასების შინა დონე იცვლება უცხოური ფასების დონესთან მჭიდრო თანაფარდობით. საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში ტოლია საპროცენტო განაკვეთისა უცხოურ ვალუტაში და ოქროსავალუტო რეზერვების სიდიდე არეგულირებსწონასწორობას ფულად ბაზარზე. მცოცავი სავალუტო კურსის რეჟიმის მოქმედების პერიოსში რეზერვების სიდიდე ჩვეულებისამებრ რჩება უცვლელი, ხოლო სავალუტო კურსი თავისუფლად დგინდება ფულადი ბაზრის მოთამაშეთა მიერ. ამ მოდელის გამოყენებით რეალურ ისტორიულ მოვლენათა განხილვისას ფულად ბაზარზე ჩაირთვება ისეთი კომპონენტები, როგორიცაა ფულადი მულტიპლიკატორი, ფასი სამამულო საქონელზე, ცვალებადი შემოსავლები, მოხმარება, დანაზოგებსა და ფულად ბაზარზე წონასწორობის მიღწევა.

ასეთი ცვლადებით გაფართოებული ბაზრის მოდელი გამოიყენებოდა ამერიკელი ეკონომისტების ბლანკოსა და გარბერის მიერ მექსიკური კრიზისის შესასწავლად და ჰოლანდიელი ეკონომისტის კანბის მიერ არგენტინული კრიზისის შესაფასებლად. როცა სავალუტო კურსი, ფასები უცხოურ ვალუტაში და უცხოური საპროცენტო განაკვეთები უცვლელი რჩება, ქვეყანა შედეგად ახდენს ოქროსავალუტო რეზერვების ამოწურვას და ფიქსირებული კურსი წარუმატებლობას განიცდის. ამკრახის გასაანალიზებლად ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ რა ღონისძიებებს ატარებს მთავრობა, როცა ამოწურულია რეზერვები. მთავრობის ქცევა კრიზისულ სიტუაციაში განსაზღვრავს

კრიზისის ხანგრძლივობას და სიდიდეს.

კრიზისულ სიტუაციებში მთავრობათა უმრავლესობა ან უშვებს კურსს „თავისუფალ ცოცვაში", როგორც ეს განახორციელა მექსიკამ 1994 წელს, ან მოახდენს ეროვნული ვალუტის დევალვაციას სხვა ფიქსირებული კურსის დადგენით , როგორც ეს გააკეთა ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ 1992-1993 წლებში. უნდა ვივარაუდოთ, რომ კრიზისის პერიოდში სპეკულანტები ახდენენ ხელისუფლებისაგან ფიქსირებული კურსის დასაცავად განკუთვნილი ოქროსავალუტო რეზერვების შესყიდვას, შემდეგ კი ხელისუფლება გადადის თავისუფლად მცოცავ სავალუტო რეჟიმზე. ჩვენ ვიცით, რომ ფიქსირებული სავალუტო კურსი, საბოლოო ჯამში, უნდა დაინგრეს, მაგრამ არ ვიცით - როდის. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ შეტევათა დრო, საჭიროა შემოვიტანოთ ცნება - ჩრდილოვანი სავალუტო კურსი ანუ მცოცავი სავალუტო კურსი, რომელიც პლევარილებული იქნება, თუკი სპეკულანტები ხელისუფლებისაგან შეისყიდიან ფიქსირებული კურსის შესანარჩუნებლად განკუთვნილ დარჩენილ რეზერვებს და ამის შემდგომ ხელისუფლება აღარ მიმართავს სავალუტო ინტერვენციებს. ჩრდილოვანი კურსის სიდიდე გადამწყვეტია მოგების შეფასებისათვის, რომელსაც სპეკულანტები ღებულობენ კრიზისის პირობებში.შეტევის დროს ხელისუფლება მიისწრაფვის ფულად ბაზარზე ორი ცვლადის დარეგულირებისაკენ. ესენია: 1) ფულადი ბაზა (ფულის მიწოდება მცირდება შეტევის ზომის შესაბამისად) და 2) საპროცენტო განაკვეთი, რამდენადაც ეროვნულ ვალუტაში საპროცენტო განაკვეთის გაზრდით მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე ეცემა. ეს იცავს ეროვნულ ვალუტას შესაძლო გაუფასურებისაგან.

ფულადი ბაზრის წონასწორობა შეტევის მომენტში მოითხოვს, რომ ფულადი მასის შემცირება ზუსტად შეესაბამებოდეს ფულზე მოთხოვნის შემცირებას. საბოლოო ჯამში, შეიძლება, შეიძლება ითქვას, რომ პირველი თაობის მარტივი მოდელი გვიჩვენებს, რომ ფიქსირებული სავალუტო კურსის ვერცერთი რეჟიმი ვერ შინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას, თუკი მტა-

ვრობა გეგმავს შეტევების სტერილიზაციას, სპეკულანტებმა კი მათი გეგმები იციან.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 90-იან ი წლების სავალუტო კრიზისებმა აიძულა მრავალი ეკონომისტი, სერიოზულად შეესწავლა ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი და მისი არამდგრადობის შეფასების მოდელირების საკითხი. სავალუტო კრიზისის პირველი თაობის ყველაზე მარტივი მოდელი აერთიანებს კერძო სექტორის ხაზოვანი ქცევის წესებს (ფულზე მოტხოვნის ფუნქცია) და სახელმწიფოს ხაზოვან (წრფივ) ქცევებს (შინა კრედიტის გაწონასწორებული ზრდა). ბაზრის ყველა მონაწილე მოქმედებს გეგმაზომიერად, ფულადი ხელისუფლების ოქროსავალუტო რეზერვების თანდათანობით ამოწურვით. შედეგად სავალუტო კრიზისს ადგილი აქვს მხოლოდ დროის განსაზღვრულ მომენტში, რომლის გათვლაც შესაძლებელია ხაზოვანი ფუნქციის მეშვეობით.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, სინამდვილეში, ბაზარზე ყოველთვის არსებობს მოთამაშეთა ქცევის განუსაზღვრელობა. ამასთან დაკავშირებით, თუკი გავითვალისწინებთ განუსაზღვრელობის ელემენტს, კრიზისის არსებობაზე პასუხისმგებელი მხოლოდ მთავრობა არ იქნება, რადგან უკიდურესად ექსპანსიონისტური პოლიტიკის გარდა, ეკონომიკაში სავალუტო კრიზისის გამოწვევა შეუძლია კერძო სექტორის ქმედებასაც, რომელთაც სურთ მოგების მიღება რეჟიმის კრახის ხარჯზე.

მოქნილი გაცვლითი საკურსო რეჟიმი საშუალებას იძლევა, უფრო იოლად მოვახდინოთ ნეიტრალიზაცია ან შევამციროთ არსებითი მაკროეკონომიკური შოკი, აგრეთვე თავიდან ავიცილოთ მნიშვნელოვანი დანახარჯები, რომელიც ხშირად თან სდევს მიბმული სავალუტო კურსის რეჟუმის შეცვლას.

რა თქმა უნდა, განუვითარებელი ბაზრის მქონე ქვეყნებში კრიზისულ მოვლენათა განვითარებას ხელს უწყობდა სხვა ფაქტორებიც. ასე, მაგალითად, რუსეთისათვის (ისევე როგორც საქართველოსთვის) მთავარ პრობლემას წარმოადგენდა მთავრობის ქრონიკული უუნარობა, შეესრულებინა თავისი საბიუ-

ჯეტო ვალდებულებები სხვა პრობლემათა ფართო სპექტრთან ერთად - დაწყებული არგადახდებიდან და დამთავრებული ჩვეულებრივი კომერციული ვალდებულებების დაუცველობით.

ყველა გაცვლითი კურსის რეჟიმი, აბსოლუტურად თავისუფალი მცოცავი რეჟიმის გარდა, ეფუძნება სავალუტო ინტერვენციებისა და სავალუტო კონტროლის მექანიზმს. სუსტი სავალუტო ბაზრის პირობებში გაცვლითი კურსი ცვალებადია, მაგრამ ეს პრობლემა მოგვარებადია, თუკი ქვეყანაში სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკა ტარდება.

ეკონომიკური და ფინანსური განვითარების დონეში დიდი განსხვავებულობის გათვალისწინებით, ვერცერთი გაცვლითი კურსის რეჟიმს ვერ ჩავთვლით ყველა ქვეყნისთვის სრულიად მისაღებად. თუმცა შეგვიძლია საკმაოდ საფუძვლიანად ვამტკიცოთ, რომ არსებობს უფრო მეტად მისაღები გაცვლითი კურსი, რომელიც აკმაყოფილებს განსაზღვრული ქვეყნის პირობებს. კერძოდ, საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ბაზრის მქონე ქვეყნისთვის, თავისუფლად მცოცავი გაცვლითი კურსი უფრო მეტად ოპტიმალურ არჩევანად უნდა ჩაითვალოს.

ლიტერატურა:

1. ლ. გარდაფხაძე; გ. ილაშვილი; რ. ილაშვილი ფინანსური ბაზარი და საერთაშორისო სავალუტო საკრედირო ურთიერთობები. თბილისი 2008 წ.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი, „სავალუტო პოლიტიკა და რეზერვების მართვა" https://www.nbg.gov.ge/index.php?m=521

3. ლ. ბახტაძე საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხები, ესპსკი-ს შრომების კრებული, ტ. 3, 1997 წ.

4. რ.კაკულია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა: თეორიისა და ორგანიზაციის აქტუალური საკითხები, ესპსკი-ს შრომების კრებული, ტ. 2, 1997 წ.

USED LITERATURE:

1.L. Gardapkhadze; G. Ilashvili; R. Ilashvili - Financial Market and International currency – credit relations, Tbilisi 2008.

2.Georgian National Bank, Currency policy and Reserves Management https://www.nbg.gov.ge/index.php?m=521

3.L. Bakhtadze –Several issues of Georgian Monetary-credit Policy, collection of works, Tom 3, 1997

4.R. Kakulia, Monetary-credit Policy, actual issues of theory and organization, collection of works, Tom 2, 1997.

MONETARY CRISES, REASONS AND CONSEQUENCES

Malxaz Gvichia
Academic Doctor of Economics

RESUME

The presented work reviews and analyzes currency crises, their terms, reasons and caused negative results. Here is analyzed the reasons of the currency crises and their development ways in the Asian-Latino American countries. Herewith the work reviews the opinions of other authors in regard with the currency crises and formulates their estimation for overcoming these crises. The currency crisis is a complicated social-economic phenomenon what is expressed in a sudden fall of national currency or several of state currencies, what leads to the structural changes of national or international currency systems.

The author considers that main factor for currency crises outflow of capital from developing countries as a result the world resources are shifted from developing countries to the developed ones. International Monetary Fund plays an important role in these affairs.

Key Words: Currency crises, common and particular crises, revenue balance crises, currency, investment, sterilization, market, crawling peg, currency rate model.

საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

მაია გიორბელიძე
თსუ დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში აქტიურად მიდის მსჯელობა სოციალური მეწარმეობის საკითხებზე, კერძოდ თუ ვინ რას მოიაზრებს ამ ტერმინის უკან და როგორია სოციალური მეწარმეობის და სოციალური საწარმოების წარმატებული მაგალითები. თუმცა, ჯერჯერობით არ არსებობს ერთიანი მიდგომა და განმარტება თავად ცნებისა „სოციალური საწარმო"/"სოციალური მეწარმეობა". საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების შესწავლის მიზნით თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით, სიღრმისეულად იქნა განხილული 20 კონკრეტული შემთხვევა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების სოციალურ მისიას წარმოადგენს მოწყვლადი ჯგუფების (ახალგაზრდები, მთაში მცხოვრები მოსახლეობა, ზრდასრული ადამიანები, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ დასაქმების სხვა შესაძლებლობებზე) სწავლებისა და დასაქმების სტიმულირება, სოფლიდან-ქალაქში მიგრაციის დონის შემცირება და ა.შ. მათთვის სოციალური და ფინანსური მიზნების დაბალანსებისას, უპირატესობა ენიჭება სოციალურ მიზანს, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც იძულებულნი არიან ფინანსური მიზნებით იხელმძღვანელონ, რათა უზრუნველყონ სოციალური საწარმოს მდგრადობა.

ბიზნესის მართვის გამოცდილების ნაკლებობა და ბიზნესის პრინციპების შესახებ მცირედი ინფორმაცია სახელდებოდა ყველა გამოკითხული სოციალური მეწარმის მიერ, როგორც სოციალური საწარმოს განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი. კვლევის მონაწილეები ოპტიმალურად თვლიდნენ

რაიმე ტიპის სასწავლო მასალის/გზამკვლევის/კონსულტაციების მექანიზმის დანერგვას, რომელიც სოციალურ საწარმოებს მიაწვდიდა ინფორმაციას ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ.

მოსახლეობის "სოციალური მეწარმეობის" ფენომენის შესახებ დაბალი ინფორმირებულობა გამოიკვეთა, როგორც სოციალური საწარმოს ფუნქციონირების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი სოციალური საწარმოების ქეისების შესწავლისას. რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა განხორციელდეს ცნობიერების ამაღლების მიზნობირივ კამპანიები არამარტო მოსახლეობის, არამედ სახელმწიფო და კერძო სექტორის ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალური საწარმოები ძირითადად ფუძნდებიან არასამთავრობო ან დონორი ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით ააიპ-ის იურიდიული სტატუსით. აგრეთვე აღმოჩნდა, რომ კვლევის მონაწილე არცერთი სოციალურ საწარმო და სოციალური მეწარმეობის სფეროში მოქმედი ორგანიზაცია არ ახორციელებს სოციალური საწარმოების სოციალური ზემოქმედების შეფასებას, თუმცა გეგმავენ ამ მიმართულებით საქმიანობის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: სოციალური საწარმოები, სოციალური მეწარმეობა, სოციალური ზეგავლენა, სოციალური ღირებულების შექმნა

შესავალი

საქართველოში სოციალური მეწარმეობა უკანასკნელი წლების მანძილზე უფრო და უფრო მეტად ვითარდება და პოპულარობას იძენს მოსახლეობას შორის. სოციალური მეწარმეობა არის ორგანიზებული სამეწარმეო საქმიანობა სოციალური ზრუნვის, სოციალური ადაპტაციის, სიღარიბის შემცირებისა და დაძლევის, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვის სფეროებში, რომლის მიზანი არ არის უპირატესად მოგების მიღება და პარტნიორთა, მეპაიეთა ან აქციონერთა შორის განაწილება.

სოციალური მეწარმეობა გავრცელებული და მზარდი ფენომენია ევროპაში; მათ განიცადეს ეტაპობრივი ინსტიტუციონალიზაცია და პოლიტიკური აღიარება, მათ შორის სპეციალური სამართლებრივი ფორმების განვითარების გზით. შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში მოქმედი სოციალური საწარმოების უმეტესობა მოქმედებს მესამე სექტორის ტრადიციულ სამართლებრივ გარემოში. ისინი იქმნებიან ასოციაციების სახით იმ ქვეყნებში, სადაც კანონი ამ სექტორს საშუალებას აძლევს გარკვეულ დონეზე აწარმოოს პროდუქტების და სერვისების გაყიდვა ბაზარზე.

თავდაპირველად ტერმინი "სოციალური საწარმო" გამოიყენეს Nikhilesh Dholakia, Ruby R. Dholakia, (1975[1]) თავიანთ ნაშრომში. ისინი მოიაზრებდნენ "ნებისმიერ საწარმოს, რომლის ფლობის და ფუნქციონირების ფორმა გახლდათ კოლექტიური". Drucker (1979[2]) პირველად შემოიტანა "სოციალური საწარმოს" კონცეფცია კორპორაციების ეთიკური პასუხისმებლობების ადვოკატირებისას (Trivedi, 2010a[3] —ზე დაფუძნებით). Banks-მა (1972[4]) პირველად აღნიშნა ტერმინი "სოციალური მეწარმე" სოციალური ცვლილების მიმართულებით.

აკადემიურ ლიტერატურაში სოციალური მეწარმეობის პირველი ჩამონათვალი გამოჩნდა 1994 წელს და წყაროთა რაოდენობა 2002 წლიდან მკვეთრად გაიზარდა (Douglas, 2008[5]).

"სოციალურ მეწარმეობასთან" მიმართებაში, ჯეფ სკოლი ამბობს, რომ არსებობდა მკვეთრი განსხვავება ჩრდილო ამერიკულ და ევროპულ მიდგომებს შორის. კერძოდ, ჩრდილო ამერიკული ხედვის მიხედვით, სოციალური მეწარმეობა უპირატესად მიიჩნევდა სოციალური პრობლემების ბიზნეს გადაწყვეტას (ვიწრო

1 Dholakia, N., Dholakia, R. R. (1975). "Marketing Planning in a Social Enterprise." European Journal of Marketing, Vol. 9, No. 3, pp. 250–258.

2 Drucker, P. (1979). The Practice of Management. Pan Books, London.

3 Trivedi, C. (2010a). "A social entrepreneurship bibliography." Journal of Entrepreneurship,Vol. 19, No. 1, pp. 81–85.

4 Banks, J. A. (1972). The Sociology of Social Movements. MacMillan, London.

5 Douglas, H. (2008). "Creating Knowledge: A Review of Research Methods in Three Societal Change Approaches." Journal of Nonprofit & Public Sector Marketing, Vol. 20, No. 2, pp. 141–163.

კონცეფცია) და შესაბამისად, ორიენტირებული იყო სოციალური მეწარმეობის სპექტრის სოციალური საწარმოების ნაწილზე (მაგ. Austin და სხვა, 2006ა;[1] Brincerhoff, 2000[2]; Boschee და McGlurg, 2003[3]). ხოლო ევროპული მიდგომა მოიცავდა სოციალური მეწარმეობის შესწავლას სოციალური ეკონომიკის კონტექსტში და დაინტერესებული იყო კოოპერატივებით (Borzaga და Defourny, 2001[4]; Spear და Bidet, 2005[5]; Nyssens, 2006[6]). ფართო, ევროპული კონტექსტით, სოციალური მეწარმეობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც შემდეგი: სოციალური მეწარმეობა მოიცავს სამეწარმეო ან არასამეწარმეო სექტორში სოციალური მიზნისკენ ორიენტირებულ ინოვაციურ ქმედებებს (Austin და სხვა 2006ბ[7], Dees, 1998[8], Townsend და Hart, 2008[9]). ვიწრო განმარტების საფუძველზე (ძირითადად გავრცელებული აშშ-ში), სოციალური მეწარმეობა დაკავშირებულია ორგანიზაციასთან ან საწარმოსთან, რომელიც ახორ-

1 Austin, J., Gutierrez, R., Ogliastri, E., Reficco, R. (Eds) (2006a). Effective Management of Social Enterprises. Harvard: David Rockefeller Centre Series on Latin American Studies

2 Brincerhoff, P. (2000). Social Entrepreneurship: The art of Mission-Based Venture Development. John Wiley & Sons, New York.

3 Boschee, J., McGlurg, D. (2003). Toward a Better Understanding of Social Entrepreneurship: Some Important Distinctions. Institute for Social Entrepreneurs, Minnesota.

4 Borzaga, C., Defourny, J. (Eds.) (2001). The Emergence of Social Enterprise. Routledge, New York.

5 Spear, R., Bidet, E. (2005). "Social Enterprises for Work Integration in 12 European Countries: A Descriptive Analysis." Annals of Public and Cooperative Economics, Vol. 76, No. 2, pp. 195–231.

6 Nyssens, M. (Ed.) (2006). Social Enterprise – At the Crossroads of Market, Public Policies and Civil Society, Routledge, London/New York

7 Austin, J., Stevenson H., Wei-Skillem, J. (2006b). "Social and Commercial Entrepreneurship: Same, Different, or Both?" Entrepreneurship Theory and Practice, Vol. 30, No. 1, pp. 1–22.

8 Dees, J. G. (1998). "Enterprising non-profits." Harvard Business Review, January-February, pp. 54–67.

9 Townsend, D. M., Hart, T. A. (2008). "Perceived Institutional Ambiguity and the Choice of Organizational Form in Social Entrepreneurial Ventures." Entrepreneurship:Theory & Practice, Vol. 32, No. 4, pp. 685–700.

ციელებს სოციალურ მისიას სამეწარმეო, შემოსავლის მომტანი სტრატეგიებით. (მაგ. Boschee, 2001[1], Oster და სხვა, 2004[2]; Tracey და Phillips, 2007[3]). ხოლო, დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტი შემდეგნაირ განმარტებას გვთავაზობს „სოციალური საწარმო არის ბიზნესი, რომელის უპირველესი მიზანიც სოციალური ხასიათისაა და ახდენს მოგების რეინვესტირებას თემში ან ბიზნესში, ამ სოციალური მიზნების მისაღწევად. მისი მამოძრავებელი არ არის მოგების ზრდა მეწილეებისა და მფლობელებისათვის."

ევროპასა და აშშ-ში საკმაოდ ხანდაზმული ფენომენი – „სოციალური საწარმო", საქართველოში არც ისე დიდი ხნის წინ დაინერგა.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული „სოციალური მეწარმეობის" მხარდამჭერი საკანონმდებლ;ო ინიციატივაში ჩამოყალიბებული განმარტების მიხედვით, სოციალური მეწარმეობა არის ორგანიზებული სამეწარმეო საქმიანობა სოციალური ზრუნვის, სოციალური ადაპტაციის, სიღარიბის შემცირებისა და დაძლევის, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვის სფეროებში, რომლის მიზანი არ არის უპირატესად მოგების მიღება და პარტნიორთა, მეპაიეთა ან აქციონერთა შორის განაწილება[4].

სტატიაში წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავდა საქართ-

---

1 Boschee, J. (2001). "Eight basic principles for nonprofit entrepreneurs." Nonprofit World, Vol. 19, No. 4, pp. 15–18.

2 Oster, S. M., Massarsky, C. W., Beinhacker, S. L. (2004). Generating and sustaining non-profit earned income. A guide to successful enterprise strategies. Jossey-Bass, San Francisco, CA.

3 Tracey, P., Phillips, N. (2007). "The Distinctive Challenge of Educating Social Entrepreneurs: A Postscript and Rejoinder to the Special Issue on Entrepreneurship Education." Academy of Management Learning & Education, Vol. 6 No. 2, pp. 264–271.

4 საკანონმდებლო წინადადება - "სოციალური მეწარმეობისა და მისი მხარდაჭერის შესახებ" კანონპროექტისა და თანმდევი კანონპროექტების შესახებ

ველოში მოქმედი სოციალური საწარმოების შესწავლას კონკრეტული შემთხვევის ტექნიკის გამოყენების გზით.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის სიღრმისეული ანალიზის და დამუშავების საშუალებას იძლევა. კერძოდ, შერჩეულ იქნა კონკრეტული შემთხვევის მეთოდი.

Ghauri (2004) აღნიშნავს, რომ კონკრეტული შემთხვევის მეთოდოლოგია არის ძალიან კარგი და გამოსადეგი მეთოდი რაიმე საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად. ქეის სთადები გულისხმობს მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა წყაროდან, როგორიცაა ზეპირი და წერილობითი ანგარიშები, პირადი ინტერვიუები, დაკვირვებები. ძირითადი მახასიათებლები ამ დროს არის კვლევის საგნის სიღრმისეულობა და ფოკუსი. იინის (Yin, 1994) მიხედვით, ქეის სთადები არის უმჯობესი მიდომა, როდესაც შეკითხვებზე "როგორ" და "რატომ" უნდა იქნას პასუხი გაცემული, როდესაც მკვლევარს აქვს მცირედი კონტროლის საშუალება გარემოებებზე და როდესაც ფოკუსირება ხდება მიმდინარე ფენომენზე რეალურ კონტექსტში.

როგორც რაგინი (Ragin, 1989) ამბობს, ქეის სთადები არის მრავალმხრივი, რადგან ინდივიდუალური ქეისი წარმოადგენს ცალკეულ კვლევის ერთეულს და ასახავს სრულ სურათს. ლიტერატურაში არსებობს მითითებები ქეისების რაოდენობის ოპტიმალურობასთან მიმართებაში. რაგინი (Ragin, 1989) წერს, რომ კონკრეტული შემთხვევის მეთოდის მიდგომის ერთ-ერთ შეზღუდვას წარმოადგენს მრავალი ქეისის მოცვის სირთულე. იგი აღნიშნავს, რომ 8 ქეისი არის "ბაზისური რიცხვი" და 20 ქეისი "სიღრიმისეული" (გვ.20). იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სოციალური საწარმოების რაოდენობა ძალზედ მცირეა და დრო კვლევის საველე სამუშაოების ჩატარებისათვის იყო შეზღუდული, 20 ქეისი იქნა შესწავლილი.

კვლევის შედეგები

ტერმინი "სოციალური საწარმო" და მისი საკანონმდებლო რეგულირება

დღესდღეობით მსოფლიოში, და არა მხოლოდ საქართველოში, არ არსებობს უნიფიცირებული მიდგომა სოციალური მეწარმეობის მიმართ და ბევრი ორგანიზაცია სხვადასხვაგვარად განმარტავს ტერმინს "სოციალური საწარმო". იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა და შესადარისობა, ყველა ძირითადი ინფორმირებული პირი წარმოაჩენდა ტერმინის "სოციალური საწარმოს" მისეულ აღქმას და განმარტებას. საინტერესოა, რომ ყველა მათგანი აღნიშნავდა, რომ ეს არის ბიზნეს პრინციპებით მოქმედი საწარმო, რომლის უპირველეს მიზანსაც სოციალური ხასიათი აქვს. რესპოდენტები აგრეთვე ამბობდნენ, რომ "...სოციალურ მეწარმეობად მივიჩნევთ ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიზანი არის რაიმე კონკრეტული სოციალური საკითხის მოგვარება და მიღებული შემოსავლის ნაწილი ხმარდება ამ საქმიანობის გაფართოებას, განვითარებას და სოციალური საკითხების მოგვარებას..."

აღსანიშნავია, რომ ამ ტერმინის "სოციალური საწარმოს" მნიშვნელობა ერთნაირად ესმით საჯარო, კერძო თუ არასამთავრობო სექტორში მოქმედ ორგანიზაციებს. თუმცა, არ არსებობს ერთიანი ბაზა, რომელიც თავს მოუყრიდა ინფორმაციას ყველა სოციალური საწარმოს შესახებ, რამეთუ ძნელია იდენტიფიცირება "სოციალური საწარმოსი" და მისი გამოვლენა ხდება სუბიექტურად. "... ჩვენ გვიწევს სუბიექტურად შეფასება არის თუ არა კონკრეტული ბიზნესი სოციალური საწარმო. ვინმე ექსპერტი რომ ჩამოვიდეს სხვა ქვეყნიდან, შეიძლება გვითხრას რომ იგი არ არის სოციალური საწარმო...". დღესდღეობით საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოები თვიიდენტიფიცირებას ახდენენ, რამეთუ არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ასახავდა ჩანაწერს სოციალური საწარმოების შესახებ. საინტერესოა, რომ უმეტესწილად, საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოები, იურიდიული ფორმის არჩევისას, უპირატესობას

ანიჭებენ არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირის (ააიპ) სტატუსს. ამის არგუმენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამჟამად სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა უმეტესწილად ხორციელდება საგრანტო დაფინანსების გზით და კანონმდებლობის შესაბამისად, შპს-ს არ აქვს უფლება გრანტის მიღებისა. „...აიპსაც შეუძლია ეკონომიკური საქმიანობა წარმართოს, თუმცა ეს დეფინიციაც კანონმდებლობაში და 34-ე მუხლში, რომელიც ეხება აიპების დაბეგვრას, არ არის სწორად დასმული და განსაზღვრული, რაც ბიზნესის კუთხით ჩვენ, როგორც ბანკს, გარკვეულ დისკომფორტს გვიქმნის. გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენთვის უფრო მისაღები იქნება იყოს ცალკეული განსაზღვრება, რათა არა მხოლოდ ფონდს, არამედ ჩვენც აღარ შეგვექმნას პრობლემა. ბანკს ნებისმიერ შემთხვევაში არ შეუძლია გასცეს თანხა, ამიტომ ბანკი აფინანსებს ფონდს და ფონდი შემდეგ გასცემს გრანტს. ჩვენი მხრიდანაც გამოდის გზების ავლა, რომ შევასრულოთ ჩვენი მთავარი მისია, თუმცა საკანონმდებლო დეფინიციების არარსებობა ჩვენც გვიქმნის დისკომფორტს და ფონდსაც....”

რესპოდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დღევანდელი საკანონმდებლო ბაზა გარკვეულ შეფარხებელ ფაქტორად გვევლინება სოციალური მეწარმეობის განვითარების კუთხით. ისინი აღნიშნავენ, რომ თუ კანონმდებლობაში იქნება ჩანაწერი, რომელიც განსაზღვრავს “სოციალური საწარმოს”, მისი იდენტიფიცირება აღარ იქნება სუბიექტივიზმზე დაფუძნებული და ხელს შეუწყობს ამ დარგის განვითარებას.“... კარგი იქნებოდა, რომ კანონმდებლობაში მითითებული იყოს, თუ რომელი სამართლებრივი ფორმის მქონე ორგანიზაციას შეუძია გახდეს სოციალური საწარმო, როგორი ტიპის დაფინანსება შეიძლება მიიღოს, რა ტიპის შეღავათებით ისარგებლებს. კონკრეტულად რომ არსებობდეს იურიდიული ტერმინი, სოციალური მეწარმე, თუნდაც საგადასახადო შეღავათების ან ა.შ. დაწესება და გაკონტროლება უფრო ადვილი იქნება...”

სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი საკანონმდებლო ბაზის შექმნის კუთხით აქტიურად მუშაობენ სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის ამ სფეროში მოქმედი ორგანიზაციები.

პირველი საკანონმდებლო ინიციატივა 2015 წელს შეიტანეს პარლამენტში, თუმცა საკომიტეტო მოსმენებზე მოხდა მისი შეჩერება. ამჟამად, აქტიურად მიდის ლობირება ამ საკითხის სხვადასხვა ინსტიტუციებთან და ახალი კანონპროექტის ინიცირება.

სოციალური საწარმოების წინაშე არსებული გამოწვევები. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ის ბარიერები, რომლებსაც სოციალური მეწარმეობის სფეროში მოქმედი საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიიჩნევენ გამოწვევას სოციალური საწარმოს ფუნქციონირებისას. საინტერესოა, რომ სოციალური საწარმოებიც ანალოგიური ბარიერებს აწყდებიან, რასაც წმინდა ბიზნეს კომპანიები. კერძოდ, შეზღუდული ფინანსური რესურსები. თუმცა, სოციალური მეწარმეობის რეგულირების საკანონმდებლო ჩარჩოს არ არსებობა, უზღუდავს სოციალურ საწარმოს კრედიტთან ხელმისაწვდომობას. აღნიშნული სექტორში მოქმედი ორგანიზაციები ამბობენ, რომ ბანკისთვის ტერმინი "სოციალური საწარმო"/"სოციალური მეწარმე" ცოტა გაურკვევლია და ერიდებიან ამ მიმართულებით საკრედიტო რესურსების ინვესტირებას.

საგულისხმოა, რომ როგორც საჯარო, ასევე კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ გარდა საკანონმებლო რეგულირებისა, სოციალური საწარმოების ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს ბიზნესის მართვის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა. მათი აზრით ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დღესდღეობით სოციალური საწარმოს დამფუძნებლებად ძირითადად გვევლინებიან არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირები, რომლებსაც არ აქვთ ბიზნესის მართვის გამოცდილება.

მოსახლეობის ცნობიერება სოციალური მეწარმეობის მიმართულებით.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსახლეობის ცნობიერება სოციალური მეწარმეობის მიმართულებით არის ძალიან დაბალი. მათ არ აქვთ ინფორმაცია, თუ რა იგულისხმება ტერმინში "სოციალური საწარმო".

რესპოდენტები აღნიშნავდნენ, რომ ინფორმირებულობის კუთხით თბილისსა და რეგიონებში ვითარება არ განსხვავდება. განსხვავება შეეხება მხოლოდ იმ გეოგრაფიულ არეალებს, სადაც სოციალური მეწარმეობის მიმართულებით გარკვეული პროექტები ხორციელდებოდა არასამთავრობო თუ სამთავრობო სექტორის მიერ.

ყველა რესპოდენტი ხაზს უსვამდა, რომ მათ მიერ სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერ საქმიანობას თან სდევს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რაც ზრდის სოციალური მეწარმეობით დაინტერესებულ პირთა რაოდენობას და ხელს უწყობს ამ მიმართულების განვითარებას. ამჟამად, განათლების სამინისტროც მუშაობს სოციალური მეწარმეობის კურიკულუმის შექმნაზე სხვადასხვა უნივერსიტეტთან ერთად.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმდენად მცირეა რაოდენობა საქართველოში ფუნქციონირებადი სოციალური საწარმოებისა, რომ ორგანიზაციები, განურჩევლად იმისა, თუ რომელ სექტორში ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას სოციალური მეწარმეობის კუთხით, ძირითადად ერთიდაიგივე სოციალურ საწარმოებთან თანამშრომლობენ, რაც, გარკვეულწილად, ხელს უშლის ახალი საწარმოების ჩამოყალიბებას და განვითარებას.

დასკვნა

ამრიგად, შესწავლილი კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების სოციალურ მისიას წარმოადგენს მოწყვლადი ჯგუფების (ახალგაზრდები, მთაში მცხოვრები მოსახლეობა, ზრდასრული ადამიანები, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ დასაქმების სხვა შესაძლებლობებზე) სწავლებისა და დასაქმების სტიმულირება, სოფლიდან-ქალაქში მიგრაციის დონის შემცირება და ა.შ. მათთვის სოციალური და ფინანსური მიზნების დაბალანსებისას, უპირატესობა ენიჭება სოციალურ მიზანს, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც იძულებულნი არიან ფინანსური მიზნებით იხელმძღვანელონ, რათა უზრუნველყონ სოციალური საწარმოს მდგრადობა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, გამოკითხული სოციალური საწარმოები

უმეტესწილად ორიენტირებულნი არიან მასლოუს პირამიდის პირველი დონის - ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ისინი ცდილობენ მათ სამიზნე ჯგუფებს შეუქმნან სწავლისა და დასაქმების შესაძლებლობები, რათა გამომუშავებული შემოსავლით დაიკმაყოფილოთ მათი ფიზილოგიური მოთხოვნილებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

• ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი: სოციალური მეწარმეობა და დასაქმება, 2013-2016(Social Entrepreneurship and Employment, 2013-2016- Children and Youth National Center).

• საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი: სოციალური მეწარმეობის ფორუმი, 2016 (Social Entrepreneurship Forum -Center for Strategic Research and Development of Georgia).

• საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი: ქართული სოციალური საწარმოები, კატალოგი 2015 (List of Social Enterprises -Center for Strategic Research and Development of Georgia).

• Austin, J., Gutierrez, R., Ogliastri, E., Reficco, R. (Eds) (2006a). Effective Management of Social Enterprises. Harvard: David Rockefeller Centre Series on Latin American Studies.

• Austin, J., Stevenson H., Wei-Skillem, J. (2006b). "Social and Commercial Entrepreneurship: Same, Different, or Both?" Entrepreneurship Theory and Practice, Vol. 30, No. 1, pp. 1–22.

• Banks, J. A. (1972). The Sociology of Social Movements. MacMillan, London.

• Bloom, P. N., Chatterji, A. K. (2009). "Scaling Social Entrepreneurial Impact." California Management Review, Vol. 51, No. 3, pp. 114–133.

• Borzaga, C., Defourny, J. (Eds.) (2001). The Emergence of Social Enterprise. Routledge, New York.

• Boschee, J. (2001). "Eight basic principles for nonprofit entre-

preneurs." Nonprofit World, Vol. 19, No. 4, pp. 15–18.

• Boschee, J., McGlurg, D. (2003). Toward a Better Understanding of Social Entrepreneurship: Some Important Distinctions. Institute for Social Entrepreneurs, Minnesota.Dholakia, N., Dholakia, R. R. (1975). "Marketing Planning in a Social Enterprise." European Journal of Marketing, Vol. 9, No. 3, pp. 250–258.

• Boschee, J., McGlurg, D. (2003). Toward a Better Understanding of Social Entrepreneurship: Some Important Distinctions. Institute for Social Entrepreneurs, Minnesota.

• Brincerhoff, P. (2000). Social Entrepreneurship: The art of Mission-Based Venture Development. John Wiley & Sons, New York.

• Burdge, R. J. (2003b). "The practice of social impact assessment – background." Impact Assessment and Project Appraisal, Vol. 21, No. 2, pp. 84–88.

• Cloquell-Ballester, V.-A., Monterde-Dı´az, R., Santamarina-Siurana, M. C. (2006). "Indicators validation for the improvement of environmental and social impact quantitative assessment." Environmental Impact Assessment Review, Vol. 26, No. 1, pp. 79–105.

• Craig, D. (1990). "Social impact assessment: Politically oriented approaches and applications." Environmental Impact Assessment Review, Vol. 10, Nos. 1–2, pp. 37–54.

• Cutler, A. (2004) 'Methodical Failure: The Use of Case Study Method by Public Relations Researchers', Public Relations Review, 30(3), pp. 365-375.

• Dees, J. G. (1998). "Enterprising non-profits." Harvard Business Review, January-February, pp. 54–67.

• Dees, J. G., Emerson, J., Economy, P. (2001). Enterprising Nonprofits: A Toolkit for Social Entrepreneurs. Wiley Non-Profit Series, New York.

• Defourny, J., Nyssens, M. (2008a). "Social enterprise in Europe: recent trends and developments." Social Enterprise Journal, Vol. 4, No. 3, pp. 202–228

• Desa, G. (2007). "Social entrepreneurship: snapshots of a re-

search field in emergence." Paper presented at the 3rd International Social Entrepreneurship Research Conference, Frederiksberg, 18–19 June.Nicholls, 2008),

• Dholakia, N., Dholakia, R. R. (1975). "Marketing Planning in a Social Enterprise." European Journal of Marketing, Vol. 9, No. 3, pp. 250–258.

• Diochon, M., Anderson, A. R. (2009). "Social enterprise and effectiveness: a process typology." Social Enterprise Journal, Vol. 5, No. 1, pp. 7–29.

• Douglas, H. (2008). "Creating Knowledge: A Review of Research Methods in Three Societal Change Approaches." Journal of Nonprofit & Public Sector Marketing, Vol. 20, No. 2, pp. 141–163.

• Drucker, P. (1979). The Practice of Management. Pan Books, London.

• Eisenhardt, K. (1989). Building theories from case study research. Academy of Management Review, 11(4), 533-550.

• Finsterbusch, K. (1980). Understanding Social Impacts: Assessing the Effects of Public Projects. Sage Publications: Beverly Hills, California.

• Freudenburg, W. R. Glasson, J., Cozens, P. (2011). "Making communities safer from crime: An undervalued element in impact assessment." Environmental Impact Assessment Review, Vol. 31, No. 1, pp. 25–35. "Social impact assessment." Annual review of sociology, Vol.12, pp. 451–478.

• Galera, G., Borzaga, C. (2009). "Social enterprise: An international overview of its conceptual evolution and legal implementation." Social Enterprise Journal, Vol. 5, No. 3, pp. 210–228.

• Ghauri, P. (2004). Designing and conducting case studies in international business research. In R. Marschan-Piekkari, & C. Welch (Eds.), Handbook of qualitative research methods for international business (pp. 109-124). Cheltenham, UK: Edward Elgar.

• Howitt, R. (1989). "Social Impact Assessment and resource development: issues from the Australian experience." Australian Geog-

rapher, Vol. 20, No. 2, pp. 153–166.

• Jackson, D., Georgiou, S., Crooks, S. (2001). "Social impact assessment of the Hickling Broad." Conflict Publication ECM-2001-02: CSERGE Working Paper.

• Kelley, T. (2009). "Law and Choice of Entity on the Social Enterprise Frontier." Tulane Law Review, Vol. 84, No. 2, pp. 337–377.

• Kelly, D., Lewis, A. (2009). "Human service sector nonprofit organization's social impact." Business Strategy Series, Vol. 10, No. 6, pp. 374–382.

• Kerlin, J. A. (2006). "Social enterprise in the United States and Europe: Understanding and learning from the differences." Voluntas: International Journal of Voluntary and Nonprofit Organizations, Vol. 17, No. 3, pp. 247–263.

• Kerlin, J. A. (2009). "A Comparison of Social Enterprise models and Contexts." In J. A. Kerlin (Ed), Social Enterprise: A Global Comparison, (pp. 184–200). Tufts University Press.

• Liamputtong, P. & Ezzy, D. (2005) Qualitative Research Methods. Oxford: Oxford University Press.

• Maxwell, J. A. (1998). Designing a qualitative study. In L. Bickman, & D. Rog (Eds.), Handbook of applied social research methods (pp. 69-100). Thousand Oaks, CA: Sage.

• Mendell, M. (2010). "Reflections on the evolving landscape of social enterprise in North America." Policy and Society, Vol. 29, No. 3, pp. 243–256.

• Miles, M. B., & Huberman, A. (1994). Qualitative data analysis: An expanded resource book (2nd ed.). Thousands Oak, CA: Sage Publications.

• Miller, T. L. & Wesley II, C. L. (2010) 'Assessing Mission and Resources for Social Change: An Organizational Identity Perspective on Social Venture Capitalists Decision Criteria', Entrepreneurship Theory and Practice, 34, pp. 705-733.

• Munshi, N. V. (2010). "Value creation, social innovation, and entrepreneurship in global economies." Journal of Asia-Pacific Busi-

ness, Vol. 11, No. 3, pp. 160–165.

• Nicholls, A. (2009). "'We do good things, don't we?': 'Blended Value Accounting' in social entrepreneurship." Accounting, Organizations and Society, Vol. 34, No. 6–7, pp. 755–769.

• Nyssens, M. (Ed.) (2006). Social Enterprise – At the Crossroads of Market, Public Policies and Civil Society, Routledge, London/New York.

• Oster, S. M., Massarsky, C. W., Beinhacker, S. L. (2004). Generating and sustaining non-profit earned income. A guide to successful enterprise strategies. Jossey-Bass, San Francisco, CA.

• Pearce, J. (2003). Social Enterprise in Anytown. Calouste Gulbenkian Foundation, London.

• Phillips, M. (2006). "Growing pains: the sustainability of social enterprises." International Journal of Entrepreneurship & Innovation, Vol. 7, No. 4, pp. 221–230.

• Phills, J. A., Deiglmeier, K., Miller, D. T. (2008). "Rediscovering social innovation". Stanford Social Innovation Review, Vol. 6, No. 4, pp. 34–43.

• Ragin, C. (1989). The comparative method: Moving beyond quantitative and qualitative strategies. London: University of California Press.

• Rogers, M. (2012) 'Contextualizing Theories and Practices of Bricolage Research', The Qualitative Report, 17 (7), pp. 1-17

• Roper, J., Cheney, G. (2005). "The meanings of social entrepreneurship today." Corporate Governance, Vol. 5, No.3 , pp. 95–104

• Ruebottom, T. (2013) 'The Microstructures of Rhetorical Strategy in Social Entrepreneurship: Building Legitimacy Through Heroes and Villains', Journal of Business Venturing, 28, pp. 98-116.

• Saunders, M., Lewis, P., & Thornhill, A. (2009) Research Methods for Business Students. 5th ed. Essex: Pearson Education.

• Seedco Policy Center. (2007) The Limits of Social Enterprise: A Field Study and Case Analysis. New York, NY: Seedco Policy Center.

• SEUK (2013) State of Social Enterprise Survey 2013. London, UK: Social Enterprise UK

• Shane, S. A. (2003) A General Theory of Entrepreneurship: The Individual-opportunity Nexus. Northampton, MA: Edward Elgar.

• Spear, R., Bidet, E. (2005). "Social Enterprises for Work Integration in 12 European Countries: A Descriptive Analysis." Annals of Public and Cooperative Economics, Vol. 76, No. 2, pp. 195–231.

• Thompson, J. L. (2008). "Social enterprise and social entrepreneurship: where have we reached? A summary of issues and discussion points." Social Enterprise Journal, Vol. 4, No. 2, pp. 146–161.

• Townsend, D. M., Hart, T. A. (2008). "Perceived Institutional Ambiguity and the Choice of Organizational Form in Social Entrepreneurial Ventures." Entrepreneurship:Theory & Practice, Vol. 32, No. 4, pp. 685–700.

• Tracey, P., Phillips, N. (2007). "The Distinctive Challenge of Educating Social Entrepreneurs: A Postscript and Rejoinder to the Special Issue on Entrepreneurship Education." Academy of Management Learning & Education, Vol. 6 No. 2, pp. 264–271.

• Trivedi, C. (2010a). "A social entrepreneurship bibliography." Journal of Entrepreneurship,Vol. 19, No. 1, pp. 81–85.

• Westley, F., Antadze, N. (2010). "Making a difference: Strategies for scaling social innovation for greater impact." Innovation Journal, Vol. 15, No. 2, pp. 1–19.

• Yin, R. (1994). Case study research: Design and methods (2nd ed., Vol. 5). Thousand Oaks, CA: Sage Publications

• Yin, R. (1998). The abridged version of case study research: design and methods. In L. Bickman, & D. Rog (Eds.), Handbook of applied social research methods (pp. 229-259). Thousand Oaks, CA: Sage Publications

• Zalan, T., & Lewis, G. (2004). Writing about methods in qualitative research: Towards a more transparent approach. In R. Marschan-Piekkari, & C. Welch (Eds.), Handbook of qualitative research methods for international business (pp. 507-526). Cheltenham, England: Edward Elgar.

CASE-STUDY ANALYSIS OF SOCIAL ENTERPRISES OPERATING IN GEORGIA

Maia Giorbelidze
PhD Student, Iv. Javakhishvili Tbilisi State University

RESUME

Social entrepreneurship is a topic that has been widely discussed in the last year around the globe. Social enterprises are now being established in Georgia. But, no research has been conducted that measures the social and economic value created by these enterprises. The objective of the research was to study the effectiveness of social enterprises operating in Georgia. The qualitative research methodology was applied, which enabled in-depth analysis of the information collected. The total range of 20 cases was considered to be appropriate for this work.

The research findings indicate that public, private and civil society sectors support the social enterprise development in Georgia, however, image designers of social enterprise come from the third sector itself and the legislation does not drive the developments. Social enterprises are not defined by specific legal forms or by organizational structures, which hinders the social enterprise enhancement in Georgia.

The targeted awareness raising campaigns around social entrepreneurship issues should be planned in order to generate greater engagement and understanding around this topic.

It is concluded, therefore, that social enterprises in Georgia support learning and stimulate the employment of vulnerable groups (youth, rural population), contribute to reducing internal migration, and are focused on meeting the basic needs of the target groups.

Key Words: Social Enterprises, Social Entrepreneurship, Social Impact, Social Value Creation.

ვენჩურული კაპიტალი - ფულზე მეტი

მარიამ იაშაღაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

21-ე საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკა წარმოჩინდა, როგორც ტექნოლოგიური განვითარების სწრაფი პროგრესი სადაც, წინაპლანზეა წარმოწეული დიდი მოცულობითი ინფორმაციის სწრაფი გავრცელების შეუზღუდავი შესაძლებლობები. უნდა ითქვას, რომ მისი შესაძლებლობები ამოწურული არ არის და მას ძალუძს დროთა განმავლობაში კიდევ უფრო განვითარდეს, მაგრამ ამავე დროს, ახალი შესაძლებლობების და მეთოდების გამოყენების უნარი რჩება გარკვეულწილად შეზღუდული და არათანაბრად განაწილებული. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კვლევა და განვითარება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ადამიანი კაპიტალის განვითარების ხარისხობრივ დონეზე. ამათთან კავშირში, აუცილებელია ინოვაციური კველევები მიმდინარეობდეს კონკურენტუნარიან გარემოში .

საკვანძო სიტყვები:ეკონომიკა, კაპიტალი, ქვეყნები, ტექნოლოგია, ვენჩურული, ფონდები, კონკურენტუნარიანობა, გლობალური, ინოვაცია, ბაზრები, პოლიტიკა, კომპანიები, ინვესტიცია, მოსახლეობა, რისკები, განვითარება.

ძირითადი ტექსტი

სარისკო კაპიტალმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელი შეუწყო სამეწარმეო ნიჭის განვითარებას, იდეების და საბაზისო მეცნიერების გადაქცევას იმ პროდუქტებსა და მომსახურებაში, რომლებიც დანარჩენი მსოფლიოს აღფრთოვანებისა და შურის საგანია.

ვენჩურული კაპიტალი ეს არის საკმაოდ უნიკალური, როგორც ინსტიტუციონალური ინვესტორის აქტივების კლასი. საწყისი ინვესტიცია ხორციელდება კომპანიაში. ყოველი მო-

მდევნო ინვესტიცია კი უზრუნველყოფს დამატებით დაფინანსებას. როდესაც კომპანია იზრდება ინვესტიციები წლიდან წლამდე იზრდება და შესაბამისად პროპორციულად იზრდება აქციონერთა წილები კომპანიაში, სანამ არ მიაღწევს კომპანიის ღირებულება მისაღებ წინასწარ დაგეგმილ ღირებულებას, რომ შესაძლებელი გახდეს სასურველი შედეგის დადგომა, აქციების გაყიდვა.

ვენჩურული კაპიტალი ეს არის გრძელვადიანი ინვესტიცია. ამერიკის შეერთებულ შტატებში ვენჩურული კაპიტალის ინდუსტრია უზრუნველყოფს კაპიტალს, ინოვაციური და წარმატებული კომპანიებისათვის. ვენჩურული კაპიტალი ფულზე მეტია. კაპიტალის პარტნიორები აქტიურად არიან ჩართულები კომპანიის საქმიანობაში, ფაქტიურად ისინი საბჭოს წევრები არიან. აქტიური ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ახალბედა კომპანიის წარმატებისთვის, ვინაიდან გზადაგზა ნიჭს ხელშეწყობა სჭირდება, ხოლო კომპანიას მასშტაბებზე გასვლა.

ყოველი 100 ბიზნეს გეგმიდან, რომელიც შედის ვენჩურული კაპიტალის ფონდებში დაფინანსების მოსაპოვებლად , მაქსიმუმ 10 თუ იპყრობს მათ ყურადღებას. მოცემული 10 დან კი სავარაუდოდ 1 კომპანიის დაფინანსება ხდება, ვინაიდან ვენჩურული კაპიტალის კომპანია მრავალ ფაქტორს ითვალისწინებს დაფინანსების გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ბევრ მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას, მაგალითად როგორებიცაა: მენეჯმენტის გუნდი, კონცეფცია, ბიზნესის ადგილი ბაზარზე, ფონდის მიზნებთან შესაბამისობა, დამატებითი ღირებულების პოტენციალი და საჭირო კაპიტალის მოცულობა იმისათვის რომ ბიზნესი იყოს წარმატებული.

ვენჩურული კაპიტალის პროფესიონალებისათვის მთავარი ღირებული აქტივი არის დრო. დღევანდელ დღეს ბიზნესის კონცეფცია უნდა ერგებოდეს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს, უნდა ჰქონდეს შესანიშნავი პოტენციალი, გახდეს წარმატებული გონივრული დროის პერიოდში და, რაც მთავარია, უნდა

იყოს რეალურად ინოვაციური. კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს არსებულის 10 ან 20 პროცენტიან გაუმჯობესებას, ვენჩურული კაპიტალის ფონდებისთვის ასეთი ტიპის პროექტი ბუნებრივია არ იქნება საინტერესო. პატარა ფირმები, თავიანთი რევოლუციური გამოგონებებით საფრთხეს უქმნიან დიდ კომპანიებს, რომლებიც წლების განმავლობაში ტრადიციული მეთოდებით და მომსახურებით იყვნენ ბაზარზე წარმოდგენილი. საფრთხის მოახლოებისას ეს დიდი კომპანიები ცდილობენ პატარა ფირმები მიიერთონ და შესაბამისად მათ ნოუ ჰაუს და თანამედროვე პროდუქტებსა და მომსახურებას დაეუფლონ. შედეგად მცირე ფირმების დასახმარებლად ბევრი მენეჯერი და გუნდი შეიკრიბა, რომლებსაც თავიანთი ადამიანური, ფულადი და სხვა რესურსით შეუძლიათ ეს მცირე კომპანიები გაზარდონ მულტინაციონალურ კომპანიებად. რითაც თავისთავად დიდ მოგებას ნახულობს ორივე მხარე. ბევრი კომპანია ცდილობს შეამციროს კვლევისა და განვითარების ხარჯები ურჩევნიათ რა ხელში ჩაიგდონ უკვე შექმნილი პროდუქტი და მოახდინონ მხოლოდ მცირედი მოდიფიკაცია. ბევრი ნიჭიერი გუნდი ჩაერთო ვენჩურული კაპიტალის პროცესში, როდესაც მათი პროექტები ვერ განხორციელდა მათივე კომპანიების მიერ.

ვენჩურული კაპიტალის სტრუქტურა შედგება შეზღუდული პარტნიორებისა და ძირითადი პარტნიორებისაგან. ყოველი "ფონდი" ან იგივე პორტფელი არის ცალკე პარტნიორობა. ყოველი ახალი ფონდი ფუძნდება , როდესაც ვენჩურული კაპიტალის კომპანია მიიღებს აუცილებელ ვალდებულებებს ინვესტორებისგან, მაგალითად 100 მილიონ დოლარს. როდესაც თანხის მიღება მოხდება, ინვესტიციაც განხორციელებულად ჩაითვლება. როგორც წესი, პირველი დაფინანსება არის მიზეზი ყოველი მომდევნო დაფინანსების, რომელიც რამდენჯერმე აღემატება თავდაპირველს. მომდევნო 3-8 წლის განმავლობაში ვენჩურული კაპიტალის კომპანია დაფუძნებულ პარტნიორებთან ერთად ჩართულია ბიზნესის განვითარების საქმეში. ინვესტიციის დაბრუნება კი ხდება მაშინ, როდესაც ბიზნესის გაყიდ-

ვის დრო დგება ან ხდება აქციების განთავსება სავაჭროდ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ინვესტორის მოლოდინისა, როგორც წესი ყოველი ექვსიდან ერთი კომპანია ახერხებს აქციების განთავსებას და სამიდან ერთი ბიზნესის წარმატებით გაყიდვა ხდება.

ამერიკის შეერთებული შტატები ტრადიციულად ინარჩუნებს დომინანტურ პოზიციას მსოფლიოში ვენჩურული კაპიტალის სფეროში. აშშ-ს აქვს მეწარმეობის პოლიტიკის უნიკალური ნაზავი და გამოცდილი კვლევები, რომელიც შეუდარებელია მსოფლიოში. ბოლო კვლევის თანახმად ამერიკის შეერთებულ შტატებს ლომის წვლილი მიუძღვის მთლიანი ვენჩურული კაპიტალის ჩამოყალიბებაში მსოფლიოს მასშტაბით, მიახლოებით 72 პროცენტი. ვენჩურული კაპიტალის სექტორი იქცა ძირითად ძალად ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკისათვის. ვენჩურული კაპიტალით დაფინანსებული კომპანიები ამერიკული ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. დოლარის და ცენტის კონტრიბუცია ვენჩურულ ინდუსტრიაში სცილდება ობიექტურ ეკონომიკურ წვლილს, ის მუდმივად აძლიერებს ამერიკის სამეწარმეო სულისკვეთებას. ვენჩურული კაპიტალისტები, რომელთა უმრავლესობა ყოფილი წარმატებული მეწარმეები არიან, მწყემსებად გვევლინებიან ახალი ბიზნეს ქალბატონებისა და მამაკაცებისათვის, თავიანთი პოტენციალის სრულად მიღწევის საქმეში.

ვენჩურული კაპიტალით დაფინანსებული კომპანიები პირდაპირ არიან პასუხისმგებელი 10 მილიონ სამუშაო ადგილის შექმნაზე და 1,8 ტრილიონი დოლარის გაყიდვებზე მხოლოდ 2003 წლის შემდგომ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ციფრები შეესაბამება მთლიანი შტატების კერძო სექტორის დასაქმების მაჩვენებელს 9.4 პროცენტს და კომპანიის გაყიდვების 9.6 პროცენტს. KPMG-ის გლობალური ქსელი ინოვაციური ინიციატივებისთვის თავის Q4’17 ანგარიშში მიუთითებს , რომ სარისკო კაპიტალის მიერ განხორციელებულმა ინვესტიციამ 2017 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით 24.5 მილიარდ დოლარს მიაღწია. 2017 წლის ბოლო სამი კვარტალი აშშ-ში გა-

ნსაკუთრებით აქტიური იყო, ყოველ კვარტალში ვენჩურული კაპიტალის მიერ განხორციელებული ინვესტიცია 20 მილიარდ დოლარს აღემატებოდა.

უახლესი მონაცემების მიხედვით, რომელსაც გამოცემა **Global Insight-**ი გვაწვდის, სარისკო კაპიტალი სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით არ არის შეზღუდული ეკონომიკის ერთი რომელიმე სექტორით , არამედ მან მოიცვა მთელი ამერიკის ეკონომიკა, ყველა დარგები, დაწყებული კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიებით, დამთავრებული საფინანსო სერვისითა და სამედიცინო მოწყობილობებით. ფარმაკოლოგიურ და ბიოტექნოლოგიურ დარგებში ვენჩურული კაპიტლის ინვესტიციების მასიური წლიური ზრდა მოხდა, 2016-2017 წლებში $12.2 მილიარდიდან 16.6 მილიარდ დოლარამდე. ხელოვნური ინტელექტის და მანქანათმცოდნეობის დარგებში გაორმაგდა 2016 -2017 წლებში $6 მილიარდიდან 12 მილიარდ დოლარამდე.

დასკვნა

ვენჩურული კაპიტალი ერთადერთი საშუალებაა დიდი ოდენობით ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ქვეყნის ეკონომიკაში, წარმატებული ბიზნეს წამოწყებები კი თავის მხრივ გაზრდის ქვეყნის ცნობადობას საზღვრებს გარეთ და ამით, კიდევ დამატებით ახალი ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას აძლევს ქვეყენას. ვენჩურული კაპიტალით დაფინანსებული კომპანიები, როგორებიცაა ebay, Google და JetBlue არის მხოლოდ სამი მაგალითი იმ წარმატებული კომპანიებისა მსოფლიოს მასშტაბით, რომლებიც ქირაობენ ასობით ახალ თანამშრომელს წლიდან წლამდე. ვენჩურული კაპიტალი, რომელიც ძირითადად გამოიყენება ახალგაზრდა, ინოვაციური და მაღალტექნიკური კომპანიების მიერ, უზრუნველყოფენ არა მხოლოდ დაფინანსებას, არამედ მენტორეს, სტრატეგიულ ხელმძღვანელობას, ქსელის ხელმისაწვდომობას და სხვა მხარდაჭერას. ვენჩურული კაპიტალისთვის ადვილად ხელმისაწვდომია ისეთი რესურსები, როგორიცაა კადრები და კავშირები.

REFERENCES:

1. The Role of Venture Capital, Global Trends and Issues from a Nordic Perspective ,Thomas Andersson, Glenda Napier

2. https://startupxplore.com/en

3. https://www.quora.com/How-does-venture-capital-work-What's-the-minimum-ROI-they-are-looking-for-How-long-are-they-willing-to-wait-to-see-ROI-Can-everyone-pitch-to-them--What-business-models-are-they-typically-investing-in-How-long-is-the-process-until-funding

4. Hall, B. (2002), "The Financing of Research and Development", NBER Working Paper 8773.

5. Venture Impact , The Economic Importance of Venture Capital Backed Companies To the U.S. Economy,Third Edition

6. Venture Impact 2004,Venture capital benefits to the U.S. Economy, Global Insight.

7. The MoneyTree Report by PricewaterhouseCoopers and the National Venture Capital Association, based on data from Thomson Reuters

8. National Venture Capital Association 2009 Yearbook, prepared by Thomson Reuters

9. October 21, 2015|by Ilya A. Strebulaev Will Gornall, STANFORD BUSINESS;

10. https://www.investeurope.eu/research/activity-data/annual-activity-statistics/

VENTURE CAPITAL MORE THAN MONEY

Mariam Iashagashvili
PhD Student, GTU

RESUME

As the world economy enters the 21st century, the merits of technical progress and the instant diffusion of the enormous amount of information offer incredible opportunities. At the same time, the ability to exploit and make use of the new tools remains in part limited, and also unevenly divided. The information and communication technology, research and development, skills upgrading and the accumulation of human capital are all recognized to matter for economic and societal performances. And it is important that for the success of innovation in these spheres in an ever more competitive environment.

Keywords: Economic, Capital, Countries, Technology, Venture, Founds, Competitiveness, Global, Innovation, Markets, Policy, Companies, Investment, Population, Risks, Development.

საბაზრო ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარება საქართველოში

ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისათვის აუცილებელია მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ უზრუნველყოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, რათა თითოეულმა მოქალაქემ ისარგებლოს მიღწეული შედეგებით. ეკონომიკური პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემყარებოდეს ეკონომიკური თავისუფლებისა და საკუთრების უფლების განუხრელ დაცვას.

გარდამავალ პერიოდში აუცილებელია ახლებურად გავიაზროთ სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, რაც პირდაპირი ჩარევის შეზღუდვას გულისხმობს. სახელმწიფო ახორციელებს საზოგადოებისათვის აუცილებელ და სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმიანობას, რისთვისაც ასრულებს საკანონმდებლო, სამეწარმეო და საერთაშორისო ფუნქციას.

საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისა და მისი სოციალური ორიენტაციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისა და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ოპტიმალური შეხამება, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაცია შეუძლებელი აღმოჩნდება. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შინაგან, ძირითად წინააღმდეგობას, წარმოადგენს წინააღმდეგობა საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანს, რაც გამოიხატება მოგებაში - მოგების მიღებისაკენ სწრაფვაში და საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის, რაც გულისხმობს ხალხის ინტერესების გათვალისწინებას - ხალხის ინტერესების რეალიზაციისაკენ ორიენტაციას, რომლის განხო-

რციელება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ სათანადო სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის პირობებში.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკა ეკონომიკურ თავისუფლებას ემყარება და არჩევანის თავისუფლებაში ვლინდება. არჩევანი კონკურენციის უმთავრესი წინაპირობაა, ხოლო კონკურენცია ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. სწორედ ეკონომიკური თავისუფლება უქმნის ნიადაგს ნოვაციებს. რასაკვირველია, ეკონომიკური თავისუფლება თავისთავშივე გულისხმობს გარკვეულ შეზღუდვებსა და ზომებს, რომლებიც სახელმწიფომ უნდა არეგულიროს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი მექანიზმებით.

საკვანძო სიტყვები: საბაზრო ეკონომიკა, კონკურენცია, საწარმო, ფუნქციები, კონკურენტუნარიანობა.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკა წარმოადგენს საფუძველს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება, სოციალური საკითხების გადაჭრა, აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც სახელმწიფოს მონაწილეობა მინიმუმამდეა დაყვანილი. საბაზრო ეკონომიკის, როგორც ეკონომიკური ლიბერალიზაციის გამოხატულების თეორიული პრინციპები, პირველად შოტლანდიელმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა დაამუშავა. ამგვარი ეკონომიკური სისტემის ძირითად მექანიზმს სმიტი „უჩინარ ხელს“(invisible hend) უწოდებდა[1].

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება-განვითარება უნდა ითვალისწინებდეს ეროვნული ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელ ფაქტორებს (ქვეყნის ტერიტორიულ მდებარეობას, მის ბუნებრივ კლიმატურ პირობებს, მოსახლეობის ადათ-წესებს და სხვა). საჭიროა გატარდეს საქართველოს

1 თ. ვერულავა, “უხილავი ხელის“ მეტაფორა და ადამ სმიტი, თბ., 2014.

ეკონომიკისათვის შესაფერისი რეფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანსაღი საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებას და საბოლოო ჯამში ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას. საბაზრო ეკონომიკა კერძო ინიციატივასა და კერძო საკუთრებას ეყრდნობა. კერძო ინიციატივაზე დამყარებულ მეურნეობაში კი შრომის ნაყოფიერების სრულყოფილება ისტორიამ უკვე დაამტკიცა. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბაზრო ურთიერთობა ყველა პირობას ქმნის, ერთი მხრივ, საკუთრებისა და მეურნეობის ფორმების მრავალგვაროობის დამკვიდრებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ადამიანთა უნარისა და ინიციატივის სრულად წარმოჩენა-განვითარებას.

როგორც ცნობილია, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია საწარმოთა შემდეგი ექვსი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: 1) ინდივიდუალური საწარმო (ის). საქართველოში ამ ფორმაზე მოდის საწარმოთა 63,3%. სულ სუბიექტთა რაოდენობაა 412581, ხოლო აქედან აქტიურია 98288; 2) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს). ამ ფორმაზე მოდის 0,4%. სუბიექტთა რაოდენობა - 2763 და აქედან აქტიური - 295; 3) კომანდიტური საზოგადოება (კს). ამ ფორმით ჩამოყალიბებულია 0,0%. სუბიექტთა რაოდენობა - 186 და აქედან აქტიურია - 28; 4) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). ეს ფორმა შეადგენს- 30,0%. სულ სუბიექტთა რაოდენობაა - 195604, ხოლო აქედან აქტიურია - 65659; 5) სააქციო საზოგადოება (სს). ეს ფორმა წარმოდგენილია 0,4%-ით. სუბიექტთა რაოდენობა - 2489 და აქედან აქტიურია 873; 6) კოოპერატივი (კ). ამ უკანასკნელზე მოდის საწარმოთა 0,7%. სუბიექტთა რაოდენობაა 4820, ხოლო აქტიურია - 218. (ეს მონაცემები წარმოდგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით[1]). საბაზრო ეკონომიკაში მეწარმეობას დიდი მისია აკისრია, როგორც საკუთარი, ისე სხვისი

1 საქართველოს ეროვნული სამსახურის ვებგვერდი GeoStat.Ge

წარმოების ფაქტორების გამოყენებით ინდივიდუალური და საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება, წარმოების ფაქტორთა მესაკუთრეების უზრუნველყოფა შესაბამისი შემოსავლებით; მოსახლეობის დასაქმება და მათი ცხოვრების დონის ამაღლება; სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება; ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

საბაზრო მექანიზმი საზოგადოების კეთილდღეობის საფუძველი უნდა გახდეს. საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ზურგი უნდა განუმტკიცოს ეკონომიკის აღმავლობამ სოციალურად ჯანსაღ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობს საკითხი სახელმწიფოს ფუნქციების შესახებ. იმ გარდაქმნების ფონზე, რომლებმაც მოიცვა პოსტსაბჭოური სივრცე, სულ უფრო სადაო და კვლევის საგანი ხდება სახელმწიფოს გავლენის სფეროები. ეკონომიკის ლიბერალიზაციის დროს სულ უფრო იცვლება და ახალ დატვირთვას ღებულობს სახელმწიფოს როლი თანამედროვე სამეურნეო ცხოვრებაში. გარდამავალ პერიოდში აუცილებელია ახლებურად გავიაზროთ მისი როლი ეკონომიკაში, რაც პირდაპირი ჩარევის შეზღუდვას გულისხმობს. ე. ი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო თამაშობს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან როლს, ვიდრე მბრძანებლურ - ადმინისტრაციულ სისტემაში. სახელმწიფოს როლი მრავალ ღონისძიებაში გამოიხატება, მას შეუძლია შექმნას თანაბარი პირობები ყველა ინდივიდისათვის, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწინდარია. სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს საზოგადოებისათვის აუცილებელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმიანობა, რისთვისაც ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას.

სახელმწიფოს საკანონმდებლო ფუნქცია გულისხმობს ისეთი კანონების შემუშავებასა და ამოქმედებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ნორმალურ არსებობასა და

განვითარებას. სამეწარმეო საქმიანობის მასტიმულირებელი კანონმდებლობა არის ნამდვილი რეგულატორი საბაზრო მექანიზმისა, რადგან საკანონმდებლო ბაზა სახელმწიფოს ხელშია, სწორედ მას შეუძლია „თამაშის წესების" დადგენა.

სახელმწიფოს სამეწარმეო ფუნქცია მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა ფორმას, რასაც საფუძვლად უდევს სახელმწიფო საკუთრება. სახელმწიფო საკუთრებაში შესაძლებელია დარჩეს ეკონომიკის საერთო - ეროვნული მნიშვნელობის დარგები. თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს განსხვავებული მასშტაბების სახელმწიფო სექტორი. სახელმწიფო ფლობს კაპიტალს, მონაწილეობს სამეწარმეო საქმიანობაში. მნიშვნელოვანია სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი. მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში დასაქმებულთა 11% სწორედ სახელმწიფო სექტორზე მოდის. გერმანიაში, ჰოლანდიასა და ბელგიაში ეს მაჩვენებელი 8 - 9% -ს უდრის[1]. ამ ქვეყნებში სახელმწიფო სექტორის განვითარება მეტწილად სტრატეგიული დანიშნულების დარგებში ხდება.

სახელმწიფოს ფუნქცია საერთაშორისო საქმიანობაში ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ძირითადად სავაჭრო და ინვესტიციურ პოლიტიკაში გამოიხატება. თანამედროვე ეტაპზე საექსპორტო დარგების წახალისება და განვითარება, საშინაო ბაზრის ზომიერი დაცვა, ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. სერიოზულ მხარდაჭერას საჭიროებს სახელმწიფოსაგან უცხოური ინვესტიციები. ამ სახსრების მოზიდვა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით. ეს პროცესი სახელმწიფოს ეკონომიკისათვის ძალზედ მომგებიანია. ჯერ ერთი, კაპიტალის ნაკლებობისა და მოძველებული ტექნოლოგიის პირობებში ეს ინვესტიციები დაეხმარება ქვეყანას სამრეწველო ბაზის მოდერნიზაციაში, გაიზრდება ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი, დაინერგება შრომითი გამოცდილებები. ეს პროცესები მოითხოვს უცხოელ ინვესტორთა მოგების კონცენტრაციას და უცხოური კაპიტალის უსაფრთხო-

1 www.nplg.gov.ge

ების უზრუნველყოფას. თუმცა სახელმწიფომ არ უნდა მიანიჭოს გადაჭარბებული მნიშვნელობა უხოურ ინვესტიციებს, რადგან მთავარი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა არის ეროვნული ეკონომიკის აღორძინება. ამრიგად, უცხოურ ინვესტიციებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

საბაზრო ურთიერთობების სრულყოფა და მიზანდასახული გამოყენება საზოგადოების ეფექტიანი სოციალურ - ეკონომიკური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისა და მისი სოციალური ორიენტაციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისა და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ოპტიმალური შეხამება, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაცია შეუძლებელი აღმოჩნდება. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შინაგან, ძირითად წინააღმდეგობას, წარმოადგენს წინააღმდეგობა საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანს, რაც გამოიხატება მოგებაში - მოგების მიღებისაკენ სწრაფვაში და საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის, რაც გულისხმობს ხალხის ინტერესების გათვალისწინებას - ხალხის ინტერესების რეალიზაციისაკენ ორიენტაციას, რომლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ სათანადო სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის პირობებში.

საბაზრო ეკონომიკას მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურა გააჩნია. საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურა არის ის მექანიზმი, რომელსაც მოძრაობაში მოყავს მთელი საბაზრო სისტემა. მასში შედის ცალკეული ბაზრების ფარგლებში მოქმედი სპეციალიზებული ორგანიზაციები, საქონლისა და მომსახურების ბირჟები, საბითუმო და საცალო სისტემები, კომერციულ საფუძველზე მოქმედი ფირმები, რომლებიც კონკურენციის მონაწილეებს აწვდიან საბაზრო ინფორმაციას, მარკეტინგულ

მომსახურებას, მრავალრიცხოვანი შუამავალი კომპანიები, სერვისის სამსახურები და სხვა რგოლები. მათ უკავიათ მწარმოებლიდან მომხმარებლამდე გადაჭიმული უდიდესი ეკონომიკური სივრცე. განსაკუთრებული ინფრასტრუქტურის პირობებში, ბაზრები საკმაოდ ეფექტიანად რეაგირებენ საქონლის დროებით უკმარისობაზე და, რაც მთავარია, არ აძლევენ მას ფესვების გადგმის, დეფიციტად გადაქცევის შესაძლებლობას. მიზეზი უბრალოა, საქონლის ბაზრების ინფრასტრუქტურას აქვს უნარი მიიღოს მოთხოვნისაგან გამომდინარე სიგნალები და ადეკვატური რეაგირება მოახდინოს მასზე. მაგალითისთვის, საფონდო ბირჟა წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის წამყვან ელემენტს; მას ლავირების ფართო დიაპაზონი გააჩნია, საბოლოო ანგარიშით ეს იმით აიხსნება, რომ საბაზრო ეკონომიკაში წარმოებას ძირითადად სააქციო საზოგადოებები ახორციელებენ, რომელთა არსებობა საფონდო ბირჟის გარეშე წარმოუდგენელია. უდიდესი როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაში კომერციული ბანკების არსებობას, მათ სრულყოფილ განვითარებას ჯანსაღი კონკურენციის პირობებში. ძირითად ბანკს კი წარმოადგენს ეროვნული (ცენტრალური) ბანკი, რომლის გამართული მოქმედება ქვეყანაში ფულის მიმოქცევისა და ფულად - საკრედიტო პოლიტიკის ჩამოყალიბების ერთ - ერთი ძირითადი საშუალებაა. განვითარებული ქვეყნის ერთ - ერთი ძირითადი საფინანსო რგოლია საგადასახადო სისტემა. ის საფუძვლად უდევს ქვეყნის ბიუჯეტს. დახვეწილი საგადასახადო სისტემა ქვეყანაში არსებული მეწარმეობის განვითარების უდიდესი გარანტიაა. ამრიგად, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება უდიდეს როლს ასრულებს საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

აქვე მნიშვნელოვანია, შევეხოთ საბაზრო ეკონომიკასა და კონკურენციას. კონკურენციის არსებობა, როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზრებზე ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირე-

ბის აუცილებელი პირობაა.

ტერმინი „კონკურენცია" ლათინური წარმოშობისაა და ფართო გაგებით ნიშნავს ეკონომიკური აგენტების მეტოქეობას, რაც ხელს უწყობს მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის წარმოებას[1]. იგი წარმოადგენს ძირითად მარეგულირებელ მექანიზმს. კონკურენცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბაზარზე ერთდროულად გამოდის რამდენიმე ფირმა, ერთნაირი ან ურთიერთშენაცვლებადი საქონლით. ასეთ შემთხვევაში მომხმარებლის მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება ფასის, ხარისხის, შეფუთვის, სერვისისა და სხვა პარამეტრების გათვალისწინებით. კონკურენცია აიძულებს მეწარმეს, სამეურნეო საქმიანობა ააწყოს ისე, რომ უზრუნელყოფილი იყოს მუშაობის მაღალი ხარისხი და კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოება. საქონლის კონკურენტუნარიანობა გულისხმობს ბაზარზე ამა თუ იმ საქონლის უპირატესობას. ანალოგიური დანიშნულების საქონელს შორის მაღალი კონკურენტუნარიანობა გააჩნია იმას, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლეს სასარგებლო ეფექტს მომხმარებლის საერთო დანახარჯებთან მიმართებაში.

კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ პროდუქციის ხარისხის გაზრდა, აუცილებელია დიდი უპირატესობა მიენიჭოს ახალი საქონლის შემუშავებისა და ათვისების საკითხს, ბაზარზე ლიდერის პოზიციის მოპოვებას. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს მოთხოვნილებათა უკეთესად დაკმაყოფილებას, წარმოების მოქნილ გარდაქმნას, საბოლოოდ კი საქონლის წარმატებით რეალიზაციას. საბაზრო სისტემის პირობებში გამოიყოფა კონკურენციული ბრძოლის ორი ძირითადი ფორმა: შიდა დარგობრივი და დარგთაშორისი. შიდა დარგობრივი ბრძოლის პირობებში მეწარმეები თითქოს არასოდეს აწარმოებენ ერთნაირ პროდუქციას. ისინი ყოველთვის ცდილობენ რაიმე სიახლე შეიტანონ თავის ნაწარმში - ხარისხის მაქსი-

1 Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3598)

მალურად გაუმჯობესება იქნება ეს თუ გარეგანი გაფორმება. დარგთაშორისი კონკურენციის დროს მეწარმეები ივიწყებენ შიდადარგობრივ ბრძოლას და ერთიანი ძალებით ცდილობენ მეტი რეკლამა გაუწიონ თავისი დარგის პროდუქციას.

დასკვნა

საბაზრო ეკონომიკა ეკონომიკურ თავისუფლებას ემყარება და არჩევანის თავისუფლებაში ვლინდება. არჩევანი კონკურენციის უმთავრესი წინაპირობაა, ხოლო კონკურენცია ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. სწორედ ეკონომიკური თავისუფლება უქმნის ნიადაგს ნოვაციებს. რასაკვირველია, ეკონომიკური თავისუფლება თავისთავშივე გულისხმობს გარკვეულ შეზღუდვებსა და ზომებს, რომლებიც სახელმწიფომ უნდა არეგულიროს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი მექანიზმებით.

ამრიგად, ეკონომიკური კეთილდღეობის საწინდარია ეკონომიკური თავისუფლება. ამ უკანასკნელის მთავარი უზრუნველმყოფი კი არის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და მისი ჩარევის მასშტაბები.

ლიტერატურა:

1. თ. ვერულავა, „უხილავი ხელის“ მეტაფორა და ადამ სმიტი, თბ., 2014

2. საქართველოს ეროვნული სამსახურის ვებგვერდი GeoStat.Ge

3. www.nplg.gov.ge

4. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3598)

REFERENCES:

1. T. Verulava, The invisible hend metaphor and Adam Smith (2014);

2. Georgian National Service Website GeoStat.Ge;

3. www.nplg.gov.ge

4. Civil Encyclopedia Dictionary (http://www.nplg.gov.ge/gw-dict/index.php?a=term&d=5&t=3598)

MARKET ECONOMY AND ENTREPRENEURSHIP DEVELOPMENT IN GEORGIA

Natia Bedukadze-Mamatsashvili
PhD Student, GTU

RESUME

For political and economic integration of Georgia with Europe, for the government's economic policy it is essential to ensure inclusive economic growth, to make able every citizen to benefit from the achieved results. The economic policy, first of all, should be based on the constant protection of economic freedom and property rights.

During the transition period, it is necessary to rethink the role of the state in the economy, which limits its direct interference. The state implements the necessary and vital activities for the society, for which the legislative, entrepreneurial and international functions are fulfilled.

For effective functioning of market economy and its social orientation free market relations and the state's optimal regulatory role are necessary conditions, because, otherwise the practical realization of socially oriented market economy is impossible.

Thus, the market economy is based on economic freedom and is expressed in freedom of choice. The choice is the main prerequisite of competition, and competition is the main driving force for economic development. Economic freedom creates the ground for innovation. Naturally, economic freedom itself implies the certain political and economic restrictions and measures taken by the state.

Key words: Market Economy, Competition, Enterprise, Functions, Competitiveness.

უწყვეტი განათლება - ადამიანი კაპიტალის კვლავწარმოების უმთავრესი ფაქტორი

რევაზ შენგელია, ემდ, სტუ პროფესორი
ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია, ემდ, სტუ პროფესორი;
ნათია შენგელია, ედ, სტუ ასოცირებული
პროფესორი, ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიზნესის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

„განათლება ადამიანის გონებიდან განდევნის ველურობას, ბარბაროსობას და სისასტიკეს; მწირი და ზერელე განათლება კი სრულიად საპირისპირო შედეგს იძლევა".

ვ. ბეკონი - ფილოსოფოსი

რეზიუმე

თანამედროვე პირობებში, 21-ე საუკუნის მნიშვნელოვანმა თავისებურებებმა განათლების განვითარების პრობლემა პრიორიტეტულად აქციეს, ვინაიდან სწორედ განათლება აუმჯობესებს ადამიანი კაპიტალის ხარისხს, რომელიც სახელმწიფოს ინტელექტუალურ და სულიერ რესურსს წარმოადგენს. სწრაფცვალებად კონკურენციის პირობებში ქვეყანა რომ ვაქციოთ ინვესტირებისათვის მიმზიდველად, აუცილებელია შეიქმნას ინოვაციური, კრეატიული ატმოსფერო **უწყვეტი განათლების** სისტემის დასანერგად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული ცოდნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის კვალდაკვალ გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება. ხარისხიანი უწყვეტი განათლება ქვეყანაში მდგრადობის და მიკრო და მაკრო დონეზე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების რეალური ძალაა, რამაც ათასობით ადამიანის დასაქმება უნდა შეძლოს.

საკვანძო სიტყვები: ადამიანი კაპიტალი, უწყვეტი განათლე-

ბა, ინვესტიცია, ინოვაციური ეკონომიკა, კრეატიული ეკონომიკა.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში ძალიან მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ ის გარემობა, რომ ვიმყოფებით 21-ე საუკუნეში, რომელიც არის: ახალი ეკონომიკის საუკუნე; ცოდნის საუკუნე; ინფორმაციის საუკუნე. რატომაა **ახალი ეკონომიკის საუკუნე?** იმიტომ, რომ ამ პერიოდისათვის ეკონომიკური რესურსები, განსაკუთრებით არაკვლავწარმოებადი (ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი და სხვა) სულ უფრო იზღუდება. მსოფლიო ენერგეტიკული საბჭოს მტკიცებით დღეისათვის მსოფლიოში გაზისა და ნავთობის 43 წლის მარაგიღაა დარჩენილი (1.გვ.16.). ასეთ პირობებში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) მდგრადი ზრდა და განუსაზღვრელი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება უნდა მოხდეს არა მეტი მიწის ფართის, შრომისა და კაპიტალის გამოყენებით (ექსტენსიფიკაცია), არამედ არსებული რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით (ინტენსიფიკაცია), ანუ ინოვაციური ეკონომიკის წყალობით. ამასთან, ეკონომიკის მდგრადი ზრდითა და განვითარებით აწმყოს მოთხოვნილებები ისე უნდა დაკმაყოფილდეს, რომ არ წაერთვას მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობა მომავალ თაობებს; რატომაა 21-ე საუკუნე **ცოდნის საუკუნე?** იმიტომ, რომ თანამედროვე ეკონომიკაში გადამწყევტია არა მიწა (ბუნებრივი რესურსები), შრომა და კაპიტალი, არამედ ცოდნა. თანამედროვე წარმოება, მისი ფაქტორები და პროდუქცია არა შრომატევადი და კაპიტალტევადი, არამედ მეცნიერებატევადი, ცოდნატევადია. ამის კარგი მაგალითია იაპონური საწარმო (ფირმა), სადაც წარმოების პროცესი კი მიმდინარეობს, მაგრამ ადამიანები თითქმის არ ჩანან, ასევე, ამგვარი წარმოების შედეგი (იაპონური პროდუქტი) არის მინიატურული, ანუ ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა იქნას მიღებული მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგი; რატომაა 21-ე **საუკუნე ინფორმაციის საუკუნე?** იმიტომ, რომ

თანამედროვე ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება, წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორების ეფექტიანი ორგანიზება დიდწილადაა დამოკიდებული სწორ მმართველურ გადაწყვეტილებაზე. სწორი მმართველური გადაწყვეტილება კი ოპერატიულ და უტყუარ ინფორმაციას მოითხოვს. თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით (ჩქაროსნული ავტოსტრადები, რკინიგზის ხაზები, საზღვაო ხომალდები, რეგულარული შიდა და გარე ავიარეისები, ნავთობ და გაზსადენები და სხვა), მნიშვნელოვნად დაჩქარდა საქონლის, მომსახურებისა და მუშახელის გადაადგილება, ხოლო თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებებით (მობილური ტელეფონი, ინტერნეტი და სხვა) ელვისებური სისწრაფით ვრცელდება ინფორმაცია გლობალური მასშტაბით, რამაც მსოფლიო თითქოს "დააპატარავა" და ერთიან დიდ ქვეყანად აქცია(2.გვ.12).

მძაფრი კონკურენციის პირობებში XXI საუკუნის ზემოაღნიშნულმა თავისებურებებმა განათლების განვითარების პრობლემა პრიორიტეტულად აქციეს, ვინაიდან სწორედ განათლება აუმჯობესებს ადამიანი კაპიტალის ხარისხს (ადამიანის ცოდნა, პროფესიონალიზმი, მორალი, კულტურა), რომელიც სახელმწიფოს ინტელექტუალურ და სულიერ რესურსს წარმოადგენს. სახელმწიფოს წარმატება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში უშუალოდ არის დაკავშირებული მის მიერ უზრუნველყოფილი განათლების სისტემაზე, მისი მოსახლეობის განათლების ხარისხზე. განათლება ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების დონის ამაღლების მძლავრი ლოკომიტივია. „ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირება ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორია(3). მასში განთავსებული კაპიტალი ეფექტიანი უკუგებით გამოირჩევა. ეს იმით აიხსნება, რომ განათლებული ადამიანი წარმოების აქტიური ნაწილია, რომლის გადაწყვეტილებით ხორციელდება ინვესტირება, გამოიყენება ბუნებრივი რესურსი. "იმ ქვეყანას, რომელსაც არ შეუძლია ადამიანთა ცოდნისა და უნარის განვითარება და ეკონომიკაში მათი ეფექტიანი გამოყენება, განწირულია წარუმატებლობაში"

(4.გვ.3). გამოდის, რომ, საბოლოო ჯამში, ადამიანისეული რესურსი და არა კაპიტალი ან ბუნებრივი სიმდიდრე, განსაზღვრავს ეკონომიკური და სოციალური განვითარების შინაარსს. ეკონომიკის აღდგენის სისწრაფე, როგორც ნობელის პრემიის ლაუარეტი თ.შულცი აღნიშნავდა, დაკავშირებულია ჯანსაღ და **განათლებულ მოსახლეობასთან.** განათლების წყალობით ადამიანები უფრო **მწარმოებლური** ხდებიან". ტრადიციული ფაქტორები (მიწა, ნედლეული, საწარმოო კაპიტალი), ცხადია, კვლავაც უდიდეს როლს თამაშობს სახელმწიფოს განვითარებაში, მაგრამ მათ გააჩნია ჩარჩოები, განვითარების ზღვარი. **უსაზღვროა მხოლოდ ადამიანი კაპიტალი, მისი ცოდნა და სულიერება.**

არატრადიციული-კრეატიული ეკონომიკის პირობებში (როცა გადამწყვეტი ფაქტორი ხდება შემოქმედებითი იდეა, მისი ხარისხი (5.გვ., 14-17; 98-99; 142-154; 178; 181-182) და არა მხოლოდ მაღალი ტექნოლოგიები, არასწორი იქნება არ ავღნიშნოთ ის პროგრესი, ახლებური, ინოვაციური მიდგომა, რომელიც ბოლო დროს შეინიშნება კომპანიებში ადამიანისადმი, პერსონალისადმი დამოკიდებულების საკითხში: დაქირავებული მუშახელიდან იგი იქცა-ახალ ფასეულ კატეგორიად - „**ადამიან კაპიტალად**"(ამკაპიტალის ძირითადი ფორმაა ცოდნა-განათლებულობა, დაგროვილი გამოცდილება და იგი იმიტომაა ადამიანთან დაკავშირებული, რომ მის შესაქმნელად ინვესტიცია ადამიანში ხდება, კაპიტალის ზრდა, ცოდნის შეძენა-გაღრმავება კი იწვევს შრომის ერთეულის უკუგებას, **მწარმოებლურობას**. ამიტომაა, რომ მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ ყოველი დასაქმებული მუშაკის, **ადამიანიკაპიტალის უკუგებას,** წარმატებით გამოიყენოს წარმოების სხვა ფაქტორები, მეცნიერების უახლესი მიღწევები და ა.შ.). კაპიტალის თავისებურება კი სწორედ ის არის, რომ იგი თვითმზარდი ღირებულებისაა. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის (ადამიანი კაპიტალის), როგორც ინტელე-

ქტუალური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმის შესახებ. სწორედ კრეატიული, შემოქმედი ადამიანი უზრუნველჰყოფს საერთო კაპიტალის ნამატს და გააჩნია სრულიად უნიკალური თვისებები, რომლებსაც ხშირად კომპანიის ხელმძღვანელები ივიწყებდნენ და ახლაც ივიწყებენ. თუ ადამიანი აგნებს საკუთარ საქმეს, „თავის ადგილზეა“, იგი წარმოადგენს თვითმზარდ ღირებულებას და არანაირი ინფლაცია და კრიზისი არ მოქმედებს ამ ღირებულებაზე. პირიქით, კრიზისულ სიტუაციაში კრეატიული, „შემოქმედებითი ადამიანის“ პოტენციალი იზრდება. სულერთია, მენეჯერია იგი, თუ რიგითი სპეციალისტი, მთავარია, რომ აკეთებს თავის საქმეს. ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ მას აქვს სურვილი თვითრეალიზაციისა, პიროვნული სრულყოფისა[6.გვ.,129]. ამიტომ, ადამიანის ღირებულებას (კაპიტალის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით), ახასიათებს უსაზღვროდ ზრდა, იმაზე მეტად, ვიდრე ეს მასში ჩადებულ კაპიტალს შეუძლია. კომპანიები, რომლებიც ცდილობენ, გადაურჩნენ სასტიკ კონკურენციას, მუდმივად უნდა ისწრაფვოდნენ სრულყოფისაკენ. ასეთ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს კომპანიის განკარგულებაში არსებულ ისეთი უმთავრესი სიმდიდრისა და რესურსის რაციონალურ გამოყენებას, როგორიც კოლექტივია თავისი უნარებითა და შესაძლებლობებით, კვალიფიკაციით, იდეებით. აქიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი სწორი მართვა, კოლექტივისათვის მსოფლიო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შრომის პირობების, ინოვაციური ატმოსფეროს (ისეთი გარემო, რომელშიც ადამიანი თავს თავისუფლად გრძნობს, სრულად მოტივირებულია, შემოქმედებითი საქმიანობისადმი მზადყოფნაშია და ხელმძღვანელობის მხრიდან აქვს სრული მხარდაჭერა ინოვაციურ საქმიანობაში) შექმნა და ამ მიმართულებით შესაბამისი **ინვესტიციების** მოზიდვა. სწორედ ესაა სადღეისოდ კომპანიის, დარგის, **ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა** და სიცოცხლისუნარიანობის გრძელვადიანი ფაქტორი. თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლე-

ბის, კონკურნტუნარიანი ცოდნის გარეშე aseve შეუძლებელია ქვეყანა გახდეს **საინვესტიციოდ მიმზიდველი.**

კონკურენციის პირობებში ქვეყანა რომ ვაქციოთ ინვესტირებისათვის მიმზიდველად, აუცილებელია შეიქმნას ინოვაციური, კრეატიული ატმოსფერო **უწყვეტი განათლების** სისტემის დასანერგად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული ცოდნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის კვალდაკვალ გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება. თუ რა სარგებლობა მოაქვს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მეცნიერულ ტექნიკურ ცოდნასა და ტექნოლოგიებს ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის, მ.შ. საინვესტიციო მიმზიდველობისათვის, აშკარად ჩანს ნიდერლანდების მაგალითზე. რეალურად ეს პატარა ევროპული ქვეყნა ფართობით საქართველოზე 1.67-ჯერ ნაკლებია, მაგრამ მოსახლეობით 4.5-ჯერ მეტი, შემოსავლები 1 სულ მოსახლეზე PPP დათვლითაც კი 5-ჯერ მეტი HDI ინდექსით 63 პოზიციით გვისწრებს და მე-7 ადგილზეა. მართალია, ქვეყანას აქვს ბუნებრივი რესურსები, მე-5 ადგილზეა ბუნებრივი აირის ექსპორტის მხრივ და 17-ეზე ნავთობის ექსპორტის მხრივ, მაგრამ იგივე რესურსები უფრო დიდი ოდენობით ვენესუელასაც გააჩნია. ქვეყნის ტერიტორიის 20% ზღვის დონის ქვემოთაა მოქცეული, ზღვა გამუდმებით რეცხავდა და იტაცებდა სანაპირო ტერიტორიას. პატარა ევროპულმა სახელმწიფომ დაამარცხა ჩრდილოეთის ზღვა. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ამ საქმეშიც ნამდვილად უნდა მივბაძოთ ჰოლანდიელებს. ქვეყნის აგროექსპორტი საქართველოს მთლიან ექსპორტს 35-ჯერ აღემატება და 95 მილიარდ დოლარს აღწევს. ის მეორეა აშშ-ს შემდეგ, მაგრამ აქვე უნდა ითქვას მთავარი, ამ სექტორში დასაქმებულია სამუშაო ძალის მხოლოდ 4 (ოთხი) პროცენტი(8).

თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ასევე ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის და მ.შ. საინვესტიციო მიმზიდველობისათვის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების

შესაბამის **უწყვეტ განათლებს განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში**, აშკარად ჩანს შემდეგი მსჯელობიდანაც: რამდენადაც საქართველოში ეკონომიკა უკიდურესად მყიფეა და ცუდი ეკონომიკური პოლიტიკით ბევრი რამის გაფუჭება შეიძლება, უცხოელ ექსპერტებზე დაყრდნობა არ არის გამოსავალი, რადგან მათ არ აქვთ ქვეყნის მიმართ იმგვარი მოვალეობები, რომელიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს შეიძლება გააჩნდეთ. დავუშვათ, რომ საქართველოში მოვლენები არასასურველი მიმართულებით განვითარდება, მაშინ უცხოელები უბრალოდ ადგებიან და სხვა ქვეყანაში გადაინაცვლებენ, რასაც აუცილებლად მოჰყვება უცხოური ინვესტიციების საგრძნობლად შემცირება. შესაბამისად, ქვეყნის მარცხი მათთვის იმდენად მტკივნეული არ იქნება, რამდენადაც ქართველებისთვის, ვინაიდან საბოლოოდ, მხოლოდ მოქალაქეები ზრუნავენ რეალურად თავიანთ ქვეყანაზე(9.). ასე რომ,ნებისმიერ ქვეყანას და მ.შ. საქართველოს უპირველეს ყოვლისა, ნამდვილად სჭირდება მსოფლიო დონის განათლებით აღჭურვილი ადგილობრივი ეკონომისტები.ყოველივე ეს კი უწყვეტი ეკონომიკური განათლების გარეშე შეუძლებელია, რადგან თანამედროვე ეპოქაში ყველგან ნებისმიერი დარგში ცოდნა მეტ-ნაკლებად მორალურ მოძველებას განიცდის.

წინათ, ძველ ეპოქაში ცოდნა დიდხანს არ ძველდებოდა. მაშინ კანონზომიერი იყო უპირატესობა მუდმივის, ურყევისა მიმდინარეზე, აზრი უსასრულობის არსებობისა სასრულზე. თუმცა კაცობრიობის განვითარებასთან ერთად გაჩნდა საზოგადოების უწყვეტი განათლების პროგრესული იდეა (იან კომენსკი-1592-1670), რომლის მეცნიერული გააზრება, პრაქტიკულად, მე-20 საუკუნის 60-ნი წლებიდნ დაიწყო. 1965 წ. იუნესკოს კონფერენციაზე ფრანგმა მეცნიერმა პიერ ლენგრანდმა პირველად წარმოადგინა უწყვეტი განათლების კონცეფცია.თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში დადგა ცვლილებების პერიოდი განათლებასა და შრომის პირობებში. პროფესიული კარიერის მრავალფეროვნება და მთელი სიცო-

ცხლის განმავლობაში სწავლა აშკარა აუცილებლობა გახდა. თანამედროვე უნივერსიტეტები არის არა მარტო სასწავლო ან სასწავლო-კვლევითი დაწესებულება, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოებით-დამაგროვებელი ძირითადი სტრუქტურა (7. გვ.100-102, 112).

დასკვნა

ამრიგად, ხარისხიან უწყვეტ განათლებას ნებისმიერ დარგში (მ.შ. ეკონომიკის სფეროში) უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის, მ.შ. საინვესტიციო მიმზიდველობისათვის. იგი, **გვევლინება რა ადამიანი კაპიტალის კვლავწარმოების უმთავრეს ფაქტორად,** ქვეყანაში მდგრადობის და მიკრო და მაკრო დონეზე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების რეალური ძალაა საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური ინსტიტუტების და ურთიერთობების ჩამოყალიბების შეუქცევადი ხასიათით, რამაც, საბოლოოდ, 21-ე საუკუნის ყველაზე მტკივნეული პრობლემა- ათასობით ადმიანის დასაქმება უნდა უზრუნველყოს.

ლიტერატურა

1. იხ. „ახალი კომერსანტი” 2007წ. N2.

2. უ.სამადაშვილი. რ./შენგელია. თანამედროვე ეკონომიკა,თბ., 2013 წ.

3. Theodor W.Schultz. Investment in human capital. American Economic Review 51. March 1961.

4. Frederick H. Harbison. Human Resources as The Wealth of Nations. New York: Oxford University Press, 1973.

5. Guenter Faltin, Kopf Schlaegt Kapital, Carl Hanser Verlag, Munchen, 2008.

6. ჟურნალი „ეკონომიკა”, №3-4, 2016წ.

7. გურამ ჯოლია. კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება.თბ., 2016.

8. იხ**:** https://www.google.ge/search?q. გიორგი ელიზბარა-

შვილი.ეკონომისტი ყველაზე რთული პროფესია საქართველოში, 18/09/2017.

9. იხ:აუცილებელია თუ არა კარგი ეკონომისტები ეკონომიკური წარმატებისთვის? http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/e1-83-90.07.04.2014.

REFERENCES:

1. See "New Commersant" 2007y."N2.

2. U.Samadashvili, R.Shengelia. "Modern Economy ", Tb.,2013 Y. pp.,2016 (in Georgian Language).

3. Theodor W.Schultz. Investment in human capital. American Economic Review 51. March 1961

4. Frederick H. Harbison. Human Resources as The Wealth of Nations. New York: Oxford University Press, 1973.

5. Guenter Faltin, Kopf Schlaegt Kapital, Carl Hanser Verlag, Munchen, 2008.

6. Journal "Economics", N3-4, 2016 y. (in Georgian Language).

7. G. Jolia. Creative Development: Education, Knowledge, Activity. Tb.,2016 (in Georgian Language).

8. https://www.google.ge/search?q=The Economist, the most difficult profession in Georgia, 18/09/2017, Giorgi Elizbarashvili.

9. See: Are good economists necessary for economic success? http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/e1-83-90.07.04.2014.

CONTINUOUS EDUCATION - THE MAIN FACTOR IN HUMAN-CAPITAL REPRODUCTION

Revaz Shengelia, PhD, GTU, Professor,
Jujuna Tsiklauri-Shengelia, PhD, GTU, Professor,
Natia Shengelia, PhD, GTU Associate Professor
Oxford Brookes University Graduate, Business Faculty

RESUME

In the modern conditions, the important peculiarities of the 21st century have prioritized the problem of education development enhancement, since education improves the quality of human capital that represent the intellectual and spiritual resources of the state. Furthermore, in the rapidly changing competitive conditions, to make the country attractive for investment, it is necessary to create an innovative, creative atmosphere for implementation of the continuous education system. It should provide the update of the knowledge obtained at the educational institutions in parallel with the scientific and technical progress, and also the increase of overall education level in Georgia. The Qualitative Continuous Education is a real power for sustainability and socio-economic development at the micro-and macro level in the country, which should employee thousands of people.

Key words: Human Capital, Continuous Education, Investment, Innovative Economy, Creative Economy.

ვალუტის და სავალუტო პოლიტიკის არსის საკითხისათვის

მალხაზ გვიჩია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია ვალუტის და სავალუტო პოლიტიკის არსი, როლი და მნიშვნელობა, სავალუტო კურსი და სავალუტო ურთიერთობათა რეგულირება, როგორც სავალუტო პილიტიკის შემადგენელი ელემენტი. ჩამოყალიბებულია ფინანსური ვალუტის განსაზღვრის ავტორისეული ფორმულირება, ვალუტების კატეგორიზაცია მათი მოქმედების არეალისა და მასშტაბურობის ნიშნით, ასევე კონვეტირებადობის დონისა და სიმყარის მიხედვით. სხვადასხვა მეცნიერ ეკონომისტთა შეხედულებების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად გაკეთებულია დასკვნა, რომ სავალუტო პოლიტიკა არის სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ეკომომიკურ ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, უმუშევრობისა და ინფლაციის დონის შემცირება და საგადასახადო ბალანსის წონასწორობის მიღწევა- შენარჩუნება.

საკვანძო სიტყვები: ვალუტა, სავალუტო პოლიტიკა, ეროვნული ვალუტა, უცხოური ვალუტა, კოლექტიური (რეგიონული) ვალუტა, მსოფლიო ვალუტის ცნება.

ძირითადი ტექსტი

ვალუტა და სავალუტო პოლიტიკა სახელმწიფო საფინანსო-ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, ხოლო მთლიანობაში, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შემადგე-

ნელი ნაწილია, რომლის წარმატებული რეალიზაცია ბევრადაა დამოკიდებული ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე, მისი კონცენტრაციის და ეკონომიკის ორგანიზებული მართვის დონეზე.

ვალუტა, ფინანსური გაგებით, გულისხმობს ფულად ერთეულს, რომელიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ქვეყნის ფულად სისტემას ანუ იგი წარმოადგენს სახელმწიფოს ეროვნული ფულის ერთეულს. როგორც წესი, ქვეყნის ფულად ერთეულს კანონმდებლურად აწესებს სახელმწიფო, რომელიც მას ანიჭებს გარკვეულ ნომინალურ ღირებულებას და აცხადებს მას ქვეყნის ტერიტორიაზე ერთადერთ საგადასახდელო საშუალებად.

აღსანიშნავია, რომ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერ ფინანსისტთა ნაშრომებში (მონოგრაფიებსა თუ სახელმძღვანელოებში)ზოგიერთ შემთხვევაში რატომღაც გვერდი აქვს ავლილი ვალუტის , როგორც ფინანსური კატეგორიის, ცნების განმარტებას და მისი არსის სრულყოფილად და გასაგებად გადმოცემას.

ამ მხრივ ერთ-ერთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს პროფესორების ი.მესხიას და რ. ბასარიას სახელმძღვანელო ნაშრომი „ეკონომიკური თეორიის საფუძვლები“, სადაც მოცემულია ფინანსური ვალუტის ცნების საკმაოდ ლაკონური განმარტება, კერძოდ: „ვალუტა ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეულია, მისი საგადასახადო საშუალებაა“

ჩვენი გაგებით, ვალუტა, როგორც ფინანსური კატეგორია, წარმოადგენს სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ დადგენილ ფულად ერთეულს (ფულად ნიშანს), რომელსაც მინიჭებული აქვს გარკვეული, მისი ფასების მასშტაბის შესაბამისი ნომინალური ღირებულება და აღიარებულია ქვეყნის (ქვეყნების ჯგუფის) მთელ ტერიტორიაზე გადახდისა და ანგარიშსწორების ერთადერთ საშუალებად.

ფინანსური ვალუტა თავისი მოქმედების არეალისა და მასშტაბურობის მიხედვით პირობითად შეიძლება დავყოთ შემდეგ კატეგორიებად:

1. ეროვნული ვალუტა;

2. უცხოური ვალუტა;
3. კოლექტიური (რეგიონული) ვალუტა;
4. მსოფლიო (სარეზერვო) ვალუტა.

ეროვნული ვალუტის ცნების ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს ეროვნული ფულადი ერთეული, რომელიც სახელმწიფოს მიერ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აღიარებულია ერთადერთ საგადასახდელო საშუალებად. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ვალუტაა ლარი, რუსეთის - რუსული რუბლი, იაპონიის - იაპონური იენა, დიდი ბრიტანეთის -გირვანქა სტერლინგი და ა.შ.სრულიად მართებულად მიუთითებს პროფ. რ. კაკულია, რომ „ყველა სუვერენულ სახელმწიფოს გააჩნია ეროვნული ფული, ეროვნული ვალუტა, რომლის გამოყენება, როგორც საანგარიშო ერთეულისა და ანგარიშსწორების საშუალებისა, სავალდებულოა. მან უნდა გამორიცხოს ქვეყნის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნების ფულადი ერთეულის გამოყენება.

უცხოური ვალუტა შედარებით პირობითი და უფრო ზოგადი ცნებაა. ნებისმიერი მოცემული სახელმწიფოსთვის უცხოურ ვალუტას წარმოადგენს ყველა სხვა დანარჩენი სახელმწიფოს ეროვნული ფულადი ერთეული (ეროვნული ვალუტა). მაგალითად, საქართველოსთვის, რომლის ეროვნული ვალუტა ლარია, უცხოურ ვალუტად ითვლება ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ეროვნული ვალუტა, როგორიცაა: აშშ დოლარი, რუსული რუბლი, თურქული ლირა, იაპონური იენა და ა.შ. იმავდროულად, რუსეთისათვის, რომლის ეროვნული ვალუტა რუბლია, უცხოურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, აშშ დოლარი, თურქული ლირა, იაპონური იენა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-20 საუკუნის ბოლოსათვის წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის მასშტაბების ზრდამ გარკვეულწილად მოდურ ტერმინად გადააქცია „უცხოური ვალუტის“ ცნება და მას უფრო მეტი დატვირთვა შესძინა. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის მ. კაკულიას მოსაზრებით, „სწორედ უცხოური ვალუტაა ის ინსტრუმენტი, რომლის

საშუალებითაც ხორციელდება საერთაშორისო ვაჭრობა, ტექნოლოგიის გადაცემა თუ ტურიზმი“.

ეს განმარტება სწორია და მისაღები. ამასთან იგი, ჩვენი აზრით, გარკვეულ განვითარებასა და დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ უფრო სწორი და მისადაგებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყოველივე ზემოჩამოთვლილი ურთიერთობები და პროცესები ხორციელდება არა „უცხოური ვალუტის“, არამედ „მაღალკონვერტირებადი მყარი ვალუტის“ მეშვეობით. ამ დაზუსტების აუცილებლობა იქიდან გამომდინარეობს, რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებით წარმოშობილი ფინანსური ოპერაციების უმეტესი (ძირითადი) ნაწილი, მართალია, საქართველოსათვის (ასევე სხვა ქვეყნებისათვის) „უცხოურ ვალუტას წარმოადგენს, მაგრამ თვით აშშ-სათვის იგი „ეროვნული ვალუტაა“ და არა „უცხოური“. ანალოგიურად ითქმის ინგლისურ გირვანქა სტერლინგის, ევროს, რუსული რუბლის, იაპონური იენას, თურქული ლირას და სხვა ფულადი ნიშნების შესახებაც, რომლებიც საკუთარი ქვეყნებისთვის ეროვნულ ვალუტას, ხოლო სხვა ქვეყნებისათვის კი უცხოურ ვალუტას წარმოადგენენ.

უცხოური ვალუტის და საერთოდ ვალუტის ცნების შესახებ საკმაოდ ბუნდოვან, ერთობ საეჭვო და სადავო მოსაზრებას გამოთქვამს ცნობილი რუსი მეცნიერი ფინანსისტი პროფესორი მ.კ. ბუნკინა, რომელიც აცხადებს, რომ „ყველა ეროვნული ფულის ნიშანი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ვალუტა. ვალუტად იქცევა ის ფული, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობის მიერ საყოველთაო ექვივალენტადაა მიჩნეული.

მოტანილი დებულებიდან აშკარად ჩანს, რომ დიდად პატივცემული მეცნიერი სხვა (ამასთანავე, მიუღებელი) პრიზმით უყურებს ვალუტის არსს და, ვფიქრობთ, ასეთი განმარტებით ფაქტობრივად ერთმანეთში აქვს არეული ფინანსურ ვალუტასთან დაკავშირებული და ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ისეთი სავალუტო კატეგორიები, როგორიცაა: ეროვნული

ვალუტა, უცხოური ვალუტა და მსოფლიო ვალუტა, რომელსაც მაღალი კონვერტირებადობის უნარის გამო სარეზერვო ვალუტის სტატუსი გააჩნია.

გამოყენებადობის თვალთახედვიდან გამომდინარე, ჩვენი შეხედულებით, უცხოურ ვალუტად უნდა მივიჩნიოთ ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული ფულადი ან სახელმწიფოთა ჯგუფისათვის სამოქმედოდ შემოღებული ერთიანი ფულადი ერთეული, რომელიც შეიძლება გადაიცვალოს მოცემული ქვეყნის ვალუტაზე დადგენილი სავალუტო კურსის შესაბამისად.

კოლექტიური (რეგიონული) ვალუტა გულისხმობს სხვადასხვა სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთიანი ვალუტის (ფულადი ნიშნის) შემოღებას, რომელიც შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებისათვის ძირითად საანგარიშსწორებო და საგადასახდელო საშუალებას წარმოადგენს.

კოლექტიური (რეგიონული) ვალუტის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს მე-20 საუკუნის 70-იან წლების ბოლოს (1979 წელს) ევროგაერთიანების ჩარჩოებში დაწყებული ევროპის სავალუტო სისტემის (ესს) ფორმირება და ამ სისტემის მოქმედების მექანიზმად ერთიანი საანგარიშსწორებო ერთეულის - ეკიუს გამოყენება („ეკიუ“ ინგლისურად ნიშნავს „ევროპის ფულად ერთეულს“), რომელიც 1995 წელს შეიცვალა ახალი საანგარიშსწორებო ერთეულით „ევრო“-თი და 2002 წლიდან იგი გადაიქცა ევროპის 12 სახელმწიფოს ფულად ერთეულად (კოლექტიურ ვალუტად).

მსოფლიო ვალუტის ცნებაში იგულისხმება ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ვალუტა (ფულადი ერთეული), რომელიც, თავისი სიმყარის და მაღალსაიმედოობის გამო, საანგარიშსწორებო - საგადასახდელო ფუნქციებს ასრულებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე სახელმწიფოთა შორის (საერთაშორისო) სავალუტო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

როგორც პროფესორი რ. კაკულია აღნიშნავს, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება მოითხოვს გამონახულ იქნეს ისეთი ფენომენი, რომელიც უზრუნველყოფს

საანგარიშო ერთეულის, მიმოქცევისა და ანგარიშსწორების, აგრეთვე დაგროვების საშუალებისა და ღირებულების საზომის ფუნქციების შესრულებას, რომელთა გარეშეც გაცვლა მატერიალური, ბარტერული გაცვლის სტადიიდან ვერ გამოვა“.

ასეთ „ფენომენს“, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ფულადი ერთეული - დოლარი, რომელიც ფაქტობრივად მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან უზრნველყოფს საერთაშორისო (მსოფლიო) სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებში საანგარიშო ერთეულის, ანგარიშსწორების, გადახდისა და დაგროვების საშუალებებისა და ღირებულების საზომის ფუნქციების შესრულებას, რის გამოც იგი აღიარებულია მსოფლიო ვალუტად და, ამასთანავე მიკუთვნებული აქვს სარეზერვო ვალუტის სტატუსი.

ვალუტის სტაბილურობის, კონკურენტუნარიანობისა და ქვეყნის გარეთ ფუნქციონირების უნარი დამოკიდებულია მისი კონვერტირებადობის დონეზე.

ვალუტის კონვერტირებადობაში იგულისხმება ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ფულადი ერთეულის (ვალუტის) სხვა ქვეყნების ეროვნულ ვალუტებზე თავისუფალი და შეუზღუდავი გაცვლის უნარი მოქმედი სავალუტო კურსის შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ რეალობას მოკლებულია და ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი უცხოელი სპეციალისტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თითქოს „სხვა ვალუტებში“ უნდა ვიგულისხმოთ არა სხვა ქვეყნების ფულადი ერთეულები (რომლებზეც მოცემული ქვეყნის სავალუტო ბაზარზე არ არსებობს პერმანენტული მოთხოვნა და მიწოდება), არამედ საერთაშორისო სარეზერვო ვალუტებიდან (აშშ დოლარი, ევრო, იაპონური იენა) რომელიმე მათგანი.

ვალუტის კონვერტირებადობა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი მ. კაკულია, დამოუკიდებელი ფენომენია, რომელიც თვით ფულის ბუნებიდან მომდინარეობს და ამ ცნების ძირითადი მახასიათებელია მოცემული ფულადი ერთეულის თავისუფალი გაცვლადობა, რაც

შინაგანად გულისხმობს გადახდის საყოველთაო საშუალებად მის გამოყენებას.

ეროვნული ფულადი ერთეულის (ვალუტის) სხვა ქვეყნების ვალუტებზე თავისუფალი გაცვლადობის უნარისა და დონის მიხედვით ეროვნული ვალუტები იყოფა შინაკონვერტირებად და გარეკონვერტირებად ვალუტებად.

ვალუტის შინაკონვერტირებადობა გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყნის შინა სავალუტო ბაზარზე, სახელმწიფოს მხრიდან რაიმე შეზღუდვების გარეშე, ამ ქვეყნის ეროვნული ფულადი ერთეულის სხვა სახელმწიფოთა ვალუტებზე გაცვლის პერმანენტული მოთხოვნისა და მიწოდების არსებობას.

შინაკონვერტირებადობის პირობებში ეროვნული ვალუტის გაცვლა სხვა ვალუტებზე ხორციელდება მხოლოდ ქვეყნის შიგნით და ამ ვალუტაზე მოთხოვნა სხვა სახელმწიოფოების მხრიდან არ არსებობს, ე.ი. ეროვნულ ვალუტას ახასიათებს დაბალკონვერტირებადობის უნარი და მოქმედების მცირე მასშტაბი (დაბალი დონე). ქართული ლარი წარმოადგენს შინაკონვერტირებადი ვალუტის ტიპიურ მაგალითს.

გარეკონვერტირებადობის ცნებაში იგულისხმება მოცემული ქვეყნის ეროვნული ფულადი ერთეულის როგორც ქვეყნის შინა ბაზარზე, ასევე სხვა ქვეყნების (გარე) სავალუტო ბაზრებზე თავისუფლად გაცვლის უნარი, რომლის დროსაც ადგილი აქვს ამ ვალუტაზე ემიტენტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ რეგულარულ მოთხოვნა-მიწოდებას, რითაც იგი იქცევა უცხოურ ვალუტად და იძენს თავისუფლად გამოყენებადი ვალუტის სტატუსს.

ეროვნული ვალუტის გარეკონვერტირებადობა თავისთავად მიგვანიშნებს ვალუტის ემიტენტი ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო ინტეგრაციაში ჩართვაზე. ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს მოცემული ვალუტის სხვა ქვეყნების ეროვნულ ვალუტებზე გაცვლადობის (კონვერტირებადობის) მაღალ უნარზე, რომლის მასშტაბების გაზრდა მსოფლიო დონეზე იწვევს ამ ვალუტის მსოფლიო ვალუტად გადაქცევას (მაგალითად, აშშ დოლარი, ევრო) და ანიჭებს მას სარეზერვო ვალუტის ფუნქციას.

ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის დონეს, უნარსა და შესაძლებლობას, ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერესთან ერთად, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული და რეალიზებული სავალუტო პოლიტიკა, მისი სისწორე და ოპტიმალურობა, რომელიც უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს საბაზრო ეკონომიკის რეგულირების სისტემაში.

სავალუტო პოლიტიკა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განუყოფელი (ორგანული) ნაწილია, რომელზედაც აგებულია ქვეყნის სავალუტო ურთიერთობანი და სავალუტო სისტემა.

სავალუტო პოლიტიკა, როგორც ქვეყნის ფულად-საკრედიტო და, მთლიანობაში, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, წარმოგვიდგება სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემად (ერთობლიობად), რომლის სტრატეგიულ მიზანს შეადგენს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, უმუშევრობის და ინფლაციის დონის შემცირება და საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის მიღწევა-შენარჩუნება.

პროფესორი რ. კაკულიას მიერ ჩამოყალიბებული ფორმულირების თანახმად, „სავალუტო პოლიტიკა არის ეკონომიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებსაც ახორციელებენ სახელმწიფო ორგანიზაციები და სახელმწიფოთაშორისო დაწესებულებები მათი საპროგრამო მიზნობრივი მითითებების საფუძველზე“.

სავალუტო პოლიტიკის არსის შესახებ ასევე საკმაოდ ყურადსაღები მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფესორ ლ. კრასავინას. ავტორი, სავალუტო პოლიტიკას მიიჩნევს რა საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად, აღნიშნავს, რომ „სავალუტო პოლიტიკა არის ქვეყნის სიმდიდრე და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად საერთაშორისო სავალუტო და სხვა ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებათა ერთობლიობა“.

როგორც მოტანილი ფორმულირებიდან ჩანს, პროფ. ლ კრასავინა სავალუტო პოლიტიკის არსის განსაზღვრისას მთავარ აქცენტს აკეთებს საერთაშორისო სავალუტო და სხვა ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში განსახორციერლებელ ღონისძიებებზე და ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქვეყნის შიგნით აუცილებელ სავალუტო და სხვა ეკონომიკურ ურთიერთობებს. სწორია პატივცემული მეცნიერი შეხედულება იმის თაობაზე, რომ სავალუტო პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზნების (მყარი ეკონომიკური ზრდის, უმუშევრობის და ინფლაციის შემცირების, საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის შენარჩუნების) მისაღწევად.

სავალუტო პოლიტიკა ყალიბდება და იურიდიულად ფორმდება სავალუტო კანონმდებლობით, აგრეთვე სავალუტო შეთანხმებით. სავალუტო კანონმდებლობა, მოიცავს შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომელთა საფუძველზედაც რეგულირდება სავალუტო ოპერაციების განხორციელების წესი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. სავალუტო შეთანხმებები, რომელიც შეიძლება იყოს ორმხრივი ან მრავალმხრივი, წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის სავალუტო პრობლემებზე შედგენილ თანხმობით იურიდიულ დოკუმენტს.

სავალუტო პოლიტიკა განსაზღვრავს სავალუტო პრობლემებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მომზადებას, მიღებას და მათ რეალიზაციას. ქვეყნის პოლიტიკაის განმსაზღვრელ ფაქტორებს მიეკუთვნება ეროვნული მატერიალური წარმოების დონე, საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა, ქვეყნისთვის ძვირფასი ლითონების (ოქროს) მარაგისსაკმარისობა, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობის (რყევადობის) დონე, ინფლაციის დონე და ინფლაციური პროცესის მართვადობის ხარისხი და სხვა.

სავალუტო პოლიტიკა, აღებული მსხვილ (მსოფლიო) მასშტაბში, წარმოგვიდგება სტრუქტურული სავალუტო პოლიტიკის და მიმდინარე სავალუტო პოლიტიკის სახით.

სტრუქტურულ სავალუტო პოლიტიკაში იგულისხმება გრძელვადიან ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია მსოფლიო სავალუტო სისტემაში სტრუქტურული ცვლილებების გასატარებლად სავალუტო რეფორმების განხორციელების გზით. მიმდინარე სავალუტო პოლიტიკა კი წარმოადგენს ღონისძიებათა სისტემას (ერთობლიობას), რომელთა განხორციელების მიზანს შეადგენს სავალუტო კურსის, სავალუტო ოპერაციების, სავალუტო და ოქროს ბაზრების და სხვათა ოპერატიული (ყოველდღიური) რეგულირება.

სავალუტო პოლიტიკის ძირითად ფორმებად გვევლინება: დისკონტური პოლიტიკა, დევიზური პოლიტიკა, სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაცია, სავალუტო კურსის რეჟიმის რეგულირება და ა.შ.

დისკონტური (სააღრიცხვო) პოლიტიკა, როგორც სავალუტო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, გულისხმობს ქვეყნის ცენრტალური ბანკის მიერ სააღრიცხვო (საპროცენტო) განაკვეთების ცვლილებას, რომელიც მიმართულია სავალუტო კურსის და საგადასახდელო ბალანსის, აგრეთვე შინა კრედიტების, ფულადი მასის და ერთობლივი მოთხოვნის რეგულირებისაკენ.

დევიზური პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს ეროვნული ვალუტის კურსზე ზემოქმედების მეთოდს და ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების (ცენტრალური ბანკის) მიერ ეროვნული ფულადი ერთეულის გაცვლითი კურსის რეგულირების მიზნით სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გზით, პრაქტიკაში ცნობილია სავალუტო ინტერვენციის სახელწოდებით. კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, სავალუტო ინტერვენცია გამოიხატება ეროვნული ბანკის მიერ ღია ბაზარზე უცხოური ვალუტის გაყიდვაში (როცა ინტერვენციის მიზანს შეადგენს ეროვნული ვალუტის კურსის გამყარება) ან კიდევ, პირიქით, უცხოური ვალუტის ყიდვაში, თუ ოპერაციის მიზანი ეროვნული ვალუტის გაცვლიტი კურსის შემცირებაში მდგომარეობს.

სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაციის, როგორც სავალუტო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმის, არსი მდგომარეობს სახელმწიფოსა და მისი ცენტრალური (ეროვნული) ბანკის მიერ გატარებულ პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია სავალუტო რეზერვების სტრუქტურის რეგულირებაზე მათ შემადგენლობაში სხვადასხვა ვალუტების ჩართვის გზით. ეს პოლიტიკა, ჩვეულებრივად, ხორციელდება არასტაბილური ვალუტების გაყიდვის და უფრო მყარი ვალუტების ყიდვის გზით, რომლის მიზანს შეადგენს სავალუტო ინტერვენციების გატარებისა და საერთაშორისო ანგარიშსწორების წარმოების შესაძლებლობა, აგრეთვე ვალუტის დაცვა მოსალოდნელიდანაკარგებისაგან.

რაც შეეხება სავალუტო კურსის რეჟიმების პოლიტიკას, იგი მოიცავს ვალუტების ეროვნული და სახელმწიფოთაშორისი რეგულირების საკითხებს, რომლის ობიექტს წარმოადგენს სავალუტო პარიტეტების და სავალუტოკურსების რეჟიმი. ამ რეჟიმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სავალუტო კურსების სახელმწიფოთაშორისი რეგულირებისათვის, ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების (1904წ.) შესაბამისად, ამ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდში (სსფ) დაფიქსირებული ეროვნული ვალუტის საბაზრო კურსისა (აშშ დოლართან მიმართებაში) და ოქროს ოფიციალური ფასის მიხედვით დგინდება ამა თუ იმ ვალუტის ოქროშემცველობა (ფასების მასშტაბი) რომლითაც განისაზღვრებოდა მოცემული ვალუტის სხვა ვალუტებზე გასაცვლელი (გაცვლითი) კურსი. ამჟამად, საკურსო პოლიტიკის სრულყოფისა და სავალუტო კურსების უფრო ზუსტად განსაზღვრისათვის მიმართავენ „საერთაშორისო სამომხმარებლო კალათის“ მონაცემთა გამოყენებას.

სავალუტო პოლიტიკის ტრადიციულ მეთოდებს წარმოადგენს ვალუტის დევალვაცია და რევალვაცია, რომელიც ერთ შემთხვევაში გულისხმობს ეროვნული ვალუტის კურსის შემცირებას უცხოური და კოლექტიური ვალუტების მიმართ (დევალ-

ვაცია), რომლის მთავარი მიზანი და ობიექტური საფუძველი მდგომარეობს მოცემული ვალუტის ოფიციალური სავალუტო კურსის მის საბაზრო კურსთან შედარებით ამაღლებაში, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირიქით, ითვალისწინებს ეროვნული ვალუტის კურსის ამაღლებას უცხოურ (კოლექტიურ) ვალუტებთან ან საერთაშორისო სააღრიცხვო სავალუტო ერთეულებთან (CDP) მიმართებაში (რევალვაცია).

სავალუტო პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს სავალუტო ურთიერთობანი და ამ ურთიერთიობათა რეგულირება.

სავალუტო ურთიერთობათა ცნების ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური ურთიერთობანი, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო ფულის ფუნქციონირებასთან და ემსახურება ქვეყნებს შორის სამეურნეო კავშირების სხვადასხვა ფორმებს, როგორიცაა საგარეო ვაჭრობა, კაპიტალის გატანა, სესხების გაცემა, სამეცნიერო-ტექნიკური გაცვლა, ტურიზმი, სახელმწიფო და კერძო გადარიცხვები.

სავალუტო რეგულირება, როგორც პროფესორი ლ. კრასავინა მიუთითებს, არის სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ანგარიშსწორების და სავალუტო ოპერაციების განხორციელების წესის რეგლამენტაცია, რომელიც ხორციელდება ეროვნულ (სახელმწიფოებრივ), სახელმწიფოთაშორის და რეგიონულ დონეზე. სახელმწიფოთაშორისი სავალუტო რეგულირების განვიტარება ქვეყნებს შორის სამეურნეო კავშირების გაფართოებისა და ინტერნაციონალიზაციის პირდაპირი შედეგია, რომლის მთავარ მიზანს შეადგენს ცალკეული ქვეყნების ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება, წამყვანი სახელწიფოების სავალუტო პოლიტიკის სხვა ქვეყნების სავალუტო პოლიტიკასთან შეხამება და სხვა.

სავალუტო ურთიერთობათა რეგულირება წარმოდგენილია რამდენიმე დონით. პირველ დონეს შეადგენს კერძო საწარმეობი, რომელთა შორის პირველ რიგში გამოიყოფა ნაციონალური და საერთაშორისო ბანკები და კორპორაციები, რომლებიც

ფლობენ მსხვილ სავალუტო რესურსებს და აქტიურად მონაწილეობენ სავალუტო ოპერაციების განხორციელებაში. მეორე დონეზე იმყოფებიან ცალკე აღებული ნაციონალური სახელმწიფოები თავიანთი ფინანსთა სამინისტროს, ქვეყნის ცენტრალური ბანკ(ებ)ის და სავალუტო კონტროლის ორგანოების სახით, ხოლო სავალუტო ურთიერთობათა მესამე (უმაღლესი) დონე წარმოდგენილია სახელმწიფოთაშორისი დონით.

სახელმწიფოთაშორისი სავალუტო ურთიერთობათა რეგულირების საჭიროება, რომელიც წარმოდგენილია სავალუტო, საკრედიტო და ფინასური პოლიტიკის კოორდინაციის ფორმით, განპირობებულია რიგი მიზეზებით, როგორიცაა: სუვერენულ სახელმწიფოთა ნაციონალური ეკონომიკების (მათ შორის მათი სავალუტო, საკრედიტო და ფინანსური ურთიერთობების) ურთიერთდამოკიდებულების გაძლერება; საბაზრო და სახელმწიფო რეგულირებას შორის თანაფარდობაში საბაზრო რეგულირების სასარგებლოდ მომხდარი ცვლილებები (რაც განპირობებულია სამეურნეო ურთიერთობათა ლიბერალიზაციით); მსოფლიო არენაზე ძალთა განლაგებაში მომხდარი ცვლილებები, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის ერთპიროვნული ლიდერობის შეცვლა სამთა (აშშ, დასავლეთ ევროპა, იაპონია) ბატონობით. ამას ემატება უდიდესი მასშტაბის არასტაბილური მსოფლიო სავალუტო, საკრედიტო და ფინანსური ბაზრები, რომლებიც მცოცავი სავალუტო კურსების და საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი რყევების, საბირჟო კრიზისებისა თუ პერიოდული სანავთობო შოკების გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ უკვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე აბსოლუტურად ავტონომიური ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის (მათ შორის სავალუტო, საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკის) არსებობა, ფაქტობრივად, შეუძლებელია და, ამასთან, შეუთავსებელიც იქნება სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების განვითარებასთან და მსოფლიო ეკონომიკაში

მათ ინტეგრაციასთან.

სავალუტო პოლიტიკისაგან, ცხადია, უნდა განვასხვავოთ „სავალუტო სისტემა“, რომელიც როგორც პროფესორი რ. კაკულია აღნიშნავს „წარმოადგენს ფულად ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც მსოფლიო მეურნეობის წარმოების სხვადასხვა აგენტებს შორის მიმდინარე საერთაშორისო საგადასახდელო-საანგარიშსწორებო ოპერაციების გამასაშუალებელი მექანიზმია“.

სავალუტო სისტემაზე მსჯელობისას ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ეროვნული სავალუტო სისტემა და მსოფლიო (საერთაშორისო) სავალუტო სისტემა.

ეროვნული (ნაციონალური) სავალუტო სისტემა წარმოადგენს ცალკე აღებული ქვეყნის ფულადი სისტემის შემადგენელ ნაწილს, რომელიც განმტკიცებულია ეროვნული კანონმდებლობით (იმავდროულად, საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით). ეროვნული სავალუტო სისტემა, მისთვის დამახასიათებელი დამოუკიდებლობის ნიშნების შემცველობის გამო გარკვეულად გამოდის ეროვნულობის საზღვრებიდან.

ეროვნული სავალუტო სისტემისაგან განსხვავებით, მსოფლიო სავალუტო სისტემა წარმოადგენს საერთასორისო სავალუტო ურთიერთობათა ორგანოზაციის ფორმას, რომელიც წარმოიშვა სახელმწიფოთა შორის სამეურნეო კავშირების ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე და კანონმდებლურად განმტკიცებულია სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებით.

ისტორიულად, ცხადია, ეროვნული სავალუტო სისტემის წარმოშობა წინ უსწრებდა მსოფლიო სავალუტო სისტემის წარმოშობას. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორივე დონის სავალუტო სისტემას აქვთ ერთმანეთისაგან განსხვავებული მიზნები, ამოცანები, ფუნქციები და რეგულირების მექანიზმები, ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სისტემების და ფუნქციონირების პროცესში მნიშვნელოვნად ავსებენ და სრულყოფენ ერთიმეორეს.

სავალუტო პოლიტიკა, მისი როლისა და მნიშვნელობიდან

გამომდინარე, სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკასა და , მითუმეტეს, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასტან ერთად (მთლიანობაში) ინდა უზრუნველყოფდეს ისეთი უმნიშვნელოვანესი სოციალუ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა:

❖ ერთობლივი ეროვნული შინა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა და შენარჩუნება;

❖ ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ერთობლივ შინა პროდუქტთან პროცენტული თანაფარდობის მინიმუმამდე დაყვანა და მისი სრულად აღმოფხვრა;

❖ ეროვნული ვალუტის ინფლაციის მაჩვენებლია ერთნიშნა ციფრში გამოსახვა და უცხოური ვალუტის მიმართ მისი კურსის სტაბილური ზრდის უზრუნველყოფა;

❖ ეროვნული ბანკის მიერ მთავრობაზე გასაცემი ცენტრალიზებული სესხების მოცულობის შეზღუდვა და კრედიტების ოფიციალური საპროცენტო განაკვეთის ოპტიმიზაცია;

❖ ეკონომიკის დარგებს შორის კრედიტების ცენტრალიზებული წესით განაწილების სისტემაზე უარის თქმა და კომერციული ბანკების რეფინანსირების ფორმაზე გადასვა;

❖ ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაცია ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გზით;

❖ ეროვნული ბანკის რეზერვების ზრდის სტიმულირება და სავალუტო რეზერვების მართვის ეფექტიანობის ამაღლება;

❖ საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაციებთან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპის ბანკი) საქმიანი კონტაქტების განვითარება, მათგან შეღავათიანი კრედიტების მიღება და მათი გონივრული განთავსება-ათვისება;

❖ პრივატიზაციისა და მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამების განხორციელება;

❖ საწარმოო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს შორის საბაზრო პრინციპის ფინანსური ურთიერთობის ჩამოყალიბება, საბიუჯეტო დაფინანსებაში ხარჯვითი მიდგომების დაძლევა, საფინანსო-საკრედიტო სისტემაში დისპროპორციების ლიკვიდაცია და სხვა.

სავალუტო პოლიტიკა, ისევე, როგორც მთლიანად ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ეფექტური და სახელმწიფოს ინტერესების სრული გამომხატველიუნდა იყოს. ამიტომ საჭიროა, რომ ეს პოლიტიკა უთუოდ გათვლილი და ორიენტირებული იქნას ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მიღწევაზე და მის შემდგომ ამაღლებაზე.

ლიტერატურა:

1. რ. ბასარია, ი. მესხია. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები თბ. 1996 წ.

2. მ. კაკულია. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბ. გამომცემლობა შპს „ფინანსები“ 2001 წ.

3. მ. კაკულია. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში 2001 წ.

4. რ. კაკულია. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები. თბ. 1995 წ.

REFERENCES:

1. R. Basaria, I. Meskhi – Bases of Economic Theory, Tbilisi, 1996

2. M. Kakulia – Problems of Currency Systems Development in Georgia, Tbilisi, publishing house, Ltd “Finances”, 2001

3. M. Kakulia – Problems of Currency Systems Development in Georgia, 2001

4. R. Kakulia, International Monetary and Credit Affairs, Tbilisi, 1995

CURRENCY AND CURRENCY POLICY ISSUES

Malxaz Gvichia
Academic Doctor of Economics

RESUME

The presented work reviews and analyses the currency policy essence, role and importance, currency rate regulation as the element of the currency policy. The author formulates the financial currency definition, categorizes their activity area and spare of influence, as well the currency exchange rate and stability. After studying and analyzing the opinions of the different scientist-economists we came to the conclusion that the currency policy is the system of economic actions taken by the state and it aims at ensuring the country's sustainable economic development, decreasing the level of unemployment and inflation, achieving the revenue balance.

Key words: Currency, currency policy, national currency, foreign currency, collective (regional) currency, essence of the world currency.

საბანკო საინვესტიციო საქმიანობის არსი და თვისებები

მალხაზ ოქრომელიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ახალი საწარმოების შექმნა, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, საწარმოების მოდერნიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ინვესტიციებთან. ნებისმიერი ქვეყნისათვის ინვესტიციები არის ეკონომიკის განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა.

საინვესტიციო გარემო არის ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ქვეყნისათვის და განსაზღვრავს შესაძლებლობებს და სტიმულებს, რათა ფირმებმა გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები, განახორციელონ ინვესტიციები, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გლობალურ კონკურენციაში.

საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების მიზნით, მნიშვნელოვანია განხორციელდეს ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული საკითხების მიზანმიმართული და კომპლექსური გადაჭრა, როგორიცაა: მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა; ცივილიზებული სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით; სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევით და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: საბანკო საინვესტიციო საქმიანობა, უნივერსალური ბანკი, საფინანსო სისტემა, სამართლებრივი სისტემა, ინვესტიცია, რისკი.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე პირობებში საბანკო საინვესტიციო საქმიანობა ხდება მნიშვნელოვანი ფაქტორი ეკონომიკური ზრდისთვის,

იმ პირიბით, თუ სტრატეგიულად ურთიერთქმედებენ საფინანსო–საკრედიტო სისტემა, სახელმწიფო და რეალური ეკონომიკური სექტორი. ამ პროცესის წამყვანი ძალაა კერძო ბიზნესის განვითარება და მოსახლეობის დანაზოგების წილის ზრდა, რომელიც ბანკების საინვესტიციო რესურსების ერთერთ წყაროს წარმოადგენს. თუმცა, საწარმოს გრძელვადიანი საინვესტიციო დაკრედიტების მოთხოვნა არ ემთხვევა კომერციული ბანკებისგან სასესხო კაპიტალის შეთავაზებას. უფრო მეტიც, რენტაბელობის ხარისხი რეალურ ეკონომიკურ სექტორში ხშირად შესაძლებლობას არ აძლევს კომერციულ ორგანიზაციას მოიზიდოს აუცილებელი მოცულობის ინვესტიცია ფართომასშტაბიანი საინვესტიციო პროექტების განსახორიცელებლად.

თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კომერციული ბანკების საინვესტიციო გარემოს განვითარებაზე, რომელთა მასშტაბებზეც გავლენას ახდენს საინვესტიციო რესურსების არსებობა და მათი მართვის ეფექტური სისტემა.

უნივერსალური ბანკის განსაზღვრა ისევე, როგორც ცალკეული სპეციალიზებული ბანკის (მაგალითად საინვესტიციო) განსაზღვრა, არაა მარტივი. პირველი იმის გამო, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა საფინანსო სისტემები, რომელთა ელემენტი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მეორე, სხვადასხვა ქვეყანის სამართლებრივ სისტემებში მსგავსი ტერმინები შესაძლოა სხვადახსვაგვარად განისაზღვრებოდეს, რაც შესაბამისად იწვევს ზოგად ტერმინოლოგიურ დაბნეულობას. მესამე, იმის გამო, რომ განსაზღვრა და ტერმინოლოგია არ არის სტატისტიკური ერთეულები და მოდიფიცირდება, ე.ი. განიცდის ტერმინოლოგიურ ევოლუციას. უფრო რთული სიტუაციაა ტერმინების განმარტებაში, რომელიც დე–ფაქტოდ არსებობენ ეროვნულ ენობრივ საშუალებებში, ან გლობალურ დონეზე. მაგალითად ეს ეხება ტერმინს „საინვესტიციო ბანკი“. იმისთვის, რომ იგი განისაზღვროს, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიყენოთ სამართლებრივი

განმარტება, ვინაიდან იგი უბრალოდ არ არსებობს უმეტესი ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში.

ჩვენი აზრით, კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობა შეიძლება გაგებული იქნას, როგორც უნივერსალური და სპეციალიზებული ბანკების საქმიანობა, რომელიც მიმართულია: საინვესტიციო პროექტების ინვესტირებაზე, პირველად ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ემისიასა და განთავსების ორგანიზებაზე, საინვესტიციო კომპანიების მართვაზე, უძრავი ქონებით გარიგებების განხორციელებაზე, კონსალტინგურ-ანალიტიკურ საქმიანობაზე, საბროკერო-სადილერო ოპერაციების ჩატარებაზე, აგრეთვე საინვესტიციო მოგების მიზნით განხორციელებულ შერწყმასა და მიერთებაზე.

ბევრი მკვლევარი თვლის, რომ საინვესტიციო ბანკის სათავეები აშშ–დან მომდინარეობს, თუმცა აშშ–ს სამართლებრივ სისტემაში „საინვესტიციო ბანკი“ განმარტება არ ფიგურირებს. თუ ჩვენ მივმართავთ საბანკო კანონმდებლობას ძირითად დოკუმენტებს აშშ–ში, რომელიც პირდაპირ კავშირშია ჩვენი საკვლევ თემასთან, აღმოჩნდება, რომ განმარტება „საინვესტიციო ბანკი“ ამ დოკუმენტებში არ არის დაფიქსირებული. ის არ არის დაფიქსირებული არც გლასს–სტიგალლის ცნობილ სამართლებრივ აქტში, რომელმაც 1933 წელს აშშ-ში განაცალკევა კომერციული და საინვესტიციო საბანკო საქმიანობა.

რაც შეეხება როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთის, ლექსიკონურ და თეორიულ წყაროებს, მათში მოცემულია „საინვესტიციო ბანკის“ სხვადასხვა განმარტება, მაგრამ როგორც წესი, ყველა ისინი ეფუძნება ოპერაციათა ჩამონათვალს, რომელსაც ასრულებენ ეს ფინანსური ინსტიტუტები.

საინვესტიციო ბანკი თავისი ფუნქციის შესასრულებლად უნდა იყოს მომზადებული – შეასრულოს კვალიფიცირებული სპეციალისტების ბრძანებები, გააჩნდეს განვითარებული საინფორმაციო ანალიტიკური ბაზა, ხასიათდებოდეს მაღალი დონის ორგანიზაციული ბიზნეს–პროცესებით, რისთვისაც მნიშვნელოვანია გააჩნდეს სოლიდური რეპუტაცია.

დიდი ხნის განმავლობაში მკვლევართა და მარეგულირებელ ორგანოთა ყურადღების ცენტრში იყო რისკების საკითხი, რომელიც წამოიჭრებოდა საინვესტიციო საბანკო მომსახურებისას კომერციულ ბანკებში. კერძოდ, არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად ბანკი ურთიერთობას იწყებს კომპანიასთან საფონდო ბაზარზე გამოჩენისთანავე.

ახალი მონაწილეთათვის, კომერციულმა ბანკებმა წარმოადგინეს კარგი შესაძლებლობა, დაფუძნებული ფაქტიურ მონაცემებზე, შეეფასებინათ რისკი, რომელიც წამოიჭრებოდა ინტერესთა კონფლიქტის დროს მოცემული მიმართულებით მოღვაწეობის ჩარჩოში.

ამ პერიოდში ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევებმა არ მოგვცეს მტკიცებულება იმისა, რომ კომერციული ბანკები არის უფრო ხელსაყრელი სპეციალიზებულ კომპანიასთან პარტნიორობასთან შედარებით ინვესტორისა და ემიტენტისათვის. კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაცია, რომლესაც ბანკი აგროვებს მსესხებელზე კრედიტის აღების პროცესში და კლიენტის მონიტორინგისას წარმოადგენს დიდ ფასეულობას ანდერრეიტინგის საზოგადო ფასიან ქაღალდს. ამისთვის უნივერსალურ ბანკებს და საინვესტიციო ბანკებს ერთნაირად ესაჭიროებათ რეპუტაცია, ემიტენტზე ინფორმაციის დამახინჯებამ შესაძლებელია იმოქმედოს ბანკის რენტაბელობაზე ხანგრძლივი პერსპექტივით.

ინვესტიციის არსისა და მნიშვნელობის განმარტებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია განვაცხადოთ, რომ ინვესტიცია წარმოადგენს აუცილებელ ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც დიდი როლს თამაშობს ეკონომიკის როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე, როგორც სტრუქტურულ გარდაქმნებში, ასევე, მოგების მიღებასა და ამის საფუძველზე სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ასრულებენ მთელ რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკის განვითარება. ისინი წინასწარ

განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, ამაღლებენ მის საწარმოო პოტენციალს.

საინვესტიციო გარემო, ესაა ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც აა პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური, სოციალურ-კულტურული, სამართლებრივი და გეოგრაფიული, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ქვეყნისათვის და განსაზღვრავს შესაძლებლობებს და სტიმულირებას, რათა ფირმებმა გააფართოვონ საქმიანონის მასშტაბები, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გლობალურ კონკურენციაში. ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატი შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური. საინვესტიციო გარემო განსაზღვრავს შესაძლებლობებსა და სტიმულებს, რათა კომპანიებმა გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები.

დასკვნა

ინვესტიცია მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინვესტორის საინვესტიციო ქმედებების წახალისება ეკონომიკის განვითარებისთვის. ძირითადი მისწრაფება რაც კაპიტალის მესაკუთრეს ამოძრავებს არის ინვესტიციიდან მიღებული შემოსავალი. შესაბამისად, მათემატიკურად გამოთვლილი საინვესტიციო შემოსავალი ინვესტორს აძლევს საშუალებას ჯეროვნად შეარჩიოს საინვესტიციო პროექტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ., „საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები“ 2009 წ.;

2. მაგრაქველიძე, დ., “ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში” თბილისი 2011 წ.;

3. მინდელი ე. ჯულაყიძე ე. ინვესტირების ფინანსური პრობლემები. ქუთაისი, 1996წ.;

4. Белоусова О. Механизмы реализации инвестиционной стратегии / О. Белоусова // Проблемы теории и практики управления. — 2007. - №2. — С. 70-81.

5. Деньги, кредит банки: учебник / под ред. О. И. Лаврушина. - 3-е изд., перераб. и доп. - М.: КНОРУС, 2005. - 560 с.

REFERENCES:

1. Baratashvili E., Magrakvelidze D., Principles of investment environment improvement 2009 y

2. Magrakvelidze D., The investments in securities, Tbilisi, 2011

3. Mindeli E., Julakhidze E., The investment financial problems. Kutaisi. 1996;

4. Belousov O., Mechanisms for implementing the investment strategy /Belousova O.,// Problems of theory and practice of management.— 2007. - №2. — pg. 70-81.

5. Money, loan banks: a textbook / edited by Lavushina O.I. - 3-edition, revised and supplemented. M.KHNORUS, 2005. – pg. 560

THE ESSENCE AND FEATURES OF BANKING INVESTMENT ACTIVITIES

Malxaz Oqromelidze
PhD Student, GTU

RESUME

The creation of new enterprises, the introduction of modern technology, the modernization of enterprises are closely related to the investment. Investments for any country are the main driving force for economic development.

The investment environment is a combination of factors that characterize the country and determine the possibilities and stimulus, the firms to expand the scale of their activities, to make investments, to create new jobs and actively to participate in the global competition.

In the improvement of investment environment, it is important to have implemented such economic and organizational issues targeted and with complex solution,such as: reaching the macroeconomic stability; the creation of civilized legal space, which will strengthened by the market economy laws; the state's fiscal policy raising the foreground stimulating role and etc.

Key words: Banking investment activities, universal bank, financial system, legal system, Investment, risk.

მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი საბანკო სექტორში და მისი მომავლის გამოწვევები

ნინო ქავთარაძე
ბიზნესის ადმინისტრირების
აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტის არსი, მისი მნიშვნელობა. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საბანკო სქტორში თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის მნიშვნელობაზე, კლიენტთა შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავებით და შემდგომ გამოყენებით გაყიდვების ზრდისა და ახალი მომხმარებლების მოზიდვის შესაძლებლობებზე, ასევე კლიენტისთვის ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდებაზე, მათთვის ბანკთან ურთიერთობისას კომფორტის შექმნაზე, ნდობისა და ერთგულების მოპოვებზე, მოგების ზრდაზე.

საკვანძო სიტყვები: მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი– CRM, საბაკო სექტორი, IT ტექნოლოგიები, ინტერნეტ ბანკინგი, მოგების მაქსიმიზება.

შესავალი

კომპანიების მხრიდან მომხმარებელთა შესახებ გარკვეული ინფორმაციით დაინტერესებამ, როგორიცაა ასაკი, სქესი, მათი სურვილები და პრიორიტეტები, წარმოშვა მიზნობრივი მარკეტინგი, რომელმაც მოგვიანებით საფუძველი ჩაუყარა მომხმარებელთა ურთიერთობის მენეჯმენტს–CRM-ს.

1970-80–იან წლებში მომხმარებელთა ინერესების დაცვა მხოლოდ მომხმარებლისთვის სატელეფონო კონსულტაციებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ დღეს ნებიესმიერმა ბიზნესმენმა უნდა გააცნობიეროს, რომ მისი არსებობა ბაზარზე დამოკიდე-

ბულია სწორედ მისი მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე და შეხედულებებზე.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე პირობებში, ტექნიკის და ტექნოლოგიების განვითარებამ ახალი შესაძლებობები წარმოშვა და კიდევ უფრო დააახლოვა ერთმანეთთან მომხმარებელი და საბანკო სექტორი, რადგან ინტერნეტის საშუალებით კლიენტი უკვე თვითონ მართავს საკუთარ ანგარიშს, აწარმოებს ონლაინ შესყიდვებს, ანუ ეწევა თვითმოსახურბას, თავის მხრივ ბანკს ეს საშუალებას აძლევს უფრო მარტივად გამოიკვლიოს კლიენტთა მიერ მოთხოვნადი პროდუქტები და შეფასების მარტივი სისტემით გამოიკვლიოს მათი განწყობა მიწოდებული პროდუქტის მიმართ.

მაღალი ხარისხის CRM–ის გამოყენებით, ფირმა ახდენს მომხმარებელზე მაქსიმალურად მორგებული მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებას და მიზნობრივი მარკეტინგის შექმნას, თუმცა მანამდე აუცილებელია ზუსტი სტრატეგიის შემუშავება და მიზნების სწორად დადგენა.

თანამედროვე პირობებში, ბანკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტს, რომლის ყველაზე გავრცელებული და სრულყოფილი, ასევე ეფექტური ფორმაა CRM-ი. ბანკები ცდილობენ დააკმაყოფილონ რაც შეიძლება მრავალი და განსხვავებული მოთხოვნის მქონე მომხმარებლი, ამიტომ მათ უზრუნველყოფენ პროდუქტთა ფართო სპექტრით.

საბანკო სექტორის ერთ–ერთი უმთავრესი ამოცანა, ასევე კლიენტთა ერთგულების მიღწევაა, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მომხმარებელთა ინტერესების, მათი სურვილებისა და მოლოდინების დაკმაყოფილებით, თუმცა, რა თქმა უნდა, ამავდროულად ბანკის ინტერესების დაცვით, რაც მოგების მიღებაში მდგომარეობს. აქედან გამომდინარე, დღევანდელ დღეს, ბაზარზე კონკურენტუნარიანია ბანკი, რომელიც ფლობს და აქტიურად იყენებს გამართულ CRM და IT ტექნოლოგიებს.

ბანკი, კლიენტთა შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავებით და შემდგომ გამოყენებით, ახდენს მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისი შეთავაზებების მიწოდებას, რითაც უზრუნველყოფს გაყიდვების ზრდასა და ახალი მომხმარებლების მოზიდვას. მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი საჭიროებს მუდმივ დაკვირვებას, განსაკუთრბით დღეს, როდესაც ინტერნეტ ბანკინგი ფართოდაა გავრცელებული და საშუალებას აძლევს საზოგადოებას განახორციელოს სხვადასხვა სახის სწრაფი და მაღალი ხარისხის ოპერაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნული ამტკიცებს, რომ ბანკის წარმატებას სწორად შერჩეული და მართული CRM-ი განაპირობებს, ის პირველყოვლისა უზრუნველყოფს: 1) გაზრდილ შემოსავალს; 2) კლიენტთა ერთგულებას; 3) მომხმარებელთა საჭიროებებზე სწრაფ რეაგირებას; 4) მომხმარებლებთან ახლო ურთიერთობას.

ბანკები პატივს სცემენ მომხმარებელთა საჭიროებებს და მათ უპირატესობებს და ცდილობენ, რომ დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნები, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რაც დრო გადის, მით უფრო რთულდება მომხმარებელთა სწრაფად მზარდი მოლოდინების გამართლება.

ბანკები კლიენტებს სთავაზობენ ახალ–ახალ სერვისებს, რათა ხშირად მიიპყრონ მათი ყურადღება. განსაკუთრებული დაკვირვება მართებთ წინა ხაზის თანამშრომლებს, მათ კარგად უნდა ქონდეთ გააზრებული თავიანთი საქმიანობა და განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდონ თითოეულ მომხმარებელს, რადგან ისინი ყველაზე კარგად და ნათლად ხედავენ მომხმარებელთა განწყობას, იმას თუ რა მოქმედებს მათზე დადებითად და რა უარყოფითად. აქვე გასათვალისწინებელია ბიზნეს–სექტორის კლიენტები, მათთვის როგორც კორპორატიული კლიენტებისთვის განსაკუთრებული პროდუქტი უნდა იქნას შეთავაზებული.

ბანკის მხრიდან კლიენტის დაკარგვის ძირითადი მიზეზი მათთვის არასწორად მიწოდებული პროდუქტია, რაც საბო-

ლოოდ არაეფექტურს ხდის გაწეულ მომსახურებას, ამიტომ საჭიროა მომხმარებელთა მოსაზრების გამოკვლევა როგორც ელექტრონული რესურსების, ასევე ფილიალების მასშტაბით.

CRM სისტემის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის მთლიანად ორიენტირებულია მომხმარებელზე, იძლევა დროის ეკონომიას, ბიზნესის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის საშუალებას, რაც მათ მოკლე პერიოდში გამოსწორებას უზრუნველყოფს, საბოლოო ჯამში მომგებიან პოზიციაშია როგორც მომხმარებელი, რომელიც მიიღებს უკეთეს პროდუქტსა და მომსახურებას, ასევე ბიზნესმენი.

დასკვნა

მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი ბიზნესს საშუალებას აძლევს კლიენტს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია ნებისმიერ დროს, გააღრმაოს და უფრო კომფორტული გახადოს მათთან ურთიერთობა, გაზარდოს ნდობა და ერთგულება, რაც მიიღწევა მიწოდებული პროდუქტის მაღალი ხარისხითა და მისაღები ფასით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ზოგიერთი მომხმარებლის ქცევა მეტად არაპროგნოზირებადია, ამიტომ ბიზნეს სექტორი უფრო მეტად უნდა ჩაუღრმავდეს CRM ტექნოლოგიას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან უდაოა, რომ მომხმარებლისთვის პროდუქტის შდეთავაზება აუცილებელია მოხდეს წინასწარი კვლევის და სამიზნე ჯგუფის სწორად შერჩევით, რათა არ მოხდეს კლიენტისთვის უსარგებლო და უინტერესო პროდუქტის შეთავაზება, არ დაიხარჯოს რესურსი და დრო უშედეგოდ, რათა მოხდეს ბანკის მიერ რესურსების რაციონალურად ხარჯვა და მოგების მაქსიმიზება.

ლიტერატურა:

1. სერთიფიცირებული საჯარო ბუღალტრები და მრჩევლები. ოფიციალური ვებგვერდი: https://mbafcpa.com/advisories/crm-technology-can-change-way-banks-business/

2. ფორბსი. ოფიციალური ვებგვერდი: https://www.

forbes.com/sites/microsoftdynamics/2013/02/28/banking-driving-more-profitable-customer-relationships-by-using-crm/#2472b4e62c43

REFERENCES:

1. Certified Public Accountants And Advisors. Official Website: https://mbafcpa.com/advisories/crm-technology-can-change-way-banks-business/

2. Forbes. Official Website: https://www.forbes.com/sites/microsoftdynamics/2013/02/28/banking-driving-more-profitable-customer-relationships-by-using-crm/#2472b4e62c43

CUSTOMER RELATIONSHIP MANAGEMENT IN BANKING SECTOR AND ITS FUTURE CHALLENGES

Nino Kavtaradze
PhD Degree in Business Administration

RESUME

The present empirical paper investigates the following issues: customer relationship management and its importance. In this case, the special attention is paid to the bank sector and its modern technical and technological innovations, also to the importance of processing information about customers, using that information for providing further sales growth and new opportunities for attracting more customers, as well as to accurate and timely information delivery to the client, for providing comfort, gaining trust, loyalty and profit growth.

Key words: Customer Relationship Management - CRM, Banking Sector, IT Technologies, Internet Banking, Profit Maximization.

საერთაშორისო ფინანსური კრიზისების მიზეზების შესახებ

თინათინ გუგეშაშვილი,
ნანა ბენიძე,
ჯამბულ ბიწაძე
ე.ა.დ. აწსუ, ბიზნესის ადმინისტრირების
ასოცირებული პროფესორები

რეზიუმე

საერთაშორისო ფინანსების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალიზაციის პროცესები. გლობალიზაციის რეზულტატია სოციალურ–ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა, რაც გლობალურ პროცესში აქტიურ ჩართვას უშლის ხელს, ასევე გლობალიზაციის შედეგად ძალაუფლების გადანაწილება გავლენას ახდენს სახელმწიფო სექტორის პრიორიტეტებზე; გლობალიზაციის წამყვანი მოთამაშეები არიან ტრანსნაციონალური კომპანიები და ტრანსნაციონალური ბანკები, რომელთა ფილიალები განლაგებულია საზღვარგარეთ, ისინი შექმნილია უცხოური პირდაპირი ინვესტიციებით. ტნკ და მსოფლიო ფინანსური ბაზრები ახდენენ მზარდ ზეწოლას სახელმწიფოებზე, რაც ცვლის ძალთა თანაფარდობას სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. ხოლო საინფორმაციო რევოლუციამ მოიტანა დროითი და სივრცითი ზეწოლა. კრიზისების შედეგად საერთაშორისო ფინანსური რისკების მასშტაბმა შეიძლება გამოიწვიოს ნაციონალური, რეგიონული და გლობალური ზიანი, რაც არღვევს მსოფლიო ფინანსურ წესრიგს. შესაძლებელია საქმე მივიდეს სავალუტო სისტემის ცვლილებამდეც კი. კრიზისის გამოვლენის წინაპირობებიც სხვადასხვაგვარია, მაგრამ ყოველ მათგანს აქვს ობიექტური პირობები.კრიზისულ მოვლენის ძირითადი სიგნალია მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება. ქვეყნის დონეზე ინდიკატორებად გვევლინება საბიუჯეტო დეფიციტი, საგადასახდელო ბალანსის რო-

მელიმე ნაწილის უარყოფითი სალდო, ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების შემცირება. კრიზისული სიტუაციების მინიმიზაციისათვის აუცილებელია მაკროეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა, ცენტრალიზებული მექანიზმით, კერძოდ, G7 ჩარჩოურთიერთობების ფარგლებში. მსოფლიო სავალუტო ფონდს თუ სურს დარჩეს ისევ ძლიერ მნიშვნელოვან ინსტიტუციად, მან უნდა მოახდინოს უფრო სწრაფი და ადექვატური რეაქციები სავალუტო–საფინანსო სფეროში.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, საერთაშორისო, ბანკები, ფინანსები, ვალუტა, ტნკ, ტნბ, კრედიტი, რისკები.

შესავალი

მე–20 საუკუნის ბოლომდე გლობალიზაციის პროცესები იწოდებოდა როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელმაც მიიღო გლობალიზაციის ხასიათი საზღვარგარეთული ინვესტიციების ლიბერალიზაციის რეჟიმების, ფინანსური ბაზრების, საერთაშორისო კაპიტალის გადინებასთან კავშირში. ეკონომიკური გლობალიზაცია გახდა მამოძრავებელი ძალა, რამდენადაც სწორედ იგი ეხმარება წარმოებას და სხვდასხვა ქვეყნების ბაზრებს საქონლისა და მომსახურების ვაჭრობით კაპიტალის და ინფორმაციის მოძრაობის ურთიერთგადაჯაჭვული საერთაშორისო ტრანსნაციონალური კომპანიების ქონებრივ მართვაში.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს შეიქმნა წამყვანი საერთაშორისო სავალუტო–საფინანსო ინსტიტუტები, რომლებმაც ძირეული გავლენა მოახდინა საერთაშორისო ფინანსურ სისტემაზე. ამ ინსტიტუტების წარმოშობა გლობალიზაციის პროცესების შედეგია, რამდენადაც სავალუტო და ეკონომიკურ სფეროებში გლობალიზაციას მოაქვს ფინანსური ხარჯების ეკონომია ტრანზაქციური დანახარჯების და სავალუტო რისკების სფეროში. მაგრამ, მას თან ახლავს ახალი პრობლემები–ცალკეული ეროვნული ეკონომიკები იმდენად მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს სავალუტო–ფინანსური ურთიერთობებით, რომ პრაქტი-

კულად თითოეული ექვემდებარება საერთაშორისო სისტემური კრიზისის რისკს.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები დაჩქარდა გასული საუკუნის სამოციანი წლებისა და სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში შეინიშნებოდა ეკონომიკური ზრდის შენელება, რაც ითხოვდა კომპანიებისგან ხარჯების რადიკალურ შემცირებას. კომპანიებმა, რომლებიც ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ არსებული მოგების დონე დაიწყეს ახალი ექსპანსიური განვითარების სტრატეგიები ტრანსმოსაზღვრე დონეზე.

ძირითადი ტექსტი

როგორც ვიცით, გლობალიზაციის წამყვანი მოთამაშეები არიან ტრანსნაციონალური კომპანიები(ტნკ) და ტრანსნაციონალური ბანკები(ტნბ), რომელთა ფილიალები განლაგებულია საზღვარგარეთ, ისინი შექმნილია უცხოური პირდაპირი ინვესტიციებით.

ტნკ შექმნა და ფუნქციონირება, გლობალური ფინანსური ბაზრების განვითარება და ეკონომიკური გლობალიზაცია შესაძლებელი გახდა მსოფლიო ეკონომიკის უახლესი ტენდენციების გამო: ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრესი და საქონლისა და კაპიტალის მსოფლიო და ნაციონალური ბაზრების დერეგულირებით.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან, გლობალიზაციის დაჩქარება გამოწვეული იყო საქონლისა და მომსახურების, ხოლო შემდგომ ფინანსური ნაკადების რეგულირების ცვლილებებით. მნიშვნელოვანი გავლენა ამაზე მოახდინა ეროვნულ ბაზრებზე კაპიტალის ნაკადების დერეგულაციამ – სოციალური სახელმწიფოდან ლიბერალურზე გადასვლამ, ღია ბაზრებით და უცხოური ინვესტიციებისათვის უფრო მიმზიდველი გარემოთი. ამასთანავე, რეალური აქტივების მოძრაობაზე ბარიერების თანდათანობითი მოხსნა ჩამორჩა ფინანსური აქტივების მოძრაობის ლიბერალიზაციას.

ლიბერალურ პოლიტიკაზე გადასვლა გახდა გასული საუკუნის 70-იანი წლების რეცესიაზე შედეგი, რამაც გამოიწვია ბიუჯეტების დეფიციტი და უმუშევრობის ზრდა. გლობალიზაციის რეზულტატია სოციალურ–ეკონომიკური განვთიარების უთანაბრობა, რაც გლობალურ პროცესში აქტიურ ჩართვაში უშლის ხელს, ასევე გლობალიზაციის შედეგად ძალაუფლების გადანაწილება გავლენას ახდენს სახელმწიფო სექტორის პრიორიტეტებზე; ტნკ და მსოფლიო ფინანსური ბაზრები ახდენენ მზარდ ზეწოლას სახელმწიფოებზე, რაც ცვლის ძალთა თანაფარდობას სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის.

სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთი ქვეყნების ჯგუფების სავალუტო და საბანკო კრიზისებმა გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს მოიტანა სხვა კონტინენტებზე განვითარებული ქვეყნების სტაბილურობის საფრთხე. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სოციალურ–ეკონიმიკური და პოლიტიკურმა ცვლილებებმა მოიცვა არა მარტო ეს ქვეყნები, არამედ საერთაშორისო ეკონომიკური სივრცეც.

ზოგადად, ეკონომიკურ და ფინანსური კრიზისების ფუნდამენტურ მიზეზად გვევლინება ფულადი სფერო. მე–20 საუკუნის განმავლობაში ოქროს დემონეტიზაციამ მოიტანა პირობითი საკრედიტო ფულის ბატონობა, მათ შორის, საერთაშორისო ვალუტებისა, რომლებიც ემიტირდება საკრედიტო ოპერაციებით. აშშ დოლარის მასის ყოვლისმომცველმა ემისიამ მოიტანა საფონდო ბაზრებზე „ბუშტუკების“ წარმოქმნა, ეკონომიკების ჭარბი დაკრედიტება და საბოლოოდ ჭარბი მოხმარების კრიზისი. კრიზისების ყველა სხვა მიზეზებს არა აქვთ ფუნდამენტური ხასიათი და ხშირად წარმოადგენენ აღნიშნული ფუნდამენტური მიზეზების შედეგებს, ანუ წარმოადგენენ მეორე რიგის მიზეზებს.

კრიზისების შედეგად საერთაშორისო ფინანსურმა რისკებმა შეიძლება გამოიწვიოს ნაციონალური, რეგიონული და გლობალური ზიანი, რაც არღვევს მსოფლიო ფინანსურ წესრიგს. შესაძლებელია საქმე მივიდეს სავალუტო სისტემის ცვლილე-

ბამდეც კი. მეორე მხრივ, სწორედ კრიზისები (ან კრიზისული მოვლენები) ხშირად ხდებიან პროგრესის მამოძრავებელნი, ამის გამო, მუშავდება ანტიკრიზისული ზომები, რომლებსაც მინიმუმამდე დაყავთ კრიზისის შედეგები. ნებისმიერ შემთხვევაში ხდება გაანალიზება, სავალუტო–ფინანსური სფერო რეფორმირდება, საერთაშორისო და მსოფლიო არქიტექტურა ფინანსებში განიცდიან ტრანსფორმაციას.

საერთაშორისო ფინანსების დინამიკის მასშტაბური რღვევები თავისი ბუნებით სხვადასხვაა. მათი სახესხვაობა სავალუტო სისტემის მსოფლიო კრიზისი, სავალო კრიზისი, ასევე კრიზისები ფინანსურ ბაზრებზე – უპირველესად სავალუტო, საფონდო და საკრედიტო, რაც ართულებს საერთაშორისო ფინანსების როლის შესრულებას, ასევე საბირჟო და „საგადასახდელო ბალანსის კრიზისი“. როცა ფიქსირდება რომელიმე ფინანსური აქტივის შემცირება, ფინანსური ინსტიტუტების ან სახელმწიფოს მხრიდან, ამან შეიძლება მიგვიყვანოს მასიურ ბანკროტობამდე და ვალდებულებების შეუსრულებლობამდე – როგორც სახელმწიფო, ასევე ფინანსური ინსტიტუტების, კორპორაციების და ფიზიკური პირებისა.

კრიზისის გამოვლენის წინაპირობებიც სხვადასხვაგვარია, მაგრამ ყოველ მათგანს აქვს ობიექტური პირობები. უკანასკნელ პერიოდში უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში აქტიურად საუბრობენ კრიზისების სუბიექტურ მიზეზებზე და წინაპირობებზე. კრიზისულ მოვლენის ძირითადი სიგნალია მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება. ქვეყნის დონეზე ინდიკატორებად გვევლინება საბიუჯეტო დეფიციტი, საგადასახდელო ბალანსის რომელიმე ნაწილის უარყოფითი სალდო, ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების შემცირება.

და, რა თქმა უნდა, კრიზისების (განსაკუთრებით მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე), უმთავრეს მიზეზად გვევლინება ყოვლისმომცველი სპეკულაციები. ბაზრის რომელიმე სეგმენტის ხელოვნურად გამოწვეული გადახურებას მივყავართ „ბუშტუკების“ წარმოქმნამდე, მაშინ ხომ აქტივის ფასები იზრდება და

ამ ტენდეციის გამოყენებას ცდილობს ინვესტორთა დიდი რაოდენობა. ხოლო თანამდეროვე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება იძლევა შესაძლებლობას რისკები გადანაწილდეს სხვადასხვა რთული წარმოებული ინსტრუმენტებით (მეორე, მესამე ხარისხის), რასაც მოაქვს დიდი სპეკულაციური მოგება. ხოლო „ბუშტუკების გასკდომა“ იწვევს მსხვილმასშტაბიან დანაკარგებს.

გლობალურ ეკონომიკაში კრიზისებიც „გლობალურდება“. თანამედროვე ბაზრები იცვლიან სახეს და მინიმუმამდე კი არ დაყავთ, არამედ გადაანაწილებენ რისკებს. კრიზისულ სიტუაციებში ხდება სხვადასხვა რისკების ერთმანეთზე გავლენა, რაც ჩვეულებრივი მდგომარეობისაგან განსხვავდება. ამგვარად, კრიზისის დროს სახსრების მიწოდება მცირდება, ხოლო საპროცენტო განაკვეთი კრედიტებზე იზრდება, რაც იწვევს საფონდო ბაზარზე ვარდნას და დაფინანსების ფასის ზრდას. თუ „სპეციალიზებული“ კრიზისების დროს გასული საუკუნის 90–იან წლებში სახელმწიფოები კარგავდნენ წლიურად მშპ 15%–ს, თანამედროვე კრიზისებმა მოიტანა საგადასახდელო ბალანსების 2%–იანი და სახელმწიფო ვალის ზრდა, რასაც თეორიულად ჭირდება საშუალოდ აღსადგენად 5-6 წელი.

გლობალურ ეკონომიკაში დიდია ინფიცირების რისკი, ანუ კრიზისული სიტუაციების ქვეყნიდან ქვეყანაში გადატანა, შემდეგი ძირთიადი არხებით: ინსტიტუციური ინვესტორების პირდაპირი კავშირები; ტრანსმოსაზღვრე ოპერაციებით, საერთაშორისო ფინანსებში მონაწილეების „ჯოგური“ ქცევით და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასიმეტრიულობით.

2008 წლის ფინანსური მოვლენების შემდეგ მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე დამკვიდრდა ახალი ფენომენი – ფინანსური ინოვაციები, რომლებიც მოწოდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს ფინანსური რისკები და გაამაგროს მსოფლიო ფინანსური არქიტექტურა. ბანკები, საკრედიტო რისკების მინიმიზებისათვის ასუფთავებენ თავიანთ ბალანსებს, ამცირებენ მაღალრისკიან კრედიტებს. შემდეგ, საინვესტიციო ბანკები ახდენენ ასეთი მა-

ღალრისკიანი კრედიტების „დაცვას“, აჯგუფებენ მათ პაკეტებად, რომლებიც გვევლინებიან სავალო ფასიანი ქაღალდების საბაზისო აქტივებად, რომლებიც თავისუფალ მიმოქცევაშია ფინანსურ ბაზრებზე. ამ ქაღალდებს ყიდულობენ სხვადასხვა ბანკები და ფონდები. აღწერილ პროცესში მნიშვნელოვანია რეიტინგული სააგენტოების როლი, საინვესტიციო ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების მაღალი რეიტინგის მინიჭების ანგაჟირებულობის გამო, რითაც ინტერესდებიან კონსერვატული ინვესტორები (სადაზღვევო კომპანიები და საპაიო ფონდები). ამგვარად, საკრედიტო რისკები განაწილდნენ და შეიფუთნენ კიდევაც მიმზიდველი რეიტინგებით. თავიდან ეკონომისტები თვლიდნენ, რომ საკრედიტო რისკის გადანაწილება სხვა ინვესტორებზე (ე.ი. ბანკებიდან რისკების წამოღება) სასურველი ტენდენცია იყო. მაგრამ, ეს ასე არ მოხდა. ბოლო დროინდელი გლობალური, ფინანსურ–ეკონომიკური კრიზისის მთავარი მიზეზი გახდა სუბსტანდარტული იპოთეკის ამერიკული ბაზარი. მსესხებლის ნაწილის გადახდისუუნარობამ და უძრავ ქონებაზე ფასების ვარდნამ მოიტანა სეკურიტებული სავალუტო ვალდებულების ღირებულების შემცირება და ბევრი წამყვანი ბანკი დაზარალდა და გაკოტრდა კიდეც სხვადასხვა ქვეყანაში და კონტინეტზეც.

2016 წლის დასაწყისში მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე შეიმჩნეოდა არასტაბილურობა, განსაკუთრებით საფონდო სეგმენტში და წამყვანი ბანკების ვარაუდით საფონდო „ჩავარდნის“ რისკი მაღალი იყო. ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრებით, ამერიკის ეკონომიკა დგას რეცესიის წინაშე, რამდენადაც უძრავი ქონების ბაზარი – ამერიკის ეკონომიკის ზრდის მთავარი მამოძრავებელი – მცირდება. მაგრამ, არსებული სიტუაციის მიზეზები სისტემური ხასიათისაა. გლობალური კრიზისების სიღრმისეული მიზეზია – აღწარმოებითი პროცესების დეფორმაცია, რასაც მივყავართ ჭარბ მოთხოვნასთან (კონსიუმერიზმთან). შედეგად მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ტემპები მცირდება: 2001-2007 წლებში მათ შეადგინეს 5%, 2015 წელს კი – 3%.

მსოფლიო ეკონომიკაში იგრძნობა ფინანსურ სექტორში შეცდომები, მსოფლიო სასაქონლო ფასების არასტაბილურობა ქმნის პრობლემებს არა მარტო ბანკებისთვის, არამედ ჩვეულებრივ მოკვდავებისთვისაც. მათი გადაწყვეტა შესაძლებელია, მხოლოდ კომპლექსურ მიდგომებში, რადგანაც მისი მთავარი მიზეზია – გლობალური დისბალანსი. მაგალითად, აშშ დრამატულად შემცირდა დანაზოგები. აშშ სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო გამოწვეულია ჩინეთის დადებითი სალდოთი და სხვა განვითარებადი ეკონომიკებით. მაგ., ჩინეთის დადებითი სალდო გაიზარდა 3%–დან 7%–მდე, ხოლო 2005 წ. – 9%–ით და გადააჭარბა 11%–ს 2007 წელს. გამოდის, რომ ამერიკელი მომხმარებელი სარგებლობდნენ ბაზრების ღიაობით და ჩინური იაფი საქონლით, ხოლო დანარჩენი სამყარო – პირიქით, ამერიკელი მომხმარებლების მომატებული მოთხოვნით თავიანთ საქონელზე, რაც უწყობს ხელს ექსპორტის წარმოებას და სამუშაო ადგილების შექმნას მთელს მსოფლიოში. აშშ ბაზრის ღიაობისა და კაპიტალსა და საქონელზე ხელმისაწვდომობის გამო შეეძლოთ დაეფინანსებინათ უარყოფითი სალდო და დაეჭირათ ინფლაციის დაბალი დონე. მაგრამ ქვეყნების მეორე მხარეს სურდათ თავიანთი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, ბევრი მათგანი ცდილობდა შეენარჩუნებინა შემცირებული სავალუტო კურსი დოლართან მიმართებაში, რაც აძლევდა მათ სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდოს მაქსიმიზაციის შესაძლებლობას, ასევე მოეხდინათ ინტერვენციები ეროვნულ სავალუტო ბაზრებზე და დაეგროვებინათ საერთაშორისო რეზერვები, რაც არ იძლევა საბოლოო შედეგს და ვერ აღმოფხვრის დისბალანსს. და ეს არ არის გლობალური უთანაბრობის ერთადერთი მიზეზი.

საბანკო სექტორმა დაუშვა გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური შეცდომები. ამ გაუგებრობის მიზეზია იაფი ფულის პოლიტიკა, რომელსაც ატარებს მსოფლიო წამყვანი ქვეყნების ბევრი ცენტრალური ბანკი. ბანკების შეცდომა ვლინდება არა მხოლოდ კრედიტების მიწოდებაში საიმედო პარტნიორებზე (ეს რეგულარულად ხდება ყოველ 10-20 წელში ერთხელ).

ამჯერად, ფაქტორებად მოგვევლინა ასეთი სესხების ჩართვა სტრუქტურულ პროდუქტებში და მათი გავრცელება არასაბალანსო ანგარიშებით მთელს მსოფლიოში. ვალების ასეთი სეკურიტიზაცია იპოთეკებიდან და სხვა აქტივებიდან გახდა საბანკო საქმის პარალელური სისტემა, რომელიც თანდათანობით გამოვიდა რეგულატორის კონტროლიდან.

სარეგულაციო ჩარჩოები შემორჩა მხოლოდ საბალანსო ვალებზე და არა საბალანსო ინსტრუმენტებისათვის. ამგვარად შეიქმნა ბევრი რთული პროდუქტი, მოხდა ბერკეტის ეფექტის შექმნა, საბანკო სექტორმა გამოიყენა ლევერიჯი შეუსაბამო გამჭირვალობით. ბანკირებს მხარს უჭერდა რეიტინგული სააგენტოები, რომლებიც აღნიშნული პროდუქტების უსაფრთხოებაზე საუბრობდნენ, მით უმეტეს, რომ საგანგაშო სიგნალები მაინც ისმოდა.

ეს სიგნალი ისმის დღესაც, 2016-2017 წლებში განაკვეთის შემცირება ცენტრალური ბანკების მიერ მეტყველებს სისტემურ დისბალანსზე, ცენტრალური ბანკები ხდებიან კომერციული ბანკების ჭარბი ლიკვიდობის „მპარკირებლები“.

ზოგიერთი ეკონომისტი არ იზიარებს მიმდინარე მოვლენებს საერთაშორისო ფინანსებში და მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე კრიზისულად, რამდენადაც საკრედიტო დაწესებულებების მასიური ბანკროტობა არ შეინიშნება. მაგრამ უდავოა, რომ დღევანდელი მოვლენები ცდებიან ჩვეულებრივი მსოფლიო ფინანსური ბაზრის ვოლოტილობას (არასტაბილურობას).

დასკვნა

თანამედროვე პირობებში კრიზისებთან დაკავშირებული პრობლემები უფრო კომპლექსურები გახდნენ; ისინი უკვე აღარ შეიძლება აღვიქვათ, როგორც მიკროპრობლემური რისკების მართვა და კაპიტალიზაციის სიმცირე, უპირველესად, ორი მიზეზის გამო – ბანკების ურთიერთნდობის დაკარგვა და ლიკვიდურობის პრობლემა. შედეგად იკვეთება გლობალური უთანაბრობის კომბინაცია, საბანკო საქმიანობის არასწორი

ქმედებები, აგრეთვე, საანგარიშსწორებო–საგადასახდელო რისკების და მსოფლიო ბაზრების ჭარბი ლიკვიდობა.

კრიზისული სიტუაციების მინიმიზაციისათვის აუცილებელია მაკროეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა, ცენტრალიზებული მექანიზმით, კერძოდ, G7 ჩარჩოურთიერთობების ფარგლებში. მსოფლიო სავალუტო ფონდს თუ სურს დარჩეს ისევ ძლიერ მნიშვნელოვან ინსტიტუციად, მან უნდა მოახდინოს უფრო სწრაფი და ადექვატური რეაქციები სავალუტო–საფინანსო სფეროში.

FOR SOME ISSUES OF REASONS FOR THE CRISIS OF INTERNATIONAL FINANCE

Tinatin Gugeshashvili,
A.D.E. ATSU. Associate Professor of Business Administration;
Nana Benidze
A.D.E. ATSU. Associate Professor of Business Administration;
Jambul Bitsadze
A.D.E. ATSU. Associate Professor of Business Administration;

RESUME

Globalization processes play an important role in the development of international finance. The globalization outcome is the inequality of socio-economic development that prevents active involvement in the global process, and the distribution of power as a result of globalization, affects the priorities of the state sector; As we know, the leading players of globalization are transnational companies(TNC) and transnational banks(TNB), whose offices are located abroad, they are created by foreign direct investments. The TNC and the World Financial Markets are increasing pressure on states, which alter the balance between the state and the private sector. And the information resolution has brought time and spatial

pressure. The international financial risks will be affected by the crisis, which can lead to national, regional and global damage that violates the global financial order. It may even come to the forefront of the currency system. The prerequisites of the crisis are different, but each of them has the objective conditions, but in recent years the foreign economic literature is actively speaking about the subjective causes and preconditions of the crisis. Furthermore, the main signal of the crisis is deterioration of macroeconomic indicators. The budget deficits, the negative balance of any part of the balance sheet, the reduced international reserves of the country are the indicators on the level of the country. To minimize the crisis situations, it is necessary to revise the macroeconomic policy, with a centralized mechanism, in particular within the framework of G7 Framework. If the World Monetary Fund wants to remain a strong institution, it should make quicker and more adequate reactions in the currency-finance sector.

Key words: Globalization, International, Banks, Finance, Currency, TNC, TNB, Credit, Risks.

საქართველოს საბანკო სექტორის განვითარების ტენდენციები

ხათუნა შალამბერიძე
ეად., აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

საქართველოს საბანკო სისტემა და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხია. საინტერესოა, რეალურად შევაფასოთ კომერციული ბანკების როლი და გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და გავაანალიზოთ თუ რა შედეგებს მოიტანს გრძელვადიან პერიოდში ამ სექტორის ასეთი მკვეთრი გამსხვილება. მიუხედავად რიგი პოზიტიური ცვლილებებისა, რომელიც ბოლო ათწლეულში განხორციელდა საბანკო სექტორში, გარკვეული პრობლემები მაინც არსებობს, რაც კომერციული ბანკების მხრიდან არაპროფილური ბიზნესის წარმოებას უკავშირდება.

საბანკო და საკრედიტო სისტემა თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო სფეროს წარმოადგენს, რომელიც ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში განვითარების რიგი თავისებურებებით ხასიათდება და მის გამართულ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობა. საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება და პერსპექტივაში განვითარება წარმოუდგენელია კომერციული საბანკო სისტემის წარმატებული ფუნქციონირების გარეშე, რადგან იგი უშუალო ზემოქმედებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროზე, განსაზღვრავს მისი განვითარების ვექტორს.

საკვანძო სიტყვები: ბანკი-ფინანსური შუამავალი; საბანკო სისტემის მდგრადობა; საბანკჯო სექტორის სექტორი, ტენდენციები.

შესავალი

"ჩვენთვის მარტო ბანკია ის მოედანი, რომელზეც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობრივმა ძალ-ღონემ. ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არ შურს, ის დიდის სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ" .– ილია ჭავჭავაძე.

საქართველოში კომერციული საბანკო საქმიანობის ისტორია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება. დღევანდელ ბანკებთან ყველაზე ახლოს მდგომი იყო 1875 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული "თბილისის საადგილმამულო ბანკი", რომელშიც დიდგვაროვნები მიწებს აგირავებდნენ, ხოლო გლეხებს ამ მიწების გამოსყიდვა შეეძლოთ, თუნდაც ისევ ამ ბანკისგან აღებული სესხით. აღნიშნულმა ბანკმა 1909 წლამდე იარსება.

დღევანდელი ქართული საბანკო სისტემა 1991 წელს თავიდან აღმოცენდა, რადგან, სამწუხაროდ, დაახლოებით 70 წელი, საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, არა მარტო ქართული ბანკები არ არსებობდა, არამედ ზოგადად კერძო საბანკო სისტემა არ იყო დაშვებული. იყო მხოლოდ სახელმწიფო ბანკები, რომლებიც ძირითადად ფულის შემნახველი სალაროების როლს ასრულებდნენ.

ძირითადი ტექსტი

მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე კომერციული ბანკების რაოდენობა 16-ს შეადგენს, 134 ფილიალით და 877 სერვისცენტრით, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს პრაქტიკულად ყველა რეგიონში, რაც არცთუ ისე ბევრია, უნდა აღინიშნოს, რომ მათგან მხოლოდ ორი ბანკი იკავებს დომინანტ პოზიციებს, რომელთა გავლენა ქართულ ეკონომიკაზე დღითიდღე იზრდება. მათ უკვე აღარ აკმაყოფილებთ მხოლოდ საბანკო საქმიანობის წარმოება და ცდილობენ ფეხი მოიკიდონ არასაბანკო,

არაპროფილურ სექტორებში. შედეგად, იქმნება არაჯანსაღი კონკურენტული გარემო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის, რაც თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე.

კომერციულ ბანკებს არაპროფილური ბიზნესით საქმიანობა მხოლოდ ქაღალდზე აქვთ აკრძალული, რაც მათ საშუალებას აძლევთ ჰოლდინგების საშუალებით აწარმოონ და მართონ არასაბანკო ბიზნესები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხელოვნურად არის წარმოქმნილი პრობლემები ბიზნეს სესხების გაცემაზე, კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის რთულია ბიზნეს სესხის აღება მისაღები პირობებით, რაც მათ ურთულებთ ბიზნეს საქმიანობის გაგრძელებას არათანაბარ კონკურენტულ გარემოში.

ერთი მხრივ, ბანკების რაოდენობის შემცირება და მეორე მხრივ, დეპოზიტებისა და სესხების ზრდა და, რაც მთავარია, საპროცენტო განაკვეთების შემცირება გვიჩვენებს, რომ საბანკო სექტორში კონკურენციისთვის გადამწყვეტი არა ბანკების რაოდენობა, ან მათი ავტომატურად შემცირება, არამედ არსებული ბანკების განვითარების დონე და დინამიკა.

აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში ბანკების ნაწილი გაიყიდა, ნაწილი სხვა ბანკებს მიუერთდა, ზოგის ლიკვიდაცია განხორციელდა, მაგრამ ეს პროცესები ისე წარიმართა, რომ მეანაბრეები არ დაზარალებულან. ამასთან, არ გვქონია, რაიმე სერიოზული საბანკო კრიზისი. ეს ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს საერთაშორისო შეფასებებს საბანკო ზედამხედველობის არსებული მოდელის წარმატებულ ხასიათზე, და საბანკო სექტორის განვითარების ვექტორზე, პირველ რიგში მომხმარებელზე ორიენტაციის თვალსაზრისით.

საბანკო სექტორის განვითარების შესაფასებლად ყველაზე კარგ ინდიკატორად საბანკო აქტივების ზრდის დინამიკა ითვლება. ამ მხრივ თუნდაც ბოლო 5 წელიწადში აქტივების მოცულობა 2.5 ჯერ არის გაზრდილი, რაც გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ თუ 2012 წელს ბანკების ჯამური აქტივები

14,3 მილიარდი ლარი იყო, 2017 წლის დეკემბრის მონაცემებით 34.6 მილიარდი ლარია, ხოლო ჯამური აქტივების მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობამ 90 %-ს გადააჭარბა. აქტივების ზრდასთან ერთად გაიზარდა ბანკების სააქციო კაპიტალიც 2. 4 მილიარდი ლარიდან 4.4 მილიარდ ლარამდე ანუ 180 %-ით.

ბანკების განვითარების და საკრედიტო პორტფელის ზრდა, მოზიდულ სახსრებზე და პირველ რიგში დეპოზიტების ზრდაზეა დამოკიდებული. ამ მხრივაც მნიშვნელოვანი ცვლილებებია მომხდარი. მაგალითისათვის, 1996 წელს 61 ბანკში არსებული დეპოზიტების მოცულობა სულ რაღაც 56 მილიონი ლარი იყო, რაც მშპ-ის მხოლოდ 1.5% შეადგენდა, 2017 წლის ბოლოს კი 19 მილიარდ ლარს და შესაბამისად, მშპ-ს 52 %-ს გადააჭარბა. ეს ნიშნავს, რომ ბანკების რაოდენობის კლების მიუხედავად საქართველოს საბანკო სექტორი იზრდება და სულ უფრო მეტ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში.

მართალია, ბოლო წლებში ბანკებში მაღალი იყო დოლარიზაციის მაჩვენებელი და დეპოზიტების 70%-მდე უცხოურ ვალუტაში იყო განთავსებული, რასაც ლარის კურსის გაუფასურებამაც შეუწყო ხელი, თუმცა დღეს, გასულ წელს დაწყებული ლარიზაციის სტრატეგიის შედეგად, შემცირებულია არა მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ხვედრითი წილი მთლიან სესხებში 65 % დან 57 %-მდე, არამედ ვალდებულებების დოლარიზაციაც, რაც 71 % და 63 %-მდეა შემცირებული. ლარიზაციის სტრატეგიის მთავარი ამოცანაც ეს არის, არა უბრალოდ საკრედიტო პორტფელში ლარში სესხების ზრდა, არამედ მისი ასახვა ვალდებულებების, როგორც დაფინანსების პოტენციური წყაროს მხარეს.

ლოგიკურია, რომ დეპოზიტების ზრდას თან ახლავს ბანკების მიერ გაცემული სესხების ზრდა. 2012 წელს 8,1 მლრდ ლარის (მშპ-ის 32 %) სესხი იყო გაცემული, 2017 წლის მდგომარეობით კი 3-ჯერ მეტი(21.1 მილიარდი ლარის) სესხია გაცემული, რაც მშპ-ის 56%-ია. გამომდინარე იქიდან, რომ ბანკებს დეპოზიტების და მოზიდული სახსრების უმეტესობა უცხოურ ვალუტაში

აქვთ, სესხების დიდ ნაწილსაც და ეს განსაკუთრებით მსხვილ და ბიზნეს სესხებს ეხებათ, კვლავ უცხოურ ვალუტაში გასცემენ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების სტატისტიკას, საბანკო აქტივების, დეპოზიტებისა და სესხების ზრდასთან ერთად იკლებდა სესხებზე საპროცენტო განაკვეთი, ყველა მიმართულებით, როგორც ბიზნეს სესხებზე, ასევე სამომხმარებლო და იპოთეკურ კრედიტებზე. თუმცა შევნიშნოთ, რომ 2006-2011 წლებში საპროცენტო განაკვეთები პრაქტიკულად არ შემცირებულა და 18-20 %-ის ფარგლებში იყო, მიუხედავად ამ წლებში შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდისა. მაღალ საპროცენტო განაკვეთებს განაპირობებდა 2007 წელს ერთის მხრივ, მაღალი ინფლაცია და მეორეს მხრივ, 2008-2009 წლებში მსოფლიო ფინანსური კრიზისი, რასაც დაემატა 2007-2011 წლებში პოლიტიკური არასტაბილურობა და რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები.

ყურადღება გავამახვილოთ ასევე საპროცენტო განაკვეთებზე. საპროცენტო განაკვეთებმა შედარებით კლება 2012 წლიდან დაიწყო, და თუ 2012 წელს საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 17 %-ს შეადგენდა, 2015 წლის მესამე კვარტალში 4 %-ით შემცირდა და 13.1% იყო, საპროცენტო განაკვეთების შემდგომ შემცირებაზე შემაფერხებელი ფაქტორი გახდა 2015 წელს გლობალური შოკების ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც დიდწილად ლარის გაუფასურებით წარმოქმნილმა ფინანსური არასტაბილურობის რისკმა გამოიწვია, თუმცა 2016 წლის ბოლოს საპროცენტო განაკვეთები კიდევ შემცირდა 12.2 %-მდე. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს მაჩვენებელი შენარჩუნდა 2017 წელსაც და ამ შემთხვევაშიც საპროცენტო განაკვეთების შემდგომი კლების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი, გასულ წელს ინფლაციის მიზნობრივზე მაღალი 7 % -ანი მაჩვენებელია და არა ლარიზაციის პროგრამის ზეგავლენა.

ხშირად მუსირებს აზრი, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური ზრდის ტემპი ბანკებზეა დამოკიდებული. მართალია, ბანკე-

ბი, ერთი მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობენ ხელს, მაგრამ, მეორე მხრივ, ბანკი ფინანსური შუამავალია და რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი მხოლოდ საბანკო სექტორზე არ არის დამოკიდებული. პირველ რიგში ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა უნდა იყოს ისეთი, და არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდა, რომ ბანკების კაპიტალიზაციის ზრდას და საპროცენტო განაკვეთების კლებას შეუწყოს ხელი.

მნიშვნელოვანია ჩამოვყალიბდეთ, რომ სწრაფი ეკონომიკური ზრდის, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის და ეკონომიკის ტრანსფორმაციის გარეშე, საბანკო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ვერც კაპიტალის ეკონომიკის სექტორებს შორის გადადინებას, ვერც დანაზოგების ზრდას და მათ ტრანსფორმაციას ინვესტიციებში. ფინანსური რესურსების გრძელვადიანობის პრობლემაც აქედან მოდის და არა მხოლოდ საფონდო სეგმენტის განუვითარებლობიდან. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატება კომერციულ ბანკებში განთავსებული ანაბრებისა და დეპოზიტების მოკლევადიანობაში, რომელთა საშუალოვადიანობის მაჩვენებელი არ აღემატება 1.6 წელს. თავის მხრივ გრძელვადიანი რესურსების დეფიციტი განაპირობებს ბანკების მაღალ რისკდამოკიდებულებას განახორციელონ გრძელვადიანი დაკრედიტება ლარში, პირველ რიგში სამეწარმეო სექტორში. მხოლოდ საბრუნავი საშუალებების დაფინანსება, რომელიც დიდწილად მოკლევადიანია, არ არის საკმარისი ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის.

ბანკის მომგებიანობის ყველაზე ეფექტური შემფასებელი არის აქტივებზე მისი უკუგების ნორმა, რომელიც დღეს შეადგენს 3.1 %-ს. ახლა დაიწყო ლაპარაკი იმაზე, აქტივების ზრდის პირობებში, როდესაც აქტივების ზომა მშპ-ს 90 %-ს ასცდა, ეს მაჩვენებელი დაბალი ყოფილა და ბანკებს თითქოსდა რეალურად გაცილებით მეტი მოგება უნდა ჰქონდეთ. ვისაც მაინც აქვს ზოგადი წარმოდგენა საბანკო ზედამხედველობის არსებულ მოთხოვნებზე, ასეთ აბსურდულ შეფასებას არ უნდა აკეთებდეს. აღსანიშნავია, რომ აქტივების უკუგების ეს მაჩვე-

ნებლი აბსოლიტურად ნორმალურია, 35 მილიარდიანი აქტივის პირობებში, ხოლო, მომავალში აქტივების ზრდასთან და რისკ ფაქტორების შემცირებასთან ერთად, მისი მაჩვენებელიც ბუნებრივად დაიწევს. თუ აქტივების მშპ-სთან შეფარდების მაჩვენებელი ანუ საბანკო აქტივების ზომაა მაღალი, ესეც არასწორი შეფასებაა. მთელ რიგ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში იგი მშპ-ის არა თუ 100 %-ს, არამედ 250 %-საც კი შეადგენს.

საქართველოს საბანკო სექტორი ქართული ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სექტორია, ჩვენ ამასთან ერთად ვხედავთ, რომ ბოლო ხუთი წლის სტატისტიკით საბანკო სექტორის წმინდა მოგება იზრდება, იგივე 2012 წლის მონაცემებით წმინდა მოგება 134 მილიონი ლარი იყო. საბანკო სექტორის მზარდი მოგება ქვეყანაში ეკონომიკური ზრდით, შემცირებული კომერციული რისკით და დასავლური სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესებული საბანკო ზედამხედველობის და მომსახურების სისტემით აიხსნება.

დღეს ბანკების საკრედიტო პორტფელი 20,8 მლრდ ლარს შეადგენს, აქედან იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების მოცულობა 9,6 მლრდ ლარია, რაც პორტფელის 46 %-ია, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები 9,9 მლრდ ლარია პორტფელის 47 %, სადაც შედის როგორც სამომხმარებლო სესხები(3.5 მლრდ ლარი), ასევე იპოთეკური სესხები (6.5 მლრდ ლარი) ანუ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების მოცულობა პრაქტიკულად თანაბარია, მაგრამ ამას ემატება მეწარმე ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები -1,25 მლრდ ლარი (პორტფელის 6%), ფიზკურ პირებზე გაცემული სესხები (ინდ.მეწარმე პირების გამოკლებით) მშპ-ის 29 %-ია, ევროკავშირის ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი საშუალოდ 40%-ის ფარგლებში მერყეობს.

რაც შეეხება საპროცენტო შემოსავლებს, გასული წლის იანვარ-დეკემბრის მიხედვით შემოსავლები ფიზიკური პირების სესხებიდან 1,584 მლრდ ლარი იყო, რაც სესხებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების 64%-ია, იურიდიულ პირებზე გაცემუ-

ლი სესხებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 870 მლნ ლარი შეადგინა. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან უფრო მაღალი საპროცენტო შემოსავალი განპირობებულია ერთის მხრივ, რისკფაქტორებიდან გამომდინარე, უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ბიზნეს სესხებთან შედარებით და მეორე, სესხების შედარებით მოკლევადიანობით.

ის გარემოება, რომ ბოლო წლებში იზრდება ფიზიკურ პირებზე დაკრედიტების ტემპები, ეს დაკავშირეულია საცალო პროდუქტების, მათ შორის განვადების სერვისების განვითარებასთან და ხელმისაწვდომობასთან, როგორც საპროცენტო განაკვეთების შემცირების, ასევე ვადიანობის დაგრძელების თვალსაზრისით. ეს ტენდენცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც შესამჩნევია. ტენდენციები და თანამედროვე ინტეგრირებული საბანკო პროდუქტები და ტექნოლოგიები, მაინც ყველგან იდენტურია.

რაც შეეხება საბანკო სისტემის მდგრადობას, აღსანიშნავია, რომ მდგრადობის თვალსაზრისით, ბოლო ათწლეულში, მთავარი გამოწვევა იყო 2008-2009 წლების ზარალიანი ტრენდის დაძლევა, რაც 2009 წლის ბოლოს სისტემის 65 მილიონიან ზარალში აისახა, 2009 წელი საბანკო სექტორისათვის უმძიმესი გამოდგა, რაც როგორც უკვე ავღნიშნე, დაკავშირებული იყო 2008 წლის რუსეთ საქართველოს სამხედრო კონფლიქტთან და გლობალურ ეკონომიკურ კრიზისთან. მართალია, ქვეყანამ მიიღო სოლიდური საერთაშორისო დახმარება, მაგრამ საბანკო სექტორზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენდა 2008 წლის ბოლოდან მოყოლებული, ვადაგადაცილებული სესხების ზრდის ტენდენცია, რაც გამოწვეული იყო 2006-2008 წლებში საცალო დაკრედიტების თავისებური „ბუმით“ და პრობლემური სესხების მკვეთრი ზრდით, რამაც საბოლოო ჯამში სისტემის ზარალზე გასვლა გამოიწვია.

დასკვნა

წინა წლების დინამიკამ ნათლად აჩვენა, რომ საბანკო სისტემა საკმაოდ მდგრადია. ამის თქმის საფუძველს იძლევა არა მხოლოდ მოგების სარეკორდო მაჩვენებელზე გასვლა, არამედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დადებითი ტენდენციები, საერთაშორისო სვალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის დადებითი შეფასებები და თავად საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესები, პირველ რიგში ბაზელი 3-ის მეტრიკაზე გადასვლა, რაც უახლოეს წლებში რისკების შემცირებასთან ერთად და საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობას გაზრდის. სისტემის ეს ტრანსფორმაცია, ახალი საბანკო მომსახურების ცენტრების გაფართოებაში და მომსახურების ხარისხისა და ახალი პროდუქტების გაზრდილ შეთავაზებაში იქნება ასახული. ეს ყველაფერი კი ისევ ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციას შეუწყობს ხელს.

საქართველოში კომერციული ბანკების ფორმირებისა და საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბანკო სისტემაში ჩამოყალიბდა მთელი რიგი დადებითი ტენდენციები, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

პირველი, საბანკო რეფორმა განხორციელდა, რაც გამოიხატება კომერციული ბანკების რაოდენობრივი შემცირების ფონზე მათი ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებითა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნით;

მეორე, ინფლაციური პროცესების მართვის საფუძველზე შენარჩუნებული იქნა სხვა ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა;

მესამე, სტაბილურ გაცვლით კურსზე დაყრდნობით საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის უმნიშვნელო ამაღლებამაც დადებითი ზეგავლენა მოახდინა დეპოზიტებისა და საკრედიტო დაბანდებების ზრდაზე, ბანკების კაპიტალიზაციის მოცულობების გადიდებაზე;

მეოთხე, დეპოზიტების ზრდის ტენდენცია ნასესხებ სახსრებთან შედარებით მეტყველებს იმაზე, რომ კომერციული

საქმიანობისათვის საჭირო რესურსების ზრდა ქვეყანაში ხდება ფულადი მასის საბანკო არხებში მოქცევის მეშვეობით;

მეხუთე, მინიმალური საწესდებო კაპიტალის ეტაპობრივმა ზრდამ მნიშვნელოვნად განაპირობა ბანკების კონსოლიდაციისა და გამსხვილების პროცესი.

ამრიგად, ბანკები, ერთი მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობენ ხელს, მაგრამ, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი (რაც მხოლოდ საბანკო სექტორზე არ არის დამოკიდებული) და ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა უნდა იყოს ისეთი, რომ ბანკების გამსხვილებას, რაოდენობრივ ზრდასა და საპროცენტო განაკვეთების კლებას შეუწყოს ხელი.

GEORGIAN BANKING SECTOR DEVELOPMENT TRENDS

Khatuna Shalamberidze
Academic Doctor of Economics,
ATSU, Associated Professor

RESUME

Georgian Banking system and its role is one of the most important issues in the country's economy. Despite the fact, that the total number of commercial banks in the market is only 16, it should be mentioned, that only 2 commercial banks have leading positions in the banking industry and their influence gradually increases on the Georgian economy. They are not satisfied with banking activity and try to involve in non-banking industry.

Furthermore, it is interesting to actually evaluate the role and influence of the commercial banks in the Georgian economy and analyze the results of this sector in such a long period of time. Despite a number of positive changes in the banking sector in the last decade, there are still some problems that are related to the non-prolifera-

tion of commercial banks.

Georgia's commercial banks for the formation and activity analysis shows that the banking system has been established in a number of positive trends, notably the following: First, the banking reforms, which is reflected in the number of commercial banks reduced their rate of improvement in the quality of the environment and competitive opportunities in it; Secondly, on the basis of the management of inflation processes, the stability of the Lari exchange rate against other currencies has been maintained; Third, a relatively high level of trust in the banking system based on a stable exchange rate has also had a positive effect on the growth of deposits and credit investments, increasing the volume of capitalization of banks; Fourth, the tendency of growth of deposits compared to the borrowing accounts demonstrates that the growth of resources required for commercial activity is made in the country by means of transferring money in banking channels; Fifth, the gradual increase in the minimum capital ratio was largely due to the consolidation and lending process of banks.

Key words: Bank-financial intermediary; Sustainability of banking system; Banking sector, trends.

სახელმწიფო ხაზინის ნაკლოვანებები და შესაძლო პერსპექტივები საქართველოში

ჯამბულ ბიწაძე,
ეად. აწსუ ასოც.პროფესორი
ნანა ბენიძე,
ეად.აწსუ ასოც.პროფესორი

რეზიუმე

საბიუჯეტო ორგანიზაციის საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე აუცილებელია საკანონმდებლო მოთხოვნების ზუსტი დაცვა. სწორედ ამიტომ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სახელმწიფო ხაზინის სამსახური. სახელმწიფო ხაზინის მისიაა ხელი შეუწყოს საბიუჯეტო სახსრების კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვას, გამოავლინოს არსებული ნაკლოვანებები და რეკომენდაციების გაცემის გზით უზრუნველყოს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მომდევნო პერიოდებში.

ჩატარებული კვლევები საშუალებას გვაძლევს სახელმწიფო ხაზინის მომსახურების სრულყოფის მიმართულებით ჩამოვაყალიბოთ კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები:

1. დღეისათვის მოქმედი სამართლებრივი ბაზა საჯარო დაწესებულებების მხრიდან მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული.

2. სახაზინო სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სავალდებულო წესის დანერგვა და მასზე შემდგომი მონიტორინგის განხორციელების პროცესის შემუშავება საკანონმდებლო დონეზე.

3. სააგენტომ უნდა შეისწავლოს ის შემსყიდველები, რომლებიც ჩაშლილი ტენდერების მაღალი წილით გამოირჩევნიან, დაადგინოს პრობლემის გამომწვევი მიზეზები და გადადგას საპასუხო ნაბიჯები;

4. სააგენტო უნდა დაინტერესდეს იმ საჯარო უწყებებით,

რომლებსაც ტენდერით არცერთხელ არ უსარგებლიათ ან გამარტივებული შესყიდვების განსაკუთრებით მაღალიწილით გამოირჩევიან;

აღნიშნული ღონისძიებების პრაქტიკაში დანერგვა არის გარანტია იმისა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების საქმიანობა განხორციელდება ნაკლები უზუსტობებით, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი ბიუჯეტების უფრო რაციონალურად დაგეგმვასა და უფრო გამჭვირვალედ განკარგვას.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ხაზინა, ტენდერები, სახელმწიფო ბიუჯეტი.

შესავალი

საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების კვალობაზე სახელმწიფო ხაზინის საქმიანობა განსაკუთრებული მნიშვნელობით ხასიათდება. დღესდღეობით, ბიუჯეტი და საბიუჯეტო რეგულირება საბაზრო ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, ეფექტიანი საბიუჯეტო სისტემის ფორმირება წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური განვითარებისა და გაძლიერების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს. საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საბიუჯეტო სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი სტრატეგიისა და პოლიტიკის ფორმირებაში. საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ბიუჯეტის შემოსულობების მიღების, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების გადახდის ფულადი სახსრებით ოპერაციების გამჭირვალობა და მასზე დროული საჯარო ინფორმაციის არსებობა. არნიშნულის მიღწევა წარმოუდგენელია სახელმწიფო ხაზინის გარეშე, ვინაიდან ხაზინა ემსახურება საბიუჯეტო დაწესებულებას საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაში, აკონტროლებს და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად აძლევს რეკომენდაციებს მათი გამოსწორებისათვის. აღნიშნული რეკომენდაციები კი უნდა იყოს შემდგომ პერიოდში საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის გარანტი.

ძირითადი ტექსტი

სახაზინო სამსახურს დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი დაწესებულებისათვის, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში, რასაც ადასტურებს სახაზინო მომსახურების განხორციელების მრალვლფეროვანი ისეთი მექანიზმები, როგორებიცაა: გადახდების განხორციელება ასიგნებების ფარგლებში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ბიუჯეტის განწერისა და პროგნოზების საფუძველზე შედგენილი ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმა .

სახელმწიფო ხაზინის თითოეული ასპექტი განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით და მის ძირითად მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის კონტროლი. კონტროლის შედეგებზე დაყრდნობით გაიცემა რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციების განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია, შესრულებული სამუშაო იყოს სამართლიანი და გამოტანილი იყოს კომპეტენტური დასკვნები.

სახელმწიფო ხაზინის მისიაა ხელი შეუწყოს საბიუჯეტო სახსრების კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვას, გამოავლინოს არსებული ნაკლოვანებები და რეკომენდაციების გაცემის გზით უზრუნველყოს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მომდევნო პერიოდებში. სახელმწიფო ხაზინის სამსახურის საქმიანობა მიზნად ისახავს საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში მიმდინარე პროცესების მიზანშეწონილობის რაციონალურობის შემოწმებას და სისტემური ხასიათის ხარვეზების გამოვლენას.

ჩატარებული კვლევები საშუალებას გვაძლევს სახელმწიფო ხაზინის მომსახურების სრულყოფის მიმართულებით ჩამოვაყალიბოთ კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები:

- კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვის სავალდებულო ხასიათის განსაზღვრა, რათა საჯარო სექტორში დასაქმებულებმა გააცნობიერონ დაკისრებული ვალდებულება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის დაგეგმვისა და საფინანსო

საქმიანობის განხორციელების პროცესში. დღეისათვის მოქმედი სამართლებრივი ბაზა საჯარო დაწესებულებების მხრიდან მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული, რის შედეგადაც გვაქვს ძალიან ბევრი არსებითი ხასიათის ნაკლოვანება საბიუჯეტო ორგანიზაციების საბუღალტრო და საფინანსო საქმიანობის მიმართულებით.

• სახაზინო სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სავალდებულო წესის დანერგვა და მასზე შემდგომი მონიტორინგის განხორციელების პროცესის შემუშავება საკანონმდებლო დონეზე. აღნიშნული პროცესი გულისხმობს სახაზინო სამსახურთან მჭიდრო კომუნიკაციას, როგორც უშუალოდ რეკომენდაციების შემუშავების პროცესში, ასევე მისი განხორციელების შემდგომ პერიოდშიც.

• სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში ბევრი პროგრესული ცვლილება შევიდა (მათ შორის გამარტივებული შესყიდვების წინასწარ შეთანხმების საჭიროება შესყიდვების სააგენტოსთან, ასევე ახალი ტიპის ორეტაპიანი ტენდერების შემოღება), თუმცა გასათვალისწინებელი რჩება რიგი რეკომენდაციები, მათ შორის გამარტივებული შესყიდვის უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის, კანონმდებლობაში ფორს-მაჟორის ცნების შემოტანა და სანქციების შემოღება იმ შემთხვევებისთვის, როდესაც შემსყიდველი პოსტფაქტუმ ვერ ასაბუთებს გადაუდებელ აუცილებლობას;

• სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უნდა შეისწავლოს ის შემსყიდველები, რომლებიც ჩაშლილი ტენდერების მაღალი წილით გამოირჩევნიან, დაადგინოს პრობლემის გამომწვევი მიზეზები (რაც შეიძლება იყოს არასწორი დაგეგმვა, მიმწოდებლების სიმცირე და ა.შ.) და გადადგას საპასუხო ნაბიჯები;

• სააგენტომ, ასევე, უნდა შეისწავლოს დაბალკონკურენტული ტენდერები, დაადგინოს ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები (რაც შეიძლება იყოს კონკრეტულ რეგიონში მიმწოდებელთა სიმცირე, არასწორი დაგეგმვა, ტენდერის პირობების კონკრეტულ მიმწოდებელზე მორგება თუ სხვა) და მიიღოს შესაბამისი ზომები;

• სააგენტო უნდა დაინტერესდეს იმ საჯარო უწყებებით, რომლებსაც ტენდერით არცერთხელ არ უსარგებლიათ ან გამარტივებული შესყიდვების განსაკუთრებით მაღალიწილით გამოირჩევიან;

• სააგენტომ უნდა უზრუნველყოს გამარტივებულ შესყიდვებზე ინფორმაციის სრულად და დროულად ხელმისაწვდომობა ელექტრონულ პორტალზე, რაც ამ ეტაპზე პრობლემას წარმოადგენს, მათ შორის ძალოვანი უწყებების კუთხითაც.

• ყველა ხელშეკრულება, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონს, ინახება შესყიდვების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში. სახელმწიფო შესყიდვების პროცესი ავტომატიზებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დაწყებული ტენდერების გამოცხადებიდან დამთავრებული ხელშეკრულების გაფორმებით. როგორც კი დასრულდება ტენდერი და გაფორმდება ხელშეკრულება, ის მაშინვე ხელმისაწვდომია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემისთვის. აღნიშნული მონაცემების ელექტრონულად გაცვლა რეალიზებულია ვებსერვისის საშუალებით. ასეთი ხელშეკრულების ამორჩევისას, სისტემა ავტომატურად გამოიტანს დიალოგურ ფანჯარას, სადაც ჩანს სახაზინო კოდის განმკარგავის მიერ გაფორმებული ყველა ხელშეკრულება. ხაზინის სისტემიდან შესაძლებელია მხოლოდ იმ ხელშეკრულების ამორჩევა, რომელიც დასრულებული სტატუსით არის შესყიდვების სააგენტოს სისტემაში. შესყიდვების სააგენტოს სისტემიდან გადმოტანილი ხელშეკრულების მონაცემები არარედაქტირებადია.

• სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების და სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების სრული და სწორი აღრიცხვისთვის. სახელმწიფო ხაზინის საქმიანობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბიუჯეტების შემოსულობების მიღების,

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების გადახდის და სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე ფულადი სახსრებით ოპერაციების გამჭვირვალობა და სრული ანგარიშგება. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია თავის საქმიანობაში გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტები.

• პასუხისმგებლობის ზომების გამკაცრება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი საქმეების გადაცემისას მათი რეაგირების მიზნით. ვინაიდან დღევანდელი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი საქმეების დიდი ნაწილი შემდგომ ან გადაეცემა პროკურატურას და რჩება რეაგირების გარეშე, ან საერთოდ არ გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს.

• აუცილებელია სახელმწიფო ხაზინის ვებგვერდის გააქტიურება და აისახოს შემდეგი ინფორმაცია ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

• ვებ-გვერდზე უნდა მოიძებნოს სახელმწიფო ხაზინის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

• სახელმწიფო ხაზინის უფროსის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება უფროსის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსისნომრები;

• სახელმწიფო ხაზინის უფროსის მოადგილეების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილეების არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

• აუცილებელია მომხმარებლის პირადი სივრცე საინფორმაციო სისტემის ძირითადი მენიუდან მომხმარებელს ქონდეს საშუალება მიიღოს ინფორმაცია სახაზინო სამსახურში არსებული რესურსების, მის მიერ წარდგენილი ხელშეკრულებების, ვალდებულებების და მოთხოვნების შესახებ. ასევე განახორციელოს ხელშეკრულებების, ვალდებულებების და მოთხოვნე-

ბის ელექტრონულად შევსება, დადასტურება და სახელმწიფო ხაზინაში წარდგენა. ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა გვაძლევს საშუალებას გამოვიყენოთ კიდევ ბევრი სხვადასხვა ფუნქციები. ეს არის, მიზნობრივი გრანტები, საავანსო მოთხოვნები, თანამშრომლების ჩანართში შეყვანილი საშტატო ნუსხის საფუძველზე განხორციელდეს შემოსავლების დარიცხვა, ხელფასების დარიცხვა, შეიქმნას ელექტრონული სახელფასო უწყისი, სამივლინებო გადარიცხვები და ყველა ის ოპერაცია, რომელიც სახაზინო კოდის ფარგლებშია წარმოებული და წარმოადგენს ბუღალტრული გატარების ქრონოლოგიურ ერთობლიობას.

• სახაზინო სამსახურის ვებგვერდზე უნდა ჩანდეს გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ ინფორმაცია, რეგისტრაცია ხორციელდება სპეციალური ელექტრონული ფორმის საშუალებით., აღნიშნული შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილს, სადაც ივსება ინფორმაცია, რომელიც მაქსიმალურად კონტროლდება და მინიმუმამდე დაყავას ადამიანური ფაქტორი: გაფორმებული ხელშეკრულების კატეგორიები: რეგისტირებული ხელშეკრულება, არარეგისტრირებული ხელშეკრულება, საერთაშორისო ხელშეკრულება. აუცილებელია მინიშნებული იქნას მიმდინარე წლისაა, თუ მრავალწლიანია ხელშეკრულება, რათა შემდგომში გაკონტროლდეს გამოყენებული თანხა ხელშეკრულების საერთო თანხასთან, თუ ხელშკრულება არის მრავალწლიანი, გრაფიკში გაწერილი თანხების და წინა წლებში გადახდილი თანხების ჯამი არ შეიძლება მეტი იყოს ხელშკრულების თანხაზე. დამატებით ივსება სახელშეკრულებო თანხის ხარჯვის გრაფიკი. ორგანიზაციამ წინასწარ უნდა შეავსოს თუ რა თანხის დახარჯვას აპირებს ამ ხელშეკრულების ფარგლებში თვეების მიხედვით მიმდინარე წლის ფარგლებვში, რათა სახელმწიფო ხაზინამ გააანალიზოს რა ოდენობის თანხა უნდა გავიდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ხელშეკრულების ტიპის მიხედვით, აქტიურდება და პასიურდება სხვადასხვა ველები.

აღნიშნული ღონისძიებების პრაქტიკაში დანერგვა არის გარანტია იმისა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების ყოველი

მომდევნო წლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა განხორციელდება ნაკლები უზუსტობებით, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი ბიუჯეტების უფრო რაციონალურად დაგეგმვასა და უფრო გამჭვირვალედ განკარგვას. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის პროცესში ეფექტიანი ქმდებები და მმართველობითი რგოლის მიერ მიღებული მიზნობრივი გადაწყვეტილებები გარკვეული თანხების დაზოგვის საშუალებას მოგვცემს, რომლის გამოყენებით კიდევ უფრო მეტი პროგრამისა თუ პროექტის განხორციელებას ჩაეყრება საფუძველი. აღნიშნული პროცესი საბოლოო ჯამში მოსახლეობის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ყველა ხელშეკრულება, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონს, ინახება შესყიდვების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში. სახელმწიფო შესყიდვების პროცესი ავტომატიზებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დაწყებული ტენდერების გამოცხადებიდან დამთავრებული ხელშეკრულების გაფორმებით. როგორც კი დასრულდება ტენდერი და გაფორმდება ხელშეკრულება, ის მაშინვე ხელმისაწვდომია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემისთვის. აღნიშნული მონაცემების ელექტრონულად გაცვლა რეალიზებულია ვებსერვისის საშუალებით. ასეთი ხელშეკრულების ამორჩევისას, სისტემა ავტომატურად გამოიტანს დიალოგურ ფანჯარას, სადაც ჩანს სახაზინო კოდის განმკარგავის მიერ გაფორმებული ყველა ხელშეკრულება. ხაზინის სისტემიდან შესაძლებელია მხოლოდ იმ ხელშეკრულების ამორჩევა, რომელიც დასრულებული სტატუსით არის შესყიდვების სააგენტოს სისტემაში. შესყიდვების სააგენტოს სისტემიდან გადმოტანილი ხელშეკრულების მონაცემები არარედაქტირებადია.

დასკვნა

სახელმწიფო ხაზინის მისიაა ხელი შეუწყოს საბიუჯეტო სახსრების კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვას, გამოავლინოს არსებული ნაკლოვანებები და რეკომენდაციების გაცემის გზით უზრუნველყოს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მომდევნო პერიოდებში. მიუხედავად ამისა, ჩატარებული კვლევები საშუალებას გვაძლევს სახელმწიფო ხაზინის მომსახურების სრულყოფის მიმართულებით ჩამოვაყალიბოთ კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები:

1. დღეისათვის მოქმედი სამართლებრივი ბაზა საჯარო დაწესებულებების მხრიდან მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული.

2. სახაზინო სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სავალდებულო წესის დანერგვა და მასზე შემდგომი მონიტორინგის განხორციელების პროცესის შემუშავება საკანონმდებლო დონეზე.

3. სააგენტომ უნდა შეისწავლოს ის შემსყიდველები, რომლებიც ჩაშლილი ტენდერების მაღალი წილით გამოირჩევნიან, დაადგინოს პრობლემის გამომწვევი მიზეზები და გადადგას საპასუხო ნაბიჯები;

4. სააგენტო უნდა დაინტერესდეს იმ საჯარო უწყებებით, რომლებსაც ტენდერით არცერთხელ არ უსარგებლიათ ან გამარტივებული შესყიდვების განსაკუთრებით მაღალიწილით გამოირჩევიან;

აღნიშნული ღონისძიებების პრაქტიკაში დანერგვა არის გარანტია იმისა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების საქმიანობა განხორციელდება ნაკლები უზუსტობებით, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი ბიუჯეტების უფრო რაციონალურად დაგეგმვასა და უფრო გამჭვირვალედ განკარგვას.

STATE TREASURY DISADVANTAGES AND POSSIBLE PERSPECTIVES IN GEORGIA

Jambul Bitsadze,
A.D.E. ATSU Associated professor
Nana Benidze,
A.D.E. ATSU Associated professor

RESUME

At any stage of budget organization work it is necessary the accurate protection of legislative requirements and because of this it gains a special importance. The state treasury mission is to support the budget funds legally, purposeful and efficient spending, to reveal the existing shortcomings and with the help of recommendations to eliminate the identified shortcomings in the subsequent periods.

Moreover, the conducted studies allow us to develop the specific recommendations and proposals in order to improve the state treasury services:

1. Currently operating Legal basis is only partially used by the public institutions.

2. Introduction of mandatory rules for implementation of recommendations issued by the Treasury Service and the process of further monitoring of it at the legislative level.

3. The Agency shall examine the procuring entities which are marked by the high share of failed tenders, determine the causes of the problem and take retaliate steps;

4. The Agency shall be interested in the public authorities, which had never had the tender or their simplified purchases are especially high.

The implementation of these measures in practice is a guarantee that the activities of the budgetary organizations will be carried out with less inaccuracies, which will facilitate more rational planning of more budgets and more transparent management.

Keywords: State Treasury, Tenders, State Budget.

ქალაქის კონკურენტუნარიანობა-ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის რთული ფენომენი

მაია ახვლედიანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

თანამედროვე უცხოურ და სამამულო ლიტერატურაში იმ ლეგიტიმური მაჩვენებლების ჩამონათვალი, რომლებიც ასე რომ ვთქვათ, წყაროებია ღრმა მდინარისა, რომელსაც „ქალაქის კონკურენტუნარიანობა“ ეწოდება, მკაფიოდ განსაზღვრული და დამკვიდრებული არ არის. ასევე, ქალაქის კონკურენტუნარიანობის ცნების განსხვავებული ინტერპრეტაციები, მათი ბუნდოვანი ხასიათი მკვლევარებს თემის უფრო ღრმად შესწავლისა და ახალი მიდგომების საძიებლად განაწყობენ. ქალაქის, კონკურენტუნარიანის მაჩვენებელთა კვლევის საფუძველზე გამოვლენილი იქნა ქალაქის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ექვსი ძირითადი პოტენციალი: ბუნებრივი პოტენციალი (გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები, ადამიანური რესურსები); ცხოვრების ხარისხი (სოციალური დაცვის დონე, მოსახლეობის უსაფრთხოების დონე, საჯარო ცხოვრების ხარისხი, საბინაო და კომუნალური მომსახურების ხელმისაწვდომობა, ცხოვრების ხარისხი, კულტურული გარემოს ხარისხი); ფინანსური პოტენციალი, ეკოლოგიური პოტენციალი ორგანიზაციული პოტენციალი; ინოვაციური პოტენციალი. თუმცა, ქალაქი არ შეიძლება იყოს კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ყველა სექტორში. აქედან გამომდინარე, ქალაქე-

ბის განვითარების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს პირობებს, რომელიც მიზნად დაისახავს ქალაქის პოტენციალისა და ქალაქის განვითარების მარკეტინგული სტრატეგიის საფუძველზე, ქალაქის გარკვეული ფუნქციების განმტკიცებას,

საკვანძო სიტყვები: კონკურენტუნარიანობა, ქალაქის კონკურენტუნარიანობა, პოტენციალი, ბრენდი, იმიჯი, სლოგანი. ინოვაცია, ეკოლოგია,

სტატიის ძირითადი შინაარსი

ქალაქის კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის რთული და მრავალდონიანი ფენომენია. თანამედროვე უცხოურ და სამამულო ლიტერატურაში იმ ლეგიტიმური მაჩვენებლების ჩამონათვალი, რომლებიც ასე რომ ვთქვათ, წყაროებია ღრმა მდინარისა, რომელსაც „ქალაქის კონკურენტუნარიანობა“ ეწოდება, მკაფიოდ განსაზღვრული და დამკვიდრებული არ არის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქალაქის კონკურენტუნარიანობის შეფასების დღეს არსებული ინტერპრეტაციები, მიდგომები, მეთოდები მხოლოდ კონკრეტული, პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტას ემსახურებიან და ქალაქის კონკურენტუნარიანობის მეთოდიკის განსასაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელთა სისტემის ასაგებად მათი გამოყენება თითქმის შეუძლებელია. ასევე, ქალაქის კონკურენტუნარიანობის ცნების განსხვავებული ინტერპრეტაციები, მათი ბუნდოვანი ხასიათი მკვლევარებს თემის უფრო ღრმად შესწავლისა და ახალი მიდგომების საძიებლად განაწყობენ.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, „ქვეყნის კონკურენტუნარიანობა არის ქვეყნის შესაძლებლობა, აწარმოოს საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნის შესაბამისი საქონელი და მომსახურება, და ამავე დროს, სტაბილურად გაზარდოს მოსახლეობის რეალური შემოსავალი გრძელვადიან პერიოდში“[1]. არ ვიქნებით

1 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020.

შორს მეცნიერული სიმართლისგან თუ ვიტყვით, რომ ქალაქის კონკურენტუნარიანობა, როგორც ფენომენი, ასწლეულების უკან ქალაქებთან ერთად წარმოიშვა. ამჟამად, მოწმენი ვართ იმისა, რომ საქართველოს ქალაქების ცენტრებისა და მიმდებარე ტერიტორიების განვითარებამ სხვადასხვა ხარისხის ეკონომიკური ზრდა გამოიწვია, როგორც რეგიონების ისე ქვეყნის მასშტაბით. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, მით უფრო კონკურენტუნარიანია ქვეყანა.

ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორი მაიკლ პორტერი, თავის ცნობილ მოდელში „ბრილიანტი", ტერიტორიის „კონკურენტუნარიანობის" ცნების მრავალმხრივ ანალიზს იძლევა. იგი ტერიტორიის კონკურენტუნარიანობის ოთხ მთავარ ფაქტორს განიხილავს: ტერიტორიის ეკონომიკური განვითარება, სტრატეგიული (გეოპოლიტიკური) მდებარეობა, ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა, ადგილობრივი „კლასტერები", ადამიანური რესურსების ინტეგრაცია. ასევე, ყურადღებას ამახვილებს ტერიტორიის კონურენტუნარიანობის, როგორც კომპლექსური ცნების შინაარსობრივი მხარის მაფორმირებელ კიდევ ორ ფაქტორზე: ინოვაციები და მთავრობის ქმედებები[1].

ქალაქის, კონკურენტუნარიანის დამახასიათებელი პროცესებს დეტალურად აღწერს მეცნიერი ვ. ფ. ლევერი. იგი ყურადღებას ამახვილებს ქალაქის კონკურენტუნარიანობის ისეთ მაჩვენებლებზე, როგორიცაა ქალაქის დარგობრივი სტრუქტურა, ინოვაციის უნარი, ქალაქის დანიშნულება, მაღალტექნოლოგიური წარმოება, მაღალკვალიფიციური მუშახელის კონცენტრაცია, საცხოვრებელ და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხი, კლასობრივი სტრუქტურა, კონფლიქტების წარმატებული მართვა, საგანმანათლებლო, დასვენებისა და გართობის მომსახურების დონე, ნეგატიური ფაქტორების გავლენის

1 Porter M. E. "How Competitive Forces Shape Strategy", Harvard Business Review, March, 1979. https://unhabitat.org/

შემცირება, კომუნიკაციების განვითარება, ტრანსპორტი, მოსახლეობის შემოსავალები, დასაქმების დონე, საგადასახადო ბაზა, შემოსავალების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა და ა.შ[1].

მეცნიერ ლ. ბეგგის მოსაზრებით, ქალაქის კონკურენტუნარიანობის ძირითადი ინდიკატორებია: ქალაქის პროდუქტიულობა, დასაქმება და ცხოვრების ხარისხი. იგი ასევე, ყურადღებას ქალაქის კონკურენტუნარიანობის იმ ძირითად „ატრიბუტებზე" (ქალაქში მოღვაწე ადამიანებზე, ქალაქის ეკონომიკის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ქალაქში არსებული კომპანიების კონკურენტუნარიანობაზე და ა.შ.), რომლებიც ქალაქის მიმზიდველობას განსაზღვრავენ. მას აგრეთვე მიაჩნია, რომ ქალაქის კონკურენტუნარიანობა მოკლევადიან პერიოდში დამოკიდებულია ეკონომიკის სტრუქტურაზე, მის ბუნებაზე და ეკონომიკური ინსტიტუტების ეფექტიანობაზე, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - იმ ფაქტორების მდგრად ცვლილებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ პროდუქტიულობის ზრდას [2].

მეცნიერები ი. ბრამეზზა და ჯ. ვანდერბორგი ქალაქის მიმზიდველობის შემდეგ ფაქტორებს გამოყოფენ:

1. სტრუქტურული ფაქტორები: ეფექტიანი ინფრასტრუქტურა, ურბანული მომსახურების ადეკვატური მიწოდება, მაღალი ხარისხის საცხოვრებელი გარემო და ეფექტიანი ურბანული პოლიტიკა.

2. ფუნქციური ფაქტორები: ქალაქი, როგორც საერთაშორისო ბიზნეს საქმიანობის ცენტრი, ინოვაციური საქმიანობის ცენტრი, მნიშვნელოვანი ინფორმაციული ცენტრი (საკომუნიკაციო ქსელი), კულტურის საერთაშორისო ცენტრი, განათლების ცენტრი და ა.შ [3].

1 Lever W.F. Competitive Cities in Europe // Urban studies. — 1999. — Vol. 36. No. 5—6.

2 Begg I. Cities and competitiveness // Urban Studies. — 1999. — Vol.

3 Bramezza I. The competitiveness of the European city and the role of urban management in improving the city's performance. — Rotterdam: Tinbergen Institute, 1996

მეცნიერები ლ. ბერგი და ე. ბრაუნი ქალაქის კონკურენტუნარიანობის საბაზისო და დამატებით ფაქტორებს გამოყოფენ. საბაზისო ფაქტორების (ბუნებრივი რესურსები, შრომითი რესურსები, კლიმატური პირობები, გეოგრაფიული მდებარეობა, და ა.შ ..) შექმნა, დიდ ძალისხმევას და მნიშვნელოვან ინვესტიციებს არ მოითხოვენ, დამატებითი ფაქტორების (საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, მაღალკვალიფიციური მუშახელი, კვლევითი ორგანიზაციები და სხვ.) შესაქმნელად კი დიდი ადამიანური ძალისხმევა და კაპიტალია აუცილებელი. მთლიანობაში, ყველა ფაქტორი, ტერიტორიაზე ინოვაციური საქმიანობის წინაპირობას წარმოადგენს [1].

მეცნიერი ტ. მეშერიაკოვი კონკურენტუნარიანობის ფაქტორებს დროში ხანგრძლივობის მიხედვით განიხილავს: დროში უცვლელი ფაქტორები (ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები, რომელიც შეიძლება იყოს უაღრესად ხელსაყრელი ან არახელსაყრელი) და ცვალებადი ფაქტორები (ნელი ცვლადი: სატრანსპორტო და ტექნიკური ინფრასტრუქტურა, სოციალური და ეკოლოგიური გარემო, ტერიტორიის ინტელექტუალური პოტენციალი, და სწრაფად ცვლადი ფაქტორები: ადგილობრივი კანონმდებლობა, ადგილობრივი თვითმართველობის პოლიტიკა და ა.შ.) [2].

ქალაქის კონკურენტუნარიანობის ფაქტორთა ანალიზის საფუძველზე, ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა ქალაქის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ექვსი ძირითადი პოტენციალი: ბუნებრივი პოტენციალი (გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები, ადამიანური რესურსები); ცხოვრების ხარისხი (სოციალური დაცვის დონე, მოსახლეობის უსაფრთხოების დონე, საჯარო ცხოვრების ხარისხი, საბინაო და კომუნალური მომსახურების ხელმისაწვდომობა, ცხოვრების ხარისხი,

1 Berg L., van der, Braun E. Urban Competitiveness, Marketing and the Need for Organising Capacity // Urban Studies. — 1999. — Vol. 36. No, 5—6.

2 Мещеряков Т.В. Концепция и инструментарий управления маркетингом территории в условиях креативной экономики (теория и методология) СПб. : Питер, 2011.

კულტურული გარემოს ხარისხი); ფინანსური პოტენციალი (საბიუჯეტო სახსრები, განვითარებული საბანკო სფერო, საგადასახადო სისტემა, საინვესტიციო კლიმატი და ა.შ.); ეკოლოგიური პოტენციალი (წყლის ხარისხი, ჰაერი, გარემომცველი ბუნება, ლანდშაფტები და ა.შ); ორგანიზაციული პოტენციალი (პოლიტიკური სტაბილურობა, მართვის ეფექტური სტრუქტურები); ინოვაციური პოტენციალი. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ თანამედროვე გლობალიზაციის და ინფორმატიზაციის პროცესების გავლენით ადამიანები საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის შერჩევაში უფრო თავისუფალნი არიან. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ კონკრეტული ადგილის ძირითადი ფაქტორების როლი (ბუნებრივი რესურსები, გეოგრაფიული მდებარეობა და ა.შ.) მცირდება და იმ ფაქტორების როლი იზრდება, რომელიც შეიძლება დროის გარკვეულ მომენტში შეიქმნას. ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები საშუალებას იძლევიან ქალაქის კონკურენტუნარიანობის ერთდროულად გაფართოვდეს და დაკონკრეტდეს, შემუშავდეს ქალაქის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელთა სწორი სისტემა, ობიექტურად შეფასდეს ქალაქის კონკურენტუნარიანობა, განისაზღვროს ქალაქის ადგილი სხვა ქალაქებს შორის, ნაპოვნი იქნას კონკურენტუნარიანობის გააუმჯობესების სხვადასხვა გზები. ჩვენი აზრით ქალაქის კონკურენტუნარიანობა - ეს არის ქალაქის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ფორმულა, ქალაქის უნარი დააკმაყოფილოს ყველა მიზნობრივი ჯგუფის (მოქალაქეების, ბიზნეს სუბიექტების, ინვესტორების, ტურისტების, სახელმწიფოს და ა.შ.) მოთხოვნები. დღეს კონკურენტული შეიძლება ეწოდოს ქალაქს, რომელშიც დამყარებულია სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ეკოლოგიური, რელიგიური, ინსტიტუციური და ა.შ. წესრიგი[1].

მსოფლიოს თანამედროვე ქალაქების განვითარების ძირი-

1 Kotler P. & Gentner D. «Country as Brand Product, and Leyond A. Ploce Marketing and rand Management Perspective», Journal of Brand Management; Vol 9, 4/5, 2002

თადი ტენდენციებია: ერთი მხრივ - დეცენტრალიზაცია, რომელიც ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს იძლევა, მეორე მხრივ - ეკონომიკის გლობალიზაცია. ქალაქები, ამ მოთხოვნების შესაბამისად, მათ ხელთ არსებულ რესურსებს ტერიტორიების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად აქტიურად წარმართავენ.

ქალაქ ქუთაისის კონკურენტი ქალაქების იდენტიფიცირებისა და კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელთა გამოვლენის მიზნით წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენში ჩატარდა რაოდენობრივი მარკეტინგული კვლევა ანკეტური გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით. სულ გამოკითხული იქნა 378 რესპონდენტი. რესპონდენტები შერჩეულნი იქნენ სტატისტიკურ მეთოდებზე დაყრდნობით. როგორც საალბათო, ისე არასაალბათო შერჩევის პრინციპით. რესპოდენტთა გამოკითხვა წარმოებდა ქალაქ ქუთაისის მასშტაბით. კვლევებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

კითხვაზე „ჰყავს თუ არა ქალაქ ქუთაისს კონკურენტები, თუ ჰყავს დაასახელეთ ისინი“ პასუხები ასე გადანაწილდა: ქალაქ ქუთაისის კონკურენტია ქ.თბილისი აცხადებს რესპონდენტთა 57%, ქ. ბათუმი - 32%, ქ. წყალტუბო - 6%, ქ. რუსთავი-3%. გამოკითხულთა მცირე ნაწილი - 1% მიიჩნევს, რომ ქალაქს კონკურენტები არ ჰყავს (იხ. დიაგრამა 1).

გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ქალაქ ქუთაისის კონკურენტებად რესპონდენტები მოიაზრებენ მსგავსი სპეციალიზაციის ქალაქებს „უფრო დიდი მოსახლეობითა“ და „ძლიერი ეკონომიკური ბაზით“.

კითხვაზე: „თანამედროვე პირობებში ქალაქ ქუთაისის კონკურენტულ უპირატესობას რომელი მაჩვენებლები განსაზღვრავენ?“ რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: გეოგრაფიული მდებარება და ბუნებრივი რესურსები - 32%, ორგანიზაციული პოტენციალი - 18%, ცხოვრების ხარისხი - 15%, ფინანსური რესურსები - 14%, ეკოლოგიური გარე-

მო - 12%, ინოვაციური პოტენციალი - 9% .

კითხვაზე: „მომდევნო ათი წლის (2018-2027 წწ.) განმავლობაში როგორ შეიძლება შეიცვალოს ქალაქის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელთა პრირიტეტულობა?“

რესპონდენტთა პასუხები ასე გადანაწილდა: ორგანიზაციული პოტენციალი - 22%, ფინანსური რესურსები - 18%, ინოვაციური პოტენციალი - 17%, ცხოვრების ხარისხი - 16%, გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსები - 15%, ეკოლოგიური პირობები -12% (იხ. დიაგრამა 2).





წყარო: ანკეტური გამოკითხვა

კვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ მხოლოდ ბუნებრივი რესურსები და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ვერ იძლევიან საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარანტიას. ქალაქების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა: კრეატიული მმართველობითი გადაწყვეტილებები, ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური საქმიანობის ცენტრების დაარსება, ინოვაციური ინტელექტუალური რესურსების მობილიზება, ეკონომიკის ინოვაციური სექტორის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. რათქმა უნდა, ქალაქი არ შეიძლება იყოს კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ყველა სექტორში. აქედან გამომდინარე, განვითარების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს პირობებს, რომელიც მიზნად ისახავს ქალაქის გარკვეული ფუნქციების განმტკიცებას, ტერიტორიის სპეციფიკური მახასიათებლებითა და სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებების საშუალებით.

საქართველოს ქალაქების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მიზანშეწონილად გვესახება ქალაქის მმართველი ორგანოების მარკეტინგული საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერა, ქალაქის სიმბოლოების (დროშა, ჰიმნი, სიტყვიერი სიმბოლოები, ქალაქის ჯილდოები) განვითარება და პოპულარიზაცია, ქალაქის ბრენდირება, იმიჯის შექმნა და მართვა. ამასთანავე, მიზანშეწონილად გვესახება შემუშავდეს ქალაქის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მარკეტინგული სტრატეგია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020 (Social-Economic Development Strategy of Georgia 2020).

2. Porter M. E. “How Competitive Forces Shape Strategy”, Harvard Business Review, March, 1979.

3. https://unhabitat.org/ 4.Lever W.F. Competitive Cities in Europe // Urban studies. — 1999. — Vol. 36. No. 5—6.

4. Begg I. Cities and competitiveness // Urban Studies. — 1999. — Vol.

5. Bramezza I. The competitiveness of the European city and the role of urban management in improving the city's performance. — Rotterdam: Tinbergen Institute, 1996;

6.Berg L., van der, Braun E. Urban Competitiveness, Marketing and the Need for Organising Capacity // Urban Studies. — 1999. — Vol. 36. No, 5—6.

7. Мещеряков Т.В. Концепция и инструментарий управления маркетингом территории в условиях креативной экономики (теория и методология) СПб. : Питер, 2011.

8. Kotler P. & Gentner D. «Country as Brand Product, and Leyond A. Ploce Marketing and rand Management Perspective», Journal of Brand Management; Vol 9, 4/5, 2002

COMPETITIVENESS OF THE CITY – COMPLEX PHENOMENON OF ECONOMIC THEORY AND PRACTICE

Maia Akhvlediani,
Doctor of Economics Akaki Tsereteli State University
Associated Professor

RESUME

Introduction to the study, it's objectives and/or hypotheses; Unfortunately, the list of legitimate indicators in modern foreign and ecclesiastical literature are sources which are called "city competitiveness" aren't clearly defined and established. It should be noted that the interpretations, approaches and methods of the city's competitiveness assessment serve only solutions to specific,

practical problems and it is almost impossible to determine the city's competitiveness method and to set up a competitive performance system. The different interpretations of the city's competitiveness concept, their vague nature are inciting researchers to find out more about the topic and search for new approaches

The research aims to simultaneously expand and specify the essence of city competitiveness and develop a system of city competitiveness assessment.

Methods used and/or approach taken; Competitiveness of the city is a complex and multilevel phenomenon of economic theory and practice. Based on research tasks, we used both quantitative and qualitative research methods. Results and/or arguments summarized; Based on the research we have identified five main factors of city competitiveness assessment: Natural Potential; Quality of life; Financial . Potential Organizational .

of the study. Competitiveness of the city - is the formula of social and economic development of the city, the city's ability to satisfy all the target groups (citizens, business subjects, investors, tourists, state, etc.). Today it can be called competitive the city where exist socio-economic, political, cultural, ecological, religious, institutional, etc. Orders.

Keyword: Competitiveness, city competitiveness, potential, brand, image, slogan. Innovation, ecology.

საყოველთაო დაზღვევა საქართველოში

ნანა ბენიძე,
ჯამბულ ბიწაძე,
თინათინ გუგეშაშვილი
ეად. აწსუ ასოც.პროფესორები

რეზიუმე

2013 წლიდან საქართველოში ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რამაც 2017 წლამდე ცვლილების 4 ეტაპი გაიარა.კვლევის მიზანია საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის სრულყოფის გზების ძიება და არსებული პრობლემების გამოვლენა.ამ ეტაპზე საქართველოს სამედიცინო სისტემაში არსებული სიტუაციის ანალიზით გამოჩნდა, რომ სისტემა აშკარად თხოულობს დახვეწას. განსაკუთრებით, კი ფინანსური მართვის მხრივ.

არსებული ხარვეზების მიუხედავად შეიმჩნევა დადებითი ტენდენციები: ჯანდაცვის დაფინანსების ზრდის ტენდენცია; დედათა და ბავშვთა სიკვდილობის აბსოლუტური მაჩვენებლების შემცირება; იმუნიზაციის მოცვის სიდიდე; სასწრაფო სამედიცინო დახმარების და რეფერალის გაუმჯობესება; ტუბერკულოზის და აივ/ შიდსის გამოვლენა და მკურნალობა;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სტატიაში შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები:

1. სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების სრულფასოვანი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება;

2. პირველადი ჯანდაცვის რგოლის ანუ ამბულატორიული სამსახურის რეფორმის ჩატარება (ამბულატორიის ეფექტური მუშაობა განსაზღვრავს პაციენტის მომავალ ხარჯეფექტურობას);

3. ხარისხიანი მედიცინის დამკვიდრების დაწყება;

4. სამედიცინო მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება;

5. სახელმწიფოს დაფინანსება უმთავრესად კონცენტრირებული უნდა იყოს მაღალრისკიანი (ქრონიკული ავადმყოფები, დაბალშემოსავლიანი პირები) ბენეფიციარებზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია მოსახლეობის ამ ჯგუფებზე განსაზღვრული სახელმწიფო პროგრამის გაფართოება;

6. აუცილებელია ქვეყანაში ჯანდაცვის დარგში საკადრო პოლიტიკის შემუშავება;

7. სასურველია, შეიქმნას მაღალი სანდოობის ჯანდაცვის ეროვნული საინფორმაციო სისტემა.

საკვანძო სიტყვები:ჯანდაცვის პროგრამის თავისებურებები.სახელმწიფო დაფინანსება,ჯანდაცვის ობიექტები.ტენდენციები.

შესავალი

ჯანმრთელობის დაცვა არის სახელმწიფო, სოციალ–ეკონომიკურ, სამედიცინო და საზოგადოებრივ ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვა, დაავადებების თავიდან აცილება და მკურნალობა, რაც საბოლოოდ, სიცოცხლეს ახანგრძლივებს-ასეთია ჯანდაცვის თანამედროვე დეფინიცია.ამ განსაზღვრიდან ნათლად ჩანს, რომ მჭიდროდ თანამშრომლობენ მედიცინა და ეკონომიკა, რეგულაციებს კი სახელმწიფო ანხორციელებს საზოგადოებასთან ერთად.

2013 წელს საქართველოში ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს. პროგრამის მიზანი იყო საქართველოს ყველა იმ მოქალაქის ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა, რომელიც 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით არ სარგებლობდა უკვე არსებული სახელმწიფო დაზღვევით და არ გააჩნდა კერძო დაზღვევა. 2014 წელს

ყველა სხვა ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა გაუქმდა და მათი მოსარგებლე მოქალაქეებიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას შეუერთდნენ.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

საყოველთაო დაზღვევას დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ქვეყნისათვის,როგორიც საქართველოა, თუმცა არსებობს უამრავი ხარვეზები რომელსაც გამოსწორება სჭირდება. წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უნივერსალური მოცვა, სადაზღვევო კომპანიების შუამავლობის გარეშე, სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით განხორციელდა.ბოლო წლების განმავლობაში გადაუდებელი ჰოსპიტალურ შემთხვევათა რაოდენობა საგრძნობლადაა გაზრდილი, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ სისტემაში არსებობს ხარვეზები - საავადმყოფოები სახელმწიფოსგან მეტ დაფინანსებას იღებენ და არავინ აკონტროლებს - რეალურები არიან ეს პაციენტები თუ არა, რა ტიპის მკურნალობა ჩაუტარდათ, დანიშნულება პროტოკოლის მიხედვით იყო გაწერილი, თუ საავადმყოფო ზედმეტი ჩარევით ცდილობდა მეტი ფულის მიღებას.

2017 წელს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება 253 მილიონ 800 ათასი ლარით გაიზარდა. 2016 წელს ამ უწყების ბიუჯეტი 3 მილიარდ 162 მილიონ ლარს შეადგენდა, 2017 წელს კი, მისი ბიუჯეტი 3 მილიარდ 415 მილიონ 800 ათასი ლარით განისაზღვრა. როგორც, ბოლო მონაცემები ცხადყოფს,საყოველთაო დაზღვევის პროგრამაზე, სახელმწიფო ნაცვლად 660 მილიონისა, 2018 წ 704 მილიონ ლარს დახარჯავს. ისმის კითხვა-იმ დროს,როდესაც ერთმანეთისგან გაიმიჯნა სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პაკეტები,აგრეთვე 40 ათას ლარზე მეტი შემოსავლის მქონე პირებიც აღარ ისარგებლებენ ამ პაკეტით.ე.ი ბენეფიციალთა რაოდენობა მცირდება,რა საჭირო იყო ბიუჯეტის გაზრდა?

კიდევ ერთი საინტერესო მაჩვენებელი - საქართველოს მრა-

ვალპროფილიან სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტის დაყოვნების მაჩვენებელი 2017 წელს მერყეობდა 5.2-7.4 დღემდე. შედარებისთვის, აშშ-ში იგი არის 2.1, ევროპის ქვეყნების მაქსიმალური მაჩვენებელი 2,7-მდეც კი არ არის. აქ ან უხარისხო სამედიცინო მომსახურეობასთან გვაქვს საქმე (გაიდლაინებთანაც!) ან ეს ციფრები (ანუ ბოლო წლების დინამიკაში საოცრად გაზრდილია მწვავე შემთხვევები?!)გაბერილია, როდესაც მეტი თანხის მისაღებად პაციენტის მდგომარეობას ხელოვნურად ამწვავებენ. ასეთი ტენდენციის აღმოფხვრა მხოლოდ „საბაზრო დაფინანსებას“ და კონტროლის „გამართულ“ სისტემას შეუძლია.

ფაქტია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის ხარჯებს სახელმწიფო პირდაპირი გადახდის წესით ფარავს, ამ თანხების კონტროლის მექანიზმები კი ეტყობა, რომ ძალიან სუსტია. აქ დგება პროგრამის ხარჯვის მონიტორინგის საკითხი. რაც შეეხება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ზედამხედველობას: მონიტორინგსა და პროგრამით განსაზღვრული პირობების შესრულების კონტროლს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს, ხოლო რევიზიას - სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო.

ბიუჯეტის სიმცირის მიუხედავად, ყველაზე დიდი პრიორიტეტი სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის მაქსიმალურად ეფექტიანად ხარჯვა უნდა იყოს. მონიტორინგის კუთხით კი დღეს სერიოზული პრობლემები არსებობს. ჯანდაცვის სამინისტრო ამბობს, რომ სამედიცინო დაწესებულებების მიერ მოწდებული ანგარიშებს გადახედვა მიმდინარებს-რათა შეამოწმონ, რამდენად დასაბუთებულადაა მოთხოვნილი თანხა, ხომ არ ხდება დიაგნოზის გაყალბება, გამწვავება და ა.შ. ვფიქრობ,რომ ამ მისიას ან არაკეთილსინდისიერად ასრულებენ ან დაბალია კვალიფიციური კადრები.

აქ ჩნდება ალტერნატივა - პროცესში ჩაერთოს ე.წ. Third Party (მესამე მხარე) ადმინისტრატორი, მენეჯერი, რომელიც შუამავალი იქნება სახელმწიფოსა და პროვაიდერებს შორის

და უტილიზაციას მართავს. ასეთი პრაქტიკა არაერთ ქვეყანაში გვხვდება. სახელმწიფოს შეუძლია, თუნდაც, უცხოური კომპანია მოიწვიოს, ფიქსირებულ თანხაზე შეუთანხმდეს მას მიანდოს უტილიზაციის მართვა. ამ შემთხვევაში პროცესს მაღალანაზღაურებადი კადრები გააკონტროლებენ, რომელთა ინტერესი (სერვისების მიმწოდებელისაგან განსხვავებით) მხოლოდ და მხოლოდ უტილიზაციის მართვა იქნება და მათ გადაბირებას ვერც ფარმაცევტული და ვერც სადაზღვევო კომპანიები ვერ მოახერხებენ.

ჯანდაცვაში დანახარჯების შეკავების აუცილებლობაზე საუბრობს ექსპერტი თენგიზ ვერულავაც. მისი აზრით, ჯანდაცვაზე დანახარჯების შეკავების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმი ჯანდაცვის დაფინანსების კონკურენტული სისტემაა. ამ სისტემაში სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მართვას ახორციელებს თვითონ, მან რეალურად კერძო სადაზღვევო კომპანიები თითქმის ამოადგო თამაშიდან და დარჩა მონოპოლისტად!

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან დაკავშირებული კიდევ ერთი, ფუნდამენტური საკითხი პროგრამის საყოველთაობას უკავშირდება.„კურაციოს“ საერთაშორისო ფონდის დირექტორთა საბჭოს წევრის თქმით, “ბუნებრივია, რომ პროგრამები, რომლებიც საყოველთაობას გულისხმობს, ყოველთვის უფრო პოპულარულია. ამ ტიპის პროგრამების მოსახლეობის ღარიბ ფენაზე ფოკუსირება უფრო სწორია, თუმცა ის, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის რომელიმე მონაწილეს შეღავათი წაართვა - არარეალურია”.საქართველოს შემთხვევაში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ეს არის ბაზისი და მისი განვითარება უნივერსალურობისკენ უნდა იყოს მიმართული. უნივერსალური ჯანდაცვა ეს არის პროცესი, რომელსაც ნელ-ნელა მივაღწევთ და ამ მხრივ სამი მიმართულებაა: სიღრმე, სიგანე და სიმაღლე. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია გავზარდოთ 1. მოსახლეობის მოცვა, ანუ მოსახლეობის ჯგუფების მოცვა, 2. გაზარდო თანაგადახდა - უფრო მაღალი პროცენტებით დააფი-

ნანსო ის სერვისები, რომელთაც ფარავს საყოველთაო ჯანდაცვა და 3. გაზარდო სერვისების რაოდენობა, ანუ ჯანდაცვის სერვისების სპექტრი, რომელსაც ფარავს სახელმწიფო.

საყოველთაო ჯანდაცვისკენ სვლა სწორია, მაგრამ, როდესაც საყოველთაო ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხა არაეფექტურად იხარჯება და ხშირ შემთხვევაში არასაჭირო მიმართულებით იყრება, ესეც ამ კარგი ინიციატივის დისკრედიტაციის მცდელობაა.

არსებული მასალებით გამოჩნდა, რომ სისტემა აშკარად თხოულობს დახვეწას, განსაკუთრებით, ფინანსური მართვის მხრივ. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ორი ტიპის ინტერვიუები: ღია და სიღრმისეული ინტერვიუები, რომლებიც ბაზრის გაგებასა და მდგომარეობის უფრო ღრმა ანალიზში გვეხმარებოდა, და დახურული კითხვარის მეშვეობით ჩატარებული ინტერვიუები, რომელიც შეიცავს რამდენიმე ჰიპოთეზას სამედიცინო ბაზრის შესახებ. როგორც კვლევის შედეგების ანალიზით ჩანს:

1. გამოკითხული 100 რესპონდენტიდან 34%-მა არ იცის, რომ საყოველთაო დაზღვევით სარგებლობს. ანუ მოსარგებლეთა საერთო რაოდენობიდან მინიმუმ 30% არარეალურია.

2. კერძო სამედიცინო დაზღვევით (კორპორაციოული და ინდივიდუალური) მოსარგებლე აღმოჩნდა 28% -, უპირატესად, ამბულატორიული სერვისებით 61%. კმაყოფილი დარჩა - 32%, მომსახურეობის ხარისხით უკმაყოფილი - 53%.

3. კერძო სამედიცინო მომსახურებისთვის მიუმართავს ბენეფიციალთა 32%-ს, ისიც ძირითადად, ამბულატორული სერვისისთვის და კმაყოფილი დარჩა 62%. უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი ფასები გახლდათ - 38%.დღევანდელი ქართული მედიცინის პრობლემები ასე გამოიყურება:პირველი ადგილი უკავია მედიკამენტების ფასებს (34%), შემდეგ მოდის მომსახურეობის ფასი (27%), ექიმთა კვალიფიკაცია (25%) და დიაგნოსტიკის სირთულეები (14%).

4. არესებულმა რეფორმამ ფინანსური სარგებელი მოუტა-

ნა მხოლოდ 22%-ს, იგივე დარჩა 34%-ის ოჯახის დანახარჯები. ეს დანახარჯები საშუალოდ 50-ლარიდან (41%) 100 ლარამდეა (19%). არც თუ ისე მცირეა თუ გავიხსენებთ, რომ საარსებო მინიმუმი 168 ლარი და 10 თეთრია და პენსია კი - 180 ლარი. ეს განსაკუთრებით მძიმე მოხუცებისთვის იქნება, არადა სწორედ ეს კონტიგენტი არის წამლების ყველაზე მეტი მომხმარებელი!

5. აქვე უნდა გამოვყოთ მედიკამენტების ხარისხით უკმაყოფილოთა 74% და ფასით - 36%.

6. გამოკითხულთა ნახევარს არ აქვს მოლოდინი იმაზე, რომ სახელმწიფო უზრუნველყიოფს მისი ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებას. თუმცა, 41% თვლის, რომ სახელმწიფომ ეს უნდა გააკეთოს!

7. გამოკითხულთა ნახევარი მზად არის სასურველი სამედიცინო მომსახურეობისთვის თანხა გადაიხადოს. მაგრამ თუ შემოსავალი გაეზრდებათ, მაშინ მეტსაც გადაიხდიან! ასე ფიქრობს 70%; თუმცა, 27% მტკიცედ თხოულობს უფასო მედიცინას!

8.ხელფასები 96%-ში არის მდგარადი (ფიქსირებული). გამოკითხულთა 94% მიუთითებს იმას, რომ ხელფასი სიმბოლურად ასახავს მათ მიერ დახარჯულ შრომას.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ჯანდაცვის სისტემაში სახელმწიფოს, კერძო სადაზღვევო კომპანიებისა და პაციენტების მიერ გაწეული უზამაზარი ხარჯის მიუხედავად საქართველოში მედიკო-დემოგრაფიული სიტუაციისა და ანალიზის საფუძველზე გაკეთებული იქნა შემდეგი დასკვნები:

1. საქართველოში შექმნილი ნეგატიური დემოგრაფიული სიტუაცია, გარდა სხვა ფაქტორებისა, განისაზღვრება აგრეთვე მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ფაქტორითაც.

2. საქართველოს მოსახლეობის ავადობის დონის მაჩვენებლების მიხედვით ის წინ უსწრებს ევროპის ქვეყნებს, მიუხედავად სამედიცინო სერვისებისთ სარგებლობის მნიშვნელოვანი მატებისა.

3. საქართველოში ერთ საწოლზე ექიმების საშუალო რაოდენობა ერთს აღემატება, რაც საშუალო ევროპულ მაჩვენებელთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტია (საწოლზე 0,6 ექიმი).

4. აუცილებელია ქვეყანაში ჯანდაცვის დარგში საკადრო პოლიტიკის შემუშავება.

საყოველთაო ჯანდაცვისკენ სვლა სწორია, მაგრამ, როდესაც საყოველთაო ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხა არაეფექტურად იხარჯება და ხშირ შემთხვევაში არასაჭირო მიმართულებით იყრება, ესეც ამ კარგი ინიციატივის დისკრედიტაციის მცდელობაა.სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს და განავითაროს ისეთი რეგულირების მექანიზმები, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის არაფორმალური დანახარჯების ხვედრითი წილის შემცირებაზე ჯანდაცვის ეროვნულ დანახარჯებში. კიდევ ორი სისტემური ნაკლი, რომელიც დღეს სახეზე გვაქვს: ეს არის დაუხვეწავი სისტემაში არსებული სახელფასო პოლიტიკა და მედიკამენტების „უმართავი“ ბაზარი (ფასისა და ხარისხების შეუსაბამობით!).

დღეს ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით საქართველოს სამედიცინო მომსახურეობით მოსახლეობის მხოლოდ 31% არის კმაყოფილი. მათი უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი არასანდოობა და ფასებია.

ამ ეტაპზე საქართველოს სამედიცინო სისტემაში არსებული სიტუაციის ანალიზით გამოჩნდა, რომ სისტემა აშკარად თხოულობს დახვეწას, განსაკუთრებით, ფინანსური მართვის მხრივ. აუცილებელია სახელმწიფომ და კერძო კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

1. საჭიროა სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების სრულფასოვანი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება.

2. პირველადი ჯანდაცვის რგოლის ანუ ამბულატორიული სამსახურის რეფორმის ჩატარება (ამბულატორიის ეფექტური მუშაობა განსაზღვრავს პაციენტის მომავალ ხარჯეფექტურობას.)

3. ხარისხიანი მედიცინის დამკვიდრების დაწყება;

4. სამედიცინო მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

5. სახელმწიფოს დაფინანსება უმთავრესად კონცენტრირებული უნდა იყოს მაღალრისკიანი (ქრონიკული ავადმყოფები, დაბალშემოსავლიანი პირები) ბენეფიციარებზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია მოსახლეობის ამ ჯგუფებზე განსაზღვრული სახელმწიფო პროგრამის გაფართოება.

6. აუცილებელია ქვეყანაში ჯანდაცვის დარგში სწორი საკადრო პოლიტიკის შემუშავება.

7. სასურველია, შეიქმნას მაღალი სანდოობის ჯანდაცვის ეროვნული საინფორმაციო სისტემა.

8. სამედიცინო სფეროს მომსახურეობიდან პოპულიზმის ამოღება

UNIVERSAL HEALTH INSURANCE IN GEORGIA

Nana Benidze,
A.D.E. ATSU. Associate Professor;
Jambul Bitsadze
A.D.E. ATSU Associated professor
Tinatin Gugeshashvili
A.D.E. ATSU Associated professor

RESUME

The universal healthcare program was launched in Georgia in 2013. The program has passed four phases of changes from 2013 to 2017. In 2016 the budget of Health Care Program was 3 billion 162 million GEL, In 2017 budget would be 3 415 800 GEL. As it is seen from the last data on the universal insurance program the government instead of 660 million, in 2018 will spend 704 million

GEL. The aim of the research study is to find the ways to improve the health care system and to identify the existing problems.

Based on the analysis of the current situation in the Georgian medical system, the system apparently needs improvement, especially distribution of finances.

However there are some positive trends too, for example the increase of the grants to the health care programs, reduction of absolute indicators of mother and child mortality, number of immunization beneficials, tuberculosis and HIV / AIDS detection and treatment.

The State must take into account the following recommendations:

1. Establish a full control system of state funded programs.
2. Conduct a primary health care, emergency service reforms.
3. Establishment of high quality medical services.
4. Increase the level of awareness of population to increase the quality of medical services.
5. State funding should be concentrated mainly on high-risk (chronic illnesses, low income persons) beneficiaries. Accordingly, it is expedient to expand the state program to these groups of population.
6. It is necessary to develop personnel recruitment policies in the health care system.
7. It is desirable to create the reliable national healthcare information centers.
8.To take a populism from medical service.

Key words: Features of the Health Care Program; State financing; Healthcare facilities; Trends.

ცვლილებების პროცესი და ძირითადი სირთულეები

ანზორ აბრალავა,
ემდ, სტუ პროფესორი
ვასილ ბატიაშვილი,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ის ძირითადი რისკები და სიძნელეები, რაც ნებისმიერი ცვლილების თანმდევი პროცესია. რამდენიმე კომპანიის მაგალითზე შეგვიძლია ვიხილოთ, თუ რაოდენ დიდი როლი ენიჭება სწორ სტრატეგიას და სამომავლო გათვლებს. ბიზნესი არის ის სფერო, სადაც უდიდესი კაპიტალიზაციის მქონე კომპანიასაც კი არ აქვს გარანტირებული სამუდამო ჰეგემონია. ინოვაციურობა და თანამედროვე ტექნოლოგიის ათვისების დონე ხშირად და დიდწილად განსაზღვრავს, რა მომავალი შეიძლება ქონდეს ამა თუ იმ კომპანიას.

საკვანძო სიტყვები: ცვლილებები, გარდასახვები, ინოვაცია.

ძირითადი ტექსტი

სიახლეების დანერგვა და ყოველდღიურობაში მათი ხილვა, მარტივი და ჩქარი პროცესი არაა. ასეთ სიტუაციებში, ტოპ მენეჯმენტს ყურადღება და დიდი ნებისყოფის გამოვლენა მართებს. როგორც მმართველი გუნდი, ასევე თანამშრომლები უნდა უწევდნენ ანგარიშს იმ ფაქტს, რომ გარდასახვების დროს ყველა დაძაბულია. ზედმეტი სიჩქარით კი მოქმედი პროექტი შეიძლება მხოლოდ დაზიანდეს. გასათვალისწინებელია შემდეგი პუნქტები:

- პროდუქტიულობის და წარმადობის გაზრდის აუცილებლობა, რომელიც ადრე თუ გვიან დგება დღის წესრიგში. პრობლემა კიდევ უფრო მძაფრდება, თუ ანგარიშს გავუწევთ ფაქტს, რომ გლობალიზაციის ზრდასთან ერთად, იზრდება საერთაშორისო კონკურენციისა და ფინანსური ინფლაციის დონეც.

- რთული ორგანიზაციულ-მენეჯერული სქემები(სადაც მოიაზრება დასაქმებული პერსონალის მდგომარეობა, შიდა სტრუქტურა, ორგანიზაციული კულტურა და სხვა), რომელიც ზედმიწევნით უნდა ეხამებოდეს კომპანიის განვითარების სტრატეგიას.

- კადრების დენადობის პრობლემა. აქ მოიაზრება ასევე ხანდაზმული კადრების ჩანაცვლება ახალგაზრდა, ნაკლებად გამოცდილი თანამშრომლებით, მათი პროფესიული გაზრდისთვის საჭირო დანახარჯები.

გარდა ზემოთ დასახელებული ნიუანსებისა, შემდგარი ორგანიზაციებისთვის ცვლილებების ორომტრიალში ჩართვა სხვა მიზეზითაც რთული და დამქანცველია. განსაკუთრებით, თუკი ეს ცვლილებები არათანმიმდევრული და დროში წყვეტადია. საქმე იმაშია, რომ ვიწრო, კონკრეტული სპეციალობით დაკავებული კომპანიები თავიანთ შესაძლებობებს არსებული ტრაექტორიის მიხედვით ადგენენ და დროთა განმავლობაში გეზის შეცვლა ძალიან უჭირთ. ბრწყინვალე მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ “პოლაროიდის” და “ეფლის” სიტუაცია. ერთი მხრივ, თავისი დროის გიგანტი ფოტო სამყაროში, ფაქტობრივად თავისივე ინსტიტუციონალური და ფსიქოლოგიური ბარიერის მსხვერპლი გახდა და არსებული პოზიციები დაუთმო სხვა კომპანიებს, რომლებიც იმ პერიოდში მხოლოდ იწყებდნენ მოღვაწეობას. სრულებით რადიკალური სიტუაცია განვითარდა “ეფლის” შემთხვევაში, როდესაც პირდაპირი მნიშვნელობით ავტოფარეხში გახსნილმა კომპანიამ, წარმოუდგენელი მსოფლიო სიმაღლეები დაიპყრო და დღემდე ინარჩუნებს ამ ადგილს.

მსგავსი იდეების და ღონისძიებების გატარების ინოვაციურობა იმაში მდგომარეობს, რომ წინასწარ განვჭვრიტოთ შე-

საძლებლობები და მათგან სარგებელი მივიღოთ. საინტერესოა, როგორ აზროვნებენ ინოვაციურობის ზღუდესთან მდგარი მეწარმეები? როგორ ან საიდან იღებენ ისინი სიგნალებს და შეტყობინებებს ცვლილებებთან დაკავშირებით? ეს ხომ, ერთი მხრივ, ის ბაზარია, რომლის კვლევა და ანალიზი დღევანდელი მონაცემებით პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან საუბარი ხვალინდელ/ სამომავლო პროდუქციას(მომსახურებას) ეხება. როგორ ხვდებიან ისინი იმ ბაზრის მოთხოვნას ან თუნდაც მზადყოფნას მიიღონ ახალი პროდუქტი, რომელიც ჯერ არც შექმნილა და არც უნახავთ? არის კი იმის შესაძლებლობა, რომ მომხმარებელთან პირდაპირი საუბრის შემდეგ, მათ მიიღონ წინასწარი დაკვეთა პროდუქტის, რომელიც იქნება მომავლიდან? ამ კითხვებთან დაკავშირებით, თავის დროზე ჰენრი ფორდმა თქვა: "მე რომ მეკითხა მომხმარებლებისთვის, თუ რა სურდათ მათ მიეღოთ ჩემგან, სავარაუდოდ მეტყოდნენ, უფრო ჩქარი ცხენი". შეიძლება ეს არის კიდეც პასუხი დასმულ კითხვაზეუსაზღვრო რისკი და საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, რომ ქმნი პროდუქტს, რომელიც აქამდე არავის შეუქმნია, ცვლი რეალობას და არ გეშინია წარუმატებლობის. ნაკლებად რისკიანები და ცივი გათვლის მოყვარული მეწარმეები, ცდილობენ არსებული საკითხები საცდელი ვერსიების, ე.წ ბეტა ვერსიების მეშვეობით გადაჭრან. ისინი მცირე დოზით, კონკრეტული გეგმით უშვებენ ბაზარზე ინოვაციურ პროდუქტს და შემდეგ ყურადღებით აკვირდებიან რეაქციას. რა თქმა უნდა, სიტუაცია ხშირად ძალიან არასტაბილური, ნაკლებად მდგრადი და ცვალებადია, თუმცა დღევანდელმა რეალობამ მეწარმეებს ასწავლა ოქროს წესი: ყოველთვის ძლიერი ვერ იმარჯვებს, იმარჯვებს სწრაფი ადაპტაციის უნარის მქონე. ინოვაციურობა სრულებით არ ნიშნავს, ყოველთვის გამოვიგონოთ ახალი ველოსიპედი, შეიძლება უკვე მომწიფებულს შთავბეროთ ახალი სიცოცხლე და სრულებით განსხვავებული გზით წავიყვანოთ მისი განვითარება. ასეთ დროს, ერთ- ერთ მთავარ როლს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მათი გამოყენება წარმოადგენს. შესანიშნავ მაგა-

ლითად შეიძლება გამოგვადგეს კომპანია მაგინკი, რომელიც იაპონური ავტო გიგანტის, მიცუბიშის ნაწილია. 2000 იან წლებში, კომპანიის მენეჯმენტა სრულებით ახალი გეზი აიღო გარე რეკლამის მიმართულებით, რაც იმ დროისთვის რევოლუციურ იდეაზე იყო დამყარებული- შეეცვალათ გარე ფასადზე არსებული დაბეჭდილი სარეკლამო ბანერები, თხევად- კრისტალური, მაღალი გარჩევადობის ეკრანებით. კომპანია ამ კონკრეტული ქმედებით რამდენიმე საკვანძო პრობლემას ხსნიდა: კონკრეტული სარეკლამო ადგილი უკეთესად დაიტვირთებოდა, რადგან შესაძლებელი იქნებოდა არაერთი სარეკლამო აბრის განთავსება და მათი პერიოდული ცვლა; მასშტაბურად შემცირდებოდა მოთხოვნა ქაღალდის და ქაღალდის შემცველობის ბანერებზე, რაც დადებითად აიახებოდა გარემოზე; ეს ღონისძიება სამომავლოდ ბიძგს მისცემდა ინდუსტრიას, გადაენაცვლა ისეთ მასობრივ სფეროში, როგორიც არის ტელევიზორების წარმოება. დღეს კომპანია წარმოდგენილია ბაზარზე როგორც ერთ- ერთი მოწინავე, თანამედროვე, მაღალი გარჩევადობის მქონე თხევად- კრისტალური ეკრანებით, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნესმენებს, სხვადასხვა საფასო სეგმენტის და დროის მონაკვეთების გათვალისწინებით, განათავსონ საკუთარი რეკლამები.(Managing Innovation, 2007)

ინოვაციური ფირმების გამაერთიანებელი, უპირველეს ყოვლისა, ალბათ მაინც მათი მიდგომაა. ასეთი კომპანიები ზომით, ფინანსური შესაძლებლობით და აქტივებით, საწყის ეტაპზე, შესაძლოა საშუალო ან მცირე ზომის ფირმას წარმოადგენდნენ, თუმცა მათი უნარი, თავი მოუყარონ და სწორი მიმართულებით მიმართონ ტექნოლოგიური სიახლეები ახალი სიმაღლეების დასაპყრობად(იქნება ეს წარმოებული პროდუქცია თუ გაწეული მომსახურება), საშუალებას აძლევს, კონკურენცია გაუწიონ სხვებს და გაზარდონ არსებული ბაზრის წილი, რომელსაც არსებულ მომენტისთვის ფლობდნენ. ასეთმა ტექნოლოგიურმა ნახტომებმა, უმეტესწილად არა მხოლოდ კონკრეტული დარგი, შეიძლება მთელი ნაცია და ქვეყანაც უსაზღვროდ ახეიროს და

მატერიალური დოვლათის შექმნას შეუწყოს ხელი. გარდა ამისა, ინოვაციური მიდგომა სხვამხრივაც აძლიერებს და ამრავალფეროებს ბაზარს: ახალი პროდუქცია შესაძლებელს ხდის, შეინარჩუნო და მიიღო ბაზრის ახალი წილი, გაზარდო ლიკვიდურობა, ბრუნვა და მოგება. არსებული პროდუქცია, რომელიც უკვე წარმოდგენილია, განისაზღვრება სასიცოცხლო ციკლის ქონით. ციკლის გაზრდა, ხშირ შემთხვევებში იმაზე მეტ არაპირდაპირ ფაქტორზეა დამოკიდებული, ვიდრე ვთქვათ- საფასო პოლიტიკა. ასეთებად გვევლინებიან, მაგალითად: დიზაინი, ხარისხი, მრავალფეროვნება. დღევანდელ მსოფლიოში, ხშირია მასობრივი მოხმარების პროდუქცია, რომლის სასიცოხლო ციკლის ხანგრძლივობა თვეებს, ზოგ შემთხვევაში კი მხოლოდ კვირებსაც კი ითვლის. ასეთ პროდუქტებს მიეკუთვნებიან მაგალითად: ტელევიზორები, კომპიუტერები, მობილური ტელეფონები. ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქციის გამოშვებისას, მწარმოებლები ითვალისწინებენ ამ ფაქტორებს და ცდილობენ, ყოველ ახალ მოდელს რაიმე განსხვავებული, თანამედროვე და ტექნოლოგიურად უფრო სრულყოფილი დეტალი შემატონ, რაც ერთი მხრივ კონკურენტულს გახდის მათ ახალ პროდუქტს, მეორე მხრივ კი, წინა მოდელის/პროდუქტის კანიბალიზაციას მოახდენს. გლობალიზაციის პირობებში, მწარმოებლებს უხდებათ ფეხი აუწყონ თანამედროვეობას, ეცადონ კონკურენტზე ჩქარა აწარმოონ და გამოუშვან ბაზარზე ახალი პროდუქტი თუ მომსახურება, რაც თავის მხრივ, უფრო ამცირებს მოქმედის სიცოცხლისუნარიანობას.

კომპანიის "ქსეროქსი" მაგალითზე, შეგვიძლია მსგავსი მაგალითი გავიხსენოთ: 1970- იან წლებიდან მოყოლებული, აღნიშნულ ფირმას დომინანტური ადგილი ეკავა ფოტოსაბეჭდ ინდუსტრიაში. მათ ქონდათ ყველაფერი- უზარმაზარი წილი ბაზარზე, დაგროვებული საკმაო გამოცდილება, სახელი, ფინანსები. თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. ბაზარზე ახლადწარმოქმნილი კომპანიები გამოჩნდნენ(უმეტესწილად იაპონური ფირმები), რომლებმაც

მცირე კაპიტალიზაციის პირობებში თანამედროვე ტექნოლოგიები შესთავაზეს ბაზარს და "ქსეროქსს" მისსავე მოედანზე გაუწიეს კონკურენცია. დაახლოებით 8 წელი დასჭირდა კომპანიას იმისათვის, რომ ადექვატური პასუხი გაეცა ახალი მოთამაშეებისათვის და ეცადა, დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები, თუმცა ამ პერიოდისათვის, "ქსეროქსს" მთლიანი ბაზრის მოცულობის ნახევარი უკვე დაკარგული ჰქონდა. ეკონომისტების კლარკისა და ჰენდერსონის (Clark&Henderson, 2007) შეფასებით: როგორც ჩანს, თანამედროვე ტექნოლოგიებში, მოკრძალებული ცვლილებებიც კი, დრამატული შედეგების მომატანები არიან!

გადაუდებელი და სწრაფი ცვლილების შესანიშნავ მაგალითად გვევლინება "აუდი კვატრო"(Audi Quattro). 1976 წლის ზამთარში, ინჟინერი ბენსინგერი(Ingenieur Bensinger), რომელიც კონცერნის განვითარების ხელმძღვანელია, აღფრთოვანებულია იმდროინდელი "ფოლქსვაგენს ილტისით" "VW Iltis". ავტომობილი მაღალი გამავლობის მანქანების კლასს მიეკუთვნებოდა და მისი კონკურენტული უპირატესობა ოთხივე აღმძრავი თვალი იყო. ეგრედ წოდებული 4X4 ავტომობილები იმ დროისათვის იშვიათობა იყო და ზემოთ ხსენებულმა ბენსინგერმა სწორედ ამაში დაინახა დიდი მომავალი. მისი იდეა, აღნიშნული ტექნოლოგიის სედანის და ლიმუზინის სტილის ავტომობილებში დანერგვას გულისხმობდა. ის უზიარებს თავის აზრს აუდის ხელმძღვანელობას და იღებს წინასწარ დასტურს, იდეის განხორციელებისათვის.

უკვე 1977 წლის მარტისთვის, ჰანს ნედვიდეკი(Hans Nedvidek) ამზადებს პირველ პროტოტიპს, "აუდი 80"- ის (Audi 80) ბაზაზე. იმავე წლის სექტემბერში პროექტი იღებს უკვე საწარმო ნომერს და პირველ სამუშაო ჯგუფს 12 კაცის შემადგენლობით.

1978 წლის იანვარში, "ფოლქსვაგენის"(VW) გაყიდვების დირეკტორი და მარკეტინგის ხელმძღვანელი უერთდებიან გადაწყვეტილებას, გამოსცადონ ახალი ავტომობილი ტურაშერის მაღლობზე(Turacher Höhe), რომელიც ევროპული ალპების

ერთ- ერთი უმაღლესი წერტილია.

1978 წლის მაისში, მოდელმა სერიული წარმოების დაწყებისათვის მწვანე შუქი მიიღო.

1980 წლისათვის კი- "აუდი კვატრო" ჟენევის ავტოსალონის ვარსკვლავია! ამ პერიოდში "აუდი" იწყებს ახალ პოზიციონირებას, დღეისათვის ცნობილი სლოგანით: უპირატესობა ტექნიკის ხარჯზე(Vorsprung durch Technik). კვატროს თავბრუდამხვევი შედეგები ქონდა სხვადასხვა შეჯიბრებზე, მოდელის პოზიციები კი წლიდან წლამდე მყარდებოდა და უფრო პოპულარული ხდებოდა. წყარო: (Bach 2000, S. 176ff.)

დასკვნა

ეკონომიკის და ბიზნესის წარმატებისათვის, აუცილებელია სწორი და დროული ცვლილებები, რომლებიც ტექნოლოგიური ინოვაციის გამოყენებით იქნება მხარდაჭერილი. ასეთ შემთხვევაში, ბაზარზე არსებული პროდუქტის/მომსახურების სასიცოცხლო ციკლი ხანგრძლივდება და კომპანიას უჩნდება საშუალება, კონკურენცია გაუწიოს სხვა ფირმებს და გაზარდოს საკუთარი მოცულობითი წილი ბაზარზე.

ლიტერატურა:

1. Managing Innovation- Joe Tidd; John Bessant; 2007;

2. https://www.hbs.edu/faculty/Publication%20Files/07-057.pdf;

3. BACH, N. (2000): Mentale Modelle als Basis von Implementier ungsstrategien: Konzepte fur ein erfolgreiches Change Management, Wiesbaden

REFERENCES:

1. Managing Innovation- Joe Tidd; John Bessant; 2007;

2. https://www.hbs.edu/faculty/Publication%20Files/07-057.pdf;

3. BACH, N. (2000): Mentale Modelle als Basis von Implementier ungsstrategien: Konzepte fur ein erfolgreiches Change Management, Wiesbaden.

CHANGES VS CHALLENGES

Anzor Abralava, Ph.D of GTU
Vasil Batiashvili, Doctoral Candidate of GTU

RESUME

When an organization attempts to make a radical change in technological and marketing strategy by creating a new decentralized and semi-autonomous subunit, the process effects should be less than when such a redirection entails reorienting the existing structure. Similarly, a major reorientation in an organization operated by the consensual decision-making may take a long time to decide. But its rationale is likely to be better understood and its implementation is less likely to meet resistance than the same change undertaken in an organization with hierarchical autocratic decision-making. The general point is that as with organizational content, differences in process may matter for the outcome of a change.

Key words: Changes, Transformation, Innovation.

მენეჯმენტის თანამედროვე მოდელები განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში

ბადრი დავითაია,
აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი
ლალი ხარბედია,
აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის
ასოცირებული-პროფესორი
მზისადარ ბჟალავა,
აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

რეზიუმე

გაანალიზებულია მენეჯმენტის სხვადასხვა მოდელები განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მათვის დამახასიათებელი კორპორატიული კულტურის თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნულია, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებულია მენეჯმენტის სამი კლასიკური მოდელი იაპონური, ამერიკული და გერმანული, რომლებიც განსხვავდებიან არსებითად მენეჯმენტის სხვა მოდელებისგან. ხაზგასმულია, რომ მენეჯმენტის იაპონური მოდელი - ერთერთი ეფექტური მოდელია მსოფლიოში. მისი მთავარი ღირსება არის ადამიანებთან მუშაობის უნარი, ეს მოდელი ორიენტირებულია შრომის ორგანიზაციის ჯგუფურ ფორმაზე და შესაბამისად გამოიყენება ჯგუფური პასუხისმგებლობის მექანიზმი. რაც შეეხება ამერიკულ მოდელს,მისთვის ნიშანდობლივია ამერიკელი მენეჯერების მუდმივად ეფექტური საქმიანი თვისებები . ამერიკული მენეჯმენტის არსი შეიძლება გამოიხატოს ერთი სიტყვით - ინდივიდუალიზმი. ასევე სტატიაში ხაზგასმულია, რომ გერმანიაში საწარმოთა მართვა ორგანიზებულია იმგვარად, რომ ყველა დანაყოფის ეკონომიკური ურთიერთობების პარალელურად არსებობს მართვის ქვედა დონეების მკაცრი ადმი-

ნისტრაციული დაქვემდებარება მართვის ზედა რგოლების მიმართ. ძალზე შთამბეჭდავი შედეგები, რომელიც მიღწეულია ამ ქვეყნის მიერ, ადასტურებს მენეჯმენტის გერმანული მოდელის ეფექტურობას.

საკვანძო სიტყვები: კორპორატიული კულტურა/მენეჯმენტის ამერიკული, იაპონური და გერმანული მოდელი/ საინვესტიციო მენეჯმენტი/ მატრიცული ორგანიზაციული სტრუქტურა/ დელფის მეთოდი/ როლითი თამაშები/ პრეზენტაცია/ პატერნალიზმი.

შესავალი

როგორც ცნობილია, არსებობს მენეჯმენტის სხვადასხვა მოდელი, რომლებიც ითვალისწინებენ ამათუ იმ ქვეყნის ეროვნულ სპეციფიკას. უპირველეს ყოვლისა, ეს დაკავშირებულია სხვადასხვა ერების კორპორატიული კულტურის თავისებურებებთან. აღსანიშნავია, რომ ადამიანთა საქმიანი ურთიერთობის ხასიათი უმთავრესია მენეჯმენტში. ამასთან, არსებობს ისტორიულად ჩამოყალიბებული მენეჯმენტის კლასიკური მოდელები (ამერიკული, გერმანული და იაპონური), რომლებიც არსებითად განსხვავდებიან სხვა მოდელებისაგან.

ძირითადი ტექსტი

მენეჯმენტის იაპონური მოდელი. აღნიშნული მოდელი წარმოადგენს ერთ-ერთ ეფექტურ სისტემას მსოფლიოში.მისი უმთავრესი ღირსება - ადამიანებთან მუშაობის უნარ-ჩვევები. ორიენტირებულია შრომის ორგანიზაციის ჯგუფურ ფორმაზე. გამოიყენება ჯგუფური პასუხისმგებლობის მექანიზმი, რომლის დროსაც ჯგუფის წევრები იღებენ მონაწილეობას მართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში და ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათ რეალიზაციაზე. ინფორმაცია ფირმის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესახებ დაყვანილია ყველა კატეგორიის პერსონალამდე. რეალიზებულია მუშაკთა აქტიური ჩართვა ტექნოლოგიური და ეკონომიკური ხასიათის

პრობლემების გადაწყვეტაში. სწორედ აქედან მომდინარეობს ხელმძღვანელებს, სხვადასხვა სამსახურებსა და მუშაკებს მჭიდრო კონტაქტები.მენეჯერი მუდმივად წარმოებაშია ხელქვეითებს შორის. მუშაკების საინიციატივო წინადადებები საჩივრები განიხილება დაუყონებლივ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო - ტექნიკურ პროგრესს. ფუნქციონირებს შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მწარმოებლურობის მართვის სისტემა, რომელიც ადგეს უხარისხოდ წარმოებული პროდუქციის მიზეზებს. ბოლო სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება, რომ რაციონალისტურ წინადადებათა რაოდენობა იაპონიაში რამდენჯერმე აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს აშშ-ში. დამკვიდრებულია წესი: ყოველი რაციონალისტური წინადადება უნდა იყოს რეალიზებული.

ასევე ყურადღებას იმსახურებს ფინანსების მართვის პროცესი. ფირმები უმთავრესად იყენებენ საკუთარი და არა მოზიდული, აქციონერულ კაპიტალს. დივიდენდები შედარებით დაბალია, ვინაიდან მოგების თავისუფალი ნაშთი ძირითადად პერსპექტიული სამეცნიერო გამოკვლევების დაფინანსებაზეა მიმართული. ეკონომიკური ზრდის შემცირების დროს ფირმები უარს აცხადებენ მოზიდულ კაპიტალზე და გადადიან თვითდაფინანსებაზე. ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო: მუშავდება ეკონომიკის განვითარების ზოგადეროვნული პროგრამები; განიხილება არსებული და პერსპექტიული მიმართულებები ეკონომიკის მნიშვნელოვან სფეროებში ინვესტიციების გადაქაჩვის მიზნით გამოიყენება საგადასახადო პრეფერენციები და წახალისებულია მეურნეობის წამყვან დარგებში ძირითადი ფონდების დაჩქარებული ამორტიზაცია. ასევე აღსანიშნავია სამუშაო ადგილზე გამწესების და სამსახურებრივი დაწინაურების სისტემაც. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს შორის ტარდება გულდასმითი შერჩევა. შემდგომ ამისა, ხდება მათი საზეიმო მიღება გამოსაცდელი ვადით. მომზადების სრული კურსი შეადგენს სამუშაოდ 12

თვეს ფირმის შესაბამის განყოფილებაში გამოცდილი მუშაკის ზედამხედველობის ქვეშ. ის ვინც, გამოავლენს სათანადო უნარ - ჩვევებს მუდმივად იკავებს სამუშაო ადგილს. ხელმძღვანელობის ანტიბიუროკრატიული სტილი ნიშანდობლივია იაპონური მენეჯმენტის მოდელისთვის. ფირმის მართვის სტრუქტურაში გარკვეული პერიოდით იქნება ავტონომიური ქვედანაყოფები, რომლებიც ფლობენ შეუზღუდავ დამოუკიდებლობას. სოციალურ - შრომითი ურთიერთობებიდან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პატერნალიზმი, ე.ი. მუშაკთა საარსებო მინიმუმი რეგლამენტირებულია ფირმის დონეზე. ამასთან ფირმაში მოქმედებს მუდმივად დაქირავების სისტემა., შესაძლებელია ურთიერთობა ადმინისტრაციასთან არაოფიციალურ ვითარებაში, კერძოდ, აპრობილებურია ერთობლივი დასვენება, გართობა და რელაქსაციის სხვა აქტიური ფორმები. იაპონელი მენეჯერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთი საქმიანობის სფეროში სოციალურ პოლიტიკას. საკუთარი ქვეყნის სიამაყის განცდა, მზრუნველობა საკუთარი ხალხისთვის განეკუთვნება პრიორიტეტულ ამოცანათა რიგს.

ამრიგად, იაპონური მენეჯმენტის უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენ კერძო და საზოგადოებრივი კაპიტალის ჰარმონიული შეთანაწყობა.

მენეჯმენტის გამოცდილება აშშ-ში. აშშ-ს აქვს მენეჯმენტის უმდიდრსი გამოცდილება. უკიდურესად ლაკონური მენეჯმენტის ამერიკული მოდელის არსი შეიძლება დახასიათდეს ერთი სიტყვით - ინდივიდუალიზმი. ეს ძირითადად დაკავშირებულია აშშ-ს ისტორიასთან. იმიგრანტებმა და მათმა შთამომავლობამ საფუძველი ჩაუყარეს ადამიანის ფსიქოლოგიას, რომელიც, იმისთვის, რომ გადარჩეს, იძულებულია იმედები საკუთარ თავზე დაამყაროს. ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ საქმესთან დაკავშირებულ საკითხებში ამერიკელი მენეჯერები პირველ პლანზე აყენებენ ბიზნესის საკითხებს, თუნდაც ამას შეეწიროს ნორმალური ადამიანური ურთიერთობები. ხელმძღვანელობის ეს სტილი ძირითადად დამახასიათებელი იყო XX

- საუკუნის პირველი ნახევრის მენეჯერებისთვის. რაც შეეხება ამერიკის თანამედროვე მენეჯერებს, მათთვის ტიპიურია ისეთი სიტუაცია, როდესაც მენეჯერები საჭიროდ მიიჩნევენ თავიანთ ხელქვეითებს უწოდონ კოლეგები, ერთი გუნდის წევრები. ისინი იხრებიან მართვის უფრო ადამიანური , დემკორატიული სტილისაკენ. თუმცა, უნდა გამოირიცხოს სიტუაციის იდიალიზირების მცდელობაც. კერძოდ ის, რომ მათთვის მკაცრი მეთოდები არ გამქრალა მმართველობითი კაბინეტებიდან.

მენეჯერების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების, მათი პროფესიონალური ცოდნის სისტემატური განახლების მიზნით აშშ-ში ინტენსიურად გამოიყენება კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა კურსები, რომლებიც ძირითადად ფუნქციონირებენ უნივერსიტეტებში. კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ღირებულება მენეჯერებისთვის შეადგენს 500-დან 4,5 ათას დოლარამდე კურსის დონის მიხედვით. კორპორაციის საქმიანობის მთელ სპექტრში მენეჯერთა კადრების რაციონალური გამოყენების კუთხით ერთ - ერთი უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ყოველი მენეჯერის მმართველობითი პოტენციალის შეფასება. კონკრეტულ დონეზე სამუშაოს წარმატებით შესრულება არ არის გარანტი იმისა, რომ ასევე წარმატებული იქნება უფრო მაღალ დონეზე. XX - საუკუნის 60-იან წლებში მთელი რიგი ამერიკული კორპორაციები მიმართავდნენ სპეციალურ შეფასებით ცენრტებს ამ პრობლემის მოგვარების მიზნით. აღნიშნულ ცენტრებში სპეციალური ტესტირების მიხედვით მათ მმართველობით პოტენციალს. ამჟამად ასეთი ცენტრები ფუნქციონირებენ ისეთ ცნობილ კორპორაციებში როგორიცაა ; General electric და IBM. ამერიკელი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ შეფასების ასეთი ფორმა ბევრად ეფექტურია, ვიდრე შეფასების ტრადიციული მეთოდები უშუალო ხელმძღვანელის მიერ. როგორც მათი უცხოელი კოლეგები, ამერიკელი მენეჯერები ძალიან ინტენსიურად მუშაობენ: 60-საათიანი სამუშაო კვირა მათთვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ბევრი მათგანი 90 - საათსაც მუშაობს კვირაში. მენეჯერები სამუშაოს იწყე-

ბენ დილის 6-7 საათზე ისინი ცხადდებიან ბევრად უფო არდე, ვიდრე მუშაკთა ძირითადი მასა ცხადდება სამუშაო ადგილზე. მუშაობის ინტენსიური რეჟიმი მოითხოვს სათანადო ჯამრთელობას და ფიზიკურ მომზადებას. რაც არ უნდა დაძაბული იყოს სამუშაო რეჟიმი, მენეჯერების უმრავლესობა მუდმივად პოულობს დროს ფიზიკური დატვირთვისა და რელაქსაციისთვის. ძირითადად ახალბედა ამერიკელი მენეჯერები ისწრაფვიან დაწინაურებისკენ სამსახურეობრივ ასპარეზზე და ამას ღიად აცხადებენ. ასეთი დაწინაურების საფუძველია მაღალი პროფესიონალური დონე და გუნდური მუშაობის უნარი

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელი მენეჯერები თანამედროვე ცხოვრების რიტმით კმაყოფილები არიან. დაძაბული და საინტერესო საქმიანობა, რომელიც სრულ რეზონანსშია მაღალ ანაზღაურებასთან მათ ცხოვრებას ქმნის სრულფასოვანს. თუმცა არ უნდა მოხდეს მენეჯმენტის ამერიკული მოდელის იდეალიზება. შრომის ბაზარზე მკაცრი კონკურენცია ითხოვს თითოეული მუშაკისაგან უკუგებას და პასუხისმგებლობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნორმალურ საქმიან ურთიერთობებს.

ამასთან, მენეჯმენტის ამერიკული მოდელი მკაცრად ილაშქრებს ყველა სახის დისკრიმინაციული გამოვლინებების მიმართ. თუკი დაწესებულებაში ორი მუშაკი ვერ თანამშრომლობს ერთად, მიზანშეწონილად მიიჩნევენ ორივეს განთავისუფლებას, ვიდრე განხეთქილების მიზეზების დადგენას. ცნობილია, რომ თუკი ვინმე აგრესიულობას გამოავლენს სხვა ადამიანის ეროვნების ან კანის ფერის მიმართ, მას არა მხოლოდ გააძევებენ, არამედ ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ის სხვაგან არ დასაქმდეს. სამუშაოს დაკარგვა ამერიკელებში ასოცირდება თავისუფლების დაკარგვასთან.

მენეჯმენტის გამოცდილება გფრ-ში. ძალზე შთამბეჭდავი შედეგები, რომელიც მიღწეულია ქვეყნის ეკონომიკის მიერ, ცალსახად ადასტურებს მართვისა და ორგანიზაციის სისტემის ეფექტურობას.

გერმანიაში მენეჯმენტის ძირითადი მიზნებია: მაქსიმალური მოგების მიღება და აქციონერებზე დივიდენდების გადახდა. გარდა ამისა, გერმანიაში მენეჯერები მიზნად ისახავენ: ა) თავიანთი კომპანიების მიმართ წამყვანი ადგილების დაკავებას ბაზარზე; ბ) წარმოების მუდმივ განვითარებას ინვესტიციების ხარჯზე; გ) სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების აქტიურად ჩატარებას; დ) ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას; ე) კადრების მომზადებისა და სწავლების განხორციელებას.

წარმოების მართვა ორგანიზებულია იმგვარად,რომ ყველა დონის მკაფიო ეკონომიკურ ურთიერთობებთან შეხამებულია მართვის ქვედა დონის მკაცრი ადმინისტრაციული დაქვემდებარება მართვის ზედა რგოლების მიმართ, ასევე მკაცრი მოთხოვნაა გეგმის შესრულებაზე. მენეჯერების ძალისხმევა მიმართულია ბაზარზე კომპანიის დამკვიდრებაზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ხარჯზე.

მართვის აპარატის მუშაობის სტილი არის ზემდგომი ხელმძღვანელების მიერ დაქვემდებარებულთა დარწმუნების მეთოდი. მათთვის ეს სტილი გამყარებულია იმ თეორიული არგუმენტებით, რომ ამ დროს ადგილი აქვს ხელქვეითთა მაღალ უკუგებას მუშაობის პროცესში.

მუშაობის პრაქტიკაში აპრობირებულია რეგულარული დისკუსიების გამართვა სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით (გეგმები, მუშაობის შედეგები, განვითარების პერსპექტივები) როგორც წესი, ნაკლებად მიმართავენ ბრძანებებისა და სხვა დირექტორული დოკუმენტების გამოცემას. უფრო ხშირად მითითებები ატარებენ რჩევისა და რეკომენდაციის ფორმას. თუკი რეკომენდაციები არ არის გათვალისწინებული ხელქვეითის მიერ, მაშინ დღის წესრიგში დგება მუშაკის შესაბამისობის საკითხი დაკავებულ თანამდებობასთან.

გფრ-ის საწარმოებში არსებობს მკაცრი დაგეგმვის სისტემა. ძირითად ბირთვს წარმოადგენს 5-წლიანი გეგმა, რომელიც ყოველწლიურად ექვემდებარება კორექტირებას. მკაცრი დაგეგმვა არანაირად არ არის ხელის შემშლელი სტრუქტურუ-

ლი ქვედანაყოფების ავტონომიურობისათვის, თუმცა ითვალისწინებს მკაცრ კონტროლს მათ საქმიანობაზე მენეჯმენტის მაღალი დონის მხრიდან. სტრატეგიული დაგეგმვა - ეს არის ინვესტიციების, ფინანსების, მოგებისა და რენტაბულობის პოლიტიკა. ოპერატიული დაგეგმვა მოიცავს წლიურ, კვარტალურ და ყოველთვიურ გეგმებს, რომლების მოიცავენ ეკონომიური შედეგების შეფასების, ნედლეულის მოწოდების , წარმოების პროგრამის და პროდუქციის გასაღების მაჩვენებელს. მოქმედებს ოპერატიული გეგმების კორექტირების სისტემა. თუკი ეს მაჩვენებელი დადებითია, საწარმოს ადმინისტრაცია არ არის წინააღმდეგი გეგმის დაზუსტებისა. იმ შემთხვევაში, თუკი მაჩვენებელი უარყოფითია, მაშინ მკაცრად მოეთხოვება იმასთან დაკავშირებით, რომ მათ დროულად ვერ შეძლეს პრობლემის იდენტიფიცირება და სათანადო ზომების მიღება.

კადრებთან მუშაობა არის მენეჯმენტის უმთავრესი ფუნქცია გფრ-ის საწარმოებში. საწარმოს საკადრო სამსახურის ამოცანები, გარდა კადრების შერჩევისა, მოიცავს პერსონალის სწავლებას, ხანდაზმულობის უზრუნველყოფას და სხვა სოციალურ საკითხებს.

მენეჯერები ორგანიზებას უწევენ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, რეზერვების შექქმნას ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მენეჯერების არჩევა ხდება ძირითადად საწარმოს შიდა რესურსებიდან, თუმცა შესაძლებელია მათი არჩევა გარე რესურსებიდან. ამასთან დაუშვებელია ფავორიტული თუ სხვა სახის კორუფციის ნებისმიერი გამოვლენა.

გასული წლის მუშაკთა შრომის შეფასებისთვის ხორციელდება პერსონალის ატესტაცია. ამ მიზნით მუშავდება ე.წ. შეფასებითი ფურცლები ყოველ მუშაკზე. იქ წარმოდგენილი საკითხები იყოფა ორ ჯგუფად, რომლებიც ახასიათებენ მუშაკთა კვალიფიკაციას და მათ დამოკიდებულებას შრომით საქმიანობასთან.

გერმანულ მენეჯმენტში განსაკუთრებული ადგილი უკავია სოციალური საკითხების გადაჭრას. გერმანიაში სოციალური

ინფრასტრუქტურის განვითარებას უზრუნველყოფს ადგილობრივი ორგანოები. მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან მათ შესაბამის რეგიონებში უზრუნველყონ ადგილობრივი მოსახლეობა სათანადო სოციალური ობიექტებით (საბავშვო ბაღები, სკოლები, სავადმყოფოები და ა.შ.) მათი ფინანსირება ხორციელდება ადგილობრივი ორგანოების მიერ იმ მოგების გადასახადების ხარჯზე, რომელიც შემოდის ამავე რეგიონში განთავსებული საწარმოებიდან. დაფინანსების წყაროს ამავე მიმართულებით წარმოადგენს ასევე ფედერალური ბიუჯეტის თანხები.

ამრიგად შრომითი მოტივაციის ძირითადი ელემენტებია: ხელფასის შედარებით მაღალი დონე, რომელიც გარანტირებულია კანონით სატარიფო შეთანხმებებზე, შრომით ანაზღაურებაში მკაფიოდ გამოხატული დიფერენცირებული მიდგომა განათლების, დაკავებული თანამდებობებისა მუშაობის სტაჟის მიხედვით; სამუშაო ადგილის გარანტია და კვალიფიკაციის ამაღლება.

საკუთარი მენეჯმენტის განვითარების კონცეფცია. ქართული რეალობის თავისებურებების გათვალისწინებით მენეჯერებმა უნდა შეძლონ მენეჯმენტის უახლესი ინოვაციების დანერგვა პრაქტიკაში. ეს პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

✓ ორგანიზაციული პრობლემების გადაჭრა (ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა, კერძოდ დივიზიონალური, მატრიცული, ხაზობრივი და ა.შ.);

✓ ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა (მოგების გადიდების მიმართულებით, ფულადი სახსრების მოძიება და ინვესტირება)

✓ მმართველობითი პრობლემის გადაჭრა (მენეჯმენტის ახალ საფეხურებზე გადასვლის სტრატეგიის შემუშავება);

✓ მართვის მოძველებული მეთოდების გამოყენებაზე უარის თქმა და მენეჯმენტის ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა მსოფლიო მიღწევების შესაბამისად. მათ შორის არის: საინვე-

სტიციო მენეჯმენტი; ინოვაციური მენეჯმენტი; ფინანსური მენეჯმენტი; საბიუჯეტო მენეჯმენტი; ლიზინგი; ლოგისტიკა; შიდასაფირმო დაგეგმვა; კონტროლინგი; ხარისხის მენეჯმენტი; საინფორმაციო მენეჯმენტი; რისკ - მენეჯმენტი; საკადრო მენეჯმენტი;

✓ ცალკეულ, ეპიზოდური ღონისძიებების მართვიდან კონცეპტუალურ - მიზნობრივ პროგრამებზე გადასვლა.

✓ საწარმოებში მენეჯმენტის მოწინავე მეთოდების გამოყენება (როლითი თამაშები, პრეზენტაცია, დელფის მეთოდი და ა.შ).

REFERENCES:

1.U. Breddik—"Management"—Textbook, Moscow "Finances and Statistics" 2015(in Russian language)

2. O.S. Vikhanski —"Management"—Textbook, Moscow "Finances and Statistics" 2015(in Russian language)

3.A.I. Papkin-elementaries oh manegement-- Finances and Statistics" 2015 (in Russian language)

CONTEMPORARY MODELS OF MANAGEMENT IN THE DEVELOPED MARKET ECONOMY COUNTRIES

Badri Davitaia,PhD, ATSU, Assistant-professor
Lali Xarbedia, PhD, ATSU, Associate Professor
Mzisadar Bjalava, PhD, ATSU, Assistant-professor

RESUME

In the presented article it is analyzed the different kinds of management models in the market economy countries. Moreover, their corporative culture is discussed, there is also mentioned that it is historically formed three classical models of management: Japanese, American and German, which differ essentially from the other

models of management. Among them the Japanese management model is one of the effective models in the world. Its main value is ability for working with public. This model is oriented on organization of group work and accordingly there is used a mechanism of group responsibility.

As to American model, it is important the constant effective business abilities. American management meaning can be expressed with one word—individualism. Also it is underlined that in Germany management is organized in such a way that the clear economical relationship exists at any level. Furthermore, there is also the strict administrative control towards ruling of upper levels. The very impressive results, which are achieved by Germany, confirms also the efficiency of their model.

Key Words: Corporative culture; American management; German management; Japanese management; Investment management; Method of role games; Presentation; Paternalism; Organization structure.

ადამიანური რესურსის მნიშვნელობა ცვლილებების განხორციელების პროცესში

ვასილ ბატიაშვილი,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ტრანსფორმაციის პროცესი თითოეული კომპანიისთვის რთული, გრძელვადიანი და მტკივნეული პროცესია. დაგეგმარების, სტრატეგიის შერჩევისა და რისკების გათვლის პარალელურად, უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება გუნდს, რომელმაც ეს ცვლილებები უნდა განახორციელოს და კონკრეტული შედეგი მოიტანოს. გამომდინარე აქედან, კადრების შერჩევის პროცესს კომპანიის ტოპ მენეჯმენტის მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა.

საკვანძო სიტყვები: გარდასახვები, ცვლილებები, ტრანსფორმაცია, პროექტ-მენეჯმენტი.

ძირითადი ტექსტი

არსებობს სიტუაცია, როდესაც წარმატების მოტანის ძირითადი ხელისშემშლელი უბრალო ინერტულობაა. საწყის ეტაპზე, ის უწყინარია და შეიძლება პრობლემად არც აღიქმებოდეს, ყურადღების მიქცევის გარეშე კი შეიძლება სასიკვდილო რისკის შემცველი იყოს. ბლოკირებული ან/და არასწორ კალაპოტში მიმართული ენერგია, ნებისმიერი კომპანიის განვითარებისთვის უდიდეს საფრთხეს ინახავს. ხშირ შემთხვევებში, ასე წარმოიშობა ხოლმე კოროზიული პროცესები, რომლებიც შეუქცევადს სახეს იღებენ ხოლმე. მსგავსი მოცემულობით, თანამშრომლები, რომლებიც არ არიან შეჩვეული დიდ დაძაბულობას ან სიჩქარეს სამუშაო პროცესში(რაც გამოწვეულია ინერტულობით, რომელიც დროთა განმავლობაში სიზარმაცეში გადაიზრდება ხოლმე), არ ყოფნით ენერგია, მონდომება, მოტივაცია - საბოლოო ჯამში კი ამით კომპანია ზარალდება.

საყურადღებოა ასევე გუნდის შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესი. რა თქმა უნდა, გუნდი კონკრეტული დავალების შესასრულებლად ყალიბდება, მისმა მენეჯერმა საკმაოდ კარგად უნდა იცოდეს წევრების მონაცემები, იცოდეს სად გადის მათი შესაძლებლობის ზღვარი და რაც მთავარია, უნდა შეეძლოს ერთმანეთისთვის უცნობი წევრების შეთამაშება და გუნდური პრინციპით მოქმედების სწავლება. ეს გრძელი პროცესია. მნიშვნელოვანი საკითხია გუნდში წევრების რაოდენობის განსაზღვრა. ძირითადად, ადამიანების რაოდენობა თვითონ დავალების სირთულიდან და მასზე გამოყოფილი დროის ინტერვალიდან გამომდინარეობს, თუმცა არსებობს დაუწერელი, ოქროს კანონი, რომ ყველაზე ოპტიმალური რაოდენობა, სამიდან- ექვს ადამიანამდე მერყეობს. ხშირ შემთხვევებში, თუ გუნდის წევრთა რაოდენობა აღნიშნულზე მეტია, ეფექტურობა და დავალებათა შესრულების ხარისხი მკვეთრად იკლებს. (შედ. Forster 1978, S. 68; Bleicher et al. 1989, S. 107f.). გარდა ამისა, აუცილებლად გასარკვევია, თუ როგორი პრინციპით იმუშავებენ თანამშრომლები: სრული სამუშაო გრაფიკით თუ ნახევარ განაკვეთზე. ეს თითქოს პატარა, უმნიშვნელო დეტალია, თუმცა ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, თუ როგორ არის აღქმული თანამშრომელი კომპანიის მიერ. ძირითად შემთხვევებში, ადამიანები, რომლებიც ნახევარ განაკვეთზე მუშაობენ, გრძელვადიან პერსპექტივაში არ არიან ხოლმე აღქმულები, როგორც თანამშრომლები, რომლებსაც კომპანია ხედავს თავის რიგებში, ან მათ ჯერ კიდევ აქვთ დასამტკიცებელი, თუ რამდენად იქნებიან წარმატების და სარგებლის მომტანები საკუთარი ფირმისთვის. შეიძლება, ეს დამოკიდებულება ობიექტური და კონკრეტული მონაცემებიდან გამომდინარე იყოს, თუმცა არსებობს რისკი, რომ თანამშრომლებმა ასეთი დამოკიდებულება აღიქვან როგორც გამოსაცდელი პერიოდი. პრობლემების უმეტესობა კი მოტივაციის დაკარგვის/არქონის ნიადაგზე უფრო ღრმავდება.

გასათვალისწინებელია ასევე როლები, გუნდის შიგნით; თუ ვის რა პასუხისმგებლობა ენიჭება, ვინ არის პროექტის ხელმ-

ძღვანელი, ვინ მოადგილე და ასე შემდეგ. სტრატეგიული პროექტის მსვლელობის დროს, როდესაც მიმდინარეობს დაგეგმარებისა და პროექტირების ეტაპი, დაკომპლექტებული გუნდის არსებობა ნიშნავს, რომ როგორც მოქმედი ტოპ მენეჯერები, ასევე გუნდის წევრები, სამომავლოდ განიხილებიან იმ ბირთვად, რომლის ირგვლივაც უნდა გაიზარდოს და განვითარდეს ახალი უწყება ან ქვეუწყება. მხოლოდ ამ მოცემულობით შეუძლია ტოპ მენეჯმენტს დასახოს გარდასახვის მიზნები და ახალი მოცემულობა, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარდეს კომპანია, ასევე ეგრეთ წოდებული სათადარიგო გეგმები, გაუთვალისწინებელი შეცდომების თავიდან აცილების მიზნით. აქედან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ პროგრამის მმართველი გუნდი თავის თავზე იღებს არა მხოლოდ მიმდინარე პროექტის განვითარების პასუხისმგებლობას, არამედ მთლიანი გარდასახვის პროცესის.

შეგვიძლია გუნდის ფორმირების 4 ფაზა განვიხილოთ. ესენია: "ფორმირება"; "ნორმირება"; "ქარიშხლის ფაზა"; "შესრულების ფაზა".

"ფორმირების" შემთხვევაში, სიტუაცია შემდეგნაირია: გუნდი ახალი ჩამოყალიბებულია, თანამშრომლები ერთმანეთს კარგად არ იცნობენ. თავდაპირველად საჭიროა მიჩვევა. იწყება ერთმანეთის "შემოწმება", დაახლოებით ისე, როგორც ეს ველურ ბუნებაში ხდება ხოლმე. არსებული სიტუაცია ცვალებადი გარემოს არსებობაზე და ურთიერთნდობის არქონაზე მეტყველებს. ამ ეტაპზე, როგორც წესი, რთული არის ხოლმე საერთო კონსენსუსის მოძებნა პროექტის მიმდინარეობის საკითხებზე და სამუშაო მეთოდებთან დაკავშირებით. (შედ. Grunwald/Redel 1986, S. 309) .

სხვა იერარქიულ ფაზებთან შედარებით, ურთიერთთანამშრომლობის განცდა აქ ყველაზე ნაკლებად არის განვითარებული. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ გვხვდება მეტი "მე", ვიდრე "ჩვენ".

"ქარიშხლის ფაზა"- გუნდის ფორმირების და განვითარების

პროცესის ცენტრალურ ფაზად ითვლება. ამ დროს, გუნდის სხვადასხვა წევრების მმართვის კომპეტენციებისა და პროფესიული თვისებების/შესაძლებლობების ლუსტრაცია ხდება. წარმოიშობა უამრავი წინააღმდეგობა, როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული. პროექტის ხელმძღვანელის წილად უაღრესად დიდი ძალისხმევის გაღება ხდება საჭირო, რათა მართვის სადავეები არ იქნეს ხელიდან გაშვებული. თვითონ მას, უწევს წინააღმდეგობებით აღსავსე გარემოში გადარჩენა. იწყება აზრთა გამოხშირვის პროცესი, საიდანაც კონსტრუქტიული აზრის გამარჯვების შემთხვევაში, ის ხდება მომავალი წინსვლის და წარმატებების მთავარი მამოძრავებელი ძალა და ერთიანი გუნდის საბოლოო ფორმირების მთავარი მოტივატორი. თუმცა დიდი წარმატების წინაპირობა, რა თქმა უნდა, პროექტის მენეჯერის სწორი მმართველობითი კურსია. (შედ. Wehmeyer/Munich 1993, S. 427)

"ნორმირების ფაზა"- ამ შემთხვევაში, წინა პლანზე ინაცვლებს გუნდურობის პრინციპის განვითარება. ძირითადი კონფლიქტები ამოწურულია და დაპირისპირებები მივიწყებული. ხდება გუნდურობის ნორმების, წესების და წინაპირობების ჩამოყალიბება. აუცილებელ პირობად ხდება გუნდის უსაფრთხოების პირობების განსაზღვრა, იხვეწება და ჩნდება "ჩვენ- გრძნობა". სამუშაო პროცესის დროს აქტიურდება აზრთა გაცვლის შემთხვევები, იკვეთება განახლებული სამუშაო გარემო და აქამდე პიროვნულ დაპირისპირებას, საგნობრივი და სამუშაო პროცესისთვის დამახასიათებელი პაექრობა ცვლის. რა თქმა უნდა, არსებული სიტუაცია იდეალურისგან შორსაა, თუმცა საერთო დავალებების სისტემატიზაცია აქტიურად მიმდინარეობს; გუნდის სამოქმედო გეგმის განხლივა ხშირია თანამშრომლებს შორის. (შედ. Comelli/von Rosenstiel 2003, S. 212f.).

"შესრულების ფაზა"- მეოთხე ეტაპზე, გუნდი უკვე მთავარ სამუშაო ფაზაში იმყოფება. თანამშრომლებს შორის პირადი დაპირისპირებები მთლიანად ამოწურულია. გუნდის თითოეულმა წევრმა, ზედმიწევნით იცის თითოეული კოლეგის ძლიერი და

სუსტი მხარეები, გარკვეულია პიროვნული ურთიერთობებიც და გუნდის რიგებში აღარ შეიმჩნევა ჩაკეტილობა და დაძაბულობა. პირადი პასუხისმგებლობა ნელ- ნელა გადაიზარდა ერთმანეთის მიმართ არსებულ პასუხისმგებლობაში. საბოლოოდ ჩამოყალიბდა გუნდურობის შეგრძნება, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში დაგროვებული გამოცდილების და ურთიერთნდობის შედეგია. აღნიშნული სიტუაცია თანამშრომლების და კომპანიის შიდა კულტურის შექმნის და განვითარების საფუძველს ქმნის. თითოეული თანამშრომლის როლი გამიზნული, მოქნილი და პროქტის დავალების შესრულებაზე ორიენტირებულია. ეს საშუალებას აძლევს ხელმძღვანელ პირებს, სწორი მიმართულებით მიმართონ თანამშრომელთა ძალისხმევა დასახული მიზნების მიღწევისათვის.(Tuckman 1965, S. 387: „The group becomes a sounding board of which the task is played.")

პროექტის დასრულების შემდეგ, თანამშრომლებისთვის ცხოვრების ერთი ეტაპი სრულდება. ზოგ შემთხვევაში, ისინი უბრუნდებიან ძველ სამუშაო ადგილს და გარემოს. ტოპ მენეჯმენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, გუნდის საუკეთესო წევრებს ისინი ახალ პროექტს სთავაზობენ/ ან მათი უშუალო მონაწილეობით, ახალ გუნდს აკომპლექტებენ. ხშირად ხდება, როცა სტრესულ გარემოში დიდი ხნით ნამუშევარი კადრები, წყნარ და სტაბილურ სამუშაო გარემოს ვეღარ ეგუებიან და ახალი სამუშაოს ძიებას იწყებენ ხოლმე. (შედ. Patzak/Rattay 2004, S. 131).

გუნდის ჩამოყალიბების ვირტუალური ეფექტი შეიძლება ციკლური განვითარების მოდელის ბაზაზე განვიხილოთ.

1. ჩამოყალიბების და კონფიგურაციის ეტაპი: სწორი სტატრტის აბსოლუტური წინაპირობაა ძლიერი მმართველი გუნდი. ტოპ მენეჯმენტი დარწმუნებული უნდა იყოს თავის ძალაში, გამოცდილებაში და წარმატების მიღწევაში. მათ უნდა გააჩნდეთ ადამიანაბთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება, გუნდის ჩამოყალიბების სტრატეგია. მათ უნდა ჰქონდეთ უნარი, აქციონ წარუმატებლობა- წარმატებად და გუნდის თითოეული თანამ-

შრომლის მინუსი- დადებითად გარდასახონ. ამასთანავე, გაითვალისწინონ თითოეული ღირებული წევრის ინდივიდუალობა, არ შეზღუდონ ისინი სამუშაო პროცესში და მათ შესაძლებლობებს მაქსიმალური გასაქანი მისცენ. თანამშრომლებს თავის მხრივ გუნდური მუშაობის პრინციპის დანერგვა და განვითარება ევალებათ. ერთმანეთის ნდობა და კულტურული ტოლერანტობა, რომელიც დროთა განმავლობაში კომპანიის სახეს წარმოადგენს, თითოეული წევრის დასამკვიდრებელი და საყურადღებო საქმეა.

2. ინიცირების/საწყისი ეტაპი: ეს ეტაპი აქტიური სამუშაო ფაზის დაწყებას გულისხმობს. ეგრედ წოდებული kick off, ანუ სიგნალი, რომელიც სტარტის მანიშნებელია. თანამშრომლები წარმოადგენენ თავის ხედვას პროექტთან დაკავშირებით. უამრავი პირისპირ შეხვედრის პარალელურად, თანდათან იხვეწება პროექტის პირვანდელი კონტურები, ამაში რა თქმა უნდა, ტოპ მენეჯმენტიც აქტიურად არის ჩართული.

3. დაზოგვისა და რეგულირების ეტაპი: გუნდის ხელმძღვანელობის პრიორიტეტი ამ ეტაპზე თანამშრომლების, როგორც გუნდის წევრების ზრდაზე და განვითარებაზე ზრუნვაა. საჭიროა აქტიური საკომუნიკაციო არხების არსებობა, როგორც ზევიდან ქვევით(მმართველობიდან იერარქიულად დაბლა მდგომ თანამშრომლებთან), ასევე პირიქით. საჭიროა აზრების ხშირი გაცვლა, თანამშრომლების მაქსიმალური კონცენტრაცია და ინტეგრაცია სრულ სამუშაო გარემოში. აზრების გაცვლა ხშირ შემთხვევაში საპირისპირო აზრის წარმომქნელად გვევლინება ხოლმე, თუმცა ამავდროულად, ეს პროცესი ურთიერთნდობასაც აღრმავებს, რაც ამ ეტაპისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

4. შეფასებისა და ოპტიმიზაციის ეტაპი: სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც იმისთვისაა განკუთვნილი, რომ გუნდური მუშაობის პროგრესი შეფასდეს. მონაცემთა ბაზების ანალიზის გარდა, იგეგმება ჯგუფური შეხვედრები, სხვა პროექტის თანამშრომლების მონაწილეობითაც, ხდება ქვეუწყებრივ დონეებზე აზრების გაცვლა- გაზიარება, წარმატებების და წარუმატებელი

შემთხვევების გარჩევა. ცალკეულ შემთხვევებში, დაგროვილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, ტოპ მენეჯმენტი პირისპირ შეხვედრებსაც მართავს საკუთარი გუნდების წევრებთან.

5. დამაგვირგვინებელი ეტაპი: დამასრულებელი ფაზა. გუნდის ხელმძღვანელობა შემაჯამებელ შეხვედრას ატარებს, სადაც მთლიანი განვლილი ეტაპი ჯამდება. ბოლო ეტაპის შეფასების დროს, ვლინდებიან საუკეთესო თანამშრომლები, რომლებმაც მათზე მინდობილ სამუშაოს თავი ბრწყინვალედ გაართვეს. ასეთ შეხვედრებზე, ხშირად ახალი პროექტის მმართველებიც იკვეთებიან ხოლმე, რომელთაც ტოპ მენეჯმენტი აწინაურებს.

თითოეული პროექტის წარმატებული განვითარებისათვის, დაინტერესებული და ძლიერი სპონსორის ყოლა აუცილებელია. სპონსორი ყურადღებას აქცევს ყველაფერს: დაწყებული გარემო პირობებით, დამთავრებული გუნდის მართვის სტილით. ასეთ შემთხვევებში, პროექტის ხელმძღვანელის ავტონომიურობა საკმაოდ შეძღუდულია. იქმნება იერარქიულად დაქვემდებარებული სიტუაცია: თანამშრომელს არ გააჩნია მთლიანი თავისუფლება პროექტის განხორციელების ფარგლებში, რადგან ნაწილობრივ შეზღუდულია პროექტის ხელმძღვანელის მიერ, ის კი, თავის მხრივ, სპონსორისგან. სპონსორი შეზღუდულია რესურსების სიმწირით, სწორედ აქედან მომდინარეობს დაძაბულობათა კასკადი. (შედ. zum Fuhrungsanspruch Kruger 2005, S. 209ff.; Buhner 1993, S. 418f.; in Verbindung mit Projektarbeit vgl. Jantzen-Homp 2000, S. 131ff.).

მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით, ტოპ მენეჯმენტი ხშირად მართავს პირისპირ შეხვედრებს კონკრეტულ სპონსორთან, რათა გააცნოს პროექტის მიმდინარეობა, მიღწეული შედეგები, წარმოუდგინოს ფინანსური და სტრატეგიული ანალიზი. სპონსორებთან მიმართებაში საჭიროა მათი პირადი დაინტერესება, რათა პროექტმა არ დაკარგოს აქტუალურობა. განსაკუთრებით ძნელი მათი დარწმუნება გრძელვადიანი პროექტების განხორციელების დროსაა. მაგალითად ახალი მედიკამენტის შემუშა-

ვება ან ინოვაციური ტექნოლოგიის შექმნა. ასეთ შემთხვევებში რთულია პროდუქტის რამესთან შედარება, რადგან მას ანალოგი არ გააჩნია და როგორც წესი, პროექტის მსვლელობა დიდი ხნით გრძელდება ხოლმე. პრობლემა, რომელიც ტოპ მენეჯმენტის წინაშე მწვავედ დგება, ძირითადად ადამიანური ფაქტორებისგან შედგება: იმედი, გაამართლებს თუ არა პროექტი; ნებისყოფა, რადგან პროექტი შეიძლება დაგეგმილზე დიდხანს გაიწელოს; სიხარბე, რადგან ხშირ შემთხვევებში, სპონსორები უბრალოდ უარს აცხადებენ გაუთვალისწინებელი ფინანსური გადაცდომებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებაზე.

დასკვნა

თუ ჩვენ შევაჯამებთ განხილულ მონაცემებს, რომლებიც კომპანიაში ცვლილებების დროს, კონკრეტულად თანამშრომლებს ეხებათ, შემდეგ სურათს მივიღებთ: გარდასახვების პერიოდში კომპანიაში მიმდინარეობს რესტურქტურიზაცია. თავის თავად, ეს ფაქტი გულისხმობს კადრების გაშვებას, ახლების აყვანას, არსებულების გადამზადებას/ახალ თანამდებობებზე დანიშვნას. თუ კომპანია მხოლოდ კადრების გაშვებით შემოიფარგლება, შეიძლება მისი ქმედება განვიხილოთ როგორც "სტრუქტურის დემონტაჟი". თუ კომპანია პირიქით, ცვლილებების ეტაპის დროს ახალ თანამშრომლებს იყვანს და მათ აქტიურად ეძებს, საქმე "სტრუქტურის ჩამოყალიბებასთან" გვაქვს. ძირითადი მოვალეობა, რაც ტოპ მენეჯმენტს ამ დროს აკისრია, ეს არის ბალანსის პოვნა გაშვებებსა და დამატებებს შორის, რადგან გადამეტებული არც ერთი არ ვარგა. პირველ შემთხვევაში, ეს ზედმეტად აგრესიულ ქმედებად ჩანს, მეორე შემთხვევაში კი, უბრალოდ "სტრუქტურის ხელოვნური გაბერვით" შეიძლება დამთავრდეს. როგორც ყველაფერში, აქაც გონივრული ზომიერებაა საჭირო. შეძენილი პერსონალის მიმართ, ხელმძღვანელებს საკუთარი ვალდებულება გააჩნიათ: აღზარდონ ან განავითარონ ისინი როგორც მუშაკები, უზრუნველყონ ისინი ღირსეული სამუშაო პირობებით, შეუქმნან მოტივაცია. ასეთი მეთოდებით

და ასეთი პირობებით აღზრდილი თანამშრომლები, დროთა განმავლობაში კომპანიის შიდა კულტურას აყალიბებენ, რომელიც უპირველეს ყოვლისა მიმართულია კომპანიის წინსვლაზე და სრულად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. თანამშრომლები ხდებიან მოქნილები, ადვილად ეგუებიან სიახლეებს და ცვლილებებს, გარდასახვებთან გამკლავება კი მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ამ ეტაპს, "მასტაბილურებელი" შეგვიძლია ვუწოდოთ.

ლიტერატურა:

1.https://www.sciencedirect.com/science/article/pii/026323739290005O

2.https://books.google.ge/books?id= zHyBQAAQBAJ&pg=PA90&lpg=PA90&dq=grunwald+%26+redel+1986&source=bl&ots=dR52tJmnlk&sig=Gaa6j_AFiq4MurYRm0QB15fN9L0&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwi9mJ7erLzbAhWFB5oKHYY6CgYQ6AEIKDAA#v=onepage&q=grunwald%20%26%20redel%201986&f=false

3.WEHMEYER, D./MÜNCH, C. (1993): Konflikt-Management für das

Projektteam, in: Zeitschrift Führung + Organisation, Nr. 6/1993, S. 425-428.

4.COMELLI, G./VON ROSENSTIEL, L. (2003): Führung durch Motivation –

Mitarbeiter für Organisationsziele gewinnen, 3. Aufl., München.

5. TUCKMAN, B. (1965): Developmental Sequence in Small Groups, in:Psychological Bulletin, Nr. 6/1965, S. 384-399

6.PATZAK, G./RATTAY, G. (2004): Projektmanagement: Leitfaden zum Management von Projekten, Projektportfolios und projektorientierten Unternehmen, 4. Aufl., Wien.

7.Krüger 2005, S. 209ff.; Bühner 1993, S. 418f.; in Verbindung mit Projektarbeit vgl. Jantzen-Homp 2000, S. 131ff

REFERENCES:

1.https://www.sciencedirect.com/science/article/pii/02632-3739290005O

2. https://books.google.ge/books?id= zHyBQAAQBAJ&pg=PA90&lpg=PA90&dq=grunwald+%26+redel+1986&source=bl&ots=dR52tJmnlk&sig=Gaa6j_AFiq4MurYRm0QB15fN9L0&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwi9mJ7erLzbAhWFB5oKHYY6CgYQ6AEIKDAA#v=onepage&q=grunwald%20%26%20redel%201986&f=false

3.WEHMEYER, D./MÜNCH, C. (1993): Konflikt-Management für das.

Projektteam, in: Zeitschrift Führung + Organisation, Nr. 6/1993, S. 425-428.

4.COMELLI, G./VON ROSENSTIEL, L. (2003): Führung durch Motivation – Mitarbeiter für Organisationsziele gewinnen, 3. Aufl., München.

5. TUCKMAN, B. (1965): Developmental Sequence in Small Groups, in:Psychological Bulletin, Nr. 6/1965, S. 384-399

6. PATZAK, G./RATTAY, G. (2004): Projektmanagement: Leitfaden zum Management von Projekten, Projektportfolios und projektorientierten Unternehmen, 4. Aufl., Wien.

7. Krüger 2005, S. 209ff.; Bühner 1993, S. 418f.; in Verbindung mit Projektarbeit vgl. Jantzen-Homp 2000, S. 131ff

HUMAN RESOURCE MANAGEMENT AND CHANGES

Vasil Batiashvili,
PhD Student of GTU

RESUME

Empowerment literally is giving people power. It is about making them *able to do* what needs to be done in the change process. In practice, empowerment is giving people the knowledge, skills, opportunity, freedom, self-confidence and resources to manage themselves and be accountable. The important aspects of empowerment are stimulating people's intellects and imagination, in particular their creativity in the change process, risk taking and trust. Empowering people for action in part entails getting rid of obstacles to change, removing or changing systems or structures that undermine the vision, and encouraging risk taking, new ideas and innovative activities (Kotter, 1995b).

Key words: Changes, Transformation process, Project management.

მარკეტინგი კულტურის სფეროში

მაია ახვლედიანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

კულტურის სფეროში მარკეტინგი განისაზღვრება, როგორც გრძელვადიანი პროცესი, რომელიც პირველ რიგში მიმართულია მიზნობრივი აუდიტორიის განსაზღვრაზე და მათი მოთხოვნილებების/ინტერესების დაკმაყოფილებაზე. თანამედროვე გლობალური სამყარო გაცილებით პოლიმოზაიკური გახდა. კულტურული ორგანიზაციები არა მხოლოდ ქმნიან თავის ახალ იმიჯს, არამედ მუშაობის თვალსაზირისთაც ცდილობენ აჰყვენ თანამედროვე ეპოქას. ისინი თანდათან იძენენ სოციო-კულტურული ცენტრის თვისებებს, შესწევთ უნარი შეასრულონ მრავალფუნქციური ორგანიზაციისთვის დაკისრებული ამოცანები: საინფორმაციო, საგამანათლებლო-აღმზრდელობითი, გასართობ-რეკრეაციული საქმიანობა. მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება კულტურის სფეროში საბაზრო სეგმენტებზე კულტურული დაწესებულებების მომსახურების ხარისხს აუმჯობესებს და ამავდროულად, ხელს უწყობს კულტურის სფეროს პროდუქტების გაყიდვების ზრდას. ტრადიციულ მარკეტინგულ ჭრილში, აღნიშნული პროცესის თანმიმდევრობა შემდეგი თანმიმდევრობით განიხილება: სამომხმარებლო ბაზარი, მარკეტინგული საინფორმაციო სისტემა, მარკეტინგული მიქსი, მომსახურება, სამომხმარებლო ბაზარი. როდესაც ვსაუბრობთ კულტურის მარკეტინგზე, აუცილებლად გასათვალიწსინებელია კომერიცულ და კულტურის სფეროებს შორის არსებული განსხვავებები ბიზნესის „აქსიომამ - „მცირე დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღება“ არ უნდა დააკნინოს კულტურის სფეროს პროდუქტების საგანმანათლებლო როლი და მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: შემოქმედებითი ინდუსტრია, კულტურული ინდუსტრია, მარკეტინგი, სეგმენტაცია, მარკეტინგული კვლევა, იმიჯი, სტანდარტიზაცია, უნიფიკაცია.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში კულტურის სფერო უკვე დიდი ხანია, იქცა ინდუსტრიად. „კულტურული ინდუსტრიის" ცნება პირველად, ლონდონის საბჭოს მიერ, დიდ ბრიტანეთში იქნა შემოღებული. ამ ცნების ქვეშ პირველ რიგში მოიაზრებოდა კულტურული შემოქმედების ის სახეობები, რომლებიც არ საჭიროებდნენ დაფინანსებას, იყვნენ კომერციულები და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას უწყობდნენ ხელს, შემდეგ კი - ყველა ის კულტურული ღონისძიება (კომერციული და არაკომერციული), რომელიც კულტურული პროდუქტის წარმოებასა და მომსახურების გაწევას გულისხმობდა.[1] UNESCO კულტურულ პროდუქტს განმარტავს, „როგორც სხვადასხვა სახის სამომხმარებლო საქონელს, რომელიც გამოხატავს იდეებს, სიმბოლოებსა თუ ცხოვრების სტილს. მათ, ასევე მიეკუთვნება წიგნები, ჟურნალები, მულტიმედიური პროდუქტები, პროგრამული უზრუნველყოფა, ჩანაწერები, ფილმები, ვიდეო და აუდიო-ვიზუალური პროდუქტები"[2].

თანამედროვე მსოფლიოში მარკეტინგმა მოიცვა კულტურის ინდუსტრია, რომლის მთავარი დანიშნულება მომხმარებელთა სოციალური და კულტურული საჭიროებების დაკმაყოფილებაა. კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიის პრობლემის კვლევით დაკავებულნი არიან მეცნიერები: ფ. კოტლერი, დ. თროსბი, ჰ.ბრედფორდი, დ. ჰოკინსი, ბ. ფრიი, ა. კლამერი, ჯ. კონნორი, ა. რუბინშტეინი, ჩ.ლენდრი და ა.შ. ცნობილი მარკეტოლოგი ფილიპ კოტლერი აღნიშნავს, რომ ნებისმიერ კულტურულ ორგანზიაციას (საკონცერტო დარბაზი,

1 Greater London Council Staff Association

2 UNESCO Institute for Statistics P.O. Box 6128, Succursale Centre- Ville Montreal, Quebec H3C 3J7 Canada. 2010

მუზეუმი, ბიბლიოთეკა, კინო და ა.შ.) თავისი დამახასიათებელი „პროდუქტი“ გააჩნია, რომელსაც სხვადასხვა მიზნობრივ სეგმენტს სთავაზობს.[1] ქცევითი და აზროვნების ნორმების ტრანსფორმაციის შედეგად მომხმარებელს უკვე აღარ სურს „პასიური“ მაყურებლის როლში ყოფნა და სურს კულტურული ღონისძიებების „აქტიურ“ მონაწილედ გარდაიქმნას, შეიმჩნევა კულტურის სფეროს ორგანზიაციების “გასვლა” - ინტერნეტის ვირტუალურ სამყაროში. მომხმარებელთა ასეთი ქცევა მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენებით კულტურული სივრცის შეცვლას საჭიროებს.

კულტურის ინდუსტრიისადმი მიდგომები, დროთა განმავლობაში, შეიცვალა. გასული საუკუნის 80-იან წლებში „კულტურულ ინდუსტრიის“ ცნების ნაცვლად დამკვიდრდა „შემოქმედებითი ინდუსტრიის“ ცნება. 1998 წელს, კი ბრიტანეთის მთავრობის სპორტისა და კულტურის დეპარტამენტმა პრაქტიკაში, შემოქმედბითი ინდუსტრიის ნაცვლად, „კრეატიული ინდუსტრიის“ ტერმინი დაამკვიდრა, რაც ადამიანთა ინდივიდუალური შემოქმედებითი პრინციპების, უნარ-ჩვევების და ნიჭის საფუძველზე ინტელექტუალური საკუთრების წარმოებასა და ექსპლოატაციას, სამუშაო ადგილების შექმნას და მოგების მიღებას გულისხმობს.

ჩარლზ ლენდრი ავტორი წიგნებისა: „ცხოვრების ხარისხი და ურბანული გარემო“, „ქალაქების აღორძინება კულტურის გზით“, „კრეატიული ქალაქი“ და ა.შ. აღნიშნავს, რომ კულტურული რესურსები, თანამედროვე პირობებში ანაცვლებენ ნავთობს და ფოლადს, რომლის შედეგად ყალიბდება ქალაქის საბაზისო ღირებულებები, შესაძლებელი ხდება ინვესტიციების მოზიდვა, ტურიზმის განვითარება და ქალაქის იმიჯის ფორმირება.[2]. შემოქმედებითი ინდუსტრიის ეკონომიკური ეფექტურობის შეფასებისას, ასევე მხედველობაშია მისაღები რეგიონის ან ქალაქის

1 Museum Strategy and Marketing: Designing Missions, Building Audiences, Generating Revenue and Resources / Ed. by N. Kotler and P. Kotler. — San Francisco: Jossey-Bass Publishers, 1998. — P. 67.

2 Лэндри, Ч. (2011). Креативный город (С. 39). М.: Классика-XXI.

დონეზე კულტურული ინდუსტრიის საქმიანობის შედეგები და ბაზრის მოცულობა.

თანამედროვე სამყაროში, კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიები მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 4,5% -ს შეადგენენ, ყოველწლიური 10% - ანი პროგნოზირებული ზრდით, სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფენ ევროკავშირის 8.3 მილიონ მოქალაქეს და აქვთ საერთო შემოსავალი 558 მილიარდი ევრო, მხარს უჭერენ სტარტაპებს, მეწარმეობასა და ინოვაციებს, ასტიმულირებენ ინვესტიციებსა და ტურიზმს. ევროკავშირის აქტიური მოსახლეობის 3.3% პირდაპირ თუ ირიბად კულტურულ და შემოქმედებით სფეროებშია დასაქმებული. უმსხვილეს დამსაქმებლებს მიეკუთვნებიან სახვითი (1 234 500), სასცენო (1,234,500) და მუსიკალური ინდუსტრიები (1,168,000)[1]. როგორც ვხედავთ თითოეული მათგანი სამუშაო ადგილებს ერთ მილიონზე მეტი ადამინისათვის ქმნის. ევროპული განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია ინტელექტუალურ საკუთრებაზე დაფუძნებული საქმიანობა, რომელიც ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტის 38.6%-ს შეადგენს. საავტორო უფლებათა დაცვის საქმიანობა, შემოქმედებითი ინდუსტრიების 11 სექტორითაა წარმოდგენილი[2]. დიდ ბრიტანეთში კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიები, სამუშაო ადგილებით 2.5-ჯერ მეტ ადამიანს უზრუნველყოფენ, ვიდრე საავტომობილო მწარმოებლები და 5-ჯერ მეტ ადამიანს, ვიდრე ქიმიური ინდუსტრია. გაერთიანებულ სამეფოში შემოქმედებითი ინდუსტრიების საათობრივი შემოსავალი 9.6 მილიონ ფუნტს შეადგენს[3]. იმის ჩვენება, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში, შესაძლებელი იქნებოდა ამ საკითხის გამოკვლევით და სტატისტიკური მონაცემების შეგროვებით. მაგრამ,

1 http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/Measuring_cultural_and_creative_markets_in_the_EU /$FILE/Creating-Growth.pdf

2 http://www.thecreativeindustries.co.uk/media/281787/creative_industries_economic_estimates_-_ january

3 https://www.theguardian.com/culture/2015/jul/13/publicly-funded-arts-bolster-the-uk-economystudy-finds

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ასეთი მონაცემები არ მოიპოვება.

კულტურული საჭიროებების მორფოლოგიიდან გამომდინარე დღეისათვის სამამულო და საზღვარგარეთელ ავტორთა მიერ ფორმულირებულია კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების თორმეტი ძირითადი პროდუქტი: პროფესიული ხელოვნება და მისი სახეობები; ფოლკლორი და ტრადიციული ხელოვნება; დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნება (ხალხური ხელოვნება და ხელოსნობა); კულტურის არტეფაქტები (მატერიალური და არამატერიალური ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა); ციფრული საქონელი, მხატვრული ნაწარმოებები; სახელმწიფო (მუნიციპალური) მომსახურება; მომსახურების სახელმწიფო სტანდარტი; კულტურული ბრენდი; მოდის (ესთეტიური მიმართულებები, ელიტური სტილი) კულტურული ლანდშაფტი (ბუნებრივი ლანდშაფტების სინთეზი, არქიტექტურა, ყოველდღიური ცხოვრების სივრცე); სპეციალური ღონისძიებები: სიმბოლურად ორგანიზებული აქცია; ყოველდღიური ცხოვრების კულტურა: დღესასწაულები. კულტურის სფეროს პროდუქტების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათზე არსებობს მოთხოვნილება, მოთხოვნილება რომ გარდაიქმნას მოთხოვნად, საჭიროა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ცოდნა, ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასება და ორგანიზაციის რესურსების ოპტიმალურად გადანაწილება. იმისათვის, რომ კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის პროდუქტი ფინანსური თვალსაზრისით გახდეს მიმზიდველი უნდა იყოს ინოვაციური და დაცული საავტორო უფლებით.

მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება კულტურის სფეროში საბაზრო სეგმენტებზე კულტურული დაწესებულებების მომსახურების ხარისხს აუმჯობესებს და ამავდროულად, ხელს უწყობს კულტურის სფეროს პროდუქტების გაყიდვების ზრდას. ტრადიციულ მარკეტინგულ ჭრილში, აღნიშნული პროცესის თანმიმდევრობა შემდეგნაირად გვესახება: სამო-

მხმარებლო ბაზარი, მარკეტინგული საინფორმაციო სისტემა, მარკეტინგული მიქსი, მომსახურება, სამომხმარებლო ბაზარი[1]. როდესაც ვსაუბრობთ კულტურის მარკეტინგზე, აუცილებლად გასათვალიწსინებელია კომერიცულ და კულტურის სფეროებს შორის არსებული განსხვავებები. ბიზნესის „აქსიომამ" - „მცირე დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღება" არ უნდა დააკნინოს კულტურის სფეროს პროდუქტების საგანმანათლებლო როლი და მნიშვნელობა.

იმისათვის, რომ გამოგვევლინა ქალაქ ქუთაისში კულტურის სფეროს პროდუქტებისდმი მომხმარებელთა დამოკიდებულება, დასვენების და გართობის საუკეთესო ადგილი, ჩვენს მიერ, ჩატარდა მარკეტინგული კვლევა. კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რაოდენობრივი კვლევის ჩატარება ანკეტური გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით. რესპონდენტთა შერჩევა მოხდა სტატისტიკურ მეთოდებზე დაყრდნობით როგორც საალბათო, ისე არასაალბათო შერჩევის პრინციპით. რესპოდენტთა გამოკითხვა წარმოებდა ქალაქ ქუთაისის მასშტაბით. სულ გამოკითხული იქნა 285 რესპონდენტი. კვლევებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა.

კითხვაზე „კულტურის სფეროს რომელ პროდუქტებს ანიჭებთ უპირატესობას?" პასუხები ასე გადანაწილდა: ისტორიულ ღირშესანიშნაობები - 18% ტრადიციული დღესასწაულები - 22%, ქალაქის დღესასწაულები - 19%, კინო-ფილმები - 8%, თეატრალური წარმოდგენები - 7 %, ციფრულ პროდუქტები - 4%, მოდა 3 -%, მუზეუმები - 2%, ფოლკლორი და ტრადიციული ხელოვნება - 13%. უმაღლესი ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები (გამოკითხულ რესპონდენტთა 17%) მეტწილად დაინტერესებულნი არის კულტურის სფეროს ისეთი პროდუქტებით როგორიცაა: თეატრი, კინო, არქიტექტურა, ხე-

1 https://www.researchgate.net/publication/263776354_The_Arts_Sector_A_Marketing_Definition

ლოვნება. მნიშვნელოვანი როლი კულტურულ საჭიროებებში ენიჭება შემეცნებით საჭიროებებს.

კითხვაზე „რა გიშლით ხელს კულტურის სფეროს პროდუქტების მოხმარებაში?“ რესპონდენტთა პასუხები ასეთია: მაღალი ფასი - 27%, ინფორმაციის ნაკლებობა - 20%, მოწოდებული პროდუქტის დაბალი ხარისხი - 31%, ჩემთვის საინტერესო კულტურული პროდუქტი ბაზარზე არ მოიპოვება - 22%.

კითხვაზე „კულტურის სფროს პროდუქტების შესახებ საიდან იღებთ ინფორმაციას?“კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 48% აღნიშნავს რომ „ნაცნობ-მეგობრებისგან მიღებული ინფორმაციით“, 18 % - „სატელევიზიო რეკლამის მეშვეობით“, 14% - „საინფორმაციო აბრების მეშვეობით“, 20% - „სოციალური ქსელის მეშვეობით“.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა პრობლემები, რომელთა გამომწვევი მიზეზებია: მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობა, მოსახლეობის ჩაკეტვა ყოფით პრობლემატიკაში, საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის სასურველი კულტურული პროდუქტი სამომხმარებლო ბაზარზე არ მოიპოვება, მომხმარებლებს არ მოსწონთ შეთავაზებული პროდუქტების ხარისხი, კულტურის სფეროს პროდუქტების შესახებ არ ფლობენ საჭირო ინფორმაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა, კულტურული სფეროს ორგანიზაციების მიერ მომხმარებლებისადმი წარმოდგენილი იქნას კულტურულ შეთავაზებათა ფართო სპექტრი. ამასთანავე, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების არჩევანი, ყველა კატეგორიის მოქალაქისათვის, გახდეს ხელმისაწვდომი.

მარკეტინგის დანერგვა კულტურის სფეროში ვფიქრობთ ხელს შეუწყობს:

- კულტურული დაწესებულებების იმიჯისა და შინაარსის ხარისხობრივ ცვლილებას.
- მოქნილი ფასების პოლიტიკის გატარებას.
- კომუნიკაციური პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავებას.

➢ მიზნობრივ სეგმენტებზე ორიენტაციას და მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მოპოვებს.

➢ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ უთანასწორობის აღმოფხვრას, რომელიც არსებობს ქალაქისა და მისი გარე ტერიტორიების მოსახლეობას შორის.

➢ კულტურული ორგანიზაციების მარკეტინგული ხედვის თანამედროვე პარადიგმა დააჩქარებს პროდუქტების სტანდარტიზაციისა და პროცესების უნიფიკაციის პროცესებს.

ამდენად, კულტურის სფეროში მარკეტინგი გვთავაზობს მარკეტოლოგების შემოქმედებითი მუშაობის დიდი შესაძლებლობებს. ამავდროულად, ამ სფეროში ისეთი სტანდარტული მარკეტინგული ინსტრუმენტები, როგორიცაა ბაზრის სეგმენტაცია და მომხმარებელთა ანალიზი, აქტუალური და აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. Greater London Council Staff Association

2. UNESCO Institute for Statistics P.O. Box 6128, Succursale Centre- Ville Montreal, Quebec H3C 3J7 Canada. 2010

3. Museum Strategy and Marketing: Designing Missions, Building Audiences, Generating Revenue and Resources / Ed. by N. Kotler and P. Kotler. — San Francisco: Jossey-Bass Publishers, 1998. — P. 67.

4. Лэндри, Ч. (2011). Креативный город (С. 39). М.: Классика-XXI.

5. http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/Measuring_cultural_and_creative_markets_in_the_EU /$FILE/Creating-Growth.pdf

6. http://www.thecreativeindustries.co.uk/media/281787/creative_industries_economic_estimates_-_ january

7. https://www.theguardian.com/culture/2015/jul/13/publicly-funded-arts-bolster-the-uk-economystudy-finds

8. https://www.researchgate.net/publication/263776354_The_Arts_Sector_A_Marketing_Definition

MARKETING IN THE SPHERE OF CULTURE

Maia Akhvlediani
Doctor of Economics Akaki Tsereteli
State University Associated Professor

RESUME

Marketing in the sphere of culture is defined as a long termed process which at first refers to defining the target audience and satisfying their requests and interests. Modern global world became more poly mosaic. Cultural organizations not only make their own new image but also in their work they try to follow the modern epoch and gain social and cultural features, they are able to achieve the tasks assigned to the multifunctional organization, such as informative, educational, didactic, enjoyable and recreational activities.

Using marketing tools in the sphere of culture improves the quality of service of cultural institutions on the marketing products and at the same time, it promotes the growth of cultural products. In the context of tradition marketing, the sequence of the process is the following: consumer market, marketing information system, mix of marketing, service, consumer market. When we speak about marketing of the culture, we have to take into account the existed difference in the spheres of commerce and culture. The axiom of business, "Gaining more profit with less expenses'', should not reduce the educational role and the importance of the cultural sphere's products.

Key words: Creative industry, cultural industry, marketing, segmentation, marketing research, image, standardization, unification.

კორპორაციების აქტივების ოპერატიული მართვა

ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

კორპორაციის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით უნდა ფუნქციონირებდეს მისი მართვის ოპერატიული სისტემა. ნაშრომში განხილულია საწარმოო გეგმების რეალიზაციასთან დაკავშირებული ამოცანები და მიზნები, ოპერატიული მართვის სისტემის ძირითადი პრინციპები, კორპორაციის აქტივების კლასიფიკაცია და მათი დახასიათება. კორპორაციის მიერ სახსრების დაბანდებისას უმნიშვნელოვანესია პოტენციური რისკების ხარისხიანი პროგნოზი.

მნიშვნელოვანია, რომ აქტივების მართვის დროს მისმა მფლობელმა სწორად გაანაწილოს საკუთარი სახსრები. მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუნდაც წარუმატებელი ინვესტირების ან მცდარი მართვის სტრატეგია არ მიიყვანს კორპორაციას ყველა აქტივის დაკარგვასთან.

საკვანძო სიტყვები: კორპორაცია, აქტივები, ოპერატიული მართვა, მიზნები, პრინციპები, სისტემა, ანალიზი.

ძირითადი ტექსტი

ნებისმიერი კომერციული ორგანიზაციის წინაშე დგას პრობლემა, უმოკლეს ვადაში ოპერატიულად მართოს აქტივები. ეს დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორთა ზეგავლენით აქტივების დინამიურობასთან, ანუ მათი ერთობლიობის მუდმივად ცვლილებასთან.

კორპორაციის უფრო ეფექტური მართვისათვის უნდა ჩამოყალიბდეს ოპერატიული მართვის სისტემა, რომელსაც მიეკუთვნება საწარმოო გეგმების რეალიზაციასთან დაკავშირებული ამოცანები. ამ ამოცანებიდან აღსანიშნავია: მომარაგება, სასაწყობე აღრიცხვა, საკონსიგნაციო საქონლის ოპერაციები, საცა-

ლო ვაჭრობა და სხვ. ამასთანავე, კონტურის შექმნა მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების გადაწყვეტისკენ: მიმდინარე ამოცანების ფორმულირება; საწარმოს საქმიანობის დროებითი ორგანიზაცია; საწარმოს ყველა რესურსის სრული, გამიზნული და თანაბარი გამოყენება; კორპორაციის განვითარებისათვის პირობების შექმნა, მისი ორგანიზაცია.

მოკლედ განვიხილოთ ეს მიზნები: ა) **მიმდინარე ამოცანების ფორმულირება**. ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას, გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედებით, კორპორაციის საქმიანობა განიცდის მუდმივ მერყეობას. კორპორაციის საქმიანობის სტაბილიზაციისათვის ხშირად წარმოიქმნება გარკვეული ამოცანების ოპერატიულად გადაწყვეტის აუცილებლობა.არასასურველი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად შეიძლება განხორციელდეს ყოველდღიური სამუშაოს უმოკლეს ვადაში დაგეგმარების პროცედურა, მიმდინარე მონიტორინგი და საქმიანობის კონტროლი. ხანგრძლივი მერყეობის შემთხვევაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სამუშაოს დროებით რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით. ამისათვის შეიძლება შეიქმნას კორპორაციის საქმიანობის დროებითი ორგანიზაცია. ბ) **საწარმოს ყველა რესურსის სრული, გამიზნული და თანაბარი გამოყენება.** როცა აქტივების ერთობლიობა და რაოდენობა შეზღუდულია გამუდმებით, წარმოიქმნება დეფიციტური რესურსების ოპერატიული გადასროლის საჭიროება უფრო მნიშვნელოვანი საქმიანობის მიმართულებით, კორპორაციის სტრატეგიის ჩარჩოების გამყარებისათვის. ამასთან დაკავშირებით, რესურსების გადანაწილების ძირითად კრიტერიუმად გამოდის მათი სრული, გამიზნული და თანაბარი გამოყენება. გ) **საბრუნავი საშუალებების დაკავშირების მინიმიზაცია.** საბრუნავი საშუალებების ეფექტურად გამოყენების დახასიათების ერთ-ერთი მაჩვენებელიამათი ბრუნვა, ე.ი. ბრუნვის სიჩქარის შემცირება. ამ შემთხვევაში, ერთ-ერთ ძირითად ამოცანად საბრუნავი აქტივების მართვისას გვევლინება საბრუნავი საშუალებების დაკა-

ვშირების მინიმიზაცია. დ) **კორპორაციის განვითარებისათვის პირობების შექმნა, მისი ორგანიზაცია.** კორპორაციის რესურსები, რომელიც იხარჯება ძირითად საქმიანობაზე, ისე უნდა განაწილდეს, რომ არსებობდეს რეზერვი საკუთარი განვითარებისათვის, სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად და სხვა ღონისძიებები, რომელიც გაამყარებს მდგომარეობას ბაზარზე.

ამასთან ერთად ოპერატიული მართვის სისტემის ფორმირებისათვის საჭიროა ძირითადი პრინციპების რეალიზაცია. ეკონომიკურ ლიტერატურაში მოცემულია შემდეგი ძირითადი პრინციპები: დროულობის პრინციპი, რაციონალური სიზუსტის პრინციპი, დაჯგუფების პრინციპი, ძალაუფლების დელეგირების პრინციპი, ადაპტირების პრინციპი. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი: **დროულობის პრინციპი** მდგომარეობს მართვის სუბიექტის ოპერატიულ რეაგირებაში მართვის ობიექტის ფუნქციონირებისთვის საჭიროინფორმაციის ცვლილებაზე. გადაწყვეტილებები უნდა იყოს მიღებული დროულად, ანუ მოვლენა და რეაქცია შეიძლება მასზე იყოს გადანაწილებული დროში, ვადით არაუმეტეს იმისა, რაც საჭიროა წარმოქმნილი პრობლემების ეფექტური გადაწყვეტისთვის. **რაციონალური სიზუსტის პრინციპი** მდგომარეობს იმაში, რომ პრობლემის გადაწყვეტის ხარჯები არ აღემატებოდეს იმ შესაძლო დანაკარგებსა და ზარალს, რომლითაც გამოწვეულია მომხდარი მოვლენა. **დაჯგუფების პრინციპი** მდგომარეობს იმაში, რომ კორპორაციის საქმიანობის ზოგიერთი მოვლენა და პრობლემა შეიძლება დაჯგუფდეს მათი უფრო ეფექტურად გადაწყვეტისათვის. **ძალაუფლების დელეგირების პრინციპი** გულისხმობს, რომ განსაზღვრული თანამდებობის ხელმძღვანელი არ წყვეტდეს პრობლემებს, რომელიც მის კომპეტენციაზე დაბლა დგას და დაკავებული იყოს მხოლოდ შესაბამისი სირთულის პრობლემების გადაწყვეტით. **ადაპტირების პრინციპი** შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიყენოთ ზოგიერთი სტანდარტული ქმედების ერთობლიობა ტიპიური პრობლემების გადასაწყვეტად, ანუ გა-

ვაკეთოთ ტიპიური სვლების ადაპტაცია ტიპიური პრობლემების გადასაწყვეტად.

ასე რომ, კორპორაციის მიმდინარე საქმიანობის განხორციელებისას, ეფექტურობის გაზრდის მიზნით, უნდა ფუნქციონირებდეს მისი მართვის ოპერატიული სისტემა. ოპერატიული მართვა ეს არის მართვის ობიექტზე მიზანმიმართული ზემოქმედება მიმდინარე მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის და ობიექტის ძირითადი მახასიათებლების მოყვანა მისი საქმიანობის სტრატეგიის შესაბამისობასთან.

ჩვენ განვიხილავთ ოპერატიულ მართვას, როგორც მართვას უმოკლეს ვადაში, ამიტომ ოპერატიული ღონისძიებების განხორციელებისას კორპორაციის ხელმძღვანელობამ ძირითადი ყურადღება უნდა დაუთმოს საბრუნავი აქტივების მართვას.

კორპორაციის საწარმოო პროცესების ოპერატიული მართვის სისტემა შეიძლება იყოს ერთიანი ყველა საწარმოო პროცესისთვის, თუმცა მან უნდა გაითვალისწინოს კორპორაციის მიმდინარე პროცესების სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშნები და მკაფიოდ უნდა აღწეროს ტექნოლოგიური პროცესები.

კორპორაციების აქტივების სწორად მართვისათვის გადაწყვეტილებების მისაღებად, აუცილებელია, მისი ფინანსური მდგომარეობის მიმდინარე ანალიზი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მისი ფინანსური მდგომარეობის ხარისხის საფეხური. ანალიზის სქემა წარმოადგენს იერარქიულ სისტემას, რომელშიც შედის სტატისტიკური და მათემატიკური ანალიზის სხვადასხვა მეთოდი. კორპორაციის საერთო მდგომარეობის ანალიზისათვის გამოიყენება მონაცემები, რომელიც მიღებულია ბუღალტრული ბალანსის ანალიზით და ფინანსური შედეგების ანგარიშებიდან.

კორპორაციის მთელი ქონება შეიძლება იყოს კომპანიის საკუთრება, ან იჯარით ჰქონდეს აღებული. კორპორაციის ქონება, რომელიც მის საკუთრებაშია, აისახება ბუღალტრული ბალანსის აქტივში და კორპორაციის აქტივებად იწოდება. აქტივები არის ქონებისა და ფულადი სახსრების ერთობლიობა,

რომელიც ეკუთვნის ორგანიზაციას, ფირმას, კომპანიას. ამ სიტყვის ფართო გაგებით, აქტივი არის ნებისმიერი ფასეულობა, რომელსაც აქვს ფულადი ღირებულება. მიღებულია აქტივების დაყოფა მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებად.

კორპორაციის აქტივები შეიძლება გავაერთიანოთ ორ ჯგუფში: არასაბრუნავი აქტივები და საბრუნავი აქტივები. არასაბრუნავი აქტივები ბუღალტრულ ბალანსში აისახება შემდეგი სახით: ძირითადი სახსრები, არამატერიალური აქტივები, დაუმთავრებელი მშენებლობა, გრძელვადიანი ფინანსური დაბანდება და სხვ. საბრუნავი აქტივები ბუღალტრულ ბალანსში აისახება, როგორც: მარაგები; დებიტორული დავალიანება, რომლის გადახდის ვადა აღემატება 12 თვეს; დებიტორული დავალიანება, რომლის გადახდის ვადაც არ აღემატება 12 თვეს; მოკლევადიანი ფინანსური დაბანდება, ფულადი სახსრები და სხვ. არასაბრუნავი აქტივები გამოიყენება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მათ მიეკუთვნება: ძირითადი ფონდები, არამატერიალური აქტივები, გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებები. ძირითადი ფონდები წარმოადგენს მატერიალურ საკუთრებას, რომელიც გამოიყენება საწარმოო და კომერციული საქმიანობისათვის და არ ექვემდებარება რეალიზაციას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. არამატერიალურ აქტივს მიაკუთვნებენ უფლებას და არამატერიალურ რესურსებს, რომელიც კომპანიას ბაზარზე აძლევს უპირატესობას. მას მიეკუთვნება: საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, კომპიუტერული პროგრამები და სხვ. გრძელვადიან ფინანსურ დაბანდებებს მიაკუთვნებენ ინვესტიციებს, ჩადებულს სხვა კომპანიის ფასიან ქაღალდებში (ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული აქციები), ობლიგაციებს. ასეთი ფასიანი ქაღალდების შეძენა ჩვეულებრივ ხდება ერთ წელზე მეტი დროით ფლობის გათვალისწინებით.

საბრუნავი აქტივები გვევლინება ორგანიზაციის პოტენციური რესურსის ელემენტად, რომელიც განკუთვნილია საყოფაცხოვრებო საქმიანობის უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად და გამოიყენება მომავალში ეკონომიკური მოგებისათვის.

ეს არის აქტივები, რომლებსაც შედარებით სწრაფად გადააქვს თავიანთი ღირებულება ხარჯებზე, ისინი უნდა გადაიქცეს ნაღდ ფულად, ან იქნას გამოყენებული ერთი წლის განმავლობაში, ან პროდუქციის წარმოების ოპერაციული ციკლის განმავლობაში.

აქტივებისა და პასივების მართვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოგების მიღება პირდაპირ არის დამოკიდებული ბაზრის მდგომარეობაზე. ამიტომ სახსრების დაბანდებისას კონსულტაცია უნდა გავიაროთ სპეციალისტებთან, რომელთაც შეუძლიათ გააკეთონ პოტენციური რისკების ხარისხიანი პროგნოზი.

დასკვნა

ამრიგად, ოპერატიული მართვის სისტემის ძირითადი მიზანია წარმატებების მიღწევა არა კორპორაციის შიგნით, არამედ მის გარეთ. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იყოს სიტუაციური მიდგომა მართვისადმი, რომელიც დაფუძნებული იქნება შემდეგ მდგომარეობებზე: თუ როგორ წარმატებით შეეგუება კორპორაცია შიდა გარემოცვას: ტექნიკურად, ეკონომიკურად, პოლიტიკურად; შეძლებს თუ არა კორპორაცია მისი არსებობისათვის შესაძლო საფრთხეების განჭვრეტასა და გამოცნობას; იქნება თუ არა მდგრადი კორპორაცია არასასურველი შიდა ქმედებებისადმი; შეძლებს თუ არა კორპორაცია მიიღოს მოგების მაქსიმუმი შექმნილი მდგომარეობიდან; როგორია ორგანიზაციული კულტურა: ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევის ნორმები, ურთიერთქმედებების ტიპები და ა. შ.

მნიშვნელოვანია, რომ აქტივების მართვის დროს მისმა მფლობელმა სწორად გაანაწილონ საკუთარი სახსრები. მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუნდაც წარუმატებელი ინვესტირების ან მცდარი მართვის სტრატეგია არ მიიყვანს კორპორაციას ყველა აქტივის დაკარგვასთან.

ლიტერატურა:

1. ჯეიმს ს.ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაჰოვიჩი უმცრ., ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008,

2. დ. გადელია, ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2010.

3. ნ. ლაზვიაშვილი, კორპორაციული მენეჯმენტი, თბ., 2015.

4. ბ. ბიწაძე, კორპორაციული მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2009.

5. ზ. ლიპარტია, კორპორაციული ფინანსების მართვა, თბ., 2009.

6. In Search of Good Directors: A Guide to building Corporate Governance in the 21st Century. Third Edition. Center for international Private Enterprise, 2003.

7. Financial market and management: proceedings/ E. Zelgave(ed). Riga, University of Latvia, 2003.

REFERENCES:

1. James S. Horne, John M.Vahovich, Financial Management (2008);

2. D. Gadelia, Financial Management (2010);

3. N. Lazviashvili, Corporate Management (2015);

4. B. Bitsadze, Corporate Management (2009);

5. Z. Lipartia, Corporate Finance Management (2009);

6. In Search of Good Directors: A Guide to building Corporate Governance in the 21st Century. Third Edition. Center for international Private Enterprise(2003).

7. Financial market and management: proceedings/ E. Zelgave(ed). Riga, University of Latvia (2003).

OPERATIONAL MANAGEMENT OF CORPORATION'S ASSETS

Natia Bedukadze-Mamatsashvili
PhD student GTU

RESUME

In order to increase the effectiveness of corporation activities, it is essential for the managing operational system to operate properly. The present paper highlights some tasks and goals concerning manufacturing plans, basic principles of the system of operational management, classification of corporation assets and their description. While investing funds, corporations should define potential risks in advance. It is important that the owners distribute their own funds properly in the process of managing assets. This is the only way for a corporation to avoid a loss of all assets, even if it turns out to be an unsuccessful investment or a false managing strategy.

Key words: Corporation, Assets, Operational Management, Goals, Principles, System, Analysis.

მმართველობითი სისტემის განვითარების მეთოდოლოგიური ასპექტები

სოფიკო ღვინიანიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბიზნესის მმართველობითი სისტემის მოდელების კლასიფიკაცია, მათი განვითარების ეტაპები სხვადასხვა პირობების შესაბამისად. დახასიათებულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მოყვანილია ცნობილი ავტორების ნაშრომები და განსაზღვრებები ბიზნესის მართვის თეორიების მოდელებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობები. აღნიშნულია, რომ მათი გამოყენების საკითხი წყდება იმის მიხედვით თუ რა არის ბიზნესის და კომპანიის წინაშე მდგარი მიმდინარე თუ სტრატეგიული პრიორიტეტები, რომელი მოდელი იქნება რაციონალური და ოპტიმალური კონკრეტული ბიზნეს ამოცანის გადასაწყვეტად. აღნიშნულია, რომ ბიზნესის მართვაში ისევე, როგორც თავად ბიზნესში წარმატების განმაპირობებლი ფაქტორია ინოვაციური მიდგომები. მათი დანერგვა და სწორი მართვა წარმოადგენს მართვის მოდელების განვითარების ახალ ეტაპს.

საკვანძო სიტყვები: კვლევებისა და განვითარების ბიუჯეტი, საერთო ბიუჯეტი, ინოვაცია.

შესავალი

თანამედროვე ბიზნეს გარემო რთული და კომპლექსურია. კონკურენცია ბაზარზე სულ უფრო და უფრო მზარდია, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი, რადგან უსწრაფესად ხდება ცვლილებები, რომლებიც ბიზნესის მმართველი გუნდიდან ასევე უსწრაფეს რეაგირებას მოითხოვს და ბუნებრივია, რომ ასეთ რთულ და არაპროგნოზირებად გარემოში მმა-

რთველობის კლასიკური, ტრადიციული მეთოდები და მოდელები მარტივად რომ ვთქვათ „არ მუშაობს". თანამედროვე ბიზნეს გარემო ექსტრემალური და დინამიური მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავების მოდელს მოითხოვს, უფრო მეტიც, გარემო, პრობლემის წარმოქმნიდან მასზე რეაგირებამდე, შესაძლოა მრავალჯერ შეიცვალოს, ზოგჯერ საჭირო და მიზანშეწონილია ცვლილებების პროგნოზირება და პრევენცია. Kკომპანიების სიცოცხლისუნარიანობა და წარმატება კი პირდაპირ კავშირშია მართვასთან, მენეჯმენტის გუნდთან, რომელმაც საჭიროა ადექვატურად, განვითარების ეტაპის შესაბამისად შეაფასოს კონკრეტულ მომენტში ბიზნესის მდგომარეობა და უზრუნველყოს დასახული მიზნების რეალიზება მაქსიმალურად ეფექტურად და მინიმალური დანახარჯებით. განახორციელოს კომპანიის არსებული ორგანიზაციული რესურსების სწორი დაგეგმვა, ადამიანური რესურსების სწორი მოტივაცია და სწორი კონტროლი. კომპანიები, რომლებიც ახერხებენ თავი გაართვან ამ გამოწვევებს ვითარდებიან და ინარჩუნებენ სტაბილურობას ბაზარზე.

მენეჯმენტი, როგორც მართვის მეცნიერება ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მმართველობითი თეორია დიდი ხნის ისტორიას ითვლის. Uუკვე სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მართვის პრაქტიკა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერიოდში არსებობდა, თავდაპირველად ის უმთავრესად პოლიტიკური ხასიათის მმართველობა იყო, თუმცა მოგვიანებით ორგანიზაციული ელემენტებიც გაჩნდა მასში, თუმცა ძირითადად სახეზე იყო ინტუიციური მართვა, მბრძანებლობითი მოქმედების მოდელით და ხელმძღვანელობის მემკვიდრეობით გადაცემის ტრადიცია. მმართვის პრაქტიკა ნელ-ნელა იხვეწებოდა საუკუნეების მანძილზე და თანდათანობითი ევოლუციას განიცდიდა.

ძირითადი ტექსტი

სოციალური მართვის, აზროვნებისა და მართვის პრაქტიკის მოდელებში განსაკუთრებით დიდი გარდატეხა მოხდა, სამრეწველო რევოლუციის შემდეგ, რომლის პერიოდშიც შეიქმნა დიდი ორგანიზაციები და მწვავედ დადგა მენეჯერული საქმიანობის საჭიროება, რესურსების სწორი ორგანიზაციისა და კოორდინაციის პრობლემა. მართვის იდეა, მართვის მეთოდები მართვის პროცესისადმი მეცნიერული მიდგომა შეისწავლა ამერიკელმა მეცნიერმა ფ. ტეილორმა (1911წ. „მეცნიერული მართვის პრინციპები") და სწორედ აშშ მოიაზრება თანამედროვე მართვის თეორიის სამშობლოდ. წიგნში „მეცნიერული მართვის პრინციპები" ტეილორმა ჩამოაყალიბა მართვის პროცესის წარმართვისთვის საჭირო მეცნიერული რეკომენდაციები. მან მოახდინა მეცნიერული მიღწევების დანერგვა მმართვის პროცესში. თუკი ადრე მართველობით პროცესში პიროვნებას-მმართველს მთავარი - ცენტრალური ადგილი ეკავა, მომავალში ეს ადგილი მმართველობით სისტემას უნდა შეეცვალა. მეცნიერული მიღწევებისა და მეთოდების გამოყენება მართვის პროცესში დიდ სარგებელს იძლევა და გარანტიაა იმისა, რომ ორგანიზაცია იფუნქციონირებს ეფექტურად და მიაღწევს დასახულ მიზნებს.

მმართველობითი თეორიის კლასიკური მოდელების მიხედვით, ე. მეიოს შრომებში, როდესაც არსებობს ''სკალირებული პასუხისმგებლობის იერარქია" ანუ როცა პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების განაწილების იერარქია საფეხურობრივია და თითოეული რგოლისათვის მკაცრად არის გაწერილი უფლება-მოვალეობები, მეტად გამოიკვეთა ადამიანთა შრომითი მოტივაციისა და სამსახურებრივი წარმატებისთვის კმაყოფილების აუცილებლობის საკითხები. მაშინ როცა ბიჰევიორისტული მოთხოვნილებათა იერარქიის ა. მასლოუს, თეორიიდან ჩანს, მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებელი მიმართულებები მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ადამიანთა ქცევის მამოტივირებელი ფაქტორი არა ადმინისტრაციული იერარქია, არამედ მოთხოვნილებათა იერარქიაა, ადამიანის თანდაყოლილი

სწრაფვა თვითრეალიზაციისა და ზრდისადმი.

მართვის უნივერსალური მოდელი და თეორია, ბუნებრივია არ არსებობს. წარმატებულ კომპანიებში სამოქმედო გარემოს, სამართავი სისტემის, საბოლოო მიზნის, წარსული გამოცდილებების და სხვა უამრავი გარემოების გათვალისწინებით ხდება კლასიკური ცოდნის განზოგადება. თანამედროვე მენეჯმენტისთვის მოქნილობის, ადაპტაციის, სწრაფი რეაქციისა და უკურეაქციის სწორად გამოხატვა წარმატების ფორმულაა. განსაკუთრებით საშუალო და მცირე კომპანიებისთვის, ვინაიდან დიდი სუბიექტები თავადვე ქმნიან დაგეგმილ პროცესებს აქვთ შესაბამისი დაგეგმილი რეაქცია და დაგეგმილ შედეგზე გადიან, მაშინ როცა მცირე სუბიექტებს ეს არ ძალუძთ და უწევთ მოულოდნელ ცვლილებებზე მოქნილად და მყისიერად რეაგირება. თუმცა პ. დრუკერი მიიჩნევდა, რომ XXI საუკუნეში სიცოცხლისუნარიანი იქნება ის კომპანია, რომელიც მოახერხებს ამოიცნოს ცვლილებების ტენდენცია და მათზე უსწრაფესი რეგირება მოახდინოს. საპირისპიროს ამტკიცებს თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ცნობადი კომპანიის Microsoft-ის ისტორია, ამ კომპანიამ შეძლო შეექმნა და ემართა ცვლილებები, მან ამავდროულად სხვა კომპანიებიც აიძულა მიეღოთ ეს ცვლილებები. რათქმა უნდა ეს საუკეთესო შესაძლებლობაა, როდესაც მოახერხებ საკუთარი პროცესები შექმნა ბაზარზე, გახდე ნოვატორი და ბუნებრივია ამით მეტი შანსი გაქვს გქონდეს ყველაზე სწრაფი, მოქნილი და წარმატებული რეაგირება განახორციელო ცვლილებებზე.

მართვის თეორიისადმი მეცნიერული მიდგომა სწორედ იძლევა იმის საშუალებას, რომ არა მხოლოდ არსებულ მოთხოვნაზე გაუმჯობესებული მიწოდება განახორციელო, არამედ გამოიწვიო მანამდე არარსებული მოთხოვნა, შექმნა მოთხოვნა და უზრუნველყო მისი დაკმაყოფილება. სწორედ ეს განიხილება, როგორც, ბაზარზე ინოვაციური უპირატესობა, რაც განპირობებულია მმართველი გუნდის ინოვაციური და კრეატიული აზროვნებით, რომელსაც შემდგომში ემატება პროცესის სია-

ხლით გამოწვეული უპირატესობა ბაზარზე და ასევე მარკეტინგული უპირატესობა.

თანამედროვე მენეჯმენტში გავრცელებული მართვის მოდელებიდან გამოვყოფდი სისტემურ, პროცესულ და სიტუაციურ მიდგომებს.

სისტემური მოდელის შემთხვევაში ორგანიზაცია ქვე-სისტემებისგან შემდგარი ერთიანი სისტემაა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი განხილული უნდა იქნას ცალკეული ქვესისტემების ჭრილში, მიზნები და ამოცანები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ცალკეული ქვესისტემების ამოცანებს, არამედ პირიქით ჰარმონიულად უნდა ავსებდეს მათ. სისტემური მიდგომა მოითხოვს კავშირისა და ურთიერთკავშირის, კარგი ანალიზისა და განზოგადების უნარს მენეჯერებისგან.

პროცესული მენეჯმენტის მოდელი მე-20 საუკუნეში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებუილი მოდელი იყო. იგი გულისხმობს მართვას მიზნების მიხედვით, რაც მოითხოვს კომპანიის პოზიციების შეფასებას, ანალიზს, შემდგომში სასურველის დაგეგმვას და ამ მიმართულებით კომპანიის სწრაფვას.

სიტუაციური მენეჯმენტი სრულად ეფუძნება სიტუაციურ ანალიზს. გულისხმობსGგარკვეული საბაზრო სიტუაციებიდან გამომდინარე კომპანიის სტრატეგიის დაგეგმვასა და განხორციელებას.

XIX საუკუნეში ორგანიზაციები სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ ე.წ. მატრიცული მმართველობის მოდელს, რაც გულისხმობს მმართველობითი და პროფესიონალური პასუხისმგებლობების კომბინაციას და ფუნქციურ ურთიერთ გამიჯვნას. ეს კი გარანტიას იძლევა იმისას, რომ დაცული იქნება დასახული პროექტის მიზნები და ამავდროულად კომპანიის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალიც. Aამ მოდელის უპირატესობა მის მოქნილობაშია. იგი შესაძლებლობას იძლევა საჭირო პროფესიონალების მობილიზებისა და პროექტში ჩართვისა. Eეს კი კომპეტენტური აზრის სწრაფად მიღების საშუალებაცაა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მმართველობითი სისტე-

მის განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს გარემოს გამოწვევების ინტენსიური ზეწოლა. ზოგადად, პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც არ თავსდება კომპანიაში დადგენილ და მიღებულ რეგლამენტში, საჭიროებს უმაღლესი მენეჯერული რგოლის მმართველობით ჩარევას და გადაწყვეტას. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ამ პრობლემის მიზეზი სწორედ წინმსწრები მენეჯერული გადაწყვეტილებები იყოს. ასეთი სიტუაციები მოითხოვს მგრძნობიარე ორგანიზაციულ სისტემას – მყისიერი, ზუსტი და ადექვატური რეაქციის უნარს, როგორც შიდაორგანიზაციულ, ასევე გარემო ფაქტორებზე. მოითხოვს რეაქციას ორგანიზაციის მხრიდან, როგორც პასუხს მის მიერ ან სხვა ორგანიზაციის მიერ ინიცირებულ პროცესებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროცესი სხვის მიერ არის ინიცირებული კარგი იქნება ჯერ იგი გახადო შენი და შემდგომ უფრო მარტივია მთლიანი ან ეტაპობრივი მართვა.

ამრიგად, საჭიროა სხვადასხვა პრობლემიდან გამომდინარე შეიქმნას ინოვაციური მიდგომები მენეჯმენტში. ინოვაციური მენეჯმენტი არის ახალი ინსტრუმენტი, როგორც ლოკალური, ასევე გლობალური საკითხების გადაწყვეტისთვის. ამ დროს აუცილებელია კომპლექსური მიდგომა. ინოვაციური საკითხების სპეციფიკიდან გამომდინარე ძალიან რთულია შეაფასო ინოვაციურობის ხარისხი რიცხობრივი მონაცემებით, ინოვაციური გადაწყვეტილებების სარგებლიანობა და სისწორე. თუმცა ზოგიერთი კომპანია მაინც ცდილობს შეფასებას ისეთი პარამეტრებით, როგორებიცაა ახალი ინოვაციური პროდუქტების გავლენა საერთო შემოსავლებზე, ინოვაციური პროდუქტების კლიენტთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა და ა.შ. ექსპერტების აზრით, მენეჯმენტი მეტ მხარდაჭერას უწევს სწორედ ისეთ ინოვაციურ პროექტებს, რომელთა სარგებელიც ციფრობრივად გაზომვადია. სტრატეგიული ინოვაციური პოლიტიკისა და მის მიმართ მენეჯმენტის დამოკიდებულების საზომად შესაძლოა გამოდგეს ისეთი მონაცემები, როგორიცაა წლიური ბიუჯეტი კვლევებსა და განვითარებაზე (R&D budget), პროცე-

ნტული თანაფარდობა ბიუჯეტი კვლევებსა და განვითარებაზე (R&D budget) და საერთო ბიუჯეტს შორის (total budget) და სხვა პარამეტრები;

დასკვნა

ამრიგად, მმართველობითი მოდელის მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ კლასიკური და ინოვაციური მოდელები.

კლასიკური მოდელები გამოირჩევიან კარგად გამოცდილი სტილით, რომელსაც ახასიათებს მკაცრი ჩარჩო-მიდგომები, როგორც საკუთარ დონეზე ასევე დაქირავებული პერსონალის მიმართ. Oორგანიზაციულ-მმართველობით ინოვაციებს კი მუდმივად ცვალებადი, მოქნილი სტილი აქვთ. ისინი აისახება როგორც ორგანიზაციულ ნოვატორობაში, ასევე კორპორატიულ, მარკეტინგულ, იურიდიულ თუ სოციალურ ნოვატორობაში. რაც გულისხმობს ორგანიზაციის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას, როგორც ორგანიზაციის სტრუქტურის ვერტიკალში ასევე ჰორიზონტალში, რათა ორგანიზაციაში შეიქმნას ისეთი ურთოერთკავშირები და მმართველობითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კორპორაციული მიზნების შესაბამისი ამოცანების გატარებას ორგანიზაციულ რგოლებს შორის და მათ დაუბრკოლებელ შესრულებას. Oორგანიზაციული ნოვატორობა სწორედ უნდა განაპირობებდეს ორგანიზაციულ-სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ეფექტურობას. ისეთი დამოუკიდებელი ქვე-ფუნქციების ეფექტურ შესრულებას, როგორებიცაა: დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია, კოორდინაცია, კონტროლი და ა.შ.

მმართველობითი სისტემის მოდელების განვითარების ყოველ ეტაპზე გადამწყვეტი და ძირითადი კაპიტალი ორგანიზაციაში ადამიანია. ამდენად სასურველია, რომ ხელმძღვანელთა საქმიან პრაქტიკაში დამკვიდრდეს ადამიანური კაპიტალის მოტივაციისა და განვითარებისაკენ სწრაფვა.

ამრიგად, მმართველობითი სისტემის განვითარების მამოძრავებელი ძალა ინტენსიური გამოწვევებია, რომელებიც ზეწო-

ლას ახდენენ მმართველ გუნდზე და მოითხოვენ მათგან ზუსტ და სწრაფ მანევრირებას. მმართველი გუნდის უნარი მოახდინოს როგორც ტიპიური ამოცანების, ასევე არასტანდარტული გამოწვევების მიმართ რეაგირება განაპირობებს მმართველი გუნდის წარმატებას, რაც ორგანიზაციული წარმატების გარანტია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე. მარიდაშვილი მ. მენეჯმენტი, წიგნი I-II, თბილისი, 2016.

2. ბარათაშვილი ე. მარიდაშვილი მ. შედარებითი მენეჯმენტი, თბილისი, 2016.

3. Peter Drucker. Management Challenges for the 21st Century. Harper Business. 2001.

4. Strategic Management: Dynamic Perspective:Concept and Cases – 2-nd.ed. – Carpenter, M., Sanders W. 2008

REFFERENCES:

1. E. Baratashvili; M. Maridashvili Manageme, I-IIB, Tbilisi 2016 (In Georgian Language)

2. E. Baratashvili; M. Maridashvili Comprehensive Management, Tbilisi 2016 (In Georgian Language)

3. Peter Drucker. Management Challenges for the 21st Century. Harper Business. 2001.

4. Strategic Management: Dynamic Perspective:Concept and Cases – 2-nd.ed. – Carpenter, M., Sanders W. 2008

METHODOLOGICAL ASPECTS OF MANAGEMENT SYSTEM DEVELOPMENT

Sofiko Gvinianidze,
PhD Student, Caucasus International
University, Business Faculty

RESUME

The article examines the classification of the models of business management theory, their development states according to the environmental factors, its positive and negative sides.

The article also describes various famous authors approach about management models. The opinion of the science is splitted based to the origin of the theory, organizational ongoing hot-topics and strategic priorities and goals of business. It depends on various factors which model will be more rational and optimal, but nowadays the innovative models and approach is preferable and innovative. This is the key factor for the success of the new model in business management.

Key words: Budget on research and development, total budget, innovation.

მმართველობითი აღრიცხვა და დანახარჯთა კონტროლის სისტემა

დეზდემონა მაღლაკელიძე,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
დიანა უგლავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული სპეციალისტი,ეად

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჩვენი ქვეყნის საწარმოთა ეფექტური მუშაობა დიდადაა დამოკიდებული მმართველობით საქმიანობაზე, რომელიც უზრუნველყოფს მათ რეალურ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, მის კონკურნეტუნარიანობასა და ღირებულებით მდგომარეობას ბაზარზე. მმართველობითი გადაწყვეტილებისა და პასუხისმგებლობის შედეგების შეფასება წარმოებს შიდა ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე. საწარმოთა დაგეგმვა და კოორდინაცია მისი შემდგომი განვითარების მიზნით, მთლიანად ემყარება ანალიზურ გაანგარიშებას, რომელიც სპეციფიკური ხერხებით ხორციელდება. საწარმოს საინფორმაციო სისტემაში ასეთ ფუნქციას ასრულებს მმართველობითი აღრიცხვა.

დანახარჯთა მართვის სისტემა წარმოადგენს საქმიანობის განვითარების შეფასების საზომს, ერთ-ერთ ცენტრალურ სისტემას საწარმოში, რომელიც ცნობილია როგორც მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა (MACS). კარგად დაპროექტებულ MACS შეუძლია მმართველებს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც არის ზუსტი, დროული, თანმიმდევრული და მოქნილი. ასევე აუცილებელია საწარმოში კონტროლის პროცესში გამოვლინდეს უმართავი სიტუაციები, რომელთა დაუყონებლივ გამოსწორებისათვის მენეჯერებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა და სწორი გადაწყვეტილების უნარი.

საკვანძო სიტყვები: მმართველობითი აღრიცხვა, დანახარჯები, კონტროლის სისტემები, ინფორმაცია, დაგეგმვა, მორიტორინგი, ქცევითი ფაქტორები,ზუსტი, დროული, სისტემის მასშტაბი, მართვა, ეფექტიანობა, პროდუქტი.

შესავალი

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით მმართველობითი აღრიცხვა, აღრიცხვის საერთაშორისო სისტემას გამოეყო XX საუკუნის 40-50-იან წლებში, რაც ძირითადში დაკავშირებული იყო სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პრობლემასთან. მმართველობითი აღრიცხვისა და მისი პრინციპების შესწავლის დროს საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შესახებ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ იგი მოითხოვს შემოქმედებით მიდგომას. თეორიაში არსებობს მხოლოდ საერთო პრინციპები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული და განსაზღვრული. პრაქტიკაში არ არსებობს ყველასათვის ერთიანი მისაღები მეთოდიკა ასეთი სახის აღრიცხვის მიმართ. სწორედ ამიტომ მმართველობითი აღრიცხვის სწორად დანერგვა საწარმოთა საქმიანობის მართვისა და შეფასებისათვის მრავალ პრობლემას უკავშირდება, რომელთა საფუძვლიანი შესწავლის და გაანალიზების შედეგად შესაძლებელია მათი დაძლევა. ჩამოყალიბდეს ეფექტური დანახარჯთა მართვის სისტემა, რომელიც მმართველობითი აღრიცხვის ფუნდამენტია.

ძირითადი ტექსტი

დანახარჯთა მართვის სისტემა წარმოადგენს საქმიანობის განვითარების შეფასების საზომს, ერთ-ერთ ცენტრალურ სისტემას საწარმოში, რომელიც ცნობილია როგორც მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა (management accounting and control system (MACS)). საინტერესოა თუ რა როლს ასრულებს ის გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის საწარმოს, ბიზნესის და ოპერატიულ დონეზე არსებული სტრა-

ტეგიის მიღწევაში. დანახარჯთა კონტროლის სისტემის შემუშავება ძალიან რთული და შრომატევადია, ამისათვის საჭიროა დეტალურად ვიცოდეთ:

• კარგად დაპროექტებული MACS სისტემის ტექნიკური და ქცევითი მახასიათებლები;

• პერსონალის მოტივაციასთან დაკავშირებული საკითხები.

MACS სისტემის ტექნიკურ მახასიათებლებში შედის სისტემის მასშტაბურობა და ინფორმაციის შესაბამისობა. მასშტაბთან დაკავშირებით, ბევრი MACS განსაზღვრავს და აფასებს განვითარებას ჯაჭვური ღირებულების შექმნისას მხოლოდ ერთი მხრიდან - ეს არის მიმდინარე წარმოების პროცესი. ძირითადი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ პროდუქტის წარმოების ან მომსახურების გაწევის წინ, ან მის შემდეგ არსებული დანახარჯები იგნორირებულია. არადა ცნობილია, რომ მსგავსი დანახარჯები ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე ბიზნესგარემოში პროდუქტის ან მომსახურების მთლიანი სასიცოცხლო ციკლის დანახარჯების გაგების ან იმ მეთოდების გაანალიზების დროს, რომლებიც ხარჯების შემცირებას იწვევს. საინტერესოა განვიხილოთ ერთიანი ჯაჭვური ღირებულების შექმნის უპირატესობები სამი თანამედროვე მეთოდის განხილვით, როგორებიცაა: სამიზნე, კაიზენის და ეკოლოგიური დანახარჯთა აღრიცხვა. აღნიშნული მეთოდები, მათი სწორად დანერგვის პირობებში, ეხმარება საწარმოს აკონტროლოს და შეამციროს დანახარჯები ეფექტიანად.

როგორც ცნობილია, MACS ქმნის და იყენებს ინფორმაციას, რომელიც ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საწარმოს მიერ მიზნების შესრულების შეფასებაში. მმართველობით აღრიცხვაში კონტროლი არის პროცედურების, ინსტრუმენტების, შესრულების მეთოდებისა და სისტემების ერთობლიობა, რომელსაც იყენებს საწარმო, რათა მოახდინოს თანამშრომლების მართვა და მოტივირება საწარმოს მიზნების მისაღწევად. სისტემა კონტროლშია, როცა ის იმყოფება თავისი სტრატეგიული მიზნების მიღწევის გზაზე, სხვა შემთხვევაში ის განიხილება, როგორც არაკონტოლირებადი.

მმართველობითი აღრიცხვა მოიცავს შიდა ოპერაციების კონტროლსა და დაგეგმვას. ამავე დროს დაგეგმვისას სჭარბობს მომავალში მოსალოდნელი მოვლენების სუბიექტური შეფასებები. მმართველობითი აღრიცხვის მიზანს წარმოადგენს იმ ინფორმაციის წარდგენა და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება სტრატეგიის შემუშავებისათვის, საქმიანობის დაგეგმვისა და კონტროლისათვის, რესურსების მართვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად. მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია მენეჯმენტს უნდა დაეხმაროს გარკვეული პოლიტიკის გატარებაში: დაგეგმვისას, გადაწყვეტილების მიღებისას, კონტროლისა და რეგულირებისას. {2;51}

საწარმოში კონტროლის პროცესში უნდა გამოვლინდეს უმართავი სიტუაციები, რომელთა დაუყონებლივ გამოსწორებისათვის ხელმძღვანელობას უნდა გააჩნდეს ცოდნა და უნარი. სხვა შემთხვევაში მართვა თავის მიზანს ვერ აღწევს. მართვის ციკლი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ: სქემა #1

მართვის ციკლი სქემა #1



როგორც სქემიდან ჩანს ორგანიზაციის კონტროლის პროცესი შედგება შემდეგი ფაზებისაგან:

1. დაგეგმვა, მოიცავს საწარმოს მიზნების შემუშავებას, ამ მიზნების შესრულებისათვის საქმიანობის არჩევას და მათი შესრულების ხარისხის შეფასებისათვის მაჩვენებელთა არჩე-

ვას, რომლიც დადგენს რამდენად კარგად აღწევს თავის მიერ არჩეულ მიზანს;

2. აღსრულება ანუ გეგმის განხორციელება;

3. მორიტორინგი, რომელიც არის სისტემის შესრულების მიმდინარე დონის განვითარების დადგენა;

4. შეფასება არის სისტემის შესრულების დონის შედარება დაგეგმილ დონესთან შეუსაბამობის აღმოჩენისა და მისი გამოსწორების მიზნით;

5. გამოსწორება მოიცავს სისტემის მართვად მდგომარეობაში დაბრუნებისათვის შესაბამისი, ადეკვატური ზომის მიღებას.

პრაქტიკით დადასტურებულია, რომ მსგავსი კონტროლის სისტემები გამოიყენება იმისდა მიუხედავად, ორგანიზაცია დაკავებულია ცხობით, მუშაობის მაძიებელთათვის სამუშაოს პოვნით თუ მთელს მსოფლიოში ავიარეისებით ხალხის გადაყვანით, ერთი არსებითი სხვაობა მართვის პროცესში არის ორგანიზაციის მიერ ყველაზე შესაფერისი შესრულებლის მაჩვენებლის გამოყენაება {1; 318}. განვიხილოთ ის მახასიათებლები, რომლებსაც მენეჯერები იყენებენ MACS შემუშავების დროს.

MACS შემმუშავებელმა პირებმა უნდა დააკმაყოფილონ როგორც ქცევითი, ისე ტექნიკური ფაქტორები. ქცევით ფაქტორებს მიეკუთვნება:

• მართვის ეთიკური კოდექსის ჩართვა MACS -ის პროექტირებაში;

• მოკლევადიან და გრძელვადიანი ხარისხისა და რაოდენობრივი შესრულების კრიტერიუმების გამოყენება;

• თანამშრომლების ჩართვა გადაწყვეტილების მიღებისა და MACS - ის შემუშავების პროცესში;

• სტიმულების და დაწინაურების სისტემის შემუშავება დაჯილდოების მიზნით.

მენეჯერთა უმრავლესობას სურს გააკეთოს ის, რაც საუკეთესოა კომპანიისათვის, მაგრამ ხშირად ცდილობენ ახალი სისტემის განხორციელებას თანამშრომლების მხრიდან ქცევითი რეაქციებისა და საერთო შედეგების გათვალისწინების გა-

რეშე. ვიდრე მენეჯერები ყურადღებას არ მიაქცევენ ამ ფაქტორებს, მიზნის შეთანხმებულად მიღწევა ვერ მოხერხდება, მოტივაცია იქნება დაბალი და უფრო უარესი - თანამშრომლები გამოავლენენ დისფუნქციურ ქცევას. კომპანიები, რომლებსაც გააჩნია ეს სისტემა ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ მენეჯმენტის როლის საზოგადოდ მიღებული ხედვა, რომელსაც ეწოდება ადამიანური რესურსების მოტივაციის მოდელი. საერთაშორისო პრაქტიკით დადასტურებულია, რომ მუშაობის პირობების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივებისა და იაპონური მართვის პრაქტიკის ძლიერი გავლენის საფუძველზე, ამ მოდელმა დანერგა თანამშრომლების პასუხისმგებლობის მაღალი დონე და მათი აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში [1; 357] ხოლო რაც შეეხება ტექნიკურ ფაქტორებს ისინი იყოფა ორ კატეგორიად:

- მიღებული ინფორმაციის შესაბამისობა;
- სისტემის მასშტაბი.

ინფორმაციის შესაბამისობა განისაზღვრება ოთხი მახასიათებლით. კერძოდ ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, დროული, თანმიმდევრული და მოქნილი. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ზუსტი. ყველასათვის ცნობილია, რომ არაზუსტი ინფორმაცია ვერ იქნება სასარგებლო ან ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების დროს, ვინაიდან მას შეცდომაში შევყავართ. ამიტომ აუცილებელია მენეჯერებმა უნდა შეიმუშაონ სისტემა, რომელიც იქნება ზუსტი ინფორმაციის მომცემი. მაგალითად: პროდუქტის უფრო ზუსტი თვითღირებულება შეიძლება მივიღოთ ისეთი სისტემის გამოყენებით, რომელიც ზუსტად გადაანაწილებს დამხმარე განყოფილებების დანახარჯებს პროდუქტზე.

დროული. გადაწყვეტილების მიღების დროს აუცილებელია ინფორმაციის დროული მიღება, რადგან დაგვიანებით მიღებული ნაკლებად გამოსაყენებელია. MACS შემუშავების დროს აუცილებელია, რომ საქმიანობის შეფასების შედეგები დაუბრუნდეს შესაბამის ერთეულს რაციონალური სახით. უკუკავშირის

გავრცელება შესაძლებელია მაღალი სიჩქარის კომპიუტერების, ადგილობრივი ქსელის და სხვ, ტექნოლოგიის გამოყენებით.

თანმიმდევრული. MACS თანმიმდევრული სტრუქტურა უნდა შეიმუშაონ მენეჯერებმა, რომელიც გამოიყენება ურთიერთობისათვის ერთეულებსა და დეპარტამენტებს შორის. თანმიმდევრულობა ნიშნავს რომ მმართველობითი ინფორმაციის შექმნისას გამოყენებული ენა და ტექნიკური მეთოდები კონფლიქტში არ მოდის ორგანიზაციის სხვადასხვა ნაწილებთან. [1;320]

განვიხილოთ მაგალითი (შემდეგი სიტუაციები). დავუშვათ, რომ ორი დეპარტამენტი იყენებს დანახარჯთა კონტროლის განსხვავებულ სისტემას. ამ შემთხვევაში რთულია შედეგების გაანალიზება და შედარება დეპარტამენტებს შორის. ასევე ინფორმაციის სისტემა ვერ დააკმაყოფილებს თანმიმდევრულობის კრიტერიუმს თუ ერთი განყოფილება იყენებს საქმიანობის სახეობების მიხედვით ხარჯთაღრიცხვას და მეორე მოცულობაზე დაფუძნებულ ზედნადები ხარჯების განაწილების მეთოდს. წარმოვიდგინოთ სირთულეები, რომლებიც წარმოიშვება მაშინ, თუ განყოფილებები ერთ და იმავე ხარჯს დაახარისხებს განსხვავებულად, ასეთ მაგალითს წარმოადგენს, როდესაც ერთი განყოფილება დამატებით შეღავათებს აღიარებს როგორც საწარმოო პერსონალის ხარჯებს და მეორე - როგორც არასაწარმოო პერსონალის ხარჯებს.

მოქნილობა. თანამშრომლებს, MACS დამპროექტებლებმა უნდა შეუქმნან შესაძლებლობა მოხერხებულად გამოიყენონ ინფომაცია გადაწყვეტილების მისაღებად. თუ მოქნილობა შესაძლებელია არ არის, მაშინ თანამშრომელთა მოტივაცია, რომელიც საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებას მოიცავს, შეიძლება შემცირდეს, განსაკუთრებით, თუ განსხვავებული ერთეულები დაკავებულნი არიან სხვადასხვა საქმიანობით და მდებარეობენ სხვადასხვა ქალაქებში. ერთი დაკავებულია ახალი პროდუქტის შემუშავებით, ხოლო მეორე ასრულებს საბოლოო აწყობას. ამ შემთხვევაში თითოეულ მათგანს ექნება

განსხვავებული მონაცემები და შეიძლება გამოიყენონ განსხვავებული დანახარჯის მატარებლები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ახალი პროდუქტის შემუშავებისათვის იქნება საკმაოდ განსხვავებული იმ კრიტერიუმებისაგან, რომელსაც ამწყობი განყოფილება იყენებს ეფექტიანად მართვის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია კარგად დაპროექტებულმა MACS - მა უნდა შეძლოს ცალკეული განყოფილების ადგილობრივი საჭიროების მორგება მთლიან სისტემაში, სხვა შემთხვევაში არაზუსტი სისტემა გამოიწვევს მცდარი გადაწყვეტილების მიღებას და არეულობას კომპანიის განყოფილებებსა და ტოპ მენეჯმენტს შორის.

MACS მასშტაბი უნდა იყოს სრული და მოიცავდეს საწარმოს ყველა საქმიანობას. ზოგჯერ MACS სისტემაში ხდება საქმიანობის მხოლოდ ერთი ნაწილის შეფასება, როგორიცაა მაგალითად, მიმდინარე წარმოების პროცესი, ხოლო მიმწოდებლების საქმიანობა და პროდუქტის წარმოების შემდგომი საქმიანობები იგნორირებულია. ეს ყოველივე იძლევა საშუალებას მხოლოდ მენეჯერების მიერ შეზღუდული სახის გადაწყვეტილებების მიღების. გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს მართვის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, რადგან მიღებული გადაწყვეტილების ხარისხზე დიდადაა დამოკიდებული მართვის ეფექტიანობა. გადაწყვეტილება ადგენს მიზანს, შესასრულებელი სამუშაოების შემადგენლობას, სამუშაოთა შესრულების საშუალებებს, სამუშაოთა შესრულების მეთოდებს და ვადებს [3;85]

საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქცია ეფუძნება სხვადასხვა საქმიანობებს და იყენებს განსხვავებულ რესურსებს ღირებულების შექმნის ჯაჭვში, რომელიც იწყება პროდუქტის შესწავლით, განვითარებით და დამუშავებით, შემდეგ გადის წარმოების პროცესს და გადაეცემა მომხმარებელს. პროდუქტიდან გამომდინარე მომხმარებელმა შეიძლება მოითხოვოს გარკვეული სერვისი. მომხმარებელი მოიხმარს პროდუქტს (ორცხობელა) ან მოიშორებს მას (ქიმიური გამხსნელი) მისი და-

ნიშნულების შესრულების შემდეგ.

მმართველობითი აღრიცხვა დანახარჯების სამყაროში იმყოფება. მმართველობითი აღრიცხვას ყველაზე რთული და დიდი მოცულობის ობიექტი გააჩნია სამრეწველო, სამშენებლო და სასოფლო ფირმებში, ვიდრე ეს მომსახურების ფირმებშია. მმართველობითი აღრიცხვა მოიცავს დანახარჯთა აღრიცხვისა და გადაწყვეტილებების მიღების მეთოდიკას. [2; 16]

განვიხილოთ შემდეგი სიტუაცია: დავუშვათ კომპანია „ნინი"-ის მენეჯერები პროდუქტის ახალ კონცეფციის შემუშავებაზე მუშაობენ და მათ სჯერად, რომ დიდ წარმატებებს მიაღწევენ თავიანთ ბიზნესში. საწყისი კვლევა წარმოდგენას უქმნის მენეჯერებს იმის შესახებ, რომ მათ შეუძლიათ პროდუქტის წარმოება საკმაოდ დაბალ ფასად, განსაკუთრებით ახლად შეძენილი ტექნოლოგიის პირობებში. ისინი იწყებენ საქმიანობათა რეორგანიზაციის განხილვას, რომელიც უნდა მოერგოს ახალო პროდუქტის წარმოებას. რადგან მენეჯერებს გააჩნიათ რამოდენიმე იდეა პროდუქტის პროექტირების შესახებ, ისინი მიმართავენ კვლევის, განვითარებისა და პროექტირების დეპარტამენტს შემდგომი შესწავლისთვის. აღნიშნული დეპარტამენტის ანგარიში მათ ეუბნება, რომ პროდუქტის წარმოება შეიძლება მოხდეს, თუმცა მისი განვითარების ხარჯი 20-ჯერ მეტია ვიდრე საშუალო ხარჯი. კვლევის, განვითარებისა და პროექტირების ციკლი ადასტურებს, რომ წარმოების მიმდინარე ხარჯი პირველი წლის შემდეგ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება ახალი ტექნოლოგიის პირობებში, მუშაობის გამოცდილების შეძენის გამო.

აქედან გამომდინარე, პროდუქტის საწყისი საციცოცხლო ციკლის ხარჯები შეიძლება საკმაოდ მაღალი იყოს, მაგრამ წარმოების ხარჯი იქნება დაბალი. ამ ახალი ინფორმაციისა და ალტერნატიული ღირებულების ანალიზის საფუძველზე, ასევე კომპანიის მთლიანი პერსპექტივიდან გამომდინარე, მენეჯერებმა უნდა გადაწყვიტონ გააგრძელონ თუ არა ახალი პროდუქტის შემუშავება.

დასკვნა

ამრიგად, მმართველობითი აღრიცხვა ქმნის ისეთ საინფორმაციო სისტემას, რომელიც მმართველებს უბიძგებს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გადაწყვეტილების მისაღებად სვადასხვა დონეზე. ყოველდღიურ კონტროლს ახორციელებს მართვის დაბალი რგოლის ხელმძრვანელი. ამისათვის მას აუცილებლად ესაჭიროება დეტალიზირებული და ანალიზური ინფორმაცია, რომლის ფორმირებაც მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის სისტემით წარმოებს პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით.

ლიტერატურა:

1. ენტონი ა. ატკინსონი, რობერტ ს. კაპლანი, ელა მეა მათსუმურა, ს. მარკ იანგი, მმართველობითი აღრიცხვა, მეხუთე გამოცემა, თბ. 2009;

2. ი.ჭილაძე, დანახარჯების აღრიცხვის სისტემები, თბ. 2009;

3. ბ. ბაუჩაძე, მმართველობითი აღრიცხვა, თბ.2012

REFERENCES:

1. Antony, A. Atkinson, Robert, S. Kaplan, Ella Mae Matsumura, S. Mark Young. Management Accounting, Firth Edition, Tbilisi, 2009;

2. I. Tchiladze, Expenditure Control Systems, Tbilisi, 2009;

3. B. Bauchadze, Management Accounting. Tbilisi, 2012

MANAGEMENT ACCOUNTING AND EXPENDITURE CONTROL SYSTEM

Dezdemona Maghlakelidze,
Associate Professor of Akaki
Tsereteli State University**(ATSU)**
Diana Uglava
ATSU Invited Specialist, A.D.Ec.

RESUME

In the terms of market economy, the efficient work of our country enterprises depends largely on management activity that ensures their real economic independence, its competitiveness and value on the market. The evaluation of management decisions and responsibilities are conducted on the basis of internal reporting data. Planning and coordination of enterprises with the purpose of its further development, is based on an analytical calculation, which is carried out by specific methods. Management accounting performs such a function in an enterprise's information system.

The cost management system is a measure of activity development assessment; it is one of the central systems in the enterprise known as the Management Accounting and Control System (MACS). Well-formed MACS are able to supply accurate, timely, consistent and flexible information to the managers. In the process of control of the enterprise it is also necessary to identify unmanaged situations, and for their immediate correction the managers should have the appropriate knowledge and the ability to make the right decision.

Key words: Management accounting, Expenditure, Control systems, Information, Planning, Checking, Behavioral factors, Accurate, Timely, System scale, Management, Efficiency, Product.

გადაწყვეტილებების პროდუქტიულობა და ეფექტურობა ცვლილებების მენეჯმენტის პირობებში

ლალა ჯიქია
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

მართვის ნებისმიერი ფორმა წარმოადგენს მიმდინარე პრობლემების გადაწყვეტას და მომავლისთვის მომზადებას. სწორედ ეს წარმოდგენს ცვლილებების მართვას.

მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში რომ მივიღოთ ეფექტური გადაწყვეტილებები, ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ როგორც გადაუდებელი მოთხოვნები, ასევე გრძელვადიანი მოთხოვნები. ყველაფერი ეს უნდა ხდებოდეს კომპანიის არსებობის მიზანთან სრულ შესაბამისობაში. კერძოდ, კომპანიები უნდა აანალიზებდენ თავიანთ კლიენტებს, მათ მოლოდინებს და იმას, .თუ რისი შეთავაზება შეუძლიათ და რა უნდა შესთავაზონ. მხოლოდ ასეთი ანალიზის შედეგად არის შესაძლებელი მოქმედებაზე გადასვლა.

მაგრამ დღევანდელ სინამდვილეში შესაძლოა კლიენტის სამომავლო მოთხოვნილება თავად მასში არ იყოს ფორმირებული და ჩვენ შევთავაზოთ, რაც მისთვის აუცილებლად მისაღები იქნება (კრეატიულობა).[1]

პროგნოზირება იმისა, გადაწყვეტილება იქნება თუ არა რელიზებული, საჭიროებს რამდენიმე ფაქტორის გაანალიზებას, კერძოდ, გადაწყვეტილება არ უნდა იყოს ორაზროვანი; უნდა იყოს კარგად განსაზღვრული და პასუხობდეს ოთხ იმპერატიულ მოთოვნას - გადაწყვეტილების მიღებისას უნდა განისაზღვროს: რას ვაკეთებთ P); როგორ ვაკეთებთ (A); როდის კაკეთებთ (E) და ვინ აკეთებს (I).

---

1 Ким, Чан В.Стратегия голубого океана. Как найти или создать рынок, свободный от других игроков / В. Чан Ким, Рене Моборн ; пер. с англ. И. Ющенко. — М. : Манн, Иванов и Фербер, 2017. — 336.

კომპანია თავისთავად ვერ გახდება ეფექტური და პროდუქტიული ვერც მოკლევადიან და ვერც გრძელვადიან პერსპექტივაში, თუ არ იქნება მიღებული ე. წ. PAEL გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოს დამატებული ღირებულების შექმნის შესაძლებლობას. სწორედ ეს არის მენეჯმენტის ფუნქცია, რაც საკმაოდ რთულად გამოიყურება.

საკვანძო სიტყვები: PAEL გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეფექტურობა, გადაწყვეტილების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროდუქტიულობა, კომპლემენტარული საზოგადოება.

ძირითადი ტექსტი

მუდმივად მიმდინარე ცვლილებების ფონზე, კომპანიაში წარმოშობილი პრობლემების გადაჭრა საჭიროებს სწორი გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზების აუცილებლობას. რაც გამოიხატება გადაწყვეტილებების პროდუქტიულობასა და ეფექტურობაში.

მოკლევადიანი პროდუქტიულობის მისაღწევად აუცილებელია ე. წ. ადმინისტრირების ფუნქციის (Administer) A. შესრულება ანუ აუცილებელია ორგანიზაციის სისტემატიზაცია, საჭიროა მისი პროცესების რეგლამენტირება. სისტემატიზაცია არის პროდუქტიულობის გარანტია, რომელიც ითხოვს დეტალებზე ყურადღებას. იგი არ არის დაკავშირებული ინტენსიური მუშაობის საჭიროებასთან.

შესაძლებელია მაღალმა პროდუქტიულობამ უარყოფითი გავლენა იქონიოს ეფექტურობაზე. კომპანიამ რომ მიაღწიოს ორგანიზაციულ-სასიცოცხლო ციკლის განვითარების მაღალ ეტაპს, აუცილებლად უნდა იყოს პროდუქტიული და ეფექტური, რაც საკმაო ძალისხმევას მოითხოვს და შეუძლებელია ეს ავტომატურად მოხდეს.

პროდუქტიულობის ხარჯზე მოგების ზრდისას, მოგება იზრდება დანახარჯების შემცირებით და ასეთი დანახარჯების კლების ზღვარმა თუ გადაამეტა კლიენტთა კონკრეტული

მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, მაშინ კომპანიის ეფექტურობა შეცირდება და დაიწყება გაყიდვების ვარდნა.

მოკლევადიან პერსპექტივაში პროდუქტიულობისა და ეფექტურობის მისაღწევად კომპანიამ კლიენტებისთვის უნდა უზრუნველყოს საჭირო სერვისების (P) შეთავაზება და დაარეგულიროს ეს პროცესი (A).

გრძელვადიანი ეფექტურობა წარმოადგენს ისეთი მიმდინარე გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც განაპირობებენ და მომავალში უზრუნველყოფენ კლიენტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ეს იმ ტიპის გადაწყვეტილებებია, რომლებსაც აქვთ სამომავლოდ პროგნოზირებისა და კლიენტთა ახალი საჭიროებების დაკმაყოფილების უნარი. ეს ნიშნავს, რომ კომპანია უნდა გახდეს პროაქტიური. სამომავლო შესაძლო მოთხოვნებზე პოზიციონირების ასეთი პროცესი პროაქტიულია. თანაც შესაძლებლობების ალბათობა უნდა მაქსიმალურად აყვანილი იქნას რეალურ სამომავლო მოთხოვნებზე. სწორედ პროაქტიურობა განსაზღვრავს კომპანიის გრძელვადიან წარმატებას.

გრძელვადიან პერსპექტივაში წარმატება შესაძლებელია მიმდინარე პოზიციონირების ისეთი სტრატეგიის შემუშავებისას, რომელიც მოითხოვს E (მეწარმეობის) ფუნქციის გამოყენებას ანუ მომავალი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, რომელიც P ფუნქციის წინამორბედია. ჯერ ვახდენთ კლიენთა მოთხოვნილებების იდენტიფიცირებას, ხოლო შემდგომ ვზრუნავთ მისი დაკმაყოფილებისთვის.

მაგრამ დღევანდელ სინამდვილეში შესაძლოა კლიენტის სამომავლო მოთხოვნილება თავად მასში არ იყოს ფორმირებული და ჩვენ შევთავაზოთ, რაც მისთვის აუცილებლად მისაღები იქნება (კრეატიულობა).[1] კრეატიულობა და მომავლის პროგნო-

1 Ким, Чан В.Стратегия голубого океана. Как найти или создать рынок, свободный от других игроков / В. Чан Ким, Рене Моборн ; пер. с англ. И. Ющенко. — М. : Манн, Иванов и Фербер, 2017. — 336

ზირება კომპანიის აუცილებელი მახასიათებლები გახდა.

მაგრამ კრეატიულობა არ არის საკმარისი წარმატების მისაღწევად. საჭიროა გარკვეულ რისკზე წასვლა, რადგან იდეალური პროგნოზირება შეუძლებელია და ითხოვს რისკზე წასვლას. თუმცა რისკის მაშტაბების საკითხი ეს ცალკე განსახილველი თემაა.

ნახ.1.



პროაქტიურობა არის გრძელვადიან პერსპექტივაში ეფექტურობის განმსაზღვრელი. გრძელვადიან პერსპექტივაში პროდუქტიულობისათვის აუცილებელია ინტეგრირების განხორციელება ფუნქცია (I). კომპანიის (სისტემის) ცნობიერების - მისი ინდივიდუალური თავისებურებების, ფასეულობითი სისტემის, ქცევის მოდელის და ფილოსოფიის შეცვლა. მექანიკური სისტემის ორგანულ სისიტემად ჩამოყალიბება. კომპანიაში გუნდურობის პრინციპის დანერგვა და ორგანიზება.

კომპანიაში გუნდურობის პრინციპის დანერგვა და ორგანიზება ქართულ სინამდვილეში ინტეგრირების პროცესის არ შემდგარი მწარე რეალობაა. ხშირ შემთხვევაში მმართველობით სტრუქტურაში საერთოდ არ არის გააზრებული შემადგენელი რგოლებისა და მათი წევრების ფუნქცია. ასეთი სტრუქტურა მექანიკურია და ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ მართვას.

მაღალი მენეჯმენტის ძირითადი შეცდომაა ის, რომ მართვას იწყებენ ორგანიზაციული სტრუქტურის განხილვით და კადრების რაოდენობის შესწავლიდან. მართვა უნდა იწყებოდეს იმ კლიენტთა განხილვით, ვისთვისაც შექმნილია კომპანია. საჭიროა ფუნქცია I-ის განხორციელება. კომპანიის არსებობას გა-

ნაპირობებს კლიეტთა მოთხოვნების არსებობა და კომპანიის მხრიდან მათი დაკმაყოფილების უნარი.

არ არსებობს ჯანსაღი სისტემა და მათ შორის კომპანია, რომელიც არ იყოს კავშირში სხვა უფრო დიდ სისიტემასთან. საკუთარი ნებით თუ ქმედებით სისტემიდან იზოლირებული კომპანია წყვეტს არსებობას. ამ პოსტულატში ჩადებულია უფროს მაღალი ფასეულობა. იცხაკ ადიზესი თავის წიგნში ხაზს უსვამს სწორედ ამ ფუნდამენტალურ საწყისს. ნებისმიერი ორგანიზაციის, საზოგადოების ან ჯგუფის ცნობიერება გულისხმობს ურთიერთდამოკიდებულების გაცნობიერებას. ეს არის გაცნობიერება იმისა, თუ „ვინ ვართ?" პასუხად კითხვაზე „ვისთვის და რისთვის ვარსებობთ?"[1]

მენეჯმენტის პირველი განსახილველი საკითხია: თუ ვინ არის კომპანიის კლიენტურა, ვის შესახებაც უნდა მივიღოთ სრულყოფილი ინფორმაცია. - ეს არის I (ინტეგრაციის) ფუნქციის პირველი ნაწილი. შემდეგ ხდება კლიენტთა მოთხოვნილებების იდენტიფიცირება - ფუნქცია E. შემდეგი საკითხებია - ამისთვის რა უნდა გააკეთოს კომპანიამ და როგორ - ფუნქცია P и A. ამ საკითხთა განხილვის შემდგომ გადასაწყვეტია, თუ ვინ უნდა გააკეთოს ეს. სწორედ ეს წარმოადგენს I ფუნქციის აღსრულების მეორე ნაწილს.

ყველა ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩართულია კლიენტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში ნებისმიერ ეტაპზე და ასევე მაცხოვრებლების ის წრე, სადაც არის დისლოცირებული კომპანია, თუ მისი სტრუქტურულლი ქვედანაყოფი, წარმოადგენენ დაინტერესებულ პირებს. მენეჯმენტის ფუნქციაა ყველა დაინტერესებული მხარე დააინტერესოს და დაარწმუნოს ერთმანეთთან თანამშრომლობაში, რაც ხელს შეუწყობს მათ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. აუცილებელია კლიენტებისა და დაინტერესებული პირების

1 Ицхак Кальдерон Адизес,Управляя изменениями. Как эффективно управлять изменениями в обществе, бизнесе и личной жизни - Манн, Иванов и Фербер, пер. В. Кузин 2015.

მოთხოვნილებების თავსებადობის უზრუნველყოფა. როცა დაინტერესებული პირები გააცნობიერებენ და ეს ასეც უნდა იყოს, რომ მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გადის კომპანიის კლიენტების დაკმაყოფილებაზე, კომპანია ხდება ინტეგრირებული (I). როცა ყველა სუბიექტი ინტეგრირებულია, მათ შორის მჭიდრო ორგანული კავშირი ყალიბდება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კომპანიის, როგორ ერთიანი სისიტემის პროდუქტიულ და ხანგრგლივ არსებობას.



ნახ. 2.

როდესაც კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილება ხორციელდება დაინტერესებულ პირთა დაკმაყოფილების გზით, ვღებულობთ სისტემას, სადაც არ არსებობენ შეუცვლელი ფიგურები და ხდება ერთმანეთის ფუნქციების დროებითი ჩანაცვლება.

კომპანია თავისთავად ვერ გახდება ეფექტური და პროდუქტიული ვერც მოკლევადიან და ვერც გრძელვადიან პერსპექტივაში არ იქნება მიღებული ე. წ. PAEL გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნვე-

ლყოს დამატებული ღირებულების შექმნის შესაძლებლობას. სწორედ ეს არის მენეჯმენტის ფუნქცია.

ნახ. 3.



გამომდინარე იქიდან, რომ გრძელვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაში კომპანიის ეფექტურობისა და პროდუქტიულობის მისაღწევად საჭიროა ცალკეული ფუნქციების აუცილებელი არსებობა, ეს განაპირობებს კომპანიის წარმატებული მართვისათვის ოთხივე ფუნქციის საჭიროებას. რომელიმე

ფუნქციის დეფიციტი იწვევს პროგნოზირებად პათოლოგიას კომპანიაში. რომელიმე მათგანის არ არსებობას კი მივყავართ კონკრეტულ მიუღწეველ მიზანთან.

თავდაპირველად ახალგაზრდა კომპანია ფოკუსირებულია მხოლოდ P ფუნქციის აღსრულებაზე - დააკმაყოფილოს კლიეტთა მოთხოვნილებები, რაც უზრუნველყოფს რეალიზაციის ზრდას. რეალიზაციის მასშტაბების ზრდა თავის მხრივ იწვევს ორგანიაზციაში ქაოსს და წარმოშობს კომპნიაში ადმინისტრირების საჭიროებას ანუ იქმნება A ფუნქციის აუცილებლობა. მხოლოდ ამის შემდეგ აქცენტი გადადის დაინტერესებულ პირთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეც. მას შემდგ რაც კომპანიაში იწყება ინტეგრირების პროცესი და ერთიანი ორგანული ცნობიერების ჩამოყალიბება, კომპანია გადადის ე.წ. განვითარების მაღალ ფაზაში.

თუ საკმაოდ მკვეთრად ხდება ყურადღების გადატანა კლიენტებიდან შიდა დაინტერესებულ პირებზე, მაშინ შესაძლოა კომპანიაში წარმოიშვას შიდა კონფრონტაცია მწარმოებელ და გაყიდვებით დაკავებულ სეგმენტსა და პროფესიონალ მენეჯერს შორის. ვიდრე კომპანიაში ხდება შიდა ანტაგონიზმის დარეგულირება და ჩაქრობა, კლიენტი და მისი მოთხოვნილებები იცვლება. მას შემდეგ რაც შეინიშნება გაყიდვების შემცირება და ირკვევა, რომ ვეღარ ხდება კლიენტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რჩება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება - მიგნებული, იდენტიფიცირებული და დაკმაყოფილებული იქნას კლიენტების ახალი მოთხოვნილებები. ეს პროცესი მიუთითებს განხილული 4 ფინქციის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ამავე დროს ნიშანდობლივია, რომ ნებისმიერი 2 როლი ამ ოთხიდან ერთმანეთთან არათავსებადი არიან.

ასე, მაგალითად, არათავსებადია ერთმანეთთან P და I ფუნქციები. ძალზე ძნელია ერთდროულად დააკმაყოფილო მიმდინარე მოთხოვნები (P) და იმავდროულად ახორციელებდე ინტეგრაციას (I). ასევე არათავსებადია მეწარმეობა (E) და მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებუს P ფუნქციები.

ასევე არათავსებადია P და A ფუნქციები, თუ გვინდა ვიყოთ ეფექტურები, ამას ეწირება პროდუქტიულობა და პირიქით. ქცევის წესები, ნორმები და კანონები A ადმინისტრირების ფუნქცია წინააღმდეგობაშია ცვლილებების დანხორციელებასთან E ფუნქციათან (როლთან). ერთმანეთთან არათავსებადია A da I ფუნქციები.

იცხაკ კალდერონ ადიზესი თავის წიგნში „ცვლილებების მენეჯმენტი“ განიხილავს ცვლილებების ზრდის კვალობაზე ადამინთა შორის და თავად ადამიანში დეზინტეგრაციის პროცესების გააქტიურებას. რაც გამოიხატება სიყვარულის დეფიციტში, მტრული განწყობის, დეპრესიულობის და აგრესიულობის ზრდაში. გამოსავალი არის თუ არა ცვლილებების პროცესის შეჩერება - ამ კითხვაზე ავტორი ამახვილებს ყურადღებას ორ გარემოებაზე: პირველი, ეს შეუძლებელია და და მეორე, ზოგჯერ როდესაც ცვლილებები დროებით ხელოვნურად ფერხდებოდა, შემდგომ ცვლილების პროცესები კიდევ უფრო დაჩქარებული ტემპით ვითარდებოდა. მენეჯმენტმა უნდა ისწავლოს ცვლილებებთან ურთიერთობა და ადაპტირება.

ცვლილებების ტემბის მატებასთან ერთად დეზინტეგრაციის პროცესების შესაკავებლად აუცილებელი ხდება A ფუნქციის - ადმინისტრირების გამოყენება, რადგან პრობლემის მოგვარება ადმინისტრირების გზით გაცილებით ადვილია, ვიდრე ინტეგრირების I გზით.

აღსანიშნავია, რომ კოდი PAEI სხვდსხვა ტიპის ბიზნესსაქმიანობისთვის განსხვავებულია, მაგრამ აუცილებელია სრული კომბინაცია, მაგრამ სხვდსხვა ფუნქციის დომინანტი მდგომარეობით. ასე, მაგალითად მარკეტინგული საქმიანობის კოდია paEI, რადგან მარკეტინგი აანალიზებს მომავალ მოთხოვნილებებს. კლიენტებისა და მათი მოთხოვნილებების შესაძლო ცვლილებებს. მაგრამ ამავე დროს მარკეტინგი ვერ იარსებებს წარმოების გარეშე ფუნქცია P და რადგან იმავდროულად მარკეტინგი ორიენტირებულია შედეგზეც, აუცილებელია მისი A ფუნქციით რეგულირებაც.

დისტრიბუციის ფუნქცია წარმოების ფუნქციის მსგავსად არის პროდუქტიულობა, ამიტომ მათ აქვთ ერთნაირი კოდი PAei.

მარკეტინგი ორიენტირებულია ცვლილებებზე, ამიტომ ის უქმნის დისკომფორტს დისტრიბუციას მოკლევადიანი პროდუქტიულობის მიღწევაში. ეს შიდა კონფლიქტი კომპანიაში ნორმალური მოვლენაა და საჭიროც კი.

კონფლიქტის თავიდან აცილების მიძნით მენეჯმენტში უშვებენ სერიოზულ შეცდომას, როდესაც მარკეტინგსა და დისტრიბუციას უქვემდებარებენ ერთ ხელმძღვანელს. ამ შემთხვევაში, მიმდინარე ცვლილებების ფონზე, მარკეტინგი ასრულებს მხოლოდ დამხმარე ფუნქციას.

ყოველ ცვლილებასთან შეჯახებისას, იძულებულები ვართ მოვახდინოთ რეაგირება ანუ მივიღოთ გადაწყვეტილება და ვიმოქმედოთ სხვაგვარად.

ამ გადაწყვეტილებებმა უნდა უზრუნველყოს კომპანიების ეფექტურობა და პროდუქტიულობა გრძელ და მოკლევადიან პერსპექტივაში. ანუ საჭიროა (PAEI) გადაწყვეტილება და ყველა (PAEI) ფუნქციის შესრულება.

მაშასადამე იდეალური მენეჯმენტი და მით უმეტეს მენეჯერი არ არსებობს. PAEI ფუნქციების არათავსებადობის გამო შეუძლია ერთიდაიგივე ადამაინი იყოს ყველა ამ როლის მატარებელი. ამიტომ კომპანია უნდა ჰყავდეს არა ერთი გენიოსი, არამედ კომპლემენტალური გუნდი, რომლის წევრები არიან სპეციალისტები, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და ქმნიან განსხვავებულობის ერთიანობას, მოქმედებენ ტანდემში, როგორც ხელის თითები. აქ საუბარია არა კომპლემენტარულ უნარებსა და ცოდნაზე, არამედ კომპლემენტარულ სტილზე და განსჯაზე.

კომპლემენტალური გუნდის წევრები აზროვნებენ და მოქმედებენ განსხვავებულად, ისინი ერთსადაიმავე მოვლენას უყურებენ სხვადსხვა რაკუსით, რაც ქმნის მათ შორის კონფლიქტს, მაგრამ იმავდროულად იძლევა ყოვლისმომცველ შესაძლო სურათს. შესაბამისად, გუნდში ურთიერთნდობის, პატივისცემის

და სწავლების პროცესის გამო, ვღებულობთ ფუნქციონალურ კონფლიქტს და სინერგიას. წევრთა შორის არსებობს კოლეგიალური დამოკიდებულება და წევრები კოლეგები არიან.

ნახ. 4.



ამრიგად, სწორი გადაწყვეტილება არის კომპლემენტარული PAEI გუნდისა და ურთიერთპატივისცემის ფუნქცია.

დასკვნა:

სწორია ის გადაწყვეტილებები, რომლებიც კომპანიას ეფექტურსა და პროდუქტიულს ხდის მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. მათი მეშვეობით კომპანია ხდება ფუნქციონალური, სისტემატიზებული, პროაქტიური და ფლობს ორგანულ ცნობიერებას.

ხანმოკლე პერიოდში კომპანიამ რომ მიაღწიოს ეფექტურობას, მან კლიენტს უნდა შესთავაზოს ის, რაც მის მოთხოვნებს აკმაყოფილებს (ფუნქცია P). P ფუნქციის შეფასება ხდება განმეორებითი კონტრაქტების რაოდენობით.

პროდუქტიულობა ხანმოკლე პერიოდში ნიშნავს რესურსების ხარჯვის მინიმალური რაოდენობას და მათ შორის მენეჯმენტისათვის განკუთვნილი დროის. ამისათვის კომპანიის საქმიანობა უნდა იყოს რეგლამენტირებული, სისტემატიზირებული და მოწესრიგებული (ფუნქცია A).

გრძელვადიან პერსპექტივაში ეფექტურობის მისაღწევად კომპანია უნდა იყოს პროაქტიური და მოქმედებდეს როგორც მეწარმე - ფუნქცია E. კომპანიას უნდა შეეძლოს კლიენტის მო-

მავალი მოთხოვნილებების პროგნოზირება და მათი დაკმაყოფილება. ამისთვის ის უნდა იყოს კრეატიული და მზად რისკის გასაწევად.

გრძელვადიან პერსპექტივაში პროდუქტიულობის მისაღწევად კომპანიამ უნდა შესძლოს ინტეგრაციის - I ფუნქციის შესრულება, რომელიც გამოიხატება თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნით ყველა დაინტერესებულ პირთა შორის და ასევე დაინტერესებულ პირთა და კლიენტებს შორის.

სწორი გადაწყვეტილება ითხოვს კომპლემენტალური გუნდის საჭიროებას, კომპლემენტარული გუნდი წარმოშობს კონფლიქტს. რადგან მენეჯმენტს კავშირი აქვს ცვლილებებთან და მართვის პროცესის განუყოფელი ნაწილია კონფლიქტი, სწორი მენეჯმენტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კონფლიქტი გავხადოთ კონსტრუქციული.

ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., მარიდაშვილი მ., მახარაშვილი ი., გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მიმოხილვა, მნიშვნელობა დამახასიათებლები. ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“,№1, თბ.,2015.

2. ბარათაშვილი ე., მარიდაშვილი მ., მახარაშვილი ი., მეთოდოლოგიური მიდგომები გადაწყვეტილების მიღების პრობლემისადმი თანამედროვე მენეჯმენტში, ჟურნ. „ეკონომიკა“,№3-4, თბ.,2015.

3. ბარათაშვილი ე., მარიდაშვილი მ., მახარაშვილი ი., გადაწყვეტილების შემუშავების, მიღების და რეალიზების ტექნოლოგიები, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“,№2(20), თბ.,2015.

4. Bate P. Strategies for Cultural Change, Oxford, Butterworth-Heinemann.

5. Бесплатные *электронные книги по бизнесу*, http://www.alti.ru/bizbook.htm

6. Научная электронная библиотека, http://elibrary.ru

7. Электронные книги, http://books.mlmbiz.ru

8. Бражников М.А. Управление изменениями: базовый курс:

учеб. пособие / *М.А. Бражников, И.В. Хорина.* – Самара: Самар. гос. техн. ун-т, 2015. – 238 с.

9. Ицхак Кальдерон Адизес,Управляя изменениями. Как эффективно управлять изменениями в обществе, бизнесе и личной жизни - Манн, Иванов и Фербер, пер. В. Кузин 2015, 368 с.

10. Иванова Е.А. Управление изменениями: Учебное пособие. - М: МГУПС (МИИТ), 2014. – 167 с.

11. **Ицхак Кальдерон Адизес, Управление жизненным циклом корпораций - Манн, Иванов и Фербер, 2014.**

12. Друкер, Питер, Ф. Энциклопедия менеджмента. : Пер. с англ. — М. : Издательский дом «Вильяме», 2004. — 432 с.

13. Ким, Чан В.Стратегия голубого океана. Как найти или создать рынок, свободный от других игроков / В. Чан Ким, Рене Моборн ; пер. с англ. И. Ющенко. — М. : Манн, Иванов и Фербер, 2017. — 336.

REFERENCES:

1. Baratashvili E., Maridashvili M., Makharashvili I, Management, Book I, Textbook, Tbilisi, 2015.

2. Baratashvili E., Maridashvili M., Makharashvili I., Management, Book II, Textbook, Tbilisi, 2015.

3. Baratashvili E., Maridashvili M., Makharashvili I., Review of the decision-making process, the importance of the characteristic. Journal"New Economist", No. 1, Tbilisi, 2015.

4. Baratashvili E., Maridashvili M., Makharashvili I., Methodological Approaches in Decision-Making Problems in Modern Management, Journal. "Economics", N.3-4, Tbilisi,, 2015.

5. Baratashvili E., Maridashvili M., Makharashvili I, Technologies for Decision-making, Receiving and Realization, Journal. "Social Economy", No. 2 (20), Tbilisi, 2015.

6. Bate P. Strategies for Cultural Change, Oxford, Butterworth-Heinemann.

7. Free e-books on business, http://www.alti.ru/bizbook.ht

8. Scientific electronic library, http://elibrary.ru

9. Electronic books, http://books.mlmbiz.ru

10. Brazhnikov MA Change management: basic course: training. allowance / M.A. Brazhnikov, I.V. Khorina. - Samara: Samar. state. tech. Univ., 2015. - 238 p.

11. Yitzhak Calderon Adizes, Managing Change. How to effectively manage changes in society, business and personal life - Mann, Ivanov and Ferber, trans. V. Kuzin 2015, 368 p.

12. Ivanova E.A. Change Management: A Tutorial. - M: MGUPS (MIIT), 2014. - 167 p.

13. Yitzhak Calderon Adizes, Managing the Life Cycle of Corporations - Mann, Ivanov and Ferber, 2014.

14. Drucker, Peter, F. Encyclopedia of Management. : Trans. with English. - M.: Publishing house "Villamé", 2004. - 432 p.

15. Kim, Chan V. The strategy of the blue ocean. How to find or create a market that is free of other players / V. Chan Kim, Rene Morborn; trans. with English. I. Yushchenko. - M.: Mann, Ivanov and Ferber, 2017. - 336.

PRODUCTIVITY AND EFFICIENCY OF DECISIONS IN THE CONDITIONS OF CHANGES MANAGEMENT

Lala Jikia
PhD Student of GTU

RESUME

Any form of management is the solution to the current problems and preparation for the future. That's how it works.

In order to make effective decisions in the short term and long term, we must satisfy both the urgent requirements and long-term requirements. All this should be in full compliance with the company's existence. In particular, companies need to analyze their clients, their expectations and what they can offer, how can offer and what to offer. Only such analysis is possible to move to action.

But in today's reality, the future needs of the client cannot be formed in itself and we will offer what is acceptable for him/her (creativity).

Predicting whether the decision will be relied on to analyze several factors, in particular, the decision should not be ambiguous; It should be well-defined and answer the four imperative modifications when making a decision: what are we doing (P); How we are doing (A); when we are doing (E) and who is doing (I).

The company itself will not be able to become effective and productive in the short term or in the longer term, unless it is adopted so called PAEL decision to provide an added value. This is the function of management, which looks pretty complicated.

Key words: PAEL Decision, short-term and long-term effectiveness of decisions, short-term and long-term productivity of decision making, complementary society.

მმართველობის ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ზოგიერთი საკითხი

დეზდემონა მაღლაკელიძე,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ნათელა ვაშაკიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.“ აღნიშნული კანონი ადგენს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესს.

აღნიშნული კანონით საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი ჩარჩო შეიქმნა. დადგენილია ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ახალი სამართლებრივი მოთხოვნები. კანონის მოთხოვნები ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი დაინტერესების პირებმა (სდპ) და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის და შემდგომ პერიოდებში უნდა შეასრულონ. ახალია და რთულია აღნიშნული ცვლილებების აღქმა და პრაქტიკული შესრულება, განსაკუთრებით მმართველობის ანგარიშგების რეგულაციების დადგენა და შემდგომ მისი წარდგენა, რადგან ჩვენს ქვეყანაში აღნიშნულის შესახებ არავითარი პრაქტიკა არ არსებობს.

საკვანძო სიტყვები: მმართველობის ანგარიშგება, ინფორმაცია, აღრიცხვა, აუდიტი, კომპონენტები, საქმიანობის მიმოხილვა, არაფინანსური ანგარიშგება, კორპორაციული მართვის ანგარიშგება, მართვის კოდექსი.

შესავალი

ანგარიშგება წარმოადგენს დამამთავრებელ ეტაპს აღრიცხვის ნებისმიერი სისტემისათვის, რომელიც ამთავრებს საღრიცხვო პროცესის სტადიას. მმართველობის ანგარიშგება წარმოადგენს ფაქტიური, საგეგმო, საპროგნოზო ურთიერთდაკავშირებულ მონაცემთა კომპლექსს მოცემული საწარმოს მიმართ. იგი მოიცავს მონაცემთა და მაჩვენებელთა ერთობლიობას როგორც მთლიანად საწარმოს, ისე მისი ქვედანაყოფების მიხედვით.

ფინანსური აღრიცხვისაგან განსხვავებით, რომელიც ორიენტირებულია გარე მომხმარებლებზე, მმართველობითი აღრიცხვა მოიცავს შიდა ოპერაციების კონტროლსა და დაგეგმვას. ამავე დროს დაგეგმვისას სჭარბობს მომავალში მოსალოდნელი მოვლენების სუბიექტური შეფასებები. მმართველობითი აღრიცხვის მიზანს წარმოადგენს იმ ინფორმაციის წარდგენა და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება სტრატეგიის შემშავებისათვის, საქმიანობის დაგეგმვისა და კონტროლისათვის, რესურსების მართვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად. {1, 23}. გამომდინარე აღნიშნულიდან, მმართველობის ანგარიშგება განკუთვნილია თვითონ საწარმოსათვის, მისი ხელმძღვანელობისათვის. ამასთან დაკავშირებით, ანგარიშგება მენეჯერებისათვის უნდა პასუხობდეს მართვის მოთხოვნილებას, საწარმოს ხელმძღვანელობის ყოველ დონეზე. ეს მოთხოვნები წარმოადგენს ინდივიდუალურს, სპეციფიურს და დიდაადა დამოკიდებული მოცემული საწარმოს წარმოების თავისებურებაზე.

ძირითადი ტექსტი

მმართველობის ანგარიშგების მიზანს წარმოადგენს მმართველობითი ინფორმაციის მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მენეჯერებმა მართვისათვის საჭირო ინფორმაციიდან გამომდინარე, თვითონ უნდა განსაზღვრონ ანგარიშგების შინაარსი, პერიოდულობა და წარდგენის წესი. საწარმოს ხელმძღვანელობა აყალიბებს საწარმოს მართვის სტრატეგიულ მიზნებს და მან უნდა მიიღოს ინტეგრირებული მმართველობის ანგარიშგება, რომელიც უნდა ახასიათებდეს საწარმოს საქმიანობის ისეთ შედეგებს, როგორიცაა წარმოების, საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობას, როგორც მთლიანად, ისე მის ქვედანაყოფების მიხედვით.

პერიოდული ანგარიშგების ინფორმაციის წარდგენის სიხშირე დამოკიდებულია დროის იმ მონაკვეთზე, სანამდე მასში ასახული ინფორმაცია აქტუალურია და სასარგებლოა ოპერატიული მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად. საწარმოში მმართველობითი აღრიცხვის სისტემის ფორმირება უნდა პასუხობდეს ხელმძღვანელობის სპეციფიკურ მოთხოვნებს, რომელიც მათ დაეხმარება დაგეგმვის, კონტროლის, ტაქტიკური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების ფუნქციების განხორციელებაში. {2,22}

საწარმოს მმართველობისათვის სააღრიცხვო ინფორმაციის ნაწილი შეიძლება მიწოდებული იქნეს ყოველი მისი ცვლილების შემთხვევაში. მაგალითად, მენეჯერებისათვის რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ესაჭიროებათ ოპერატიული ინფორმაცია ისეთი მაჩვენებლების მიიმართ, როგორიცაა ვალუტის, ენერგომატარებლების ტარიფების, საფონდო ბირჟის ინდექსირებისა და ფასიანი ქაღალდების კოტირების ცვლილებების შესახებ. სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული ინფორმაცია მოულოდნელ მოცდენებზე, არამწარმოებლურ ხარჯებზე და დანაკარგებზე, რაც არსებით გავლენას ახდენს საწარმოს ეკონომიკაზე და მოითხოვს სათანადო რეაქციას საშუალო და დაბალი რგოლის ხელმძღვანელთა მიმართ. {3,238}

მმართველობის ანგარიშგების სისტემა საწარმოს საქმიანობის შესახებ შემუშავებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფდეს მენეჯერებისათვის ანგარიშგების დროულ წარდგენას. მნიშვნელოვანია მმართველობითი ინფორმაციის ფორმატი და მათი წარდგენის წესი. მმართველობის ინფორმაცია მოიცავს მონაცემთა ფორმატს, მათი წარდგენის მეთოდებს, თანდართულ ცნობებსა და ახსნა-განმარტებით ბარათებს.

ინფორმაციის წარდგენის ტრადიციულ მეთოდს წარმოადგენს ცხრილები. ცხრილები გრაფიკებისა და დიაგრამების სახით შეიძლება ასახული იყოს ქაღალდზე და ელექტრო მატარებლებზე. სხვა ფაქტორებთან ერთად ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს ანგარიშგების წარდგენის ფორმატზე და სტრუქტურაზე, ითვლება წარმოდგენილი ინფორმაციის შინაარსი. არ არსებობს შიდა ანგარიშგების სტანდარტული ნაკრების ერთიანი ფორმატისა და საერთო სტრუქტურის მქონე ფორმა. იგი ყველა საწარმოსათვის წარმოადგენს ინდივიდუალურს და სხვადასხვაგვარს, როგორც შინაარსობრივად, ისე წარდგენის ვადების მიხედვით.

მმართველობის ანგარიშგების მთავარი მოთხოვნაა მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რისთვისაც საჭიროა მასში ასახული ინფორმაციის დეტალიზაცია. ანგარიშგება უნდა იყოს საკმარისად მარტივი, გასაგები, დამთავრებული. ანგარიშგების ფორმებისა და მისი განყოფილების დასახელება ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მომხმარებლისათვის ნათელი იყოს მათი დანიშნულება და თავისებურებები. ყოველი განაყოფის შინაარსი უნდა პასუხობდეს იმ საინფორმაციო მოთხოვნებს, რომელიც უნდა მიეწოდოს ანგარიშგების მომხმარებლებს.

ანგარიშგების სიხშირისა და დეტალურობის ხარისხი დიდაადა დამოკიდებული მენეჯმენტის დონეზე. წარმოების ოსტატებს, განყოფილებების და სამსახურების ხელმძღვანელებს აუცილებლად ესაჭიროებათ დაწვრილებითი ანგარიშგებები, ვიდრე საწარმოს ხელმძღვანელობას. რადგან მათთვის აუცი-

ლებელი არ არის დაწვრილებითი ინფორმაცია. რომელიც რიგ შემთხვევაში ართულებს საანგარიშგებო მონაცემების გაგებას და აღქმას.

მმართველობის ანგარიშგებები მუშავდება და დგება მოცემული საწარმოს სტანდარტებისა და ფორმატის შესაბამისად. შესაძლებელია კომპიუტერის მეშვეობით შედგენილ იქნეს სლაიდები და მოხდეს მათი ჯგუფური დემოსტრირება ეკრანზე. ანგარიშგების ასეთი სახით დემონსტრირება ფართოდაა გავრცელებული საწარმოს მმართველობის უმაღლეს ეშელეონებში. კერძოდ, დირექტორთა საბჭოსა და სხვა კორპორაციულ უწყებებში.

2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ." აღნიშნული კანონი ადგენს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის, პროფესიული სერტიფიცირების, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების და მისი ხარისხის უზრუნველყოფის, აღნიშნულ სფეროებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების და პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლებს.(https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504)

აღნიშნული კანონით საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი ჩარჩო შეიქმნა. დადგენილია ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ახალი სამართლებრივი მოთხოვნები. კანონის მოთხოვნები ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი დაინტერესების პირებმა (სდპ) და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის და შემდგომ პერიოდებში უნდა

შეასრულონ, ხოლო თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს - იმ საანგარიშგებო პერიოდისათვის, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომი თარიღისათვის სრულდება. მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოებმა ეს მოთხოვნები შეასრულონ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის და შემდგომ პერიოდებში. შეიქმნა ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, რომელიც მონიტორინგს გაუწევს აღნიშნულ სამუშაოებს.

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება აიტვირთება ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის პორტალზე. აღნიშნული ცვლილება ნაკარნახევია, იმით რომ, საქართველოს ეკონომიკის განვითარება გარდაუვლად საჭიროებს საინვესტიციო და ბიზნესგარემოს განვითარების ხელშეწყობას, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს ნორმატიული და საკანონმდებლო სრულყოფას, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. საქართველოს გაცხადებული პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის პირობებში, როდესაც დღის წესრიგში დგება საკითხი - ქვეყანა გახდეს ევროკავშირის წევრი, აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სრულყოფის ღონისძიებები განისაზღვროს საერთაშორისო ტენდენციებისა და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნების საუძველზე.[1] აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელდა შემდეგი:

- საქართველოში კანონით უკვე მიღებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები და მათი

1 http://iverioni.com.ge/12564-finansuri-aghrickhvisa-da-angarishgebis-regulacia-saqarthveloshi-da-evrokavshirthan-asocirebis-khelshekrulebis-mothkhovnebi.html

გამოყენება სავალდებულოა;

• ეთიკის კოდექსი მიღებულია კანონით, რომელიც შესაბამისობაშია რეგულაციებით განსაზღვრულ ეთიკურ მოთხოვნებთან;

• სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე კომპანიების განსაზღვრის კრიტერიუმები;

• სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი კომპანიები, ექვემდებარებიან მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმებას.

აღნიშნული ცვლილებები საკმაოდ რთულია და ძნელად აღსაქმელია, ჩვენი მიზანია მმართველობის ანგარიშგების შინაარსის, მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა.

მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას;

ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას;

გ) არაფინანსურ ანგარიშგებას

აღნიშნულ კომპონენტებს კანონი მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელ ნაწილებად განიხილავს და თითოეული კომპონენტისათვის ადგენს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელთა ასახვა სავალდებულოა თითოეულ კომპონენტში, კანონი განსაზღვრავს მმართველობის ანგარიშგების შემადგენელ ნაწილებს, მაგრამ არა ანგარიშგების სტრუქტურას.

მმართველობის ანგარიშგების შედგენისას „სტანდარტული ჩამონათვალის მიდგომის“ (checklist style) გამოყენება, ხშირ შემთხვევაში, არ არის ეფექტური გზა ამა თუ იმ კომპონენტში არსებული საკითხების ეფექტიანად გადმოცემისათვის. ამ მიდგომით შეიძლება კომპონენტის ისეთი სტრუქტურა მივიღოთ, რომელიც მეტ განმარტებებს მოიაზრებს და ამგვარმა დეტალიზაციამ შესაძლოა სხვა მნიშვნელოვანი საკითხები გადაფაროს. მმართველობის ანგარიშგების კომპონენტების სტრუქტურამ წლიურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია რელევანტური და ადვილად გასაგები უნდა გახადოს. {4, 6} www.saras.gov.ge

მმართველობის ანგარიშგება ღიად და მიუკერძოებლად უნდა მოიცავდეს საწარმოს განვითარების, საქმიანობის, მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების დადებით და უარყოფით მხარეებს. იგი შედგენილ უნდა იქნას მარტივ და გასაგებ ენაზე, არ შეიძლება ისეთი სპეციფიკური ტერმინების გამოყენება, რომელიც მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის არის გასაგები, ხოლო სამრეწველი დარგის დამახასიათებელი ტერმინების გამოყენებისას, აუცილებელია მათი თანმიმდევრულად და გასაგებად განმარტება.

ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად მმართველობის ანგარიშგება ერთიან კონტექსში დაინტერესებულ პირებს მრავალმხრივ ინფორმაციას აწვდის საწარმოს შესახებ, კერძოდ ხელმძღვანელი პირის ხედვას, არა მხოლოდ იმის შესახებ, რაც უკვე მოხდა, როგორიცაა, დადებითი და უარყოფითი გარემოებები, არამედ იმასაც, თუ რატომ მოხდა და რა შესაძლო გავლენა ექნება საწარმოს სამომავლო საქმიანობაზე.

მმართველობის ანგარიშგება უნდა იყოს ლაკონური, რაც ნიშნავს ანგარიშგებაში მხოლოდ არსებითი ინფორმაციის წარდგენასა და შეზღუდული რაოდენობით განმეორებით ინფორმაციებს. მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, უკეთესად შეაფასოს საწარმოს განვითარების და საქმიანობის მდგომარეობა, ამასთან შეძლებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის პროცესის გაზომვას.

მომავალზე ორიენტირებული ანგარიშგება (მაგალითად, ინფორმაცია სუბიექტის განვითარების გეგმების შესახებ) მოგვიანებით, შესაძლოა, ისტორიული ინფორმაციის მატარებელი დოკუმენტის სახით (შედეგების ნაწილში) მოგვევლინოს.

ზემოთ აღნიშნული, ხელს არ უშლის კომერციული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან სიფრთხილით მოპყრობას. ამგვარი ინფორმაციის გასაჯაროება მიზანშეწონილი და სავალდებულო არ არის, თუმცა ის, შესაძლოა დაკონკრეტების გარეშე, განზოგადოებულად იქნას წარმოდგენილი და, მიუხედავად ამისა, ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარე-

ებისთვის ღირებული იყოს.{4, 10} www.saras.gov.ge

კანონით მმართველობის ანგარიშგებაში ყურადღება უნდა გამახვილდეს და განიმარტოს წარმოდგენილ ინფორმაციის ნაწილებს შორის არსებულ კავშირებზე. მიუხედავად, იმისა რომ ანგარიშგების წარმოდგენილი ცალკეული ნაწილები დამოუკიდებლად საინტერესოა, აუცილებელია მათ შორის არსებული კავშირების ახსნა, იმის გამო, რომ მომხმარებლებს ინფორმაცია უფრო ეფექტიანად მიეწოდოს. მმართველობის ანგარიშგების კომპონენტები არ უნდა მომზადდეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მისი მომზადებისას გამოყენებულ უნდა იქნას იტეგრირებული მიდგომა, რაც გულისხმობს ანგარიშგების მომზადებაში ჩართული პირების კოორდინაციასა და შეთანხმებულ მოქმედებას. მხოლოდ ასეთი ქმედებებით მიიღწევა კომპონენტებს შორის არსებული ყველა რელევანტური კავშირის და ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა და ასახვა ურთიერთმითითებებისა და მანიშნებლების საშუალებით. ამვე დროს გასათვალისწინებელია, ის რომ, შეუძლებელია მმართველობის ანგარიშგებაში ხაზგასმა და განმარტება არსებულ ყველა კავშირზე. აქ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ყველაზე რელევანტურ კავშირებს, რომლებიც გამოიყენება ბიზნესის განვითარების, მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად. ხოლო ისეთი ინფორმაცია, რომელიც რელევანტური არ არის მმართველობის კონტექსტში ანგარიშგებიდან ამოღებულ უნდა იქნას.

განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგების თითოეული კომპონენტის ინფორმაციის შინაარსი და როგორია მათზე სამართლებრივი მოთხოვნები. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ პირველი კომპონენტია საქმიანობის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს:

ა) საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, რომელშიც კონკრეტულად აისახება:

- საწარმოს განვითარების გეგმები;
- ინფორმაცია ფინანსური საქმიანობის შესახებ;
- ღონისძიებების მიმოხილვა კვლევებისა და განვითარების სექტორში;

• ძირითადი და არაძირითადი ფინანსური მაჩვენებლები;

• ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ;

• დამატებითი ინფორმაციები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.

ბ) ძირითად რისკებსა და გაურკვევლობებს.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული კომპონენტის მიზანია მოიცავდეს იმ ძირითად ტენდენციებისა და ფაქტორების მიმოხილვას, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა საქმიანობის განვითარებაზე, შედეგებზე და მდგომარეობაზე. ამიტომ სასურველია ამ ნაწილში წარმოდგენილ იქნას განვითარების შედეგები საანგარიშგებო პერიოდისათვის, რომელიც საჭიროების შემთხვევაში წინა პერიოდთან იყოს შედარებული. აქვე შესაძლებელია და სასურველია საწარმომ განვითარების დასახული მიზნები წარმოადგინოს როგორებიცაა: პროდუქტზე ორიენტირება, მომხმარებლებთან ურთიერთობების გაუმჯობესება, თანამშრომლების მოტივირება, გაცემული დივიდენდების ან ინვესტირების ზრდა და სხვა მიზნები, მათთან ერთად ასახოს დასახული გეგმები მათი მიღწევისათვის. ანგარიშგება მათი საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

• საწარმოს საქმიანობის სახეს;

• ძირითად სამოქმედო ბაზრებს და ბაზრებზე კონკურენტულ მდგომარეობას;

• მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებები სამართლებრივი, მარეგულირებელი და მაკროეკონომიკური გარემოს, რომლებიც გავლენას ახდენს საწარმოსა და იმ ბაზრებზე, რომელზეც საწარმო მოქმედებს;

• ძირითადი პროდუქტები/მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები;

• საწარმოს შიდა სტრუქტურა, თუ ევალება კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენა სასურველია ასახოს ინფორმაცია შვილობილი საწარმოების შესახებ.

მმართველობის ანგარიშგების მეორე კომპონენტია კორპორაციული მართვის ანგარიშგება,რომელიც მოცავს შემდეგ ინ-

ფორმაციებს:

• კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვას;

• გადახვევებს კორპორაციული მართვის კოდესიდან;

• ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებულ შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემის მიმოხილვას;

• აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვას;

• მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების მომოხილვა;

• მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის მომოხილვა;

• სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება მოცავს თავის სურვილით საწარმოსათვის შედგენილ კორპორაციული მართვის კოდექსის მიმოხილვას. მათ შეუძლიათ შეარჩიონ კორპორაციული მართვის პრაქტიკის გასაჯაროების რომელიმე მეთოდი და აჩვენონ ამ მეთოდის შესაბამისობა კორპორაციული მართვის კოდექსთან. აღნიშნული მეთოდები შეიძლება იყოს:

• სრული თხრობითი მეთოდი, რომელიც არის დეტალური აღწერა გამოყენებული პრაქტიკისა და მისი შესაბამისობა კოდექსთან;

• შესაბამისობის დადგენის მეთოდი, რომლითაც მომზადებული ანგარიშგება შედარებით მოკლეა;

• ზედა ორივე მეთოდის კომბინაცია.

მართველობის ანგარიშგების მესამე კომპონენტი არაფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

• არაფინანსურ საკითხებს;

• საწარმოს ბიზნესმოდელის მიმოხილვას;

• საქმიანობის რისკების ანალიზს;

• საქმიანობის ძირითად არაფინანსურ მაჩვენებლებს;

• გამოყენებული პოლიტიკის აღწერას.

საწარმოს მიერ წარმოდგენილი არაფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს გარემოს დაცვის, სოციალურ, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე აუცილებელ ინფორმაციებს, მათი ზეგავლენის დასადგენად საწარმოს საქმიანობის განვითარებაზე, შედეგებზე და მდგომარეობაზე.

დასკვნა

ამრიგად, მმართველობის ანგარიშგებაში მომხმარებლებს ეძლევათ ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის შეფასებისათვის და მათი მომავალი საქმიანობის სტრატეგიების განსაზღვრისათვის.

ლიტერატურა:

1. ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ, სრესელი, ზ. გოგრიჭიანი, ბუღალტრული აღრიცხვა, თბილისი 2014 წ

2. ბ. ბაუჩაძე, მმართველობითი აღრიცხვა, თბილისი 2012

3. ო. ჩადუნელი, მმართველობითი აღრიცხვა, თბილისი 2005

4. www.saras.gov.ge, მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელო, თებერვალი, 2018

5. ინტერნეტიდან მოძიებული მასალების საიტები: http://www.rs.ge ● https://matsne.gov.ge ● http://www.nplg.gov.ge ● http://www.investinestonia.com ● http://forbes.ge ● http://www.bbi.ge ● http://www.doingbusiness.org ● http://rs.ge

REFERENCES:

1. A. Khorava, N. Kvatashidze, N. Sreseli, Z. Gogritchiani, Accounting. , Tbilisi, 2014.

2. B. Bauchadze, Management Accounting. Tbilisi, 2012

3. O. Chaduneli, Management Accounting. Tbilisi, 2005.

4. www.saras.gov.ge, Managing Reporting Guide, 2018.

5. Sites of materials from the Internet: http://www.rs.ge ●

https://matsne.gov.ge ● http://www.nplg.gov.ge ● http://www.investinestonia.com ● http://forbes.ge ● http://www.bbi.ge ● http://www.doingbusiness.org ● http://rs.ge

SOME ISSUES OF PREPARATION AND SUBMISSION OF MANAGEMENT REPORTS

Dezdemona Maghlakelidze,
Associate Professor of Akaki Tsereteli State University
Natela Vashakidze,
Associate Professor of Akaki Tsereteli State University

RESUME

In June, 8, 2016, the Parliament adopted a law - "About Accounting, Reporting and Audit". In accordance with internationally recognized standards, the mentioned law establishes the procedure for preparing and submitting reports on accounting, financial reporting, management reporting and about the payments made to the State.

Under this law, in Georgia, the regulatory framework for accounting, reporting and audit was created. The new legal requirements for preparation and submission of financial and managerial reports are established. The requirements of the law regarding the submission of the report should be carried out as at 31 December 2017 for the completed reporting period and subsequent periods by Public Interest Individuals (PII) and the first and second categories of enterprises. The perception and practice of these changes are new and difficult. Especially, it is difficult to establish the management reporting regulations and its subsequent submission, as there is no practice in this regard in our country.

Keywords: Management Report, Information, Accounting, Audit, Components, Review of activity, Non-financial report, Corporate management report, Management code.

დისტანციური სწავლების მენეჯმენტი უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში

თინათინ როდონაია
სტუ დოქტორანტი
თამარ როსტიაშვილი
მეცნიერ- ხელმძღვანელი:
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

კომპიტერული ტექნოლოგიების განვითარებამ თანამედროვე სამყაროში წინ წამოწია დისტანციური სწავლა, როგორც სწავლების ახალი ფორმა. სწავლების ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უმთავრეს სახელმწიფოებრივ პრიორიტეტად ითვლება.

დისტანციური სწავლების დანერგვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში უნდა იყოს პირდაპირ კავშირში საბაზრო მოთხოვნასთან. პროგრამის დანერგვის საჭიროების დასადგენად აუცილებლობას წარმოადგენს ინტეგრირებული და სისტემატიური დაგეგმვა, უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის ცვლილებები და რესურსების ეფექტიანად განაწილება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ონლაინ კურსის განვითარება იწყება დაგეგმვით, შიინაარსის შემუშავება, კურსის კომპონენტების შერჩევა და გაშვება. სტრატეგიული დაგეგმარება და პროგრამის შეფასება წარმოადგენს მნიშვნელოვან იარაღს, რომლის საშუალებით ორგანიზაცია რეაგირებს ცვლილებებზე, ადაპტირდება სათანადოდ და აღწევს საბოლოოდ წარმატებას. პროგრამის ეტაპობრივი შეფასებით ვიღებთ სურათს თუ რა ზომებია მისაღები და რა ცვლილებები განსახორციელებელი კურსის ეფექტურობის გასაზრდელად.

საკვანძო სიტყვები დისტანციური სწავლება, მენეჯმენტი, უმაღლესი სასწავლებლები, სასწავლო პროცესი, მართვა, სტრატეგიული დაგეგმვა, კონკურენტული, შეფასება, მომხმარებელი.

ძირითადი ტექსტი

ოცდამეერთე საუკუნის სასწავლო გარემო სავსეა ინოვაციებითა და ტექნოლოგიური სიახლეებით. სასწავლო პროცესში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ელექტრონული საშუალებები თუ მოწყობილობები. ეს არის პროცესი, რომელიც შეუქცევადია და თავისთავად მოითხოვს ადაპტაციას. სასწავლო დაწესებულებების დღის წესრიგში დგება თანამედროვე მოთხოვნებთან დაკავშირება და მომხმარებლისთვის მისი შეთავაზება.

დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა დაკავშირებულია სოლიდურ თანხებთან, მოითხოვს თანმიმდევრულ დაგეგმვას, მენეჯმენტს, პროგრამის დიზაინს და საგანმანათლებლო ინსტიტუციის ტრადიციული კულტურის ცვლილებას. დისტანციური პროგრამის დანერგვის საჭიროების დასადგენად აუცილებლობას წარმოადგენს ინტეგრირებული და სისტემატიური დაგეგმვა, უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის ცვლილებები და რესურსების ეფექტიანად განაწილება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მზარდი კონკურენტული სამომხმარებლო ბაზრის პირობებში უნივერსიტეტებმა ორიენტირი უნდა აიღონ დივერსიფიცირებულ მომხმარებელზე. პოტენციურ სტუდენტებს გააჩნიათ სხვადასხვა საჭიროება, რომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოხერხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დისტანციურ პროგრამებსა და კურსებში. შესაბამისად დღის წესრიგში დგება დისტანციური განათლების ინტეგრირება ინსტიტუციის საერთო სტრატეგიულ გეგმაში, ამგვარად მოხდება განვითარების შესაძლებლობების დაგეგმვა, ტექნოლოგიის გამოყენება დისტანციურ სწავლა-სწავლების პროცესში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ძირეულ ცვლილებებს აქვს იმ შემთხვევაში აზრი, თუ ამის აუცილებლობა დგება ინსტიტუციის წინაშე. სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში სწორად უნდა მოხდეს პროგრამის საჭიროების იდენტიფიცირება. დისტანციური პროგრამის დაგეგმვას და დანერგვას იმ

შემთხვევაში ექნება აზრი თუ ამის მოთხოვნა არსებობს.

დღევანდელ დღეს მაღალი კონკურენციის პირობებში უმაღლესი სასწავლებლები სტუდენტის, როგორც მთავარი მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე არიან ორიენტირებულები. სასწავლო დაწესებულებები სხვადასხვა მარკეტინგული საშუალებებით, როგორიცაა ბილბორდები, ბროშურები, ინტერნეტი, ტელევიზია იზიდავენ მომხმარებელს. სწავლების ახალი მეთოდის - დისტანციური სასწავლო პროგრამების დანერგვა წარმოაჩენს ინსტიტუციის კონკურენტულ უპირატესობას. შედეგად გაიზრდება მომხმარებელთა სხვადასხვა სეგმენტ ჯგუფები მაგ: რეგიონებიდან, უნარშეზღუდული პირები, ისინი, ვინც დასაქმებულები არიან და ვერ ახერხებენ სალექციო საათებში სასწავლებელში ლექციებზე დასწრებას. ასევე ხელი შეეწყობა სიცოცხლის ბოლომდე განათლებას.

საგანმანათლებლო ინსტიტუციებს მოეთხოვებათ მუდმივი განახლება და ტრანსფორმაციული ცვლილებების განხორციელება იმისათვის, რომ იყვნენ მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი ორგანიზაცია ბაზარზე. გარემო, რომელშიც ამ ორგანიზაციებს უწევთ ასპარეზობა მუდმივად ცვალებადია რიგი მიზეზების გამო, როგორიცაა: სტუდენტთა საჭიროების ცვალებადობა, ტექნოლოგიის განვითარება და ხელმისაწვდომობა, სწავლის საფასურის მომატება, სახელმწიფო დაფინანსების შეზღუდევბი, გლობალიზაცია და კონკურენცია ორგანიზაციებს შორის. დროული რეაგირება ცვალებად გარემოზე არის წინაპირობა მომავალი წარმატების. სტრატეგიული დაგეგმარება და პროგრამის შეფასება წარმოადგენს მნიშვნელოვან იარაღს, რომლის საშუალებით ორგანიზაცია რეაგირებს ცვლილებებზე, ადაპტირდება სათანადოდ და აღწევს საბოლოოდ წარმატებას. პერიოდული განახლებისა და განვითარების გარეშე პროგრამა სასიცოცხლო პერიოდს აჩერებს, აღარ არის მოთხოვნადი ბაზარზე, შესაბამისად აკლდება მომხმარებელი და საბოლოო ჯამში წყვეტს არსებობას. ევოლუციური პროცესის ნაწილია განახლება, რომელიც დაკავშირებულია ახალი ცოდნისა და ქცევის შე-

ძენასთან მის გაღრმავებასთან. წარმატებული სტრატეგიული ცვლილებით ორგანიზაცია შიდა რესურს მომართავს ისე, რომ არსებული მდგომარეობიდან მიიღებს კონკურენტულ უპირატესობას საგანმანათლებლო სექტორში. პროგრამის პერიოდული შეფასებით ვიღებთ სურათს თუ რა ზომებია მისაღები და რა ცვლილებები გვაქვს განსახორციელებელი.[1]

სტრატეგიული დაგეგმვის საშუალებით ინსტიტუცია იღებს ფუნდამენტურ გადაწყვეტილებებს და დგამს სათანადო ნაბიჯებს იმ ცვლილებისთვის, რომელიც აუცილებელია საბაზრო მოთხოვნიდან გამომდინარე. ეს არის ორგანიზაციის ხედვა თუ რას წარმოადგენს ის დღესდღეობით, რას სთავაზობს მომხმარებელს და როგორი იქნება მომავალში. სტრატეგიის შემუშავება შემოქმედებითი პროცესია, რომლის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს ინსტიტუციის ყველა დაინტერესებული მხარე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმარების პროცესი განსხვავებულად მიმდინარეობს სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებში, განსხვავებული ხედვითა და მიზნებით.

დისტანციური განათლება მთლიანად ინტეგრირებულია უმაღლესი სასწავლებლის საერთო დაგეგმარების პროცესში. სტრატეგიული დაგეგმვის აქტივობები შეგვიძლია დავყოთ სამ ურთიერთდაკავშირებულ, თანმიმდევრულ ფაზად: საწყისი ფაზა (Startup), სკანირება და დიაგნოზი, სტრატეგიის ფორმულირება და განხორციელება. პროცესი სრულდება სტრატეგიული გეგმის განხორციელებით და მონიტორინგით.

ონლაინ კურსის მართვა იწყება დაგეგმვით, შიინაარსის შემუშავება, კურსის კომპონენტების შერჩევა და გაშვება. ეს არის პროცესი, რომელსაც საკმაოდ დიდი დრო და ადამიანური რესურსი სჭირდება. მხოლოდ დისტანციური კურსის მასალის შერჩევა არ ნიშნავს იმას, რომ შეგვიძლია ვასწავლოთ დისტა-

1 Alfred P. Rovai; Michael K. Ponton; Jason D. Baker Distance Learning in Higher Education: A Programmatic Approach to Planning, Design, Instruction, Evaluation, and Accreditation, 2008 გვ 46-48

ნციურად, მიუხედავად მრავალწლიანი სწავლების გამოცდილებისა აუდიტორიაში. შეგვიძლია ონლაინ კურსის შემუშავება განვიხილოთ ორ ძირითად ფაზად. პირველი: ფაკულტეტის წარმომადგენელი შეიმუშავებს კურსის კონცეფციას, შინაარსს. მეორე ეტაპზე კი ლექტორი მუშაობს კურსის ინსტრუქციულ დიზაინერთან[1] და სხვა ტექნიკურ პერსონალთან კურსის შინაარსის გადმოსატანად ონლაინ. ორივე ფაზა თანაბრად მნიშვნელოვანია გამართული დისტანციური კურსის გასაშვებად. პროფესიულ ლიტერატურაში ონლაინ კურსის ლექტორს უწოდებენ დარგობრივ ექსპერტს (subject matter expert). საერთაშორისო გამოცდილებიდან უმაღლეს სასწავლებლებში გამოყოფილია საგანგებო რესურს ცენტრი, მათ ხშირად უწოდებენ ონლაინ სწავლების ცენტრს ან დისტანციური სწავლების ცენტრს, რომლის ფუნქციაც სწორედ ფაკულტეტის მხარდაჭერაა, დაინერგოს დისტანციური სწავლება. ცენტრში სისტემატიურად მოხდება კადრის, ფაკულტეტის გადამზადება, ტრენინგები, ვებინარები და სხვა აქტივობები საჭიროებებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე.

მართვის პროცესში შეფასებასა და მონიტორინგს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. აკრედიტაციის ორგანოები აიძულებენ საგანმანათლებლო ინსტიტუციებს განსაზღვრონ კონკრეტული სწავლების მიზნები და სასწავლო პროგრამები ამ მიზნების მისაღწევად. ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე უმაღლესი სასწავლებლები ქმნიან პროგრამას და აფასებენ სტუდენტთა შედეგებს თუ რამდენად არის შესაბამისობაში შედეგებთან და აღწევენ მიზნებს. აკრედიტაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ქმნიან ფორმალური შეფასების სისტემას, სადაც თვალნათლივ აისახება ხდება თუ არა პროგრამული მიზნების განხორციელება სასწავლო პროცესის, პროგრამის, ადმინისტრაციისა თუ ინსტიტუციურ

1 ინსტრუქციული დიზაინერი (Instructional Designer) იგივე კურსის კოორდინატორი, რომელმაც იცის სასწავლო პლატფორმა, სწავლების მართვის სისტემა, პროცესი, ციკლი, ახდენს კურსის დაგეგმვას.

დონეზე. ონლაინ პროგრამების შეფასება მოითხოვს უფრო დეტალურ დაგეგმვასა და განხორციელებას, რადგან დაკავშირებულია ტექნოლოგიასთან და არის შედარებით ახალი სისტემა საგანამანათლებლო სფეროში.[1]

დისტანციური სწავლება არ არის დამკვიდრებული საქართველოში, უფრო მეტიც, დანერგვისა და განვითარების ეტაპზეა, შესაბამისად საეჭვოდ აღიქმება სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაციის, ფაკულტეტისა თუ ზოგადად საზოგადოების მიერ. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია არსებული ონლაინ კურსების შეფასება როგორც სტუდენტთა ასევე ინსტრუქტორთა მიერ - რამ იმუშავა, რამ არ გაამართლა, რა პრობლემების წინაშე დადგა მომხმარებელი, დასახულ მიზანს მიაღწიეს თუ არა, რამდენად ეფექტიანი იყო კურსი.

იმისათვის, რომ რეალურად, პრაქტიკული მაგალითების გათვალისწინებით დაგვენახა თუ როგორ ხდება დისტანციური სწავლების სისტემის მართვა, რეალიზება და შეფასება დღევანდელ დღეს დავუკავშირდით რამდენიმე სასწავლებლებს პოლონეთსა და ესტონეთში. ეს ორი ქვეყანა შეირჩა, რადგანაც შედარებით ახალი დაწყებული და დანერგილი აქვთ დისტანციური სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში და განვითარების ეტაპზე იმყოფებიან. წინასწარ შემუშავებული კითხვები გადაეგზავნა დისტანციური სწავლების ცენტრის ხელმძღვანელობას. ასევე მოხდა გასაუბრება სკაიპის საშუალებით ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაკულტეტის ელექტრონული მთავრობის (E-Governance) კურსის ხელმძღვანელთან, რომელმაც ერთერთმა პირველმა შექმნა დისტანციური კურსი და შესთავაზა მომხმარებელს. ელექტრონული სწავლების დანერგვისას ორიენტირი უნდა იყოს ხარისხზე დაფუძვნებული სწავლა-სწავლების პროცესი. გამოცდილებიდან გამომდინარე საწყის ეტაპზე მნიშვნელო-

1 კინგ ე. ალფერშტაინი ნ. ონლაინ პროგრამების განვითარების საუკეთესო პრაქტიკა (სწავლა-სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში) 2015 წ.

ვანია სხვადასხვა კურსების ელექტრონული მხარდაჭერის დანერგვა, რომელიც არ გამორიცხავს ლექციებზე დასწრებას. ეს არის დამატებითი შესაძლებლობა დამოუკიდებელი პროაქტიული მეცადინეობისა. დისტანციური სწავლების დანერგვა უნდა იყოს პირდაპირ კავშირში საბაზრო მოთხოვნასთან, ანუ როდესაც მაღალია პოტენციური მომხმარებლის ინტერესი ამ ტიპის პროგრამებსა და სწავლებაზე. ყოველი სტრატეგიული ნაბიჯი და ცვლილება მიმართული უნდა იყოს მაღალი ხარისხის განათლებისკენ.

დასკვნა

ტრადიციულ სასწავლო პროცესში სწავლების დისტანციური მოდელების დანერგვა სულ უფრო პრიორიტეტული ხდება უმაღლეს სასწავლებლებში. ლექტორებისა და სტუდენტების ურთიერთობის, ინფორმაციისა და ცოდნის ტრანსფერის ახალი ეტაპია ელექტრონული კურსები, ინოვაცია ტრადიციული სწავლების გაუმჯობესებისთვის, რის შედეგადაც მრავალფეროვანი ხდება სწავლება და სწავლა, შესაბამისად იზრდება სტუდენტთა მოტივაციაც.

დისტანციური განათლება მთლიანად ინტეგრირებულია უმაღლესი სასწავლებლის საერთო დაგეგმარების პროცესში. დისტანციური სწავლების დანერგვა უნდა იყოს პირდაპირ კავშირში საბაზრო მოთხოვნასთან. პოტენციური მომხმარებლის კვლევის შედეგად გამოიკვეთება გარკვეული მოთხოვნა, რის საფუძველზეც განისაზღვრება მიზანი და კონკრეტული ამოცანები თუ როგორ უნდა განხორციელდეს. უმაღლესი სასწავლებელი ვალდებულია სისტემატიურად მოახდინოს ელექტრონული კურსის კადრის გადამზადება ტრენინგების, სემინარებისა და სხვა აქტივობების სახით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალფრედ პ. როვაი; მაიკლ კ. პონტონ; ჯეისონ დ. ბეიკერი. დისტანციური სწავლება უმაღლეს განათლებაში: პროგრამის დაგეგმვა, დიზაინი, ინსტრუქცია, შეფასება და აკრედიტაცია 2008 წ

2. ბრაისონ ჯ. მ. საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების სტრატეგიული დაგეგმვა 2004 წ გვ 47-51

3. გაბელ მ. კუპრიანოვა ვ. მორაის, კოლუჩი ი. ელექტრონული სწავლება ევროპის უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, 2013 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ჩატარებული კვლევის შედეგები

4. დისტანციური სწავლების ევოლუცია უმაღლეს სასწავლებლებში https://tomprof.stanford.edu/posting/527 20.052018

5. კინგ ე. ალფერშტაინი ნ. ონლაინ პროგრამების განვითარების საუკეთესო პრაქტიკა (სწავლა-სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში) 2015 წ

6. ფსარომილიკოს ი. სპირიდაკოს ა. რეტალის ს. ელექტრონული სწავლების შეფასება 2012

REFERENCES :

1. Alfred P. Rovai; Michael K. Ponton; Jason D. Baker Distance Learning in Higher Education: A Programmatic Approach to Planning, Design, Instruction, Evaluation, and Accreditation, 2008

2. Bryson, J. M. Strategic Planning for Public and Nonprofit Organizations (2004) გვ. 47-51

3. Gabel M. Kupriyamova V. Morais, Colucci E. E-Learning in European Higher Education Institutions Results of a Mapping Survey Conducted in October-December 2013

4. The Evolution of Distance Learning in Higher Education https://tomprof.stanford.edu/posting/527 20.052018

5. King E. Alperstein N. Best Practices in Online Program Development Teaching and Learning in Higher Education 2015

6. Psaromiligkos Y. Spyridakos A. Retalis S. Evaluation in E-learning 2012

DISTANCE LEARNING MANAGEMENT IN HIGHER EDUCATION

Tinatin Rodonaia
Doctoral Student at Faculty of Business Technology
Dissertation Advisor:
Tamar Rostiashvili
Associated Professor, GTU

RESUME

Development of information technology has changed the very nature of teaching and learning process in the modern world. The widespread availability of the Internet and computers brought the growing demand of online learning. The new method of teaching is successfully practiced in the worldwide higher education institutions. The distance learning is considered to be the main state priority of many countries.

The implementation of distance learning in higher education institutions should be directly related to the market demand. Distance education requires a careful and systematic planning in order to achieve its potential and the needs of its divers student population.

The development of online course starts with planning, content selection, course components and launching. Strategic planning and program evaluation assist an organization in adapting to a changing environment, to focus its energy and succeed in competitive market. With gradual program assessment it is revealed what steps should be taken to enhance the effectiveness of the course.

Key words: Distance learning, management, higher education, study process, administration, strategic planning, competitive, evaluation, user.

ბერლინის კრიზისი და ეკონომიკური ფაქტორები

გიორგი ბეროშვილი,
ალექსანდრე თოდუა
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი ომის შემდეგ მსოფლიოს განვითარება ახალ ფაზაში გადავიდა, რომელიც სავსე იყო დაპირისპირებებით. მეორე მსოფლიო ომს მოჰყვა „ცივი ომი“ - იდეოლოგიური დაპირისპირება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. (Webster) ორივე მხარეს მდებარე სუპერსახელმწიფოები ცდილობდნენ თავი აერიდებინათ უშუალო კონფლიქტისთვის, თუმცა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში სიტუაცია რამდენჯერმე გამწვავდა და დადგა ახალი დაპირისპირების საფრთხე.

„ცივი ომის“ დროინდელი მსოფლიო ასეთი საფრთხის წინაშე პირველად 40-იანი წლების ბოლოს დადგა, როდესაც საბჭოთა კავშირმა ბერლინის ბლოკადა მოაწყო. ბლოკადის მიზანს წარმოადგენდა მოკავშირეთა განდევნა დასავლეთ ბერლინიდან. საბჭოთა კავშირისთვის, ერთი შეხედვით, ბლოკადის მოწყობა მარტივი იყო, რადგან ბერლინი მთლიანად საბჭოთა კავშირის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იყო მოქცეული. მოკავშირეებმა ეს პრობლემა შედარებით მარტივად დაძლიეს, თუმცა ნათელი გახდა, რომ ბერლინის გამო დაპირისპირება მომავალშიც მოხდებოდა. (Britannica, 2015)

ამ ყველაფრის კულმინაცია კი 1958-61 წლებში, ისევ ბერლინში მოხდა. ბერლინის კრიზისი „ცივი ომის“ კონფლიქტების ერთ-ერთი პიკი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ადამია-

ნი ბიპოლარულ მსოფლიოს სტაბილურად მიიჩნევდა, რადგან არცერთ სახელმწიფოს სურდა მსხვილმასშტაბიანი ომის წამოწყება (Waltz, 1964), ეს კრიზისი საკმაოდ მწვავე გამოდგა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იდეოლოგიურ განსხვავებას ორ სამყაროს შორის.

თუ ამ საკითხს ეკონომიკურ ჭრილში შევხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ბერლინი იმ პერიოდში ძალზე დიდ ეკონომიკურ კრიზის განიცდიდა. მეტიც, იყო პროდუქციის წარმოების, გავრცელების პრობლემაც, რას უშუალოდ აისახებოდა მის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საკვანძო სიტყვები:კრიზისი; რეალიზმი; ბლოკადა; ბერლინის კედელი ბიპოლარული;ბერლინი;აშშ ცივი ომი, ტრუმენის დოქტრინა.

ძირითადი ტექსტი

ბერლინის კრიზისი და მისი ეკონომიკური ასპექტები.

ბერლინის კრიზისის დასაწყისად 1958 წლის 10 ნოემბერს, საბჭოთა კავშირის ლიდერის, ნიკიტა ხრუშოვის მიერ გაკეთებული განცხადება მიიჩნევა. ამ განცხადებაში ხრუშოვმა დასავლეთის ძალებს - აშშ-ს, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს, მოუწოდა დაეცალათ დასავლეთ ბერლინი საკუთარი ძალებისგან მომავალ ექვს თვეში, ხოლო ბერლინის თავისუფალ ქალაქად გამოცხადება მოითხოვა. ასეთმა ულტიმატუმმა მსოფლიო კრიზისის წინაშე დააყენა, რომელიც სამი წელი გაგრძელდა და კულმინაციას 1961 წელს მიაღწია, რაც ბერლინის კედლის აშენებით დასრულდა. ბერლინის კედელი კი ორად გაყოფილი მსოფლიოსა და „ცივი ომის“ სიმბოლოდ იქცა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღწეული შეთანხმებების მიუხედავად, გერმანია გაყოფილი იყო და მისი გაერთიანებისაკენ ნაბიჯები არ იდგმებოდა.

დასავლეთ ბერლინი მოკავშირეების გავლენის ქვეშ რჩებოდა, თუმცა პრობლემას მისი ადგილმდებარეობა წარმოადგენდა - ბერლინის გარშემო ტერიტორია საბჭოთა კავშირის მიერ კო-

ნტროლდებოდა, ეს კი დასავლური ძალებისთვის მუდმივი გამოწვევას ნიშნავდა. ასეთი მდებარეობა, როგორც უკვე აღინიშნა, საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ ბერლინის ბლოკადის დროს გამოიყენა. მან გადაკეტა დასავლეთ ბერლინისკენ მიმავალი ყველა სახმელეთო გზა, რითაც, ფაქტობრივად, ქალაქის ეს ნაწილი იზოლაციაში მოექცა. დასავლურმა ძალებმა გამოსავალი საჰაერო დახმარებით ნახეს. ერთი წლის განმავლობაში დასავლეთ ბერლინი საკვებითა და სხვა საჭირო ნივთებით ჰაერიდან მარაგდებოდა. თუმცა ათი წლის შემდეგ, კრიზისის დაწყების პერიოდში ქალაქის პოპულაცია იმდენად დიდი იყო, რომ ჰაერიდან დახმარება შედეგს არ გამოიღებდა, ამიტომ საჭირო იყო მოსალოდნელი ბლოკადის თავიდან აცილება.

შეერთებული შტატები ხშირად იხსენიებდა იმ პოლიტკურ თავისუფლებასა და ეკონომიკურ აღმასვლას, რაც დასავლეთ ბერლინში იყო, ამ წარმატების მიზეზად კი კაპიტალისტური სისტემის ძლიერებას ასახელებდა. ასევე, აშშ ზრუნავდა დასავლეთ ბერლინის უსაფრთხოებაზე, ახალი ბლოკადის შემთხვევაში კი დიდი შანსი იყო პატარა კონფლიქტი უფრო დიდ დაპირისპირებაში გადასულიყო, რაც უამრავ ცვლილებას დაუდებდა სათავეს. მიუხედავად იმისა, რომ ხრუშოვს პირდაპირ არ განუცხადებია სამხედრო ძალის გამოყენებაზე, ნათელი იყო, რომ ამის საფრთხე არსებობდა.

მოთხოვნას, დაეტოვებინათ დასავლეთ ბერლინი და შემდგომში ის გამოეცხადებინათ თავისუფალ ქალაქად, ბრიტანეთი და აშშ არ დაეთანხმნენ, რადგან იცოდნენ, რომ ამის გაკეთების შემთხვევაში საბჭოთა კავშირი მთლიანად ხელში ჩაიგდებდა ქალაქს.

რობლემის გადასაჭრელად შედგა რამდენიმე დიპლომატიური შეხვედრა სამი წლის მანძილზე. პირველი შეხვედრა, 1959 წელს გაიმართა, თუმცა უშედეგოდ. 1960 წლის პარიზის სამიტი ჩაიშალა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავი ჩამოაგდო - ამან კიდევ უფრო გაამძაფრა სიტუაცია.

1961 წელს, კენედის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ამავე წლის ივნისში, ვენის სამიტზე ხრუშოვმა ბერლინის საკითხი კვლავ წამოჭრა და მოითხოვა მისი შესრულება 1961 წლის დეკემბრამდე. კენედიმ განაცხადა, რომ ბერლინს აშშ-სთვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და არც მის დატოვებას აპირებდა. უკვე ცხადი იყო, რომ აღოსავლეთიდან დასავლეთ ბერლინში ყოველდღიურად დაახლოებით ათასამდე ადამიანი გარბოდა, რაც საბოლოოდ კატასტროფის წინაშე დააყენებდა აღმოსავლეთ ბერლინს. ამიტომაც, 1961 წლის აგვისტოში, ერთ ღამეში, საბჭოთა ჯარისკაცებმა აღმართეს ბერლინის კედელი, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს ყოფდა.

საბჭოთა კავშირმა შეინარჩუნა კონტროლი აღმოსავლეთზე, აშშ-მ კი დასავლეთზე, კრიზისი დასრულდა, თუმცა ბერლინის კედელმა აშკარად დაანახა მსოფლიოს ორად გაყოფილი მხარეები. (Britannica, 2015), (history.state.gov).

ანალიზი

თუ დავაკვირდებით ბერლინის კრიზისამდე მომხდარ მოვლენებს, ვნახავთ რომ ორივე ძალა - აშშ და საბჭოთა კავშირი, ცდილობდა განევრცო საკუთარი გავლენის სფეროები სხვადასხვა ხერხებით, თუმცა მთავარი მიზანი ძლიერების მიღწევა იყო. საბჭოთა კავშირი ამას სამხედრო ძალის გამოყენებით ახერხებდა (მაგ: აღმოსავლეთ ევროპაში ჯარის დატოვება), ხოლო აშშ ფულის გამოყენებით (მაგ: ტრუმენის დოქტრინა). ორივე ბლოკი ცდილობდა ხელი შეეშალა ერთმანეთისათვის და საბოლოოდ განემტკიცებინა ძალაუფლება. პოტსდამის შეხვედრაზე უკვე ნათელი იყო, რომ ბერლინის გამო ორ მხარეს შორის დაპირისპირება ადრე თუ გვიან წამოიჭრებოდა, ეს ძალიან მალე მოხდა - 1948 წელს, საბჭოთა კავშირი, საკუთარი გავლენის სფეროს გაზრდის მიზნით ახდენს ბერლინის ბლოკადას. ამ წარუმატებელი მცდელობის მიუხედავად, ათ წელიწადში ნიკიტა ხრუშოვი იმავე მოთხოვნას აყენებს, რადგან ბერლინის მთლია-

ნად ხელში ჩაგდება მოუტანს პრესტიჟს საბჭოთა კავშირს, გაუზრდის გავლენის სფეროს და განდევნის აშშ-ს სტრატეგიულად თუ იდეოლოგიურად მნიშვნელოვანი ადგილიდან.

საბჭოთა კავშირი არ ითვალისწინებს ბერლინზე მიღებულ მრავალ შეთანხმებას და მხოლოდ საკუთარი მიზნების ასრულებას ცდილობს - ეს კი რეალიზმის თვალსაზრისით სავსებით მისაღებია, რადგან ძლიერების მიღწევა ნებისმიერი გზით შეიძლება.

შეუძლებელია, არ ვახსენოთ ეროვნული ინტერესებიც, რომელსაც ორივე მხარე ყველაზე წინ აყენებდა. გარდა ამისა, ბერლინში სამხედრო ძალის არსებობა პირდაპირ უკავშირდებოდა ქვეყნების უსაფრთხოებას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირმა რამდენჯერმე მოუწოდა დასავლურ ძალებს დაეტოვებინათ ქალაქი, მათ ეს არ გააკეთეს.

რადგან ომისა და დაპირისპირების აცილება რეალიზმის თეორიის მიხედვით შეუძლებელია, საბჭოთა კავშირი და აშშ ამ საფრთხის წინაშე რამდენჯერმე დადგნენ. მართალია, კუბის კრიზისის დროს უფრო იყო მსოფლიო ომის წამოწყება მოსალოდნელი, ბერლინის კრიზისიც საკმაოდ მწვავე იყო ამ თვალსაზრისით.

ფაქტია, რომ ორივე მხარის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების გავრცელება, რაც მსგავსი დაპირისპირებების ხარჯზე ხდებოდა.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, „ცივი ომის“ დაპირისპირებები იდეოლოგიური ძალაუფლების საფუძველზე მიმდინარეობდა, მხარეებიც არაპირდაპირი ჩარევით ცდილობდნენ ძალაუფლების მიღწევას. ბერლინის კრიზისი ერთი ნათელი მაგალითია, სადაც ჩანს, თუ როგორც ცდილობდა საბჭოთა კავშირი აშშ-ს გავლენის სფეროების შემცირებას, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტის წართმევასა და საერთაშორისო სისტემაში პირველობის მოპოვებას. რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ამ დროს ბერ-

ლინი ძალიან დიდ ეკონომიკურ კრიზის წააწყდა. მართალია, ზოგიერთი აქტორი ცდილობდა და ეხმარებოდა მას, თუმცა, რა თქმა უნდა, უხეშად რომ ვთქვათ, ეს საკმარისი არ იყო.

ლიტერატურა:

• Berlin Blockade and Airlift. Encyclopædia Britannica. (2015).
ინტენეტი: www.britannica.com ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2017

• Berlin Crisis of 1961. Encyclopædia Britannica. (2015).
ინტენეტი: www.britannica.com ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2017

• Carmichael, Neil. A Brief History of the Berlin Crisis of 1961. (2011).
ინტერნეტი: www.history.state.gov ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2017

• Pelz, William. (2016). A People's History of Modern Europe. Pluto Press. ინტერნეტი: www.archive.org ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2017

• Potsdam Conference
ინტერნეტი: : www.history.com ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2017

• The Berlin Crisis 1958-1961
ინტერნეტი: www.history.com ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2017

• U-2 Incident. Encyclopædia Britannica. (2015).
ინტერნეტი: www.britannica.com ბოლო ნახვა: 15 აპრილი, 2017

• Waltz, Kenneth. (1964). The Stability of a Bipolar World. Daedalus, *93*(3), 881-909.

• რონდელი, ალექსანდრე. საერთაშორისო ურთიერთობები. (2003). თბილისი. „ნეკერი", მესამე გამოცემა. (Rondeli, Aleksandre. International Relations,2003. Tbilisi. "Nekeri", Thirs Addition).

• ედუარდ კოდუა და სხვ. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი, 2004. თბილისი. ლოგოს პრესი.(Eduard Kodua and others. The dicionary of Social and Political Terms,2004. Tbilisi, "Logos Press".

BERLIN CRISIS AND ECONOMIC ASPECTS

Giorgi Berosvhili, Aleksandre Todua
Tbilisi State UniversityInternational Relations,
Bachelor Students

RESUME

After the Second World War the international community faced one of the biggest crises in the human history, the Cold War. The period is attributed as the clash of two ideologies by many scholars, or the clash of the west and the east. Berlin crisis of 1961 can be regarded as the pinnacle of the conflicts, occurring in the second half of the 20th century. Not only Berlin was important because of the strategic location but also economy. The crisis deteriorated the economic situation in the city, which played a crucial role in terms of actions from the both sides, during and after the conflict. Moreover, the economy was linked to the ideological clash, therefore it was a very important aspect.

Key Words: Crisis; Realism; Blockade; Berlin Wall Bipolar; Berlin; the US Cold War, Truman Doctrine.

ტერორიზმის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე

ლია ბაღდოშვილი,
მარიამ კოზოლაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტები, ბაკალავრიატი

რეზიუმე

ტერორიზმი 21-ე საუკუნის უდიდესი გამოწვევაა, რომელიც არა მარტო დიდ ადამიანურ დანაკარგს იწვევს, არამედ სხვა მრავალ მნიშვნელოვან ასპექტზეც უარყოფითად აისახება. ამ ასპექტებს შორის ერთ-ერთია ეკონომიკა. ტერორიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი და ხილული შედეგი ფიზიკური გარემოს განადგურებაა. ტერორიზმის შედეგად საფრთხე ექმნება ფინანსურ ბაზარს. ამის მიზეზი არის ის, რომ ბაზარი რისკს ვერ იტანს.

ეკონომიკური ზარალი ასევე ვლინდება დაზღვევასა და ტურიზმში. ტერორიზმი „რისკიანი ბიზნესია“ ამიტომ სადაზღვეო კომპანიები ხშირ შემთხვევაში სიფრთხილეს იჩენენ. რაც შეეხება ტურიზმს, ეს ინდუსტირა ქვეყნების უმრავლესობის ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ხოლო ტერორისტული აქტების შემდეგ ქვეყანაში ვიზიტორთა რაოდენობა მცირდება, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. ისეთ ქვეყნებში, სადაც შეინიშნება ტერორიზმის საფრთხე, საგრძნობლად იკლებს უცხოური ინვესტიციები.

საკვანძო სიტყვები: ტერორიზმი, ტურიზმი, ეკონომიკა, დაზღვევა, მშპ.

შესავალი

ტერორიზმი ადამიანის მიერ შექმნილი კიდევ ერთი ბოროტებაა, რომელმაც ბოლო პერიოდში ჩვენს გულებში მომავლის დაუძლეველი შიში გააჩინა. მიუხედავად იმისა , რომ ტერორიზმი მსოფლიოში ერთადერთ მნიშვნელოვან პრობლემას არ წარ-

მოადგენს, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მასთან ბრძოლა სამყაროსთვის ერთ-ერთ უპირველეს და ჯერ-ჯერობით დაუძ-ლეველ მიზნად რჩება.

ტერორისტები ადამიანის ჯგუფს წარმოადგენენ , გარკვეული პოლიტიკური თუ რელიგიური იდეოლოგიით . მათ არ გაჩნიათ პრინციპები და ღირებულებები. მათ სჯერათ იარაღის და სურთ სამყაროს ერთ ღამეში შეცვლა. ზოგიერთ ტერორისტულ ჯგუფს გარკვეული ტერიტორიის მისაკუთრება სურს , ზოგიერთს კი უნდა თავისი იდეოლოგია თუ რელიგია მსოფლიოში გაავრცელოს. ისინი ფიქრობენ , რომ მხოლოდ მათი შეხედულებებია სწორი და ამის გამო ყველანაირი უფლება აქვთ ისინი ძალის გამოყენებით გაავრცელონ. არ ერიდებიან უდანაშაულო ადამიანის დახოცვას , საკუთრების დანგრევას თუ აფეთქებას , ადამიანების გატაცებას, თვითფრინავების ჩამოგდებას და ტერორის შექმნას . ტერორ-ისტებისთვის ადამიანი მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოად-გენს და არა პიროვნებას.

ფაქტია, რომ ტერორიზმი არამხოლოდ ათასობით უდანაშაუ-ლო ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება, არამედ მძიმე კვალს ტოვებს ეკონომიკაზე. ჩვენი სტატიის მთავარი მიზანი სწორედ ამის ჩვენებაა.

ძირითადი ნაწილი

არაბი მკვლევარი სუბაი ბიანოპადაი იკვლევს შეუძლია თუ არა ტერორიზმს უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომი-კის ზრდაზე. კვლევების თანახმად ტერორიზმსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი უარყოფითია. ტერორიზმი ქვეყანაში ქმ-ნის დაუცველობის შეგრძნებას უცხოელი ინვესტორებისთვის.

„საფრთხის შეგრძნება საგრძნობლად აისახება უცხოურ ინ-ვესტიციებზე. ინვესტორები უპირატესობას ანიჭებენ უსაფრთხო ქვეყნებს, სადაც ტერორისტული აქტების განხორციელების ნაკ-ლები შანსია“-ვკითხულობთ კვლევაში.

ყოველწლიურად ტერორისტული აქტები აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. 2017 წლის მსოფლიო ტერორიზმის გავლენის ინდ-

ექსი 2016 წელთან შედარებით შვიდი პროცენტით დაეცა. მიუხედავად, კლებისა წინა წლის ზარალი 84 მილიარდს შეადგენს. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გავლენა მონაცვლეობდა, მანამ სანამ 2007 წელს 41 მილიარდს არ მიაღწია.ეს იყო შედეგი ერაყში მომხდარი ტერორიზმისა. „აისის" გამოჩენის შემდეგ დანაკარგი იზრდებოდა 2012 წლამდე, ხოლო 2014 წელს 104 მილიარდს მიაღწია.

ქვეყნები, რომლებიც ტერორიზმის პირდაპირი ან ირიბი მსხვერპლნი ხდებიან, განიცდიან ყველაზე მაღალ ეკონომიკურ დანაკარგს. მათი უმეტესობა მდებარეობს შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ ტერორიზმს ძლიერი გავლენა აქვს ადგილობლივ ეკონომიკაზე. მათი თქმით, ის ადგილი, სადაც ტერორისტული აქტი ხდება ტურისტებისთვის საშიშ ელფერს იძენს და ამიტომ ისინი ან ამცირებენ მოგზაურობის ხანგრძლივობას, ან საერთოდ აუქმებენ. ტერორისტული თავდასხმის მსხვერპლი სახელმწიფო ორი ტიპის ზარალის წინაშე დგება: მოკლევადიანი ზარალი ძირითად შემთხვევებში ადგილობრივ ბაზრებზე აისახება და გამოიხატება ფრენების, რესტორნებისა და სასტუმროებისაგან მიღებული შემოსავლების შემცირებაში. 2016 წლის 22 მარტს ბელგიაში აეროპორტსა და მეტროს სადგურში მომხდარმა ტერორისტულმა თავდასხმამ, რომლის შედეგადაც 33 ადამიანი დაიღუპა, ხოლო ასამდე მძიმედ დაშავდა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ტურიზმის ინდუსტრიაზე. თავდასხმის შემდეგ შაბათ-კვირის განმავლობაში სასტუმროთა რეზერვაციების 40%-მდე გაუქმდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების ძალებმა ქვეყანა ჩაკეტეს. ტერორისტული აქტების შედეგად „ბრიუსელის ავიახაზებმა" 190 ფრენა გააუქმა 20,000-ზე მეტი მგზავრისათვის მომსახურების შეზღუდვით. ბრიუსელის ავიახაზების დღიურმა ზარალმა, რომლის 45%-ს გერმანული „ლუფტანზა" ფლობს, 5 მილიონი ევრო შეადგინა, აეროპორტის ფუნქციონირება კი 22 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით გახლდათ შეზღუდული. მნიშვნელოვნად დაეცა ევროპული ავიაკომპანიების აქციებიც.

ტერორისტულმა თავდასხმებმა გავლენა იქონია საფრანგეთის ტურიზმზეც. „შარლი ებდოს“ ტერორისტული თავდასხმიდან 9 დღის შემდეგ საფრანგეთში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 25%-ით შემცირდა. ფრანგულ საფონდო ბაზარზე მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადა ავიაკომპანიებისა და სასტუმროთა ქსელების აქციებმა, ფრანგული ავიაკომპანიის „ეარ ფრანსისა“ და სასტუმროთა ქსელის, „ქორ-ის“ აქციები 5%-ით დაეცა.

რაც შეეხება ტერორისტული თავდასხმების გრძელვადიან ეკონომიკურ ეფექტს, იგი ნაკლებად შეინიშნება განვითარებულ სახელმწიფოებში. სტაბილური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნები მარტივად ახერხებენ მოკლევადიანი დანაკარგების დაბალანსებას, რადგან მდგრადობა და მომხმარებლის სანდოობა შესაძლებლობას აძლევთ, მალე მოახდინონ პოსტტერორისტული შოკების სტაბილიზაცია. ტერორიზმის მიერ მიყენებულიო ზარალი ქვეყნის ეკონომიკისთვის სამჯერ მაღალია განვითარებად ქვეყნებში, ვიდრე განვითარებულში.

არსებობს სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლებშიც ტერორიზმის მიერ მიყენებული ზიანი ყველაზე მეტად ვლინდება.

1. პირდაპირი ეკონომიკური დესტრუქცია. ტერორიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი და ხილული შედეგი ფიზიკური გარემოს განადგურებაა. ტერორისტები ანადგურებენ მცენარეებს, მანქანებს, სატრანსპორტო სისტემას და სხვა ეკონომიკურ რესურსებს. უფრო კონკრეტულ სიტუაციებში ის ანადგურებს ადგილობრივ კაფეებს, ეკლესიებს ან გზებს. მაგრამ არის ისეთი გლობალური შემთხვევები, როცა ზარალი მილიარდებს აღწევს.

2. გაზრდილი დაუცველობა ბაზარზე

მაშინაც კი, როდესაც არ ცხოვრობ მომხდარი ტერორისტული აქტის სიახლოვეს, მაინც ირიბად ექცევი უარყოფითი ზეგავლენის ქვეშ. ეს ხდება, იმიტომ, რომ ბაზარი ვერ იტანს დაუცველობას და ტერორიზმი კი ამას საკმაოდ დიდი რაოდენობით ქმნის. მაგალითად, ფინანსრული ბაზარი 11 სექტემბრის შემდეგ დაიხურა და მის აღდგენას თვეები დასჭირდა.

3. დაზღვევა, ვაჭრობა, ტურიზმი

არსებობს ორი ინდუსტრია, რომლების განსაკუთრებით დაუცველნი არიან ტერორიზმის ეფექტისგან: დაზღვევა და ტურიზმი. ყველა სადაზღვეო კომპანია არ აქცევს ყურადღებას ტერორიზმის რისკებს ქვეყნებში, ამიტომ გავლენა არც ისეთი დიდია, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს. მიუხედავად ამისა, „ტერორიზმი რისკიანი ბიზნესია„ ყველასთვის და სადაზღვეო კომპანიებს ისევე სძულთ რისკი, როგორც სხვა ყველას.

ტურიზმი კიდევ უფრო დიდი რისკის ქვეშაა. საფრანგეთის მთლიანი შიდა პროდუქტის 8%-ს ტურიზმი შეადგენს.მას შემდეგ რაც ნიცაში ტერორისტული აქტი მოხდა ვიზიტორების რაოდენობა დაახლოებით 30%-ით შემიცრდა.

ტერორიზმი ასევე უარყოფითად აისახება საერთაშორისო ბაზარზე. ტერორიზმის საფრთხის ქვეშ მყოფ ქვეყანაში საგრძნობლად მცირდება უცხოური ინვესტიციების რაოდენობა.

ბოლო დროს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მომხდარმა ხმაურიანმა ტერორისტულმა თავდასხმებმა საერთაშორისო საზოგადოება მასობრივი საფრთხის წინაშე დააყენა. დაუცველობის განცდასა და შიშთან ერთად, ტერორიზმმა გავლენა იქონია ეკონომიკურ ვითარებაზეც. კაცობრიობისა და საყოველთაოდ გაზიარებული ღირებულებების წინააღმდეგ მიმართული ომი კონკრეტულ ციფრებსა და ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამოისახა და კიდევ ერთხელ დაარწმუნა მსოფლიო, რომ ურთიერთდამოკიდებულების ერაში ვცხოვრობთ.

ტერორიზმი არა მარტო დიდ ადამიანურ დანაკარგს იწვევს, არამედ სხვა მრავალ მნიშვნელოვან ასპექტზეც უარყოფითად აისახება. ამ ასპექტებს შორის ერთ-ერთია ეკონომიკა. ტერორიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი და ხილული შედეგი ფიზიკური გარემოს განადგურებაა. ტერორიზმის შედეგად საფრთხე ექმნება ფინანსურ ბაზარს.

ეკონომიკური ზარალი ასევე ვლინდება დაზღვევასა და ტურიზმში. ისეთ ქვეყნებში, სადაც შეინიშნება ტერორიზმის საფრთხე საგრძნობლად იკლებს უცხოური ინვესტიციები. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, მსოფლიო ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება.

REFERENECES:

1. http://forbes.com/
2. https://www.stlouisfed.org/on-the-economy/2018/january/economic-impact-terrorism-developing-countries
3. https://journalistsresource.org/studies/international/conflicts/relationship-between-economic-growth-terrorism-new-research
4. file:///C:/Users/7n7/Downloads/02_Cinar_2017_1.pdf
5. https://www.files.ethz.ch/isn/10698/doc_10729_290_en.pdf

THE IMPACT OF TERRORISM ON THE WORLD ECONOMY

Lia Bagdoshvili
Mariam Kozolashvili
Tbilisi State University Bachelors

RESUME

Terrorism is a very big challenge of 21th century. It causes not only the loss of human resources but also it has a negative influence on many other important aspects. The most visible and valuable results of terrorism is a destruction of physical environment. Terrorism is very dangerous for financial market, the cause of this is that ''terrorism is risky business''. Due to the fact, insurance companies are more careful with their decisions. Usually tourism is a very important part of economic growth of a country. After terrorist attacks, tourists do not want to visit these countries anymore. Countries under danger of terrorism are very unattractive for foreigner investors.

Key words: Terrorism, Tourism, Insurance, Economic.

მთავრობის როლი ვენესუელას ეკონომიკურ კრიზისში

ნანა ღარიბაშვილი
ანნა ცქიტიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

ეკონომისტთა შორის ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებში მთავრობის ჩარევის საკითხი მუდმივი განხილვის საგანია. უამრავი განსხვავებული აზრის მიუხედავად, ექსპერტთა უმეტესობა თანხმდება სახელმწიფოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში ზომიერ ჩარევაზე, თუმცა მთავრობის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი უნდა იყოს წინასწარ კარგად გათვლილი და აუცილებლად კვალიფიციური კადრების მიერ უნდა იქნეს განხორციელებული. ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ეკონომიკის ზედმეტად რეგულირება ისევე წამგებიანი შეიძლება გახდეს, როგორც მისი თვითნებაზე მიშვება. ამ მხრივ, გამონაკლისი განვითარებადი სამყაროს სხვა ქვეყნების მსგავსად, არც რესურსებით მდიდარი ვენესუელა ყოფილა, სადაც ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, თუ როგორ შეიძლება მთავრობის ჩარევის შედეგად რესურსებით მდიდარმა მსგავსი პოტენციალის მქონე ქვეყანამ განიცადოს სრული ეკონომიკური კრახი. ნაშრომში განხილულია ვენესუელას ეკონომიკურ კრიზისში მთავრობის როლი, რომელიც კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევამ განვითარებადი მდიდარი ქვეყანა მიიყვანოს სრულ ეკონომიკურ კრახამდე.

საკვანძო სიტყვები: ვენესუელა, ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია, ინდუსტრიის ნაციონალიზაცია, ნავთობის ექსპორტი.

ძირითადი ტექსტი

ვენესუელა უგო ჩავესამდე. ტრადიციული წყაროების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ვენესუელას კრიზისის მთავარი გამომწვევი მიზეზი უგო ჩავესის რეჟიმია. თუმცა, აღსანიშნავია ქვეყანაში მანამდე არსებული სისტემური პრობლემები და გაუმართაობა. იმის გასაგებად, თუ როგორ აღმოჩნდა ვენესუელა ასეთ მდგომარეობაში, საჭიროა გავეცნოთ უფრო ადრინდელ ვითარებებსა და მოვლენებს:

XX საუკუნის დასაწყისისათვის ვენესუელა მიეკუთვნებოდა ე.წ. „ბანანის სახელმწიფოთა“ რიგს და ახასიათებდა პოლიტიკური არასტაბილურობა. ეს დიდწილად გამოწვეული იყო მისი კოლონიური წარსულიდან. ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1914 წლის 15 აპრილს ვენესუელაში აღმოაჩინეს ნავთობის პირველი საბადო. ინდუსტრიული კლასების მიერ საერთაშორისო ექსპლუატაციისა და უცხოური ინვესტიციებისთვის ნავთობის ბაზრების გახსნას კი მოჰყვა ვენესუელაში შედარებით ლიბერალური ეკონომიკის ჩამოყალიბება, რომელსაც ქვეყნისათვის აურაცხელი სიკეთის მოტანა შეეძლო. შედეგად, 1950-იანი წლებისათვის ვენესუელა იყო ლათინური ამერიკის ყველაზე მდიდარი ქვეყანა, ხოლო 1970 წლისათვის მიაღწია ეკონომიკური განვითარების უპრეცედენტო დონეს და მსოფლიო მასშტაბით დაიკავა მეოთხე ადგილი ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მიხედვით.

პარალელურად, ნელ-ნელა ხორციელდებოდა ე.წ ქრონი-კაპიტალიზმის ელემენტების დანერგვა და „სტრატეგიულ ინდუსტრიებში“ სახელმწიფოს ჩართულობის ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ 1975 წლიდან ნავთობის ინდუსტრიის ნაციონალიზაციას თავდაპირველად არ მოჰყოლია ეკონომიკის ვარდნა, მან საფუძველი ჩაუყარა ინსტიტუციონალურ ნგრევას, რომელიც ცხადად წარმოჩნდა მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში. კერძოდ, ვითარება 1980-იან წლებში რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც დაეცა ნავთობის ფასი, რის შედეგადაც ეკონომიკა შემცირდა და ინფლაციის დონემ 1989 წლისთვის 81%-ს მიაღწია. ამავე წელს, დაიწყო კარაკასის გამო-

სვლები. 1994 წლისთვის პუნტო ფიხოს მოდელი ქაოსში აღმოჩნდა, ხოლო 1995 წლის საბანკო კრიზისისა და მიწის რეფორმებისა და საცხოვრებლის სუბსიდირების არასწორი რეფორმების გამო მოხდა მთავარი საქალაქო ზონების (კარაკასი, მარაკაიბო, მარაკაი და ვალენსია) გაღარიბებული მოსახლეობით გავსება. შედეგად, ვენესუელას სოციალურ-დემოკრატიულმა კონსენსუსმა კვაზი-ოპტიმალური შედეგები მოიტანა, რის გამოც ქვეყანა გახდა „მოთხოვნის ზრდის კატასტროფის" მაგალითი.

ეკონომიკური სიტუაცია უგოჩავესის დროს.1999 წლიდან ვენესუელას სათავეში უგო ჩავესი მოექცა. იგი შეეცადა თავის სასიკეთოდ გამოეყენებინა ქვეყანაში არსებული სიტუაცია და დაბალი ფენის მოსახლეობა ეფექტურ ძალად ექცია საკუთარი კამპანიის განვითარებისა და საბოლოოდ სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისთვის. მისი საშინაო პოლიტიკა საკმაოდ რადიკალური იყო, იგი ფოკუსირდებოდა სოციალურ პროგრამებზე, რომლებიც საზოგადოების უღარიბესი სექტორისათვის ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოციალური უსაფრთხოებისა და საკვების ხელმისაწვდომობას ეძღვნებოდა.

ჩავესის მმართველობისათვის დამახასიათებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ნავთობის ფასი იყო. საზოგადოდ, ვენესუელას ნავთობის ექსპორტით მიღებული თანხა მთლიანი შიდა პროდუქტის 25%-სა და მთლიანად ექსპორტიდან მიღებული თანხის 95%-ს შეადგენს. ჩავესის მმართველობას დაემთხვა აზიის ეკონომიკურიი კრიზისი, რომელმაც ნავთობის ფასის საგრძნობი კლება გამოიწვია და ვენესუელას ეკონომიკა დააზიანა. ფასების შემდგომმა ზრდამ და ვენესუელას ეკონომიკის გაძლიერებამ ხელი შეუწყო ჩავესის ძალის კონსოლიდაციას.

ამის შემდეგ, ჩავესმა გადადგა რადიკალური ნაბიჯი და დაიწყო კერძო საკუთრებაში არსებული ნავთობის საბადოების ნაციონალიზება და ისინი გადასცა სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ ნავთობმომპოვებელ კომპანიას. ნავთობის ნაციონალიზაციამ ვენესუელას მთავრობას ნავთობისგან მიღებულ მოგებაზე პირდაპირი ხელმისაწვდომობა მისცა, რომელიც 10$-დან

(1999წ.) 126$-მდე (2008წ.) გაიზარდა. 2002 წელს ვენესუელაში მიიღეს კანონი ნავთობზე გადასახადების გაზრდისა და სახელმწიფოს როლის გაძლიერების შესახებ. ნავთობმოპოვების სფეროში სახელმწიფოს წილი მინიმუმ 51%-ით განისაზღვრა. ამან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება ვენესუელას ნავთობმომპოვებელ კომანიაში. თუმცა, ორწლიან დაპირისპირებაში უპირატესობა ჩავესმა მოიპოვა და დაიქვემდებარა ვენესუელას ნავთობმომპოვებელი კომპანია. ჩავესი აგრძელებდა ნავთობის კერძო ინდუსტრიის სახელმწიფოს მუჭქვეშ მოქცევას 2006 და 2007 წლებშიც, იგი ძალადობრივად იმორჩილებდა ნავთობმომპოვებელ კომპანიებს და ამის შედეგად, მან მოახერხა ნავთობის აღმოჩენისა და წარმოების მთლიანად ნაციონალიზება. მან ასევე ვენესუელადან განდევნა ყველა საზღვარგარეთული სანავთობო კომპანია, რომლებიც ქვეყანას ხელს უშლიდა ნავთობის ინდუსტრიის გაფართოებაში. შედეგად, ვენესუელამ დაკარგა ნავთობის მოპოვების გაუმჯობესებული ტექნოლოგიები, რომლებიც მას უცხოურმა კომპანიებმა მისცეს და შესაბამისად, ნავთობით მდიდარი არეალებიც აუთვისებელი დარჩა. ნავთობის წარმოებაში ჩავარდნამ ვენესუელას ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ასევე, ჩავესის მცდელობამ, ეთანამშრომლა სხვა ლათინურ ამერიკულ ქვეყნებთან, მაგალითად, კუბასთან, შეამცირა სახელმწიფოს

ვენესუელას ეკონომიკურ კრიზისზე საუბრისას, მნიშვნელოვანი და ბევრი ეკონომისტის აზრით მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი არის სოციალიზმი. უგო ჩავესი ცდილობდა ექცია ვენესუელა სოციალისტურ სამოთხედ. მიუხედავად იმისა, რომ ჩავესს მისი გატარებისას ღარიბებისათვის ტანჯვის შემსუბუქების სურვილი ამოძრავებდა, სოციალური პროგრამების შემუშავება და გატარება არამდგრად რეჟიმში მიმდინარეობდა და მოკლე ხანში მიღებული პოზიტიური შედეგების მიუხედავად, ნეგატიურად მოქმედებდნენ გრძელვადიან პერსპექტივაში.

ჩავესმა გამოაცხადა ნავთობ ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ელექტრო წარმოების, ბანკების, ტე-

ლეკომუნიკაციების, ფოლადის ინდუსტრიისა და ყველა სხვა ეკონომიკის უმსხვილესი დარგის ნაციონალიზაცია. შედეგად, დღესდღეობით ვენესუალა არის მესამე ყველაზე ნაკლებ თავისუფალი ეკონომიკის ქვეყანა კუბისა და ჩრდ.კორეის შემდეგ. სწორედ ამ პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო ის, რომ ვენესუელა სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნიდან იქცა ისეთ ქვეყნად სადაც ადამიანებს საკვები არ აქვთ. ეკონომიკა შემცირდა 18%-ით, უმუშევრობა 25%-ს აღწევს, ხოლო ინფლაცია 2,068%. უგო ჩავესი და მისი სოციალისტური მთავრობა თვლიდა, რომ სახელმწიფო აპარატებს უკეთესად შეუძლიათ ინდუსტრიებისა და ეკონომიკის დარგების გაძღოლა, ვიდრე კერძო ბიზნესს. ასეთმა პოლიტიკამ კი მოიტანა კორუფციის მაღალი დონე. სახელმწიფოს ჩარევამ გააუარესა ეკონომიკის ყველა დარგის პროდუქტიულობა და ქვეყანა დამოკიდებული გახადა იმპორტზე. იმპორტი კი მხოლოდ იმ ფინანსებით იყო შესაძლებელი, რომელსაც ქვეყანა ნავთობის გაყიდვიდან ღებულობდა, გამომდიანრე იქიდან რომ ეს ქვეყნის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ნავთობიდან მიღებული შემოსავლის შემცირებამ ქვეყანა გამოუვალ კრიზისამდე მიიყვანა. შედეგად, ვენესუელას შემოსავალი ნავთობის ექსპორტიდან თითქმის განახევრდა, რაც უდიდესი დარტყმა იყო ქვეყნის ისედაც სუსტი ეკონომიკისთვის. ჩავესმა ნავთობის წარმოებაში ჩავარდნას კი სწორედ მაშინ შეუწყო ხელი, როდესაც ვენესუელის ნავთობმომპოვებელი კომპანია მიისაკუთრა და შეუზღუდა ხელმისაწვდომობა რესურსებზე, რომლებიც აუცილებელი იყო ნავთობის დიდი რაოდენობით მოპოვებისათვის. ამ ტაქტიკურმა შეცდომამ გამოიწვია ის, რომ ახლა, მადუროს მმართველობაში, ვენესუელას არ აქვს შესაძლებლობა გადაიხადოს გადასახადები მძიმე საერთაშორისო ვალების აღების გარეშე.

ნიკოლას მადუროს პრეზიდენტობა და კრიზისის მიერ შექმნილი სიტუაცია.2013 წლის აპრილში ვენესუელის ახალი პრეზიდენტი ნიკოლოს მადურო გახდა. იგი ჩავესის იდეების მხარდამჭერი იყო და აქედან გამომდინარე აშკარა გახდა, რომ

მადურო გააგრძელებდა ჩავესის პოლიტიკას. 2013 წლის დასაწყისში ქვეყნის ეკონომიკა მეტწილად სტაბილური იყო, რაც ძირითადად ნავთობის მაღალი ფასების შედეგი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ვალი შეადგენდა მშპ-ის 70%-ს, ხოლო საფინანსო დეფიციტი - 13%-ს, მშპ 2013 წელს 1,6%-ით გაიზარდა, თუმცა ინფლაციის დონე 56%-ს უდრიდა. მადურომ საკანონმდებლო ფუნქციის მიღების შემდეგ, ახალი რეფორმების ტალღა განახორციელა. ვენესუელაში შემოიღეს მოგების 30%-იანი ბარიერი. ქვეყანაში საკვებისა და სურსათის დეფიციტი დაიწყო. ხოლო, 2015 წელს ინფლაციის მაჩვენებელმა 159,1% შეადგინა, ნომინალური მშპ 78 მილიარდი დოლარით შემცირდა. დღეისათვის, ინფლაციის დონე წარმოუდგენელ ზღვარს აღწევს: 1$=10,000 ბოლივარი.

რაც შეეხება საკვებს, კრიზისის გამო, რა თქმა უნდა, პრობლემა ამაზეც შეიქმნა. ვენესუელას მოსახლეობის 72% შიმშილობს. ქვეყანაში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა დასაქმების მხრივაც: სხვადასხვა კომპანიების ნაციონალიზაციიდან გამომდინარე ბაზრიდან კერძო კომპანიების მნშვნელოვანი წილი გაქრა, შესაბამისად საგრძნობლად შემცირდა სამუშაო ადგილები. ქვეყანაში ასევე მწვავედ დგას პირველადი დახმარების მედიკამენტების არ არსებობის საკითხი, რის გამოც ძალიან ბევრი ადამიანი იღუპება ან იმიგრირდება მეზობელ ქვეყნებში. მადურომ ეს საკითხი გაეროს ასამბლეაზეც წამოაყენა და წევრ სახელმწიფოებს მედიკამენტების მიწოდების გაზრდა სთხოვა.

ამ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციაც. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მადუროს არალეგიტიმურად მიიჩნევს და მის გადაყენებს ითხოვს. ამას ემატება მის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების გატარებაც, რაც ქვეყანას ავტორიტარულიდან დიქტატორულ მიმართულებას აძლევს. დაბალ დონეზეა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი და სიტყვის თავისუფლება. მადუროს მიერ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯი კრიზისიდან თავის დასაღწევად ფულის ბეჭდის რაოდენობის გაზრდა იყო, რამაც თავისთავად

გაზარდა ინფლაციის დონე. დღესდღეობით ფულის დათვლის მაგივრად მას წონიან. პრეზიდენტი შექმნილ მდგომარეობაში ადანაშაულებს ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებულ ეკონომიკურ სანქციებსა და ნავთობზე ფასების შემცირებას. ოპოზიცია კი თვლის, რომ ქვეყანაში კრიზისი მადუროს მიერ სახელმწიფოს ცუდად მართვამ გამოიწვია.

დასკვნა

მთავრობის მიერ კონტროლირებადი ეკონომიკური პროცესები ყოველთვის სახელმწიფო ეკონომიკის ჩამოშლის წინაპირობა ხდება, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ვენესუელაა. ქვეყანა, რომელიც 70-იან წლებში ერთ სულ ადამიანზე სიმდიდრით, საფრანგეთს, ისრაელსა და საბერძნეთსაც კი უსწრებდა, დღეს, მიუხედავად ნავთობის უდიდესი რეზერვებისა ინფლაციას, საგარეო ვალებსა და უმუშევრობას ებრძვის. ვენესუელას მთავრობების მონდომების მიუხედავად, რომ დაემარცხებინა კორუფცია, ჯერ უგო ჩავესის, ხოლო შემდეგ ნიკოლას მადუროს მთავრობები თავად გაეხვნენ კორუფციულ ქსელში. ხალხზე ზრუნვასა და უთანასწორობის გამოსასწორებლად ბრძოლაში, მთავრობების მიერ ფასების კონტროლმა, მნიშვნელოვანი ინდუსტრიების ნაციონალიზაციამ, იმპორტზე დამოკიდებულების გაზრდამ და თითქმის ყველა სფეროს სუბსიდირებამ ქვეყანაში უსარგებლო ფული და კრიმინალის მაღალი დონე შექმნა. საბოლოო ჯამში კი, დღეს ვენესუელა, პოპულისტი ლიდერების მიერ ძალაუფლების შენარჩუნების მოტივით გატარებული ეკონომიკური რეფორმების, მკაცრ შედეგებს იმკის.

ლიტერატურა:

1. Hausmann.Ricardo. ed. 2014. *Venezuela Before Chávez.*

2. Mises. *Venezuela: Forty Years of Economic Decline*.

https://mises.org/blog/venezuela-forty-years-economic-decline ინტერნეტი.ბოლო ნახვა: 27 იანვარი, 2018 წ.

3. Harvard Political Review. The Legacy of Hugo Chavez. http://harvardpolitics.com/world/the-legacy-of-hugo-chavez/. ინტერნეტი. ბოლო ნახვა: 27 იანვარი, 2018 წ.

4. The Wharton School of the University of Pennsylvania. The Legacy of Hugo Chavez and a Failing Venezuela. https://publicpolicy.wharton.upenn.edu/live/news/1696-the-legacy-of-hugo-chavez-and-a-failing-venezuela#_edn1. ინტერნეტი. ბოლო ნახვა : 27 იანვარი, 2018 წ.

5. BBC. Analysis: How Hugo Chavez changed Venezuela. http://www.bbc.com/news/world-latin-america-15240081. ინტერნეტი. ბოლო ნახვა : 28 იანვარი, 2018 წ.

6. Weisbrot, M. 2013. Sorry, Venezuela haters: This economy is not the Greece of Latin America. The Guardian, ბოლო ნახვა: 29 იანვარი, 2018 წ. ინტერნეტი: https://www.theguardian.com/commentisfree/2013/nov/07/venezuela-not-greece-latin-america-oil-poverty

7. Neuman , William. 2015," Venezuela's Economy Suffers as Import Schemes Siphon Billions", ბოლო ნახვა: 28 იანვარი, 2018 წ. ინტერნეტი: https://www.nytimes.com/2015/05/06/world/americas/venezuelas-economy-suffers-as-import-schemes-siphon-billions.html

REFERENCES:

1. Hausmann.Ricardo. ed. 2014. *Venezuela Before Chávez.*

2. Mises. *Venezuela: Forty Years of Economic Decline*.

https://mises.org/blog/venezuela-forty-years-economic-decline ინტერნეტი.ბოლო ნახვა: 27 იანვარი, 2018 წ.

3. Harvard Political Review. The Legacy of Hugo Chavez. http://harvardpolitics.com/world/the-legacy-of-hugo-chavez/. ინტერნეტი. ბოლო ნახვა: 27 იანვარი, 2018 წ.

4. The Wharton School of the University of Pennsylvania. The Legacy of Hugo Chavez and a Failing Venezuela. https://publicpolicy.wharton.upenn.edu/live/news/1696-the-legacy-of-hugo-chavez-

and-a-failing-venezuela#_edn1. ინტერნეტი. ბოლო ნახვა : 27 იანვარი, 2018 წ.

5. BBC. Analysis: How Hugo Chavez changed Venezuela. http://www.bbc.com/news/world-latin-america-15240081. ინტერნეტი. ბოლო ნახვა: 28 იანვარი, 2018 წ.

6. Weisbrot, M. 2013. Sorry, Venezuela haters: This economy is not the Greece of Latin America. The Guardian, ბოლო ნახვა: 29 იანვარი, 2018 წ. ინტერნეტი: https://www.theguardian.com/commentisfree/2013/nov/07/venezuela-not-greece-latin-america-oil-poverty

7. Neuman , William. 2015," Venezuela's Economy Suffers as Import Schemes Siphon Billions", ბოლო ნახვა: 28 იანვარი, 2018 წ. ინტერნეტი: https://www.nytimes.com/2015/05/06/world/americas/venezuelas-economy-suffers-as-import-schemes-siphon-billions.html

THE GOVERNMENT'S ROLE IN VENEZUELA'S ECONOMIC CRISIS

Nana Garibashvili, Anna Cqitishvili
TSU Bachelor Students

Resume:

One of the main issues in economics is the extent to which the government should intervene in the economy. Free market economists argue that government intervention should be strictly limited as the government intervention tends to cause an inefficient allocation of resources. However, others argue there is a strong case for government intervention in different fields. In any case, government should find the best way to support such processes that improve country's economic conditions. Venezuela is a perfect example of how government blundering can lead such a potential country with rich natural and human resources to economic fiasco.

Key words: Venezuela, economic crisis, inflation, nationalization of the industry, oil export.

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

ჟურნალი“ეკონომიკა“
გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

UDC: 338(922)(05)

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 05.06.2018 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.06.2018 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20,0